14
არნო ხიდირბეგიშვილი:
დსთ საქართველოს არ ივიწყებს!

13
მამათმავლის პროპაგანდისტული ლექცია ორმოცდაათამდე ვაქი სტუდენტიდან პროტესტის ნიშნად მხოლოდ ერთმა დატოვა

6

გელა ქადარია:
მაშინ დაეკეტათ მოედანი, როცა ფეხბურთის კარი პირველად გადმოვარდა, ჩემი შვილის სიკვდილი იყო ამისთვის საჭირო?!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

24 — 30 ივნისი, 2009 №18

საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net



ირაკლი კორძაია ამხელს!

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საშუალებით მივმართავ ქართველ საზოგადოებას, ერიდოს გამოქვეყნებულ პირებთან ურთიერთობას და მათი ამოცნობის შემთხვევაში მოგვაწოდოს ინფორმაცია შემდეგ მისამართზე: jalatebi@yahoo.com ან მიმართოს უფლებადაცვით სხვა ორგანიზაციებს ან თქვენს გაზეთს.

16

პატივისცემით, **ირაკლი კორძაია**, მოძრაობა „7 ნოემბრის“ თანადამფუძნებელი. მცხოვრები ქ. თბილისში, ნინოშვილის №15ა

WANTED!

ეძებს!

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ვის დასახვედრად იგეგმება სტადიონის შევსება და რისთვის დაურიგეს სოღნაღელებს 200-200 ლარი

როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ კონფიდენციალურად გახდა ცნობილი, უახლოეს მომავალში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით მნიშვნელოვანი სტუმარი ეწვევა. ხელისუფლება აპირებს, მას გრანდიოზული დახვედრა მოუწყოს. მართალია, სტუმრის ვინაობა ჯერჯერობით არ კონკრეტდება, მაგრამ სანდო წყაროს ცნობით, მას შესაბამისად დახვდებიან ეროვნულ სტადიონზე, ანუ იქ, სადაც 26 მაისს ოპოზიციამ ხალხმრავალი მიტინგი მოაწყო. ამავე წყაროს ცნობით, სტადიონზე სტუმრის დახვედრის ორგანიზება ხელისუფლებას იმისთვისაც სჭირდება, დასავლეთს დაანახოს, რომ მასაც შესწევს უნარი, შეაგროვოს „ერთი სტადიონი ტევადობის“ მომხრეები და ამ ჟესტით ნიშნი მოუგოს ოპოზიციას.

ერთი შეხედვით, ეს ინფორმაცია შეიძლება დაუჯერებლადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენი წყარო „ნაცმოძრაობის“ აქტივისტია და მისი ცნობები, როგორც წესი, უტყუარია. ამასთან, ლოგიკურადაც რომ ვიმსჯელოთ, რა გასაკვირია, საქართველოს პრეზიდენტმა, რომელსაც 26 მაისის საპროტესტო აქცია და სტადიონზე შეკრებილი 100 ათასამდე ადამიანი დღემდე ვერ მოუნელებია, სცადოს, როგორც საკუთარ ხალხს, ისე მსოფლიო საზოგადოებას აჩვენოს, რომ ქართველებისთვის ისევ სასურველი პრეზიდენტია. საამისოდ კი შესანიშნავი დროა შერჩეული — მეგობარი ქვეყნის ძალზე მნიშვნელოვანი სტუმრის ვიზიტი. ამ მოვლენას არა მარტო საქართველოს ტელეარხები გააშუქებენ, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი მაუწყებლობა და ეს კვირის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცევა.

თუმცა ამ შემთხვევაში ხელისუფლების მთავარი პრობლემა სტადიონის შევსებაა, რადგან მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე, როდესაც პირველი პირისა და მისი გუნდის რეიტინგი საგრძნობლად დაეცა, ხელისუფლებას გაუჭირდება თბილისის მასშტაბით არათუ ქუდზე კაცის გამოყვანა, არამედ 10 ათასი მხარდამჭერის მოგროვება. თბილისში როზგები ნაკლებად ჭრის და ხელისუფლების ზონდერბრიგადებისაც აღარავის ეშინია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველდღიურად იჭერენ ოპოზიციის აქტივისტებს. ერთადერთი გამოსავალი რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანაა. ჩვენმა ინფორმატორმა ეს სქემაც გაშიფრა.

ჩვენი წყაროს ცნობით,

მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა გუბერნატორს, გამგებელს, „ნაცმოძრაობის“ რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს მიხეილ მითითება მისცეს, წარმოადგინონ სიები, რამდენი კაცის ჩამოყვანას შეძლებენ თბილისში დათქმულ დროს.

პირობების შესრულებაზე კი თითოეული მათგანი საკუთარი თანამდებობით აგებს პასუხს.

შევეცადეთ, დაგვედგინა, რამდენად შეესაბამება სიმართლეს აღნიშნული ინფორმაცია და „ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონულ ოფისებს დავუკავშირდით. ყველასგან ერთსა და იმავე პასუხს ვისმენდით, რომ არაფერი არ გაუგიათ, არაფერი იციან და პირველად ჩვენგან შეიტყვეს მნიშვნელოვანი სტუმრის ვიზიტისა თუ რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანის თაობაზე. „რა სიები, რის სიები... მე „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი ვარ და წარმოდგენა არ მაქვს, რაზე საუბრობთ“, — გვითხრა „ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის რეგიონული ორგანიზაციის წევრმა გიგა მიქაბაძემ.

ინფორმაციის შემოწმება ოპოზიციის წარმომადგენლებთან ვცადეთ და „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელს **მიხეილ ქანთარიას** დავუკავშირდით.

— ბატონო მიხეილ, უახლოეს მომავალში ძალზე მნიშვნელოვანი სტუმარი ჩამოდის, რომელსაც სტადიონზე უნდა მოუწყონ შეხვედრა. რეგიონების ხელმძღვანელობას საჭირო დროს ხალხის ჩამოყვანა დაევალა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამის თაობაზე?

— არანაირი ინფორმაცია არ მაქვს.

— გამგებლებმა თბილისში მათი სია უნდა გადმოაგზავნონ, ვის ჩამოყვანასაც შეძლებენ. არც ამის შესახებ გსმენიათ?

— ვერ გეტყვით, ვინ სად როგორ რას აპირებს, მაგრამ მე ამგვარი არაფერი გამიგია.

სამწუხაროდ, თელავშიც ვერაფერი გავარკვიეთ.

„პირველად გავიგე თქვენგან, რამე რომ ხდებოდეს, აუცილებლად მეცოდინებოდა“, — გვითხრა ნინო ბურჯანაძის ორგანიზაციის თელავის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა **დავით სავანელმა.**

მართალია, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი ბატონი თემურ შაშიაშვილიც არ ფლობდა ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ერთგვარი შეშფოთება გამოთქვა:

— თუ ხელისუფლება მართლაც აპირებს სტადიონზე ხალხის შეკრებას ვინმე პოლიტიკოსის დასახვედრად, ეს არის დიდი განაცხადი იმისა, რომ, თუკი ოპოზიციამ მოიყვანა 70 ათასი კაცი, პრეზიდენტიც შეძლებს ამას, თუმცა ეს სამოქალაქო ომის გზაა. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ საკუთარ ხალხთანაც ამოწურა ლიმიტი და ერთადერთი გამოსავალი, რაც მას დარჩა, სამოქალაქო დაპირისპირებაა. პრეზიდენტს სტადიონზე შეკრებით რომ დასჭირდება ოპოზიციისთვის საკუთარი ძალის ჩვენება, ის არათუ ქვეყნის პირველი პირი აღარ არის, მას მოქალაქეობის უფლებაც კი არ აქვს.

— რეგიონების გამგებლებს დავალებული აქვთ სიების წარმოდგენა, რამდენი კაცის ჩამოყვანა შეუძლიათ თბილისში და მის შესრულებაზე თანამდებობებით აგებენ პასუხს. როგორ ფიქრობთ, რა გზით მოახერხებენ ამას?

— რეგიონებში გუბერნატორებსა და გამგებლებს არავითარი ავტორიტეტი არ აქვთ, ამიტომ ვინც გითხრათ, რომ მათ ურეკავენ, ტყუილია. ამას მხოლოდ და მხოლოდ პოლიცია გააკეთებს. ჩვენ ხომ პოლიციურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და პოლიცია, პროკურატურა, უშიშროება და სასამართლო თვითმარქვია პრეზიდენტის სკამის შენარჩუნებას ემსახურებიან.

— შეძლებს ხელისუფლება, თუნდაც მიუახლოვდეს ოპოზიციის შედეგს?

— ხელისუფლება კი არა, ამას მათრახი მოახერხებს. სტადიონზე კუჭის კარნახით მოქმედი ხალხი მოვა. თითოეული ეს ადამიანი უნდა დააფიქსიროს ტელეკამერებმა, რათა ამ ფაქტს მომავალში სირცხვილის შეკრება ეწოდოს. ვაღიარებ, ნიკოლა სარკოზის იმიტომაც ვცემ პატივს, რომ აგვისტოს ომის დროს რუსთაველზე შეკრებილ ხალხთან არ გავიდა, საქართველოს დამარცხებული პრეზიდენტის ტაშ-ფანდურზე არ იცეკვა. ახლა რომელი პოლიტიკოსიც ჩამოვა და სტადიონის შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას, ის საქართველოს მეგობარი არ იქნება.

მართალია, აღნიშნული ინფორმაცია არ დაგვიდასტურეს, მაგრამ საინტერესოა, თუ ხელისუფლება არ აპირებს სტადიონზე ხალხის შეკრებას ვითომდა მნიშვნელოვანი სტუმრის დასახვედრად, მაშ, რატომ დაურიგეს სოღნაღის რაიონის მოსახლეობას 200-200 ლარი იმ მოტივით, რომ საჭირო დროს პრეზიდენტს ამოდგომოდნენ მხარში?

„რავი, შვილო, ფულს არიგებდნენ და მეც მამცეს. აგრე მითხრეს, როცა გეტყვით, თბილისში უნდა წამოგვყვეო. მე ერთი საცოდავი გლეხი ვარ, ჩემთვის ეს დიდი ფულია და რა უნდა მექნა, მაშ, არ უნდა ამეღო?“ — გვითხრა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, რომლის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ. თუ სოღნაღში დაარიგეს თანხა ხელისუფლების მხარდასაჭერ აქციაში მონაწილეობის მისაღებად, მაშინ არც სხვა რეგიონები იქნება გამონაკლისი.

ამდენად, თუნდაც ეს ფაქტი ადასტურებს ჩვენი წყაროს ინფორმაციას. პრეზიდენტს სურს, ოპოზიციის 26 მაისის შედეგები გაიმეოროს. ყველას, მათ შორის, პარტნიორ ქვეყნებს დაუმტკიცოს, რომ მისი გადადგომის მოთხოვნა მცირე ჯგუფის ახირებაა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მის გვერდით დგას.

როგორ და როდის მოახერხებს ამას ხელისუფლება, ძნელი სათქმელია. უკვე დადასტურდა, რომ 20-დან 24 ივლისამდე ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს თბილისში ელოდებიან, მაგრამ ნაკლებსარწმუნოა, რომ მან სააკაშვილის მიერ მოწყობილ კარნავალში მიიღოს მონაწილეობა.

ხელისუფლებისთვის ეს ვიზიტი საუკეთესო საფუძველი იქნება რეგიონებიდან ხალხის ჩამოსაყვანად და საკუთარი ძალების საჩვენებლად.

ასე რომ, ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირების მორიგ რაუნდს, სტადიონზე სააკაშვილის მხარდამჭერთა მობილიზების სახით, უახლოეს მომავალში ვიხილავთ და იმედს ვიტოვებთ, რომ შარშანდელი არ განმეორდება.

შეგახსენებთ, შარშან საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ვიზიტს მალევე მოჰყვა აგვისტოს ომი...

ნათია ქადაგიშვილი

ბაღდადის კანალიზაციიდან — საქართველოს ხელისუფლებაში

მალე თბილისში აშშ ახალი ელჩი ჯონ ბასი ჩამოვა. იგი გამოცდილი დიპლომატია, თუმცა ბოლო დროს შეხება მეტად უსიამოვნო საქმესთან ჰქონდა. ამ მოკლე ხანში გაკეთებული მისი საჯარო განცხადება არც მეტი არც ნაკლები ბაღდადის კანალიზაციას ეხებოდა.

საქმე ისაა, რომ ჯონ ბასი ერაყის დედაქალაქის აღდგენის სამოქალაქო ჯგუფს ხელმძღვანელობდა და იქაურ „უგულავებს“ თავზე ადგა. **,,ჩვენ კი არ ვუკეთებთ კანალიზაციას, არამედ ვასწავლით, როგორ შეაგროვონ და გააანალიზონ მონაცემები, რათა კანალიზაციის პრობლემის გადაწყვეტის გზები თავად გამონახონ“,** — ენთუზიაზმით აცხადებდა იგი იანვარში, ანუ ძირძველი სანტექნიკოსი კახა ლომაიასგან განსხვავებით მიწისქვეშ თვითონ არ დაძვრებოდა და საქმესთან უშუალო შეხება არ ჰქონია. ლომაიას კი, როგორც ჩანს, ჰქონია, რადგან მის სახეზე სამუდამოდ გაშეშდა უკმაყოფილო გამომეტყველება, რომელსაც სანტექნიკოსის საქმესთან ძალიან უშუალო შეხება ბადებს. დიპლომატისგან შეიძლება გამოვიდეს კარგი სანტექნიკოსი, მაგრამ სანტექნიკოსისგან დიპლომატი ვერ დადგება. როდესაც ლომაიამ სცადა, გაეროში სანტექნიკოსთა ვიწრო წრეში მიღებული ურთიერთობები დაემყარებინა (იხ. ფილმი ,,აფონია“), პან გი მუნმა იგი კინაღამ ჩარეცხა.

ჯონ ბასი კი ბაღდადის კანალიზაციიდან პირდაპირ საქართველოს ხელისუფლებაში გადაისროლეს. ალბათ, აქამდე ვერ გაუგია, დააწინაურეს თუ ჩამოალაბორანტეს. ნებისმიერ შემთხვევაში გადაწყვეტილება ლოგიკურია.

ახლა მთავარი. ერაყის ხელისუფლებაში საშინელი კორუფცია მძვინვარებს, ერთი თვის წინათ ვაჭრობის სამინისტროს მთელი უფროსობა დააპატიმრეს და კიდევ 1000-ზე მეტ ჩინოვნიკს უპირებენ დაჭერას, მამა აბრამის ბატკნები არც ბაღდადის მერიაში სხედან. სავარაუდოდ, ჯონ ბასმა ერაყში მნიშვნელოვანი უნარი შეიძინა — დააფიქსიროს ფულის დატაცების მომენტი და კორუფციული სქემები გაშიფროს, ესე იგი მისი დანიშვნა საქართველოში, სადაც დიდძალი ამერიკული დახმარება შედის, ორმაგად ლოგიკურია. ჩვენი ხელისუფლებისთვის ამ ფაქტის გააზრება, ალბათ, უსიამოვნო იქნება.

მიდი, ჯონ, რო რამე, — ეგრევე ,,რაზვადნოი“ თხლიშე!

ლაშა გიორგიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ზურაბ გაგნიძე:

ვანო მერაბიშვილის სულიერების მთავარი შტრიხი კაცთმოძულეობაა

ვარდებით ხელდამშვენებული სააკაშვილის მოსვლით, მისივე სიტყვებით, საქართველოს ისტორია თავიდან დაიწყო. ათვლის წერტილად 2003 წელი იქცა. ახალი, ნირშეცვლილი, „დემოკრატიული“ საქართველოს ხერხემალი კი პრეზიდენტის თანამებრძოლი და თანამოაზრე ვანო მერაბიშვილი გახდა. პრეზიდენტის ორივე ფეხით დაკოჭლებულ იმიჯს და წყალშემდგარ „სავარძელს“ დღეს ვეღარც ვანო მერაბიშვილი შველის. ათასობით მომიტინგის ხანგრძლივმა აქციებმა ვარდების სურნელით გაბრუებული მონოპარტიული და პოლიტიკურად ერთგანზომილებიანი სისტემა შეაჯანჯღარა. სააკაშვილის ხელისუფლება დღეს ძალოვანების იმედზე დგას, რომლის ხელმძღვანელი მრავალთა შეფასებით მორჩილების კლასიკური მაგალითია. რას წარმოადგენს ვანო მერაბიშვილის პიროვნება, რომელიც ქვეყნის ხერხემლად და სააკაშვილის ხელისუფლების საყრდენ ბურჯად მოიხსენიება? ამის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.

ბლაგვი ინტელექტი მერაბიშვილის ყოველ ნაბიჯსა და მოქმედებაში თვალნათლივ ტოვებს თეთრი ძაფის კვალს

— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით ვანო მერაბიშვილის სულიერი და გონებრივი უნარების ძირითად შტრიხებზე, რა თვისებებია მასში ბუნებრივი ხასიათის და რა — შეძენილი?

— მერაბიშვილის სრულიად უწყინარი გარეგნობის მიღმა, ჯიუტი, შეუპოვარი, აგრესიული ფსიქოტიპი იმალება, რომელსაც ქოლერიკული ტემპერამენტის ნევროზულობა სდევს და ყველაფრის მკადრებელი დამნაშავის კომპლექსი აქვს. მის პირქუშ სულიერებაში ბალღამი დუღს, რადგან ვალდებულებები თრგუნავს. მასში ჩადებულია ადამიანებზე განრისხების კოდი, რომელსაც განაპირობებს პატივმოყვარეობა და ძალაუფლების დემონსტრირების სურვილი. მის ფსიქოტიპს თუ ჩავუღრმავდებით, თავზარი დაგვეცემა, რადგან ჩვენ თვალწინ იშლება ადამიანის სულიერი დაცემის დრამატული სურათი, რომელიც გასაშიფრად რთულ და ტევად კატეგორიებს მოითხოვს. მერაბიშვილის გონივრულ უნარებს სათანადო განათლებით მომზადება აკლია, ხოლო მისი აზრობრივი სფერო ასოციაციური ხასიათისაა, ქმედებები კი ინტუიციურ საფუძველს ემყარება. მისი გონიერება დაშორებულია მგრძნობელობას. მისი უნარები კი ულმობელ სწორხაზოვნებას იძენს და ადამიანებში აღძრავს ელდასა და ძრწოლვის მომგვრელ გაუგებრობებს. ამ თვისებებით მერაბიშვილმა შეძლო დაქვემდებარებულ ინსტანციებში არმიული დისციპლინის დამყარება. ამიტომაცაა სამართალდამცველების უდიდესი ნაწილი ზომბირებული და, მანქურთთა მსგავსად, მზადყოფნაში ყველა უკანონო ბრძანების შესასრულებლად. ამის გამო ამ უზარმაზარი „მონსტრის“ ჩინოვნიკებიცა და რიგითებიც კონკრეტულ მოქმედებებსა და პრაქტიკულ გამოვლინებებში თავიანთი შეფის შინაგანი ბუნების შემზარავ სახეს გვიჩვენებენ, ანუ „თევზი თავიდან ყარს“. ზემოთქმულის დასტურად შეგვიძლია დავასახელოთ სანდრო გირგვლიანის საშინელი წამების ფაქტი, ხელებაწეული რობაქიძის მკვლელობა, ვაზაგაშვილის მამის განცხადება — „ჩემი შვილის სხეულში 80-ზე მეტი ტყვია იყო“, 7 ნოემბრის დღეებში მომიტინგეების ულმობელი დარბევა, 15 ივნისს შს სამინისტროს წინ ჩადენილი ვანდალური აქტი...

ვანო მერაბიშვილის სულიერების მთავარი შტრიხი კაცთმოძულეობაა. მისი სულიერების სიღატაკემ საზოგადოებაში შიშის დასათესად მოტივირებული მანქანა შექმნა — საჯარო სატელევიზიო დაჭერები, კანონიერ ქურდებთან ბრძოლა, ბიზნესის დატერორება, ქუჩის მკვლელობები, შურისძიება, მოსმენები, ინტრიგები, დასმენები იარლიყების მიწებებით, აგენტური ქსელის მასშტაბების გაზრდა, ციხეების გადავსება, მახის დაგებით მოწინააღმდეგეების განეიტრალება, უკიდურეს შემთხვევაში ბურუსით მოცული მკვლელობები.

ამ პიროვნების მდაბიო, მდორე იერსახისა და უღიმღამობის უკან მისი ხასიათის სივერაგე იმალება. ერთი შეხედვით, ჩუმი, ლაგამამოდებული დუმილის კავალერი სინამდვილეში ინდიფერენტული, ჯიუტი ხელქვეითია, რომელსაც შეუძლია ყოველგვარი ბარიერის გადაქელვა, თუ არა და...

მერაბიშვილის ამ ღონისძიებათა სისტემაზე ხშირად ამბობენ: „ძაღლი აშვებულია და საჭიროა სიფრთხილე!“ მის ფსიქიკაში უნიჭობასთან შერწყმული შეუპოვრობაა, სიმხდალეა სიმამაცის ნიღბით. ბლაგვი ინტელექტი მერაბიშვილის ყოველ ნაბიჯსა და მოქმედებაში თვალნათლივ ტოვებს თეთრი ძაფის კვალს. ამ კვალის წაშლას ფხიზელი ანალიზის მაქსიმალური უნარი სჭირდება, რაც მას არ გააჩნია. სწორედ ამიტომ მიიღო თავისი ქმედებებით საზოგადოების მხრიდან დამსახურებული ზიზღი.

ხალხი მიხვდა, რომ

დიდებული შემსრულებელია, გამგონი, მორჩილი და ოპერატიული, მობილიზებული, სწრაფი, დისციპლინებული და სუბორდინაციის მკაცრი დამცველი. ეს ყველაფერი მაშინ, თუ გამორჩენის პირადი სურვილი ამოძრავებს...

— მოარული ხმებით, ვანო რომ არ იყოს, მიხეილ სააკასვილი პოსტს აქამდეც ვერ შეინარჩუნებდა, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ რეალურად სწორედ სააკაშვილი აკონტროლებს ძალოვან სტრუქტურებს და სინამდვილეში მანვე მოახერხა ამ სტრუქტურების ჩაკეტვა. რას გვეტყვით, ამ ორი ფსიქოტიპიდან რომელია წამყვანი ძალა?..

— ვანო ყოველთვის კადრს მიღმა რჩება კულისებში, როგორც რეჟისორი — სცენის მიღმა. მისი ფსიქოტიპი, როგორც ბოროტებისა და სისასტიკის ადეპტი, ყოველთვის დაიცავს ბოროტებასა და ძალმომრეობას. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ქვეყანაში არჩევნები მერაბიშვილის „ბიჭების“ ზედამხედველობით ტარდება და სანამ ისინი არსებობენ, თავისუფალი არჩევნები გამორიცხულია. მერაბიშვილი ისევ და ისევ ბოროტების გასამარჯვებლად არჩევნების გაყალბებით უდიდეს დანაშაულს სჩადის. ეს მისი შინაგანი მოთხოვნილებაა. ამას მოწმობს სოზარ სუბარის მოხსენებაში გაჟღერებული განაცხადი: „2008 წლის 4 ნოემბერს ვანო მერაბიშვილის კაბინეტში დაიგეგმა მომიტინგეების ცემა და ნარკოტიკების ჩადება“. პოლიტიკაში ჩახედულნი იმასაც ამბობენ, რომ ვანო მიშასთვის იგივეა, რაც სტალინისთვის — ბერია. ვანოს განზრახვისა არ ვიცი, მაგრამ გონებრივი უნარების მიხედვით, აზრობრივი ისარი მოკლე აქვს, მერაბიშვილს არც ბერიას ინტელექტი, არც პოპულარობა და არც იმგვარი პოლიტიკური წონა გააჩნია. ამის დასტურია შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ შენობაზე ახალგაზრდა კონსერვატორების მიერ დატოვებული წარწერებიც: „ვასკა“ (ბაბაჯანა); „გაწუწულოვიჩი“, „ყურცქვიტა“, „ნახევარქათამა“.

პრეზიდენტს ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებია „სკამის დაკარგვის“ საფრთხე. თუ გაცნობიერა, ეს მისთვის ეპოქალური მნიშვნელობის კატასტროფა იქნება და მთელი მისი მრისხანება ძალოვან სტრუქტურებსა და მერაბიშვილს დაატყდება თავს. ეს რომ ასე არ მოხდეს, მერაბიშვილი ცდილობს როგორც პრეზიდენტის, ისე საკუთარი ტყავის გადარჩენისთვის შესაძლებლობების მთლიანად ამოწურვას. მას მთელი აქცენტი გადატანილი აქვს ძალმომრეობაზე, დარბევაზე, ცემაზე, დაწიოკებაზე. ის პოტენციურად საშიშია არა მარტო თავისი ფსიქოლოგიით, არამედ ფაქტების მხილების თვალსაზრისითაც. ვანო მოწმეა მკვლელობების, დაუნდობლობის, ლაჩრობის, უსასტიკესი დანაშაულების მიჩქმალვის და იმის უნარიც აქვს, მისთვის ნაცნობი ნაღმები თანმიმდევრულად ააფეთქოს მოქიშპეთა ფეხქვეშ. მერაბიშვილი საქართველოს გამრუდებული ხერხემალია.

— რა არის მერაბიშვილისა და სააკაშვილის ძირითადი შემაკავშირებელი, მათი ერთად ყოფნის უმთავრესი მიზეზი?

— მკითხველს უთუოდ ემახსოვრება მერაბიშვილის ინტერვიუ ამერიკული გაზეთისთვის, რომლითაც მან პირველად ამხილა პრეზიდენტი შევარდნაძე კორუფციასა და სიყალბეში. ბევრის მნახველი „თეთრი მელაც“ კი დააბნია ამ გაძვალტყავებული „ტურის“ საჯარო მხილებამ და შემდეგ თავის დასაცავმა წკმუტუნმა. უცხოელებისათვის მიცემული ეს ინტერვიუ, ვანოს ავანტიურისტული ზრახვებია შენიღბული სახით. მის კარიერისტულ ნიჭსა და უნარზე მიგვითითებს განათლებით სამთოელი უდელი ბიჭის პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარეობა. „მოქკავშირის“ აქტიური წევრი „ნაცმოძრაობის“ გენერალური მდივანი გახდა და მჭიდროდ დაუკავშირდა სოროსის იდეალებს. მან ქვეყნის ბედი პოლიტიკური აღმასვლის კიბედ გაიხადა. ეს ვანოს ფსიქოპორტრეტის ყველაზე სახიფათო შტრიხია.

ვისაც ერთხელ შეუძლია ღალატი, სხვა შემთხვევაშიც შეძლებს გამეორებას. ის დღეს მარტოა, ეშინია მომავლის, განდობის, გულის გადაშლის, გაზიარების. არ იცის, გულღვარძლიანი მტერ-მოკეთე სად და როდის გაწირავს. მისი დღევანდელი გარჯილობა უფსკრულის პირზე სიარულს ჰგავს. არავინ იცის, ამ შუბლძარღვგაწყვეტილი, უსიტყვო, კაცთმოძულე სუბიექტის შიგნით რა ბალღამი დუღს, ტრაგიკული დასასრულის დიდი ალბათობაცაა, თუმცა მისი გაუკუღმართებული უნარების პატრონს ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია ხელიდან დასხლტომა.

არავინ იცის, ამ შუბლძარღვგაწყვეტილი, უსიტყვო, კაცთმოძულე სუბიექტის შიგნით რა ბალღამი დუღს

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ჩემი 300 სიტყვა...

გამარჯობა.

დიდხანს ვფიქრობდი ჩემი სვეტისთვის სახელის შერჩევას. ჩემი მეგობრის — **ირაკლი კორძაიას** რჩევამ გადაწონა. დღეს და დღეიდან სამასი სიტყვით შეგაწყენთ ხოლმე თავს.

●

მიშა მაგარია... ქვეყნის დაქცევაში, რწმენის შელახვაში, ფრენასა თუ გაფრენაში, დაცინვაში, დარბევაში და ჩვენს აბუჩად აგდებაში! ინგა გრიგოლიასაც გაჰკრა კბილი. ასეა. ყველას უფლებას იცავს პრეზიდენტი. **შეპირებისამებრ...**

გიორგი სანაია მკვლელობის წლისთავი ახლოვდება. ისე, ჟურნალისტები ორი კვირის წინაც წიხლქვეშ გაიგდეს. **ხვალ ვიღაცას მოკლავენ!** ვიცი. **ან** მორალურად. მერე ისევ წაიბოდიშებენ. **ან ბოდრუმში გაიქცევიან.**

დაჩი ცაგურია ციხეში ზის. **მერაბ ჭიქაშვილიც. დათო ფაცაციაც.** სხვებიც. ხვალ ჩვენც ჩაგვსვამენ. **უცნობი,** უკვე მეხუთე თვეა, ზის, ასეა. ყველა ვზივართ და ველით. ნეტავ, რას?

●

როგორც ჩემი კოლეგა **ჯაბა ჟვანია** ამავე ნომერში წერს, **გიგი თევზაძის** უნივერსიტეტში სტუდენტები შეკრიბეს და **„აღმზრდელობითი“ ლექცია** წააკითხეს ინკოგნიტო მამათმავალს. ორმოცდაათი ვაჟი, უკაცრავად, „ვაჟკაცი“ სტუდენტიდან **მხოლოდ ერთმა დატოვა ლექცია პროტესტის ნიშნად!** სხვები ბოლომდე უსმენდნენ! ეს ის **გიგი თევზაძეა,** ინგლისური ენის სახელმწიფო ენად ქცევა რომ მოინდომა რამდენიმე თვის წინ. ამას რომ არ ველით, ვიცი! ამას არც ესენი ელიან. ესენი აკეთებენ!

●

„ამ ქალაქში ყველაფერი მოსულაო“, — ერთ ლექსში იწინასწარმეტყველა **ნიკო გომელაურმა.** მინდა, შემდეგ კვირაში ნიკოს ვესტუმრო... **დიდი კაცია! სხვა დიდ კაცებსაც ვესტუმრები ნელ-ნელა.** არა, **მიხეილ სააკაშვილს — არა!** ის პატარა პრეზიდენტია. და **დიდი ცახესი.**

●

დაჩიც მალე გამოვა ციხიდან. შეიძლება შევცვალო. მე სხვა შემცვლის. აბა, **ღაშა ჩხარტიშვილივით,** სულ დაჩის ხომ არ დაიჭერენ?!

●

ხალხს გული სტკივა. **მეც!** ხალხს **უმუშევრობის** გამო. **შიმშილის** გამო. **მიშას** გამო. **უიმედობის** გამო. **მეც.** თქვენს გამო. სულში რომ გვაფურთხებენ, იმიტომ! და სხვების გამოც!

●

ისე, რა ბედი მაქვს. ერთხელ **„სამშობლოდან“** გამომაგდეს. სხვებიც... **მათ და ჩემ მაგივრად ვიშიმშილე.** ვერც შიმშილობამ გვიშველა — **არ დაგვაბრუნეს...** ახლახან სხვაც შეეცადა, გავეგდე. დავასწარი. დღეს აქა ვარ, თქვენთან! თუმცა, არ ვიცი, მე გადავარჩენ **საქართველოს და მსოფლიოს** თუ **საქართველო და მსოფლიო** დამიცავს მე საკაშვილის ბოროტი ზრახვებისგან...

ასე რომ, დღეს თქვენთან ვარ და ვეცდები, ყოველთვის გაგაგებინოთ ჩემი ასავალ-დასავალი. ყველას ხომ თავისი ასავალ-დასავალი აქვს... **მე — ჩემი!** ჩემს **სულგადასავალს** კი, როცა დრო მოვა, მაშინ მოგიყვებით... ღმერთს ებარებოდეთ. არა — მიშას!

გიორგი მამაცაშვილი

პროტესტი თუ კომპრომისი, ანუ გათიშე და იბატონებს!

15 ივნისს ტელეკომპანიებმა „მაესტრომ“ და „კავკასიამ“ დედაქალაქი ინფორმაციულ ვაკუუმში მოაქციეს... პროტესტის ნიშნად. ხელისუფლება იმ საღამოს ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდა. აბსოლუტურად მშვიდობიან მომიტინგეებსა და ჟურნალისტებს თავპირი გაუერთიანეს, ტელეეკრანებს მიჯაჭვულ ადამიანებს კი გათიშული ეთერი დახვდა. მამუკა ღლონტის განცხადებით, იმ დღეს „მაესტრო“ პროტესტის გამო არ გავიდა ეთერში. მისივე თქმით, მაუწყებლობას გააგრძელებდა, თუ მომიტინგეებს რაიმე საფრთხე დაემუქრებოდათ.

„ჩვენი აპარატურა ჩართულია და ჩვენ ვართ სადარაჯოზე. ერთი წამი იქნება საკმარისი იმისათვის, რომ გავიდეთ ეთერში და „კავკასიაც“ ასევე მოიქცევა“, — დასძინა ღლონტმა. მეტი რაღა საფრთხე უნდა დამუქრებოდათ, 39 მომიტინგეს იზოლატორში უკრეს თავი, მანამდე კი ე.წ. სირცხვილის დერეფანში გაატარეს და რობიზონ კრუზოსავით აქეთ-იქიდან თოკზე ჩამოკიდებული ლოდების ნაცვლად სპეცრაზმელების ქვასავით მუშტები ხვდებოდათ.

ხელისუფლების გადაწყვეტილება, ჭკუა ესწავლებინა ოპოზიციური მედიასაშუალებისთვის, ზონდერბრიგადებმა ძალიან უხეში ფორმებით შეასრულეს. ამიტომ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებთან ერთად ნაცემი ჟურნალისტებისა და დამტვრეული ტელეკამერების გამო შს მინისტრის პირველ მოადგილეს ეკა ზღულაძეს საჯაროდ ბოდიშის მოხდაც მოუხდა.

16 ივნისს „კავკასიელმა“ აქუბარდიამ და „მაესტრო“ ღლონტმა საგანგებო პრესკონფერენციაც გამართეს. ღლონტმა განაცხადა, პროტესტის ეს ფორმა სპონტანური არ ყოფილაო, აქუბარდიამ კი ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეთერის გათიშვის იდეა მამუკა ღლონტისგან მოდიოდა.

მამუკა ღლონტის პირველი არ არის, ვინც მედიასაშუალებების სოლიდარობის გამოყენებას ცდილობს. მაშინ, როცა მის ბიზნესინტერესებს ეხებოდნენ, „რუსთავი 2“-ის მფლობელი და მედიამაგნატობის ამბიციით შეპყრობილი ეროსი კიწმარიშვილი სწორედ ასეთ გულისმომკვლელ განცხადებებს აკეთებდა. არც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე გახსენებია ვინმეს „მე-9 არხის“ და „იბერიის“ თუ ბეჭდვური მედიის იმ თანამშრომელთა უფლებები, ვარდებით მოსულმა ხელისუფლებამ რომ გააგდებინა ხელიდან კალამი თუ მიკროფონი; ხოლო აჭარის „განთავისუფლების“ შემდეგ რა ნადირობა გამოაცხადეს მაშინდელმა ტელემაუწყებლებმა ზაზა შენგელიამ და ეროსი კიწმარიშვილმა აჭარის ტელევიზიის უახლეს აპარატურაზე, ამის შესახებ ჩვენს კოლეგას ირინა გოგოსაშვილს არაერთხელ დაუწერია: სასწრაფოდ ბათუმში ჩაქანებულებმა პირდაპირი ჩართვების ორი მანქანა და ორი სტუდიური კამერაც ხელს გამოაყოლეს.

„საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა რამდენიმე ცნობილ ჟურნალისტსა და მედიასაშუალების ხელმძღვანელს და ჰკითხა, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნიათ მათ ტელემაუწყებლობის ან გაზეთის გამოცემის შეჩერება პროტესტის ნიშნად.

გთავაზობთ მათ მოსაზრებებს:

გიორგი უძილაური, გაზეთ „ახალი თაობის“ კორესპონდენტი: განსაკუთრებით, ამ რეჟიმის პირობებში, ჩემი აზრით, საერთოდ არაფრის მომტანია პროტესტის ამ ფორმით გამოხატვა. როგორც მაყურებელი, ვიტყვი, რომ ამ პროტესტით ტელეარხები მიზღუდავენ ობიექტური ინფორმაციის მიღების საშუალებას. მაუწყებლობა იმიტომაც არ უნდა შეჩერდეს, რომ იმ არხებისგან განსხვავებულ ინფორმაციას ველოდები.

ელისო ჩაფიძე, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე: ერთი მხრივ, ეს არის პროტესტის თავისებური ფორმა, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, მათ შორის, ელჩების. აბსოლუტურად ვუერთდები ამ პროტესტს და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ჩვენც გავიფიცოთ, მაგრამ, ზოგადად, მიმაჩნია, რომ თუკი მაუწყებლობას წყვეტენ ოპოზიციური ტელეკომპანიები, ასევე, გამოცემას აჩერებენ გაზეთები, რომლებიც კრიტიკულები და ობიექტურები არიან, ეს შეიძლება ხელისუფლების ინტერესებში შედიოდეს. ამით ჩვენ, უპირველესად, ვაზარალებთ მაყურებელს და მკითხველს, რომლებსაც ვეღარ მივაწოდებთ ინფორმაციას. ამიტომ სასურველად არ მიმაჩნია, თუმცა, როგორც კოლეგებს, მათ ვუერთდები და თუ საჭირო გახდება, გვერდითაც დავუდგები.

ალეკო ასლანიშვილი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი: პროტესტის ნიშნად ტელემაუწყებლობის ან გაზეთის გამოცემის შეჩერება, ჩემი აზრით, სწორი არ არის. პირიქით, ფეხზე უნდა დადგე, მთელი შენი ძალები უნდა მოიკრიბო, შეუტიო, სხვებიც აიყოლიო და საქმე გააგრძელო. ვერ გავიგე, პროტესტის რა ფორმაა მაუწყებლობის შეჩერება. ესე იგი, უნდა აიკრა პირი და კუთხეში დაჯდე?

ია დანელია, ჟურნალისტი: იმ დღეს აბსოლუტურად საინფორმაციო ვაკუუმში დავრჩი. ვერ მივხვდი, რატომ უნდა გათიშულიყო ეთერი. ეს ხომ ვიღაცების, ვთქვათ, იგივე ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ჯერ ერთი, ინფორმაცია ცალმხრივად გაშუქდა.

ირმა ინაშვილი, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი: რა თქმა უნდა, ვიზიარებ ჩემი კოლეგების სოლიდარობას, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია ტელეარხების გათიშვით პროტესტის გამოხატვა. იმ საათებში, როცა „მაესტრო“ და „კავკასია“ გათიშული იყო (არადა, მხოლოდ ამ ორ არხზეა მაყურებელი დამოკიდებული), საზოგადოებას არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა ძალიან ბევრი ახალგაზრდის დაჭერისა და ცემის შესახებ. ასეთი პროტესტი ისევ საზოგადოებას აზარალებს და ჟურნალისტმა ეს არ უნდა გააკეთოს. პირიქით, ჟურნალისტი ვალდებულია, ინფორმაცია ნებისმიერი ხერხით ნებისმიერ პირობებში გაავრცელოს.

ლუბა ელიაშვილი, ჟურნალისტი: ასეთი პროტესტის წინააღმდეგი რომ ვიყავი, სწორედ ამიტომ მივედი „კავკასიაში“ და დათო აქუბარდიას ვუთხარი კიდეც. ამ თემაზე მამუკა ღლონტსაც ვესაუბრე. ასეთი ერთდღიანი შეჩერება იმისთვის, რომ მაყურებელმა დაინახოს ჟურნალისტების მხარში ამოდგომის საჭიროება, შეიძლება მიზანშეწონილიც იყოს, ოღონდ თუ ეს პერმანენტულ ხასიათს არ მიიღებს და, თანაც, ისეთ სიტუაციაში, როცა ყველაზე მეტად არის საჭირო ტელევიზიები. ჩემი აზრით, იმ დღეს საჭირო იყო საზოგადოების ობიექტურად ინფორმირება. დათო აქუბარდიამ დამისაბუთა, რომ ისინი პასუხისმგებლები არიან თავიანთი თანამშრომლების წინაშე, რომლებსაც სცემენ. ამ დროს ტელევიზიის ხელმძღვანელობამ რაღაც ისეთი უნდა გააკეთოს, რომ შედეგი მოჰყვეს. თუკი ასეთ შედეგს მივიღებთ, მაშინ ეს პროტესტიც გამართლებული და კარგი იქნება, თუმცა ჩემი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, ალბათ, სხვანაირად მოვიქცეოდი.

ჰამლეტ გეგია, ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე: ჟურნალისტთა კავშირმა ამ დარბევასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებაც გავავრცელეთ, რომ, თუ ასე გაგრძელდა ცემა-ტყეპა, უკიდურეს ფორმას — გაფიცვასაც მივმართავთ. ამ შემთხვევაში მესაკუთრემ თავისი კანონიერი უფლება გამოიყენა, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. მორალური და პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, ტელემაუწყებლობის ან გაზეთის გამოცემის შეჩერება არასწორია. საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით, ამის გაკეთება არ შეიძლება, თუმცა კანონი მას შეჩერებას არ

ტატო ლასხიშვილი

გიორგი უძილაური

ლუბა ელიაშვილი

ალეკო ასლანიშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მამუკა ღლონტი:

დღეს სააკაშვილი თურქმენბაშადაა ქცეული და ამიტომ ვერ ჩავთვლი მისი ხელისუფლების ბოდიშს გულწრფელ ბოდიშად!

წესით, 26 ივნისს ტელეკომპანია „მაესტროს“ სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია უნდა მისცეს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ. „მაესტროს“ მხარდამჭერი აქციაც ამიტომ არის დანიშნული 26-ში. ამ და 15 ივნისის დარბევასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ „მაესტროს“ გენერალურ დირექტორს მამუკა ღლონტს ვეწვიეთ:

— დღეს ღიად დაიწყო ნადირობა მედიასაშუალებებზე და სააკაშვილმა უკვე აწია ხელი მედიაზე, ჟურნალისტებზე. იმის შემდეგ, რაც 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან მოხდა, ამ ხელისუფლებისგან გასაკვირი და გასაოცარი აღარაფერი იქნება!

ერთადერთი, რაც სააკაშვილსა და მერაბიშვილს დარჩათ გასაკეთებელი, საკონცენტრაციო ბანაკების შექმნაა, სადაც შეყრიან ყველას და წამებით ამოხდიან სულს! 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან არ დარჩენილა ჟურნალისტი, სასტიკად რომ არ ეცემათ, კამერების, ფოტოაპარატებისა და მასალების წართმევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

— თუმცა ქალბატონმა ზღულაძემ შს სამინისტროს სახელით ბოდიშიც მოგიხადათ...

— ჰო, სააკაშვილმაც თქვა, ყველა მასალა დავუბრუნეთ ჟურნალისტებსო... მაჩვენეთ ერთი ჟურნალისტი მაინც, რომელსაც იმ დღეს მასალები წაართვეს და მერე დაუბრუნეს.

— ქალბატონი ზღულაძის ბოდიში, მგონი, პირველი იყო ბოლო წლების განმავლობაში...

— არ დაგიმალავთ, ადამიანურად, სასიამოვნოც იყო, მაგრამ 7 ნოემბრის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები სისტემატურად იხდიან ბოდიშებს, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ 15 ივნისს რომ იხადეს ბოდიშები, ასე არც არასდროს მოქცეულან. ეს კი სწორედ იმის დამსახურება იყო, იმ დღეს „მაესტრომ“ და „კავკასიამ“ ეთერი რომ გათიშეს.

— არ მითხრათ, ხელისუფლება შეშინდა და ბოდიშებიც იმიტომ იხადაო...

— პირდაპირ გეტყვით:

ხელისუფლება დიდი ხანია, შეშინებულია! დიახ, ორი დამოუკიდებელი ტელეკომპანიის გამორთვამ მართლა სერიოზულად შეაშფოთა სააკაშვილი!

— მან კი ცინიზმით აღნიშნა — ეს ტელევიზიები გამორთვას გვეხვეწებოდნენ და რომ არ გავთიშეთ, თავად მიიღეს ასეთი გადაწყვეტილებაო...

— სააკაშვილის ნათქვამზე კომენტარს ნუ გამაკეთებინებთ, გიორგი... ეს კაცი უკვე ისე ურცხვად ტყუის ყოველ ნაბიჯზე, რომ ყველანაირი ზღვარი ნაშლილია მის ნათქვამში სიმართლესა და სიცრუეს შორის! ჩვენ ერთხელ შევპირდით სააკაშვილსა და მერაბიშვილს და დღესაც ხმამაღლა მივმართავ მათ: საქართველოში თუ ერთ ჟურნალისტზე მაინც ასწევენ ხელს, გაიფიცება ძალიან ბევრი მედიასაშუალება და ეს გამოიწვევს სერიოზულ საერთაშორისო სკანდალს მსოფლიო საზოგადოებაში!

მეტიც, მთელი საზოგადოება გამოვა ქუჩებში!

— მამუკა, ამათაც ეგ უნდათ... დარჩებით მერე „რუსთავი 1“, „რუსთავი 2“ და „რუსთავი 3“... იმდღევანდელი ეთერის გათიშვითაც ბევრი იყო უკმაყოფილო... ჩვენს ჟურნალისტებთან საუბარში ბევრმა მწვავედაც გაგაკრიტიკათ...

— მეტს გეტყვით — ოპოზიციონერებმა ლამის მოღალატედაც შემრაცხეს! მოსახლეობაც ვერ მიხვდა, რატომ გადავდგით ეს ნაბიჯი, მაგრამ კიდევ ერთხელ ავხსნი: სცემეს და დაარბიეს ჟურნალისტები, რომლის ამსახველი კადრებიც წამართვეს და რა მეჩვენებინა მოსახლეობისთვის? სხვათა შორის, პროტესტის ამ ფორმამ გაამართლა და ვიმეორებ, ძალიან დიდი შიშიც დათესა სახელისუფლებო წრეებში!

ადამიანებს აღარაფრის სჯერათ და ამ უნდობლობის დათესვაც სააკაშვილის სინდისზეა!

დღეს სააკაშვილი თურქმენბაშად არის ქცეული და ამიტომაც ვერ ჩავთვლი მისი ხელისუფლების ბოდიშს გულწრფელ ბოდიშად! ესენი ჩვენ ადამიანებად აღარ გვთვლიან და იმ დანაშაულთა გამო, რასაც სჩადიან ჩვენ წინააღმდეგ, სტრასბურგის სასამართლომდე მივალთ!

— მამუკა...

— ერთსაც ვამბობ:

ყველა ის დამნაშავე, რომლებიც ჟურნალისტებისა და მშვიდობიანი მომიტინგეების ცემაში არიან შემჩნეულები, აუცილებლად ჩასხდებიან ციხეში! ამის გარანტიას და პირობას ვიძლევი!

ახლა ვაპირებთ, ორგანიზაციულად გავერთიანდეთ ტელე- და ბეჭდვური მედია და ერთობლივად ჩვენვე დავიცვათ ჩვენივე უფლებები!

ვპირდებით სააკაშვილსა და მერაბიშვილს: ერთ ჟურნალისტზეც თუ აწევენ ხელს, ყველა მედიასაშუალება გაიფიცება!

P.S. 26 ივნისს ბოლო დღე იყო, როდესაც კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას საბოლოოდ უნდა მიეღო გადაწყვეტილება, მისცემდნენ თუ არა „მაესტროს“ სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია, მაგრამ ბოლო წამს შევიტყვეთ, რომ 26 ივნისს დანიშნული სხდომა მარეგულირებელ კომისიას სამი ივნისისათვის გადაუდია. რას ვიზამთ, „კანონი იაფო საქონელია ჩვენში!“

გიორგი მაჩაბელი

უკრძალავს, მორალი კი სულ ფეხებზე ჰკიდია.

თეიმურაზ ქორიძე, ჟურნალისტი: თუკი ყველა გაზეთის გამოცემა შეჩერდება პროტესტის ნიშნად, მაშინ გამართლებულია ასეთი ქმედება, მაგრამ ამის მიღწევა თითქმის წარმოუდგენელია. ჩემი აზრით, „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მაუწყებლობის შეჩერება აბსოლუტურად მიზანშეუწონელია. არ ვკიცხავ და არ განვსჯი ამის გამო, მაგრამ სწორი არ იყო.

ტატო ლასხიშვილი, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი: უპირველესად, გასათვალისწინებელია ის, რა უფრო მეტად სჭირდება საზოგადოებას — პროტესტი თუ ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება. მხოლოდ ამ ფაქტორის აწონ-დაწონის შემდეგ უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება. თუ მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ტელეეთერის გათიშვა ან გაზეთის გამოცემის შეჩერება გამოაფხიზლებს საზოგადოებას, უფრო მეტ ბიძგს მისცემს საპროტესტო ელექტორატს, მაშინ შესაძლოა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ, რამდენადაც ვხედები, დღეს ჩვენს საზოგადოებაში, მის დიდ ნაწილში საპროტესტო მუხტი საკმაოდ მაღალია და, ალბათ, მაუწყებლობის შეჩერებაზე მეტად მათ მუდმივ რეჟიმში ინფორმირება სჭირდებათ, რათა იმ ადამიანებს, ვისაც სხვადასხვა მიზეზის გამო მიტინგზე მისვლა არ შეუძლია, წარმოდგენა ჰქონდეთ, რა ხდება დედაქალაქში და, საერთოდ, ქვეყანაში.

როგორც ხედავთ, ჟურნალისტებსა და მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ პროტესტის ნიშნად ტელემაუწყებლობისა და გაზეთების გამოცემის შეჩერებასთან დაკავშირებით. საზოგადოება კიდევ უფრო მკვეთრად აფასებს ამგვარ პროტესტს, რადგან ბევრი ადამიანი ვერ ახერხებს საპროტესტო აქციებზე მისვლას და ინფორმაციას სწორედ იმ ტელევიზიების მეშვეობით იღებს, რომლებმაც ერთი დღით ეთერი გათიშეს, ხალხი კი მხოლოდ სახელისუფლებო არხების ამარა დარჩა. იქიდან რა სინამდვილეს შეიტყობდა, ყველამ კარგად იცის. მაშ, რას ემსახურებოდა მაუწყებლობის გათიშვა? დავტოვოთ ეს შეკითხვა ღიად.

„საქართველო და მსოფლიო“ უერთდება საზოგადოების (და არა მხოლოდ ჟურნალისტების) აღშფოთებას მედიასაშუალებებზე ძალადობის გამო, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის მიუღებელია პროტესტის გამოხატვა დუმილით, როცა შენგან მართალ სიტყვას ელიან. ჩვენი აზრით, ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობა საზოგადოების სწორად ინფორმირებაა.

როგორც უნდა ეცადოს მამუკა ღლონტი მედიასაშუალებების აყოლიებას, მაინც ვერ შეძლებს ქვეყნის სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცევას. მას ინფორმაციის შეზღუდვა შეუძლია მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვინც „მაესტროს“ უყურებს და სჯერა იმის, რასაც ამ არხზე გადმოსცემენ.

ბონდო მჟინარაშვილი

ერთხელ და სამუდამოდ გავმიჯნოთ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობა და რიგითი მოქალაქის უფლებები

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი აღშფოთებას გამოთქვამს და სოლიდარობას უცხადებს ტელეკომპანიების: „კავკასიისა“ და „მაესტროს“ ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ 2009 წლის 15 ივნისს მათი მშვიდობიანი აქციის ვანდალური დარბევის გამო, რაც ფიზიკური შეურაცხყოფით გამოიხატა. ყოველივე ეს კი, საქართველოს კანონმდებლობით, სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულია. არავის აქვს უფლება, პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს ჟურნალისტს ან რაიმე ფორმით შეზღუდოს მისი პროფესიული საქმიანობა.

მივმართავთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და პარლამენტს, სასწრაფოდ გამოიძიოს ზემოთ აღნიშნული ფაქტი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გავმიჯნოთ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობა და რიგითი მოქალაქის უფლებები. ვთხოვთ ყველა მოქმედ ჟურნალისტს, შევქმნათ ჟურნალისტთა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა მსგავს უკანონო ქმედებათა აღსაკვეთად როგორც ხელისუფლების მხრიდან, ასევე ანგაჟირებული ადამიანების ჯგუფებისგან.

სიტყვის თავისუფლება და საზოგადოების დემოკრატიზაცია, უპირველეს ყოვლისა, მედიამესაკუთრეებისა და პროფესიონალ ჟურნალისტთა ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს.

ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო გარანტიებისა და მექანიზმების ამოქმედება. მედია საკანონმდებლო სივრცეს ახალი რეალობისა და მომავლის გათვალისწინებით უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები, რომელიც რეალური ქართული დემოკრატიის საფუძველი გახდება. ასევე, დაბალანსდება რედაქციებისა და მასმედიის მესაკუთრეთა შორის პროფესიული შემოქმედებითი ურთიერთობები.

მივმართავთ საქართველოს პარლამენტს და მთავრობას, განახორციელონ თავიანთი მოვალეობა სარისკო პროფესიის ადამიანების — ჟურნალისტების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შემოქმედებითი დამოუკიდებლობის დაცვისა და დაზღვევის მექანიზმების შემუშავების საქმეში, რათა მსგავსი ფაქტები აღარასოდეს განმეორდეს.

საქართველოს მედიასივრცისა და საზოგადოებაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გათვალისწინებით მედიამესაკუთრეებს, ჟურნალისტთა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებს და პროფესიონალ ჟურნალისტებს ვთხოვთ, ერთობლივად შევიმუშაოთ ქმედითი მექანიზმები, რათა საქართველოში დამკვიდრდეს სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლება, ხელი შეეწყოთ ინფორმაციული ბაზრის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს მასმედიის სპექტრის დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ განვითარებას, რაც ჩვენი საზოგადოების და ქვეყნის წინსვლის საწინდარია და რასაც გონიერი ხელისუფლება ხელს უნდა უწყობდეს.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდიუმი იწყებს კავშირის წევრთა ხელახალ რეგისტრაციას, რაც გამოწვეულია კავშირის წევრთათვის ახალი ნიმუშის მოწმობების გაცემის, საწევრო ანარიცხების დავალიანების დაფარვის და იმ წევრთა დასადგენად, რომლებიც საცხოვრებლად გადავიდნენ საზღვარგარეთ და აღარ თანამშრომლობენ შემოქმედებით კავშირთან. იმ წევრებს, რომლებიც გავიდნენ შემოქმედებითი კავშირის რიგებიდან საწევრო ანარიცხების სისტემატურად გადაუხდელობისა და ჟურნალისტთა კავშირთან აქტიური თანამშრომლობის შეწყვეტის გამო, ხელახალი რეგისტრაციის შემდგომ ავტომატურად აღუდგებათ კავშირის წევრობა. რეგისტრაცია ჩატარდება 2009 წლის 15 ივლისამდე.

ხელახალი რეგისტრაცია სავალდებულოა შემოქმედებითი კავშირის ყველა წევრისთვის, რომელთაც აქვთ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მოწმობები (გაცემული 2004 წლის 6 აგვისტომდე).

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის მისამართია:
თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 17ა, III სართული.
ტელ.: 36 44 99; 22 08 92; 30 58 35; 899 55 81 49; 899 36 44 87; 899 91 27 39**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

მერიის ნებართვით აშენებულმა საფეხბურთო მოედანმა 11 წლის მოსწავლე იმსხვერპლა

26 მაისს, დაახლოებით 18 საათზე, თბილისის 170-ე საჯარო სკოლის (დირექტორი — ნინო ტაბატაძე) ტერიტორიაზე მდებარე სპორტულ მოედანზე შემზარავი ტრაგედია მოხდა — 11 წლის საბა ქადარიას ფეხბურთის კარის რკინის კონსტრუქცია დაეცა და თავის ქალას ფუძის ძვლის მოტეხილობით იაშვილის კლინიკაში მიიყვანეს. კომაში ჩავარდნილმა ბიჭუნამ, ექიმების მცდელობის მიუხედავად, ერთი დღეღა იცოცხლა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმეს იძიებს შსს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მესამე განყოფილების გამომძიებელი ენვერ კვაჭანტირაძე. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მან უარი განაცხადა ინტერვიუს მოცემაზე: „უფლება არ მაქვს, საქმის დეტალებზე ვისაუბროო“.
ამიტომ შევეცადე, გარდაცვლილი საბა ქადარიას ოჯახის წევრებისგან შემეტყო რამე.

გელა ქადარია

26 მაისს დაღუპული საბა ქადარიას მამა სკოლის დირექტორის დასჯას ითხოვს

გელა ქადარია, საბას მამა:

— აუცილებლად შევიტანთ სასამართლოში სამოქალაქო სარჩელს, არავის შევარჩენ ჩემი საბას სიკვდილს!..

— აქამდე რატომ არ შეიტანეთ?

— გამოძიების დასრულებას ველოდებოდი... შსს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მესამე განყოფილების გამომძიებელი ენვერ კვაჭანტირაძე არკვევს, კანონის წინაშე ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. გამოძიება როგორც კი დამთავრდება, მაშინვე შევიტანთ სარჩელს სასამართლოში.

— გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გამომძიებელმა უარი მითხრა ინტერვიუზე. თქვენ ხომ არ იცით, რა გაარკვია?

— ბატონ ენვერს ვთხოვე, საქმის მასალების ქსეროასლები მოეცა ჩემთვის, რადგანაც მინდოდა, განცხადება სახალხო დამცველის აპარატში შემეტანა, მაგრამ საბუთები არ მაჩვენა.

— რა მოტივით?

— გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება არა მაქვს, მასალები მოგცეთო, მითხრა. მაშინ ჩემი ადვოკატი მივუგზავნე, მაგრამ არც მას აჩვენა.

— რატომ?

— ვერ გეტყვით!.. ნუთუ ადვოკატს არ აქვს უფლება, საქმის მასალებს გაეცნოს და დოკუმენტების ქსეროასლები მოითხოვოს?! როგორც ვატყობ, გამოძიება ისე არ მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს!

— რამეში ეჭვი გეპარებათ?

— ვფიქრობ, სურთ, ხელი დააფარონ 170-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნინო ტაბატაძეს, რათა კანონის წინაშე მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგეს. ცდილობენ, ყველაფერი „ნორჩი დინამოელის“ თავკაცს დავით ცირამუას გადააბრალონ. ჯერჯერობით მარტო დავით ცირამუა არ გაურბის პასუხისმგებლობას, მაგრამ მარტო ის არის დამნაშავე?.. მან 170-ე საჯარო სკოლის ტერიტორია იჯარით აიღო. ასე რომ,

ჩემი შვილის სიკვდილზე პასუხი ნინო ტაბატაძემაც უნდა აგოს. მშენებლობა არ იყო დასრულებული, ამდენად, არც მშენებლებს, არც დავით ცირამუას და არც სკოლის დირექტორს

სპორტული მოედნის გახსნის უფლება არ ჰქონდათ. რატომ შეუშვეს ბავშვები?

მართალია, საბა 112-ე სკოლაში სწავლობდა, მაგრამ მოედანზე 170-ე სკოლის მოსწავლეებიც ხომ თამაშობდნენ? დირექტორი თავისი მოსწავლეების უსაფრთხოებაზე არ უნდა ზრუნავდეს? მაშინ მაინც დაედოთ ბოქლომი მოედნისთვის, რცა ფეხბურთის კარი პირველად გადმოვარდა, მაინცდამაინც ჩემი შვილის სიკვდილი იყო ამისთვის საჭირო?

— ე.ი. სხვა დროსაც ჰქონდა ადგილი მსგავს ფაქტს?

— დიახ, ფეხბურთის კარი ორჯერ გადმოვარდა, რადგან ამხელა რკინის კონსტრუქცია მხოლოდ ერთ „ბოლტ-გაიკაზე“ იყო დამაგრებული.

— დაშავდა ვინმე?

— საბედნიეროდ, ასაკით ის ბავშვები პატარები იყვნენ, რკინის კონსტრუქციის შიგნით მოექცნენ, ბადეში გაეხვივნენ და არ დაშავებულან. თუნდაც ამის შემდეგ ქალბატონ ნინოს და ბატონ დავითს არ უნდა ეზრუნათ მოსწავლეების უსაფრთხოებაზე? — დაეკეტათ მოედანი ან ფეხბურთის კარი გაემაგრებინათ... ასე რომ მოქცეულიყვნენ, დღეს ჩემი საბა ცოცხალი იქნებოდა.

— ვის სურს, ხელი დააფაროს დირექტორს?

— *(საუბარში ბატონი გელას პენსიონერი მამა, ყოფილი პედაგოგი კარლო ქადარია ჩაერთო)* ნინო ტაბატაძე, განათლების ყოფილი მინისტრის კახა ლომაიას მეუღლის დაქალია. იკითხეთ და გეტყვიან, როგორ მოკალათდა დირექტორის სავარძელში. ქვეყანამ იცის, საკვალიფიკაციო გამოცდები რომ ვერ ჩააბარა, მაგრამ მაინც დანიშნეს! მასწავლებლები თათბირზე უყვიროდნენ: „წადი, წადიო“... პედაგოგად მუშაობის 2 წლის სტაჟიც არ აქვს!

— ბატონი დავით ცირამუა რას ამბობს?

— პასუხისმგებლობას არ გაურბის, მაგრამ მარტო ცირამუამ რატომ უნდა აიღოს თავის თავზე მთელი სიმძიმე?.. ბატონ დავითს აქვს შპს „ნორჩი დინამოელი“ და სურდა, ფეხბურთელთა სკოლა გაეხსნა ბავშვებისთვის. იგი საქართველოში ვატიკანის საელჩოსთან არსებულმა საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასმა“ დააფინანსა.

— საქართველოში ვატიკანის საელჩო თუ იღებს პასუხისმგებლობას თავის თავზე?

— ასე მითხრეს, ჩვენ მხოლოდ დავაფინანსეთ, დანარჩენს სხვამ მიხედოსო. აუცილებლად ვიჩივლებ, რადგან დამფინანსებელიც დამნაშავეა და სამუშაოს შემსრულებელიც.

— დავით ცირამუას მერიიდან აღებული აქვს მშენებლობის ნებართვა?

— დიახ, მერიამ გასცა მშენებლობის ნებართვა, რათა მერე თვითონ ჩაეწერა ქულები. 170-ე სკოლის ტერიტორიაზე მეორე მოედანიცაა, ვითომ მერიის გაკეთებული, მაგრამ განა თავიანთი ფული დახარჯეს? — სხვებს შეაწერეს!

— მიღება-ჩაბარების აქტი თუ არსებობს?

— არა, ბატონო!.. სამშენებლო ნორმები დარღვეულია, ექსპლოატაციაში გადაცემის ფურცელი არ არსებობს, რადგან მშენებლობა დასრულებული არ იყო. ამდენად, ბატონ დავითს სპორტული მოედანი ექსპლოატაციაში არ უნდა გაეშვა.

— 170-ე საჯარო სკოლის დირექტორს თუ აქვს განათლების სამინისტროს ნებართვა?

— დიახ, აქვს! სამინისტრო თანახმა იყო, რომ შპს „ნორჩ დინამოელს“ სპორტული მოედანი აეშენებინა და 170-ე საჯარო სკოლის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი იჯარით აეღო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქალბატონ ნინო ტაბატაძესა და ბატონ დავით ცირამუას შორის უნდა დადებულიყო ხელშეკრულება, რომ მშენებლებს სპორტული მოედნის აშენება დაეწყოთ, ხოლო ტერიტორია სკოლას იჯარით გაეცა.

— ხელშეკრულება არ არსებობს?

—ორივეს მოვთხოვე, მაჩვენეთ, რის საფუძველზეა აქ სპორტული მოედანი-მეთქი, მაგრამ ხელშეკრულება ვერ მომცეს... რაც არ აქვთ, რას მომცემენ?

— გაუგებარია, თუ მხარეებს შორის ხელშეკრულება არ არის გაფორმებული, მაშ, რის საფუძველზე მიიღო დავით ცირამუამ სკოლის კუთვნილ ტერიტორიაზე მოედნის მოწყობის უფლება?

— ამ კითხვაზე პასუხის მოსმენა მეც ძალიან მინდა! ფაქტია, რომ ხელშეკრულება არ არსებობს! მოვითხოვ, ყველას პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს გამოძიებამ, მარტო ერთი კაცი არ არის დამნაშავე. სპორტული მოედნის ტერიტორია 170-ე საჯარო სკოლის ბალანსზეა, ასე რომ, პასუხისმგებლობა მისმა დირექტორმაც უნდა აიღოს საკუთარ თავზე.

— ექიმებთანაც ხომ არ გაქვთ პრეტენზია?

— არა! სასწრაფო დახმარების მანქანა 5 წუთში მოვიდა. იაშვილის კლინიკაშიც ყველაფერი გააკეთეს საბას გადასარჩენად. ბავშვი თითქმის გაციებული იყო, საავადმყოფოში რომ მივიყვანეთ, მაგრამ მაინც შეეცადნენ მის გადანჩენას, ერთი დღე რეანიმაციაში ჰყავდათ, ვიცოდი, რომ არ გადარჩებოდა... ცხვირიდან, ყურებიდან, პირიდან სისხლი თქრიალით სდიოდა...

— როგორ დაეცა მაინც იმხელა კარი?

— ფეხბურთს თამაშობდნენ ბიჭები. საბა მეკარე ყოფილა, ბურთი აუღია და გახარებული შემხტარა, რკინის კონსტრუქციას ხელებით დაჰკიდებია...

ჯერ თერტმეტი წლის იყო, ენერგიული, სიცოცხლით სავსე ბავშვი... კარგად ცეკვავდა... მინაში რატომ უნდა იწვეს?

— რომელი ანსამბლის წევრი იყო?

— მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლ „ლაშქარში“ ცეკვავდა.

— ***(საუბარში გელას მამა, ბატონი კარლო ჩაერთო)*** საბას ტყუპისცალი ძმა ჰყავს — დემეტრე. მის თვალწინ მოხდა ტრაგედია. ბავშვი დღესაც ჭკუაზე არ არის, შოკშია; ტირილს გვიკრძალავს, ხმას არ გვაღებინებს; რამდენიმე დღის წინათ კარგა ხანს იდგა მარტო ხატების წინ; ხელი არ შევუშალე, ოთახში არ შევსულვარ, ძმის სურათს უყურებდა...

ნინო ტაბატაძე, 170-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

— ქალბატონო ნინო, თქვენ იღებთ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე 26 მაისს მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით?

— სპორტული მოედანი შპს „ნორჩმა დინამოელმა“ ააშენა ჩვენს ტერიტორიაზე, იგი 170-ე საჯარო სკოლას არ ეკუთვნის. მშენებლობა თითქმის დამთავრებული ჰქონდათ, ტრიბუნებიღა იყო დარჩენილი.

— კი მაგრამ, ტერიტორია, რომელზეც სპორტული მოედანი აშენდა, 170-ე საჯარო სკოლის ბალანსზეა...

— საკითხი ჩვენ შორის სამართლებრივად არ ყოფილა გადაწყვეტილი. ხელშეკრულება სპორტული მოედნის მშენებლობისა და 170-ე საჯარო სკოლის ტერიტორიის ნაწილის იჯარით გაცემის შესახებ არ არსებობს, თუმცაღა მერიამაც გასცა მშენებ-

კარლო ქადარია:

ნინო ტაბატაძე, განათლების ყოფილი მინისტრის კახა ლომაიას მეუღლის დაქალია. იკითხეთ და გეტყვიან, როგორ მოკალათდა დირექტორის სავარძელში. ქვეყანამ იცის, საკვალიფიკაციო გამოცდები რომ ვერ ჩააბარა, მაგრამ მაინც დანიშნეს! მასწავლებლები თათბირზე უყვიროდნენ: „წადი, წადიო“... პედაგოგად მუშაობის 2 წლის სტაჟიც არ აქვს!

საბა ქადარია

გელა ქადარია:

მაშინ მაინც დაედოთ ბოქლომი მოედნისთვის, რცა ფეხბურთის კარი პირველად გადმოვარდა, მაინცდამაინც ჩემი შვილის სიკვდილი იყო ამისთვის საჭირო?..

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რა აკავშირებს 170-ე სკოლის დირექტორს კახა ლომაიას მეუღლესთან?

ლობის ნებართვა და განათლების სამინისტრომაც.

— თვითმხილველთა თქმით, საბა ქადარიას დაღუპვამდე ორჯერ გადმოვარდა ფეხბურთის კარი. საბედნიეროდ, ბავშვები ბადეში მოყვნენ და არ დაშავებულან. რატომ არ მიიღეთ უსაფრთხოების ზომები?

— ჩემს მოსწავლეებს ამბავი არ მოუტანიათ, ფეხბურთის კარი გადმოვარდაო. ტყუილია, ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი.

— თქვენზე ამბობენ, დირექტორების კონკურსი ვერ გაიარა და მაინც დანიშნეს ამ თანამდებობაზე, რადგანაც განათლების ყოფილი მინისტრის კახა ლომაიას ცოლის დაქალიაო, ამაზე რას გვეტყვით?

— აბა, რა უნდა გიპასუხოთ?.. ლოტოტრონიც შემეხო და დირექტორების კონკურსიც გავიარე. ლოტოტრონის წესით სხვა სკოლაში მოვხვდი, მაგრამ იქ არ ამირჩიეს. მერე 125-ე და 170-ე საჯარო სკოლების ოპტიმიზაცია მოხდა და დირექტორად მე დავრჩი.

— ხართ თუ არა კახა ლომაიას ცოლის დაქალი?

— ბელა წიფურიას დაქალიც ვარ, ვანო მერაბიშვილისაც და მთავრობის სხვა წევრებისაც... ახლა კახა ლომაიას დაქალიც გავხდი?!

დავით ცირამუა, შპს „ნორჩი დინამოელის“ დირექტორი:

— ბატონო დავით, რატომ არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება შპს „ნორჩ დინამოელსა“ და 170-ე საჯარო სკოლას შორის?

— არენდის თანხაზე ვერ შევთანხმდით... სპორტული მოედნით 170-ე საჯარო სკოლასაც უნდა ესარგებლა, გადაწყდა, რომ დღის პირველ ნახევარში ტურნირებსა და სხვა ღონისძიებებს ჩაატარებდნენ. გვინდოდა, უფრო სრულყოფილი ხელშეკრულება დაგვედო, ტარიფზეც შევთანხმებულიყავით. იმ თანხას, რასაც ქალბატონი ნინო ითხოვდა, სკოლა ვერ გადაიხდიდა. სამწუხაროდ, მან არ იცოდა, რომ მერიაში აქვთ სპეციალური ბადე, სადაც მითითებულია, რა ღირს მიწის არენდა. მე მხოლოდ 200 ლარი უნდა გადამეხადა.

— იღებთ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე მომხდარის გამო?

— მე ვარ დამნაშავე!.. ძალიან განვიცდი საბას სიკვდილს. ციხეში რომ ჩავჯდე, ალბათ, ცოტა მაინც მომეშვება გულზე... სპორტული მოედანი ბოქლომით მქონდა დაკეტილი, მაგრამ ბავშვების ამბავი ხომ იცით, მაინც შემოდიოდნენ, ამიტომ გავხსენი... ნეტავ, მე მომხვედროდა თავში ის კარი და საბა ცოცხალი ყოფილიყო!..

— მშენებლობის მიღება-ჩაბარების აქტი რატომ არა გაქვთ?

— ნებართვები აღებული მქონდა განათლების სამინისტროდან და მერიიდან, სპორტული მოედნის პროექტიც გაკეთდა. რაც შეეხება მშენებლობის მიღება-ჩაბარების აქტს, არ არსებობს, რადგანაც მის დასანერად უნდა წარმედგინა სათანადო მონაცემები, რაში რა დაიხარჯა და ა.შ. მხოლოდ ამის მერე მომცემდნენ საბუთს... იმ დღეს უნდა დასრულებულიყო სპორტული მოედნის მშენებლობა.

— რა თანხა მიიღეთ საქველმოქმედო ორგანიზაციიდან „კარიტასი“?

— ჯერ მხოლოდ 52000 ლარია გადმორიცხული, თანხა ბოლომდე არ მიმიღია.

— საბას დაღუპვამდე ორჯერ წაქცეულა ფეხბურთის კარი, ამაზე რას გვეტყვით?

— ახლა გავიგე, მანამდე არავის უთქვამს... იცით, რაზე მწყდება გული?.. სპორტულ მოედანზე მარტო ბავშვები კი არა, უფროსებიც თამაშობდნენ. თუ ვინმემ დაინახა, რომ კარი წაიქცა, თანაც ორჯერ, ჩემთვის მაინც ეთქვათ, ან თვითონ გაეკეთებინათ, ეს უბედურება ხომ არ დატრიალდებოდა. გამორიცხულია, ჭანჭიკი თავისით მოშვებულიყო, როგორც ჩანს, ვიღაცამ მოხსნა. პირობას ვიძლევი, ფეხბურთის კარს ვიბრომანქანაც რომ მივაყენო და ერთი თვის განმავლობაში ვამუშაო, ნამდვილად არ ნაიქცევა.

ესაუბრა
ნინო გოჟიაშვილი

დემეტრე ქადარია

კარლო ქადარია:

საბას ტყუპისცალი ძმა ჰყავს — დემეტრე. მის თვალწინ მოხდა ტრაგედია. ბავშვი დღესაც ჭკუაზე არ არის, შოკშია; ტირილს გვიკრძალავს, ხმას არ გვაღებინებს; რამდენიმე დღის წინათ კარგა ხანს იდგა მარტო ხატების წინ; ხელი არ შევუშალე, ოთახში არ შევსულვარ, ძმის სურათს უყურებდა...

რა მისწერა შვილმკვდარმა დედამ საქართველოს პრეზიდენტს

თეა კახიანი:

30 ვერცხლად ვერ გაგვაჩუმებენ!



„მოგმართავთ სანდრო ეულის ქუჩაზე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის ჩამონგრევის შედეგად გარდაცვლილი რეჟისორის ნიკა გელაშვილის დედა...
ჩემს ერთადერთ შვილს ვეღარავინ გააცოცხლებს, მაგრამ ოჯახისთვის მნიშვნელოვანია არა განტევების ვაცის პოვნა, არამედ ისეთი შედეგი, რომლითაც კანონით გათვალისწინებულ თავის წილ პასუხისმგებლობას ყველა მიიღებს...“
ეს პრეზიდენტისადმი მიმართვის ტექსტიდან ამონარიდია, 26 აპრილს „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობის ნანგრევებში გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის დედას, ქალბატონ ნუცა თოფჩიშვილს, ისევე როგორც სხვა შვილმკვდარ დედებს — თავის დროზე, ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ მისი შვილის გარდაცვალებაში დამნაშავეებს საკადრისი მიეზღვებათ. „საქართველო და მსოფლიო“ ქალბატონ ნუცას ესაუბრება.

— სასამართლოს ველით. წინასწარი გამოძიება, როგორც იქნა, დამთავრდა, ექსპერტიზის დასკვნას, მართალია, პრეზიდენტის მიერ ნაბრძანები 10 დღის ნაცვლად, ღამის ორი თვე დასჭირდა, მაგრამ მისი წაკითხვის შემდეგ იმედი უიმედობით შემეცვალა. თავიდან „არტიქსის“ არსებობის შესახებაც კი არაფერი ვიცოდი, მით უმეტეს, არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ამ კომპანიასთან დაკავშირებული ადამიანები.

— ვის გულისხმობთ?

— თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის ცოლს და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიგა ბოკერიას ცოლის დას. „რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი ირაკლი ჩიქოვანი, რამდენიმე დღის წინათ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გახდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიწყო პროექტი „ვარსკვლავების აკადემია“. ალბათ, მათ გამო ცდილობენ ყველაფრის მიჩუმათებას და

„არტიქსის“ გადასარჩენად ყველა ღონეს ხმარობენ, ცდილობენ, ათასი დამნაშავე გამონახონ, მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი დამნაშავე სწორედ „არტიქსია“.

არ ვიცი, კანონის მიხედვით დამნაშავედ ითვლება თუ არა „რუსთავი-2“, მაგრამ უპასუხისმგებლობა და უგულისყურობა რომ გამოიჩინა თავისი თანამშრომლების მიმართ, ეს ცხადია. თავიდანვე სხვაგან უნდა გაეკეთებინათ ეს პროექტი და არა მშენებარე შენობაში.

— რა წერია ექსპერტიზის დასკვნაში?

— თვითმხილველების თქმით,

შენობა სამი დღის მანძილზე ზანზარებდა, ირყეოდა, ჯდებოდა, ოთახების კარებები არ იკეტებოდა და მინები ჩარჩოებიდან ცვიოდა.

კვალიფიციური მშენებელი უნდა მიმხვდარიყო, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას. ვინმე რომ გამოჩენილიყო ოდნავ ყურადღებიანი, ეს ბავშვები გადარჩებოდნენ. ექსპერტიზის დასკვნით გამოდის, რომ შენობა იმთავითვე არამყარი და არასაიმედო ყოფილა, რასაც შემდეგ მშენებლების დაუდევრობამაც შეაშველა ხელი.

— სანამ საყრდენ კედლებს გამოაცლიდნენ, მანამდეც არამყარი იყო შენობა?

— დასკვნაში საუბარია რაღაც სილიკონურ აგურზე, რომელსაც იმ დროს იყენებდნენ თურმე მშენებლობაში, მაგრამ ახლა აკრძალული ყოფილა. დამოუკიდებელი კვალიფიციური სამშენებლო ექსპერტების აზრით, შენობის ძაბრისებურ ნგრევას მხოლოდ მზიდი კედლების დანგრევა იწვევს. სერიოზულ ეჭვს აჩენს „რუსთავი 2“-ის მიერ ნგრევის შემდეგ დარჩენილი შენობის სასწრაფო დემონტაჟი, რითაც ნივთმტკიცება განადგურდა. ამ აგურის ბრალი თუა ყველაფერი, „არტიქსს“ არ უნდა სცოდნოდა, რომ სახიფათო საქმეს ჰკიდებდა ხელს?

ნიკა გელაშვილის მეუღლე თეა კახიანი:

— ჩვენთან „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი გიორგი გეგეშიძე მოვიდა, ითხოვდა მისთვის უარი არ გვეთქვა,ბავშვის ანგარიშზე რომ გარკვეული ოდენობის თანხა დაედო, დაგვაჯერა, რომ ეს მისგან უანგარო, გულწრფელი საქციელი და მხოლოდ გულშემატკივრობა იყო, ამიტომ დავთანხმდით.

— რა თანხაზეა საუბარი?

— 30 000 დოლარზე. მას შემდეგ კი „რუსთავი-2“-მა ამ საკითხისადმი თავისი პოზიცია დააფიქსირა — მომხდარს ერთი სიუჟეტიც არ მიუძღვნა და დაზარალებულების პრესკონფერენციის უსაშინლესად გაშუქებას საკუთარი დაბადების დღის სიუჟეტი მიაბა. ამით მივხვდი, ეს თანხა იმიტომ გადაგვიხადეს, რომ ბევრი რამის მიმართ ჩვენ უფრო ლოიალურები გავმხდარიყავით და მომხდართან დაკავშირებით ხმა არ ამოგვეღო. „არტიქსი“ და „რუსთავი-2“ რომ ერთი გუნდია, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.

— ანუ თვლით, რომ 30 000-ად თქვენი სიჩუმე იყიდეს?

— ვეჭვობ, რომ ასეა. არადა, მე სულაც არ ვთვლი, რომ ამ თანხის გამო რაღაცაზე უნდა გავჩუმდე, 30 ვერცხლის გამო? სხვათა შორის, ისიც გვითხრეს, ეს პირველადი დახმარებაა და მომავალში მეტი იქნებაო. მომავალზე განაჩენის შემდეგ ვილაპარაკოთ. ალბათ, კომპენსაციას მივიღებთ, თუ ვინმეს კანონიერად ეკუთვნის ამის გადახდა, მაგრამ კომპენსაციის გამო გაჩუმებას ნამდვილად არავინ აპირებს. ჩვენ ამ საქმეს, რა თქმა უნდა, ბოლომდე მივყვებით და „რუსთავი-2“-ის ნაჩუქარი თანხაც ამისთვის დაიხარჯება, თუ საჭირო გახდა, სტრასბურგიც იქნება. რა თქმა უნდა, ვუჩივლებთ „არტიქსს“ და მოვთხოვთ დამნაშავე პირების დასჯასაც და კომპენსაციასაც.

ესაუბრა
მაია სვიანაძე

P.S. პრეზიდენტისადმი მიმართვა კი ასე მთავრდება:
„ბატონო პრეზიდენტო! დიდი იმედი მაქვს თქვენი სამართლიანობის და პრინციპულობის. დიდი იმედი მაქვს, რომ რამდენიმე თვეში შემდგარი სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს და ყველა ის პირი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად არის დაკავშირებული ამ ტრაგედიასთან, კანონით გათვალისწინებული სასჯელით დაისჯება.

ნიკა გელაშვილის დედა
ნუცა თოფჩიშვილი-გელაშვილი
17.06.2009“

დაეხმარეთ, იცოცხლოს!

ამჟამად ანგარიშზე 8794.58 $-ია

ორი თვეა, რაც 24 წლის გიორგი მსხილაძეს ჰემატოლოგიის ინსტიტუტში გამოკვლევების შედეგად უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს. გიორგის მიელონობლასტური ლეიკემია აღმოაჩნდა. 2-თვიანი აგრესიული ქიმიოთერაპიის შედეგად ვერ იქნა მიღწეული ხანგრძლივი რემისია. მკურნალი ექიმებისა და საზღვარგარეთ გიორგის ავადმყოფობის ისტორიით დაინტერესებული მედიკოსების დასკვნის შედეგად დადგინდა, რომ გიორგის სასწრაფოდ ესაჭიროება რთული ოპერაცია — ძვლის ტვინის გადანერგვა. ეს არის ერთადერთი გამოსავალი ამ რთული სიტუაციიდან. ოპერაციის ჩასატარებლად არჩეულ იქნა ისრაელში ცნობილი საავადმყოფო, მაგრამ ოპერაცია საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. წინამდებარე მკურნალობა, შემდეგ ოპერაცია და შემდგომი პერიოდი 155 000 აშშ დოლარი ჯდება. არასაკმარისი თანხების არსებობის გამო გიორგის ოჯახი, მეგობრები და ახლობლები გთხოვთ, ერთად გადავარჩინოთ 24 წლის ბიჭი, თუ საშუალება გაქვთ და, რაც მთავარია, სურვილი, დავეხმაროთ გიორგის!

დარეკეთ ნომერზე ჯეოსელიდან 700610;
ზარის ღირებულება 1 ლარი.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“
ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502
მიმღების დასახელება: ეკატერინე მსხილაძე
მიმღების ანგარიშის ნომერი: 136940800

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

«ЧТО ЖЕ ЭТО ВЫ, БАТЕНЬКА, ЛЕЧАЩЕГО ВРАЧА НЕ СЛУШАЕТЕСЬ...»

ორ ბანაკად დაყოფილი პოლიტიკური ელიტა ხალისით და წარმატებით განაგრძობს საკუთარი თავის და მიმდებარე ტერიტორიის (ჩვენი ქვეყნის) განადგურებას. მნიშვნელოვანი პოზიციური ცვლილებები თბილისის ქუჩებში უახლოეს მომავალში, ალბათ, არ მოხდება. მიდის ომი გამოფიტვამდე, როგორიც პირველი მსოფლიო ომი იყო. მთელი ერი თითქოს და წყლით სავსე სანგრებში იტანჯება, იერიშებს გადამწყვეტი წარმატება არ მოაქვს და ეს არ დასრულდება მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე საბოლოოდ არ გამოიფიტება.

ოპოზიციის ლიდერთა 21 ივნისის თათბირმა ცხადყო, რომ უახლოეს მომავალში მნიშვნელოვან გარღვევას არ უნდა ველოდოთ. საპროტესტო აქციები მთელი ზაფხულის განმავლობაში თითქმის იგივე გრაფიკით გაგრძელდება. ხელისუფლება კი, სავარაუდოდ, სიტუაციაში გარდატეხის შეტანას შეეცდება, მაგრამ, თუ იგივე ტაქტიკას მიმართავს, რომელიც ხალხისთვის დუჟმორეული ბაბუინების მისევაში გამოიხატება, როგორც ეს 15-ში პოლიციის სამმართველოსთან მოხდა, წარმატებას ნამდვილად ვერ მიაღწევს. მთავარი კითხვა კი, ალბათ, ცოტა უფრო სერიოზულია: გვაქვს თუ არა დრო ყოველივე ამისათვის?

ნული მთელი ნული მეათედი

დრო, როგორც ყოველთვის, რასაკვირველია, არ გვაქვს. დღეს, ჩვენ თვალწინ (პირდაპირი მნიშვნელობით) მსოფლიო მრავალპოლარული ხდება. ამ გარემოებას მცირე სახელმწიფოების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები შეაქვს.

იმ რუხი, მძიმე და მოსაწყენი წლების შემდეგ, როდესაც ბუშის ადმინისტრაცია ამაოდ ცდილობდა, გლობალური დიქტატის სისტემა დაემკვიდრებინა, ცნება ,,მრავალპოლარული მსოფლიო“ ხშირად აღიქმება როგორც რაღაც მსუბუქი, ფერადი და მხიარული, დაახლოებით ისეთი, როგორიც საბჭოთა ტელევიზიაში გადაცემა ,,მსოფლიოს ხალხთა ცეკვები და სიმღერები“ იყო. არადა, საქმე ცოტა სხვაგვარადაა. ჩვენ, პრაქტიკულად, შევდივართ ახალი იმპერიალიზმის ხანაში, როდესაც ძალაუფლების ახალი (კარგად დავიწყებული ძველი) ცენტრები გავლენის ზონების სწრაფ გაფართოებას იწყებენ. მათ შორის მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კონკურენცია გაიშლება, რომელშიც ერთი ცენტრის მიერ საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოება მეორეს ხარჯზე, კოალიციების შექმნის გარეშე, შეუძლებელი გახდება. ბუნებრივია, ამ დროს მთავარია არა იდეოლოგია, არამედ ინტერესთა თანხვედრა (მაგ., აშშ-ჩინეთი, რუსეთი-გერმანია და ა.შ.). ამასთანავე, თითოეული ცენტრი მისი გავლენის სფეროში მდებარე მცირე ქვეყნებისთვის უსაფრთხოების და ლეგიტიმურობის ერთადერთი წყარო გახდება.

ამ დინამიური (და საკმაოდ სასტიკი) პროცესების განვითარების დროს მცირე სახელმწიფოებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, ფრთხილი და ძალიან მოქნილი საგარეო პოლიტიკა აწარმოოს და შიდა სტაბილურობა შეინარჩუნოს. **ახალ რეალობაში ქვეყნის გადაჩეხვისთვის საკმარისი ერთი არასწორი ნაბიჯი იქნება, ვინაიდან ძველი მსოფლიო წესრიგის თანმდევი საერთაშორისო სამართლის სისტემას ბუნებრივად იმპერიული პრაგმატიზმის წესები, ყბადაღებულ „რბილ ძალას“ კი ჯარისკაცის ჩექმასავით მარტივი „უხეში ძალა“ ჩაენაცვლება.**

ქვეყანაში, რომელსაც უსაფთხოების გარანტიები და ჯანსაღი ეკონომიკის ნასახი არ გააჩნია, მმართველები კაბინეტებში სხედან და ფიქრობენ, როგორ განახორციელონ მომიტინგეებისთვის ფეკალური მასებით გავსებული პარკების ტყორცნის საგულდაგულოდ დაგეგმილი ოპერაცია (რჩევა: თუ, მაინცდამაინც, კატაპულტები გამოიყენეთ). ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში ასეთი სახელმწიფოს გადარჩენის შანსი ნული მთელი ნული მეათედია!

იკვეთება ოპოზიციის (მთელ „ვინეგრეტს“ არ ვგულისხმობ, მხოლოდ რამდენიმე ლიდერს, რომლებიც რეალურ გადაწყვეტილებებს იღებენ) პასუხისმგებლობის საკითხიც. აქციების პირველ ეტაპზე მათ მიაღწიეს საწადელს და ხელისუფლება მზარდი დეგრადაციის გზას გაუყენეს, თუმცა მომავალში კრიზისის უაზრო გაწელვა და შემდგომი გაღრმავება ქვეყნისთვის სულ უფრო დიდ საფრთხეებს დაუკავშირდება. რაც მალე მოიძებნება გამოსავალი ამ სიტუაციიდან, მით უკეთესი.

სექსი დიდ ქალაქში

19 ივნისს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ველოსიპედით სიარული ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ისე, ჯანმრთელობას გააჩნია. ზოგის ჯანმრთელობისთვის უფრო სასარგებლოა სრული სიმშვიდე, ზურგს უკან გაკვანძული სახელოები, დაბამბული კედლები, შხაპი შარკოს სისტემით, ხანგრძლივი სეირნობა (ზედამხედველობის ქვეშ!!!) ცნობილი შენობის (ასათიანის ქ.) ეზოში მდებარე მშვენიერი სკვერის ბილიკებზე და, რაც მთავარია, შრომა, მაგალითად: ეზოს დაგვა, მუყაოსგან პატარა, საყვარელი ყუთების დამზადება, სურათების გაფერადებასაც არა უშავს... მაგრამ ველოსიპედი? არამც და არამც! «Что же это Вы, батенька, лечащего врача не слушаетесь...»

ზოგადად კი ამჟამინდელი მმართველების გამოსვლებში ერთი ფსიქოლოგიური ქვეტექსტის დაჭერა შეიძლება. ხელისუფლებიდან (ან სულაც პოლიტიკიდან) წასვლა, მათ მიერ აღიქმება თითქმის როგორც სიცოცხლესთან განშორება, ერთგვარი მიჯნა, რომლის იქით ყველაფერი სრულდება. როგორც კი საუბარი ამ თემას უახლოვდება, ისინი საოცრად აღგზნებულები და (მელო)დრამატულები ხდებიან (პულსი აჩქარებული, თვალის გუგები გაფართოებული და ა.შ.)

არადა, გამოსავალი ყოველთვის არსებობს, ყველაზე მძიმე მდგომარეობაშიც კი შეიძლება მოიქცე დაახლოებით ისე, როგორც ბრიტანეთის ყოფილი სამხედრო მინისტრი პროფიუმო (ბრიგადირი ჯონ დენის პროფიუმო, მეხუთე ბარონი პროფიუმო, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორი) მოიქცა.

60-იანი წლების დასაწყისში იგი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ბრიტანელი პოლიტიკოსი გახლდათ, ახალგაზრდა, ნიჭიერი, უმნიკვლო რეპუტაციით და შთამბეჭდავი ბიოგრაფიით: ომის ექვსივე წელიწადი ბრძოლის ველზე გაატარა, მაღალი სამხედრო ჯილდოები და სარდლობის განსაკუთრებული ქება დაიმსახურა. მისი პოლიტიკური კარიერაც დასაწყისში ძალიან კარგად აეწყო. იგი კონსერვატორების ამომავალ ვარსკვლავად, ერთგვარ მომავლის იმედად იქცა. 1951 წლიდან რამდენიმე სამინისტროს ხელმძღვანელობდა და თითქოს ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვებოდა საფეხურებს პრემიერ-მინისტრის პოსტისკენ, აწყობილი ცხოვრება ჰქონდა და მშვენიერი მეუღლე ჰყავდა. შემდეგ კი მის ცხოვრებაში ის ქალი გაჩნდა.

ახლა ვინც უცოდველია, პირველმა ესროლოს ქვა იმ მასაჟისტ გოგონას, რომელიც საკუთარ თავს „დოქტორ დოტის“ უწოდებს (თუმცა, ალბათ, ისეთივე „დოქტორია“, როგორც მისი ცნობილი კლიენტია ,,კანონიერად არჩეული პრეზიდენტი“. ამ მხრივ ერთმანეთს საოცრად გვანან).

მოგეხსენებათ, 60-იან წლებში ქალებს სილიკონისგან „არ ამზადებდნენ“ და ძველ ფოტოებზე ქრისტინ კილერი (საგულისხმო გვარია, მართლაც სწრაფად და დაუნდობლად იმსხვერპლა ჯონ პროფიუმოს კარიერა) ფრიად მიმზიდველი ქალი ჩანს. იყო მასში რაღაც, რასაც ფრანგები უწოდებენ... თუმცა თუ შევუყვებით იმას, რას და როგორ უწოდებენ ფრანგები, პოლიტიკური მიმოხილვის ნაცვლად სრული კამასუტრა გამოგვივა, ამიტომ შემოვიფარგლოთ ორი ფაქტის კონსტატაციით: ა) ჯონ პროფიუმო ცდუნდა; ბ) ,,გოგონა გამოძახებით“ ქრისტინ კილერი იმავდროულად საბჭოთა მზვერავ ევგენი ივანოვს ხვდებოდა.

მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა — პრესამ ამბავი ამოქექა, პროფიუმომ რამდენჯერმე განაცხადა (მათ შორის პარლამენტში), რომ „მას ქრისტინთან განსაკუთრებული ურთიერთობა არ ჰქონია“. შემდეგ გაზეთებმა გამოაქვეყნეს მისი ქრისტინისადმი მიწერილი წერილი, რომლიდანაც სრულიად საპირისპირო რამ გამომდინარეობდა. შედეგად დაიწყო საშინელი სკანდალი, ჰაროლდ მაკმილანის კაბინეტი დაემხო და კონსერვატორებმა არჩევნები წააგეს.

რა უნდა ქნას ჯენტლმენმა, რომელიც ეჭვმიტანილია სახელმწიფო ღალატში, მხილებულია სიცრუეში და მოკვეთილია საზოგადოების მიერ? — არჩევანი, პრინციპში, მცირეა: დაიხალოს ტყვია საფეთქელში ან ვატერლოოს ხიდიდან ტემზაში გადახტეს, მაგრამ ჯონ პროფიუმომ სხვა არჩევანი გააკეთა.

იგი მივიდა ლონდონის „ტაუნ ჰოლში“ (გაჭირვებულთა დახმარების ცენტრი) და ითხოვა, მისთვის ჭურჭლის მრეცხავად მუშაობის საშუალება მიეცათ. ომის გმირი, ამაყი ბარონი პროფიუმო 40 წლის განმავლობაში რეცხავდა ჭურჭელს და საზოგადოებას ასე ემსახურებოდა. მეტიც, იგი იყენებდა ძველ კავშირებს იმისთვის, რომ თავშესაფრისათვის დამატებითი სახსრები მოეძია. ამ საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის იმდენი გააკეთა, რომ მის თავმჯდომარედ აირჩიეს. მისი მეუღლე (ვალერი ჰობსონი) მუდამ მხარში ედგა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ქრისტინ კილერთან შეხვედრების დროს პროფიუმოს საიდუმლო ინფორმაცია არ გაუცია. ჭურჭლის მრეცხავი ყოფილი მინისტრის ქცევას საზოგადოება ჯერ გაკვირვებით უყურებდა, შემდეგ იგი გულწრფელმა სიმპათიამ შეცვალა. 1975-ში ჯონს შეატყობინეს, რომ დედოფალი მას ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორის წოდებას ანიჭებს, ჯილდო მადლიერებით მიიღო და ისევ ჭურჭლის რეცხვას დაუბრუნდა. იგი სამი წლის წინათ გარდაიცვალა. დღეს ბრიტანელები მასზე განსაკუთრებული პატივისცემით და სითბოთი საუბრობენ.

მალე რამდენიმე ათეულ ქართველ მოღვაწეს, რომელთა შორის ახალგაზრდები ჭარბობენ, შესაძლოა, ფრიად სამარცხვინო მდგომარეობაში პოლიტიკიდან წასვლა მოუხდეთ. კარგი იქნება, თუ გაიაზრებენ, რომ ცხოვრება პოლიტიკიდან წასვლით არ სრულდება, თუმცა ეჭვი მეპარება, რომელიმე მათგანმა ისეთივე ნაბიჯი გადადგას, როგორიც ჯონ პროფიუმომ 1963-ში. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე.

თანასწორნი ერთმანეთის წინაშე

მართალია, სააკაშვილის ველოსიპედით ძალიან შორს გამგზავრება მოგვიხდა, თუმცა ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. მას კვლავინდებურად არ სურს, აღიაროს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის არსებობის ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა — მსოფლიოს მედია-საშუალებიდან დაწყებული ვიდრე საბავშვო ბაღების აღსაზრდელებამდე — უმწვავეს კრიზისზე მიუთითებს.

გარემოცვიდან კი არავინ ეტყვის, როგორც ფარაონს მისმა მორჩილებმა უთხრეს (გამოსვლა 10:7): „ვეღარ მიხვდი, რომ იღუპება ეგვიპტე?“, რადგან, როგორც ჩანს, ფარაონის მორჩილებში პლურალიზმი გაცილებით ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე სააკაშვილის გარემოცვაში.

როგორ იქცევა ნამდვილი მმართველი, როდესაც სიმართლეს პირში ეუბნებიან და იძულებულია, საკუთარი შეცდომა აღიაროს? მოდით, ვნახოთ. მოსკოვი. კრემლი. 1941 წლის შემოდგომა. სტალინი ეთათბირება შორეული აღმოსავლეთის დაჯგუფების სარდალს, გენერალ აპანასენკოს და ხაბაროვსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბორკოვს, რომელიც გადმოგვცემს ამ ამბავს: ვითარება კრიტიკულია, გერმანელები მოსკოვისკენ მიიწევენ, აუცილებელია ფრონტზე შორეული აღმოსავლეთიდან ნაწილების გადასროლა. ამ საკითხზე რომ მოითათბირეს, ჯარების რაოდენობა და გადასროლის გრაფიკი რომ შეათანხმეს, ჩაის სმასაც შეუდგნენ.

„რამდენი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი გაქვს? — ჰკითხა გენერალს სტალინმა. აპანასენკომ იმასთან შედარებით, რაც წითელ არმიას გააჩნდა, რაღაც მიზერული ციფრი დაასახელა, — იხსენებს ბორკოვი. — სტალინმა უბრძანა, ესეც გამოაგზავნეო. როგორც ჩანს, ამ მომენტში გენერალს ამოასხა, რადგან მის ისედაც განახევრებულ ჯარებს, კიდევ ერთ (საკმაოდ მნიშვნელოვან) ძალას ართმევდნენ. **ჩაის ჭიქა გაფრინდა მარცხნივ, სკამი სადღაც უკან, გენერალი ახტა და აღრიალდა:**

— შენ! შენ რას სჩადი! შენ... იაპონელები რომ დაგვესხნენ, რით დავიცავ აღმოსავლეთს? მომხსენი თანამდებობიდან, დამხვრიტე, ქვემეხებს არ მოგცემ!

მახსოვს, გავიფიქრე, რომ ჩემი აღსასრული დადგა. მეგონა, ამის შემდეგ მას ბერიას ხალხი დაუძახებდა და ორთავე დავიღუპებოდით, მაგრამ სტალინის ქცევამ განმაცვიფრა. მან გენერალი დაამშვიდა და უთხრა:

— ნუ ღელავ ასე ამ ქვემეხების გამო, შეგიძლია დაიტოვო.

დამშვიდობებისას აპანასენკომ ფრონტზე გაგზავნა ითხოვა, მაგრამ სტალინმა უპასუხა, რომ ასეთი მამაცი და გამოცდილი ადამიანები აღმოსავლეთში გვჭირდებაო“.

სტალინმა აღიარა შეცდომა, მეტიც, აიტანა შეურაცხყოფაც, რადგან ის კაცი იმ სიტუაციაში აბსოლუტურად მართალი იყო. 1943-ში გენერალი აპანასენკო მაინც მოხვდება ფრონტზე და კურსკის რკალზე ბრძოლების დროს დაიღუპება, მაგრამ სხვა, უფრო ახალგაზრდა თაობის გენერლები ბერლინის კარიბჭეს შეანგრევენ. ერთ-ერთი უკანასკნელი ჩანაწერი იოზეფ ჰებელსის დღიურიდან: **„მე მოვუყევი ფიურერს, რომ გადავხედე გენერალური შტაბის წიგნს საბჭოთა მარშლებსა და გენერლებზე. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ კადრების ასეთ შერჩევას კონკურენციას ვერ გავუწევთ. ფიურერი სავსებით დამეთანხმა“.** ეს საკადრო პოლიტიკა კი უამრავი მცირე ეპიზოდისგან შედგებოდა, მათ შორის, ზემოთ აღწერილისგან, როდესაც სტალინმა საქმე პირად წყენაზე მაღლა დააყენა.

ნაკლებად ცნობილი ისტორიული ფაქტი: **როდესაც სტალინი გარდაიცვალა, კორეაში ომი მძვინვარებდა. 6 მარტს ჩრდილოეთ კორეის არმიის (და ჩინელი მოხალისეების) შტაბმა სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გლოვის გამო თხოვნით მიმართა ამერიკელთა და სამხრეთ-კორეელთა სარდლობას ცეცხლის სამი დღით შეწყვეტის თაობაზე. მათი თხოვნა დაკმაყოფილდა. „გენერალ სიმუსი სტალინი და საბჭოთა კავშირი გერმანიასა და იაპონიასთან ომში ჩვენი მთავარი მოკავშირეები იყვნენ, — აღნიშნა დუგლას მაკარტურმა თავის ბრძანებაში, — ამიტომ ჩვენ, როგორც ჯარისკაცები თანასწორნი ვართ ერთმანეთის წინაშე და გენერალ სიმუს სტალინის ხსოვნას პატივი უნდა მივაგოთ“.**

დიმიტრი მონიავა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ჯიმი ჯალიაშვილი:

მოლოდინი, რომ ობამა მოსკოვში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საკითხს წინ წამოწევს, უტოპიაა

ოპოზიციური მოძრაობის ბოლო სამი კვირა პროტესტანტი ლიდერებისა და საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა — ორთვიანი „ნერვების ომში“ ასპარეზობით „ქანცგაწყვეტილმა“ ხელისუფლებამ პროტესტანტებს ზედიზედ რამდენიმე გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა და სასწაულებრივად იმარჯვა...
ხელისუფლებამ სტარტი 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი დარბევით აიღო, მომდევნო არანაკლებ მკაცრი დაჭერებითა და ცემა-ტყეპით კი საბოლოოდ დაამტკიცა საკუთარი „ძლევამოსილება“...
საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის (ყოველ შემთხვევაში, მათთვის, ვინც პროცესებს რეალისტურად აფასებს), ალბათ, იმთავითვე ცხადი იყო, რომ ოპოზიციური სპექტრის რესურსები დასახული მიზნის (ხელისუფლების შეცვლა) მისაღწევად არ კმაროდა, თუმცა იყო მეორე ფაქტორი დასავლეთის სახით, რომელზეც პროტესტანტები რატომღაც დიდ იმედებს ამყარებდნენ... მათდა სამწუხაროდ, ეს „იმედიც“ უნუგეშო აღმოჩნდა — დასავლეთი, დაჟინებით გვიმტკიცებს, რომ მიმდინარე აქციებით დემოკრატიას შეურაცხვყოფთ; ეს კი ბოლოს ერთ რამეზე მიგვანიშნებს — დასავლეთისათვის საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესი მისი გეოსტრატეგიული ინტერესების განხორციელებას უფრო გულისხმობს, ვიდრე ჭეშმარიტ დემოკრატიასა და სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლებას. გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ **ჯიმი ჯალიაშვილთან.**



— ბატონო ჯიმი, საქართველოში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების შესახებ დასავლეთის (ამერიკისა და ევროპის წამყვან სახელმწიფოთა წარმომადგენლების) ერთსულოვანი პოზიცია ბოლო დროს სააკაშვილისთვის ძალის გამოყენების ერთგვარ წაქეზებად იქცა. რით ახსნით დემოკრატიული დასავლეთის, ასეთ დამოკიდებულებას?

— როცა დასავლეთის პოზიციაზე ვსაუბრობთ, უწინარესად, უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ — რა მიზნები და ინტერესები აქვს დასავლეთს, კერძოდ კი ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსთან მიმართებაში. მისი უმთავრესი ამოცანა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის სივრცის ათვისება, გავლენის მოპოვება და ამ სივრცეში გაბატონებაა. ამ მიზნის მისაღწევად მას უამრავი ბერკეტი აქვს და დემოკრატიული პროცესების დაჩქარება საქართველოში ან კავკასიის რომელიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოში ნაკლებად აინტერესებს...

რაც შეეხება, ზოგადად, დასავლეთს, ამერიკისგან განსხვავებით, ევროპა გაცილებით უფრო ფრთხილია მიმდინარე პროცესების შეფასებისას. საქართველოში განვითარებულ მოვლენებს იგი რუსეთისა და ამერიკის ჭრილში განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ ევროპა არ არის ერთპოლუსიანი მსოფლიოს მომხრე. პირიქით, ევროპის მოწინავე ქვეყნები მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებში ვაშინგტონისა და კრემლის მნიშვნელობას თითქმის ათანაბრებენ.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ამერიკაში თუ ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოში რომ ხდებოდეს, სავსებით საკმარისი იქნებოდა ძირეული ცვლილებებისთვის. ჩვენ შემთხვევაში კი პირიქითაა — ხელისუფლება შეცდომებს შეცდომებზე უშვებს, მაგრამ ყველაფერი „ჩვეულებრივად“ გრძელდება... ასეთი რამ დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგომ არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება... თვით საბჭოთა კავშირშიც კი, რომელსაც დღეს ყველა აგინებს, ხელისუფლება საზოგადოების წინაშე დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა. მაგალითისთვის ერთ კონკრეტულ ფაქტს გავიხსენებ: არ მახსოვს, რომელ წელს იყო, ქალაქ რუსთავში მთვრალმა მილიციელმა ქუჩაში გაისროლა და სრულიად შემთხვევით ახალგაზრდა ბიჭი დაჭრა... ფეხზე დადგა მთელი ქალაქი, ატყდა განგაში და ყველამ გაიგო, რაც მოხდა. ის მილიციელი უმკაცრესად დასაჯეს, მილიციის უფროსი კი გააციმბირეს...

დღეს ასეთი რამ ჩვენი საზოგადოებისთვის უცხოა, ხალხი უკვე შეეჩვია ქვეყანაში არსებულ სრულ განუკითხაობას. ეს არის ამ ხელისუფლებისა და სააკაშვილის პიროვნული „დამსახურება“, რომელმაც ქვეყანა დემოკრატიული განვითარებიდან ტიპური ავტორიტარიზმის რელსებზე გადაიყვანა.

— დღეს სააკაშვილი ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილში, ამერიკის ხელდასხმით გაპრეზიდენტებულ ლიდერთან, დასავლეთის დირექტივების უსიტყვო შემსრულებელთან ასოცირდება. შესაბამისად, მოსახლეობის ამ ნაწილში ხელისუფლების მიმართ პროტესტის ზრდასთან ერთად იზრდება ანტიდასავლური განწყობაც. რამდენად მისაღებია დასავლეთისთვის საქართველოში ისეთი ლიდერი, რომელიც პროცესებს ამ მიმართულებით წარმართავს?

— საერთოდ, ბოლო წლებში ჩვენი საზოგადოება უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა — ჩვენ გვინდა, გავაღიზიანოთ რუსეთი, რათა კიდევ უფრო მეტი დახმარება მივიღოთ ამერიკისგან. ამავე დროს გავიძახით, რომ დასავლეთი თავის სასარგებლოდ გვიყენებს. ეს ძალზე მავნებელი და შემლახველია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისთვის. ჩვენ უნდა შევძლოთ, საბოლოოდ განვსაზღვროთ ჩვენი საგარეო პოლიტიკა და პოლიტიკური კურსი, რაც დღევანდელ ვითარებაში არ არსებობს ერთიანი და ჩამოყალიბებული სახით.

გაოცებული ვრჩები ხოლმე, როცა ვისმენ ოპოზიციის ლიდერთა განცხადებებს. მაგალითად, ამას წინათ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლებას ძალიან მალე შევცვლით. მსგავსი განცხადებები გააკეთეს სხვა ლიდერებმაც, რომლებმაც, როგორც ჩანს, დასავლეთში მოგზაურობის დროს გარკვეული გარანტიები მიიღეს...

მინდა, მივმართო ჩვენს მკითხველს: ის ხელისუფლება, რომლის მოყვანაც დასავლეთში გადაწყდება და რომელსაც დასავლეთი დაგვინიშნავს, განა იქნება თავისუფალი, თუნდაც, საშინაო საქმეებში?! განა ასეთი ხელისუფლება შეძლებს იმ ვითარების შეცვლას, რომელშიც სააკაშვილმა ჩაგვაგდო?! პასუხი მარტივია: ამა თუ იმ ვითარებას ვერ შეცვლის, პირიქით, ერთგვარი სიზუსტით გააგრძელებს იმ პოლიტიკას, რასაც სააკაშვილი და მისი გარემოცვა დღემდე ატარებს...

— ბოლო დროს უცნაურად ხშირია აფეთქებები: აფეთქდა რკინიგზა ზუგდიდში, ხიდი — მამისონში და ა.შ. ოპოზიციის ლიდერები ამას ხელისუფლების პროვოკაციად აფასებენ. თქვენ როგორ ფიქრობთ?..

— ვეთანხმები ოპოზიციის ლიდერებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამ აფეთქებებში ხელისუფლების ხელი ურევია, ვინაიდან სააკაშვილს ახლა ჰაერივით სჭირდება მსგავსი ინცინდენტები. თუ მკითხავთ, რისთვის, მარტივად გიპასუხებთ — ხელისუფლების შესანარჩუნებლად, მით უფრო, რომ სხვა გამოსავალი ამ ეტაპზე მას, ალბათ, არც აქვს.

— რაც შეეხება ივლისის დასაწყისში დაგეგმილ ობამასა და მედვედევის შეხვედრას. არის მოლოდინი, რომ ამ შეხვედრაზე სერიოზულად განიხილება საქართველოს საკითხი, თუმცა ექსპერტთა გარკვეული ნაწილი საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს... როგორ ფიქრობთ, რამდენად იქნება რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბულობა შეხვედრის ცენტრალური საკითხი და, საერთოდ, რამდენად გაამახვილებს ამერიკა ამ თემაზე ყურადღებას?

— საქართველოში და რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებული მოვლენები ამ შეხვედრაზე ცენტრალური საკითხი ნამდვილად ვერ იქნება. ეს არის რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების შეხვედრა, რაც ნიშნავს, რომ მთავარი ყურადღება ამ ორ გიგანტ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოგვარებაზე გამახვილდება. საქართველო იქნება ერთ-ერთი საკითხი, მაგრამ არა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ რაიმე სერიოზული ძვრები მოხდეს რუსეთთან მიმართებაში. კრემლი არ დაუშვებს, ამერიკამ ეს საკითხი ცენტრალურ თემად აქციოს და, ვფიქრობ, ვაშინგტონიც წავა ამ დათმობაზე. სხვა შემთხვევაში მოლაპარაკება ჩიხში შევა. ჩვენი პოლიტიკოსების მოლოდინი, რომ ობამა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საკითხს წინ წამოწევს, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ამ ხალხმა (ხელისუფლების წარმომადგენლებმა) ჭკუა ვერ ისწავლა. მათი შეხედულებები დღემდე იგივეა, რაც აგვისტოს ომამდე იყო — როცა დავიწყეთ კონფლიქტი და მერე ამ პრობლემის მოგვარება დასავლეთს — ამერიკას და ევროპას გადავაბარეთ...

— დავაკონკრეტოთ, რა დონეზე შეიძლება, ობამამ და მედვედევმა განიხილონ საქართველოს საკითხი?

— ობამა რომ იყოს იმ ტიპის მმართველი და იმ პოლიტიკის გამტარებელი, რა პოლიტიკასაც ბუში ატარებდა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ამერიკა რუსეთს ულტიმატუმის ენით დაელაპარაკება, მაგრამ, მოგეხსენებათ, ობამა არ არის ხისტი პოლიტიკის მომხრე. უფრო მეტიც, მისი პრიორიტეტი და უმთავრესი ამოცანაა, ამერიკა გამოიყვანოს იმ ჩიხიდან, რომელშიც ბუშის წინდაუხედავი ნაბიჯების წყალობით აღმოჩნდა...

მერე რა, რომ გაერომ მისივე პრინციპების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო?! მერე რა, რომ ეს რუსეთის დიპლომატიურმა ზემოქმედებამ განაპირობა?! განა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა არ იყო ერაყში ამერიკის ჯარების შესვლა, რასაც ათეულობით ათასი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა? ამას ობამა და მისი ადმინისტრაცია ნათლად ხედავს. ისინი ხვდებიან, რომ ამ გზით ამერიკა შორს ვერ წავა, ამიტომ ვაშინგტონის პოზიცია არა თუ მკაცრი ვერ იქნება რუსეთთან მიმართებაში, არამედ, ვფიქრობ, ერთგვარ ლოიალურ და დათმობით ხასიათსაც შეიძენს...

ეს დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ცხადად გამოჩნდება და თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს გადასარჩენად რომელიმე ქვეყანა (მით უფრო, ამერიკა) თავს გაწირავს, ვურჩევ, სერიოზულად დაფიქრდეს. თუ დაფიქრების უნარი არ აქვს, მაშინ, იქნებ, ცოტაოდენი სიყვარული მაინც გამოიჩინოს თავისი ქვეყნის მიმართ და ერთხელ და სამუდამოდ შეეშვას იმ ურთულეს სფეროს, რასაც პოლიტიკა ჰქვია.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ის ხელისუფლება, რომლის მოყვანაც დასავლეთში გადაწყდება და რომელსაც დასავლეთი დაგვინიშნავს, განა იქნება თავისუფალი, თუნდაც, საშინაო საქმეებში?! განა ასეთი ხელისუფლება შეძლებს იმ ვითარების შეცვლას, რომელშიც სააკაშვილმა ჩაგვაგდო?!

მე შაირი არ მინდოდა...

სანამ შავი ზღვა შავია
და ალაზანი დიდია,
ქართველი ჯარისკაცები
კვლავ ავღანეთში მიდიან.

ჰილარი კლინტონს შტატებში
მოსტყდა მარჯვენა ხელია,
რაზეც ძალიან შეშფოთდა
ვაშაძე, ულვაშგრძელია.

სადაც კი ვარდი დავთესეთ,
ყველგან ეკალი ამოვა,
ივლისში საქართველოში
ჯო ბაიდენი ჩამოვა.

ძალიან ძვირი ყოფილა
შაკირას ქვედა საცვალი,
სულ მალე თავსაც დაგვიკრავს
აშშ-ს ელჩის ნაცვალი.

ბოლო სხდომაზე ძალიან
ცუდად აღელდა მთავრობა:
ადარდებთ გაჩეჩილაძის
მაყუთის წარმომავლობა.

გოკა გაბაშვილს აწუხებს
ბურჯანაძეთა ფულები,
დანარჩენ პოლიტიკოსებს
ბოღმი უსკდებათ გულები.

ძალიან მალე ღვივდება
ბოღმის და შურის მარცვალი
და კვლავ სველია ჰალსტუხი —
მიშიკოს გამონაცვალი.

კვლავ ჭკვას გვარიგებს ბაქრაძე
უკვე ჩხუბით და ყვედრებით,
აშინებს „მოლოტოვკები“,
პარლამენტს მონახვედრები.

ვანომ გახიკა საკნები,
სიცილით კვდება მელია,
ეჰ, დათობაქრაძეობა
ვაგლახ, თურმე რა ძნელია.

წალენჯიხაში აფეთქდა
მაღალი ძაბვის ბოძები,
ნეტა, რა ძალამ შეყარა
ამ პარლამენტში... ვირგლები?

მინისტრები გვყავს იმდენი,
მთელ ევრაზიას ეყოფა...
და მამისონის ამბებზე
ისევ აღშფოთდა ევროპა.

აფეთქების ხმამ დაზაფრა
პატარები და დიდები,
ისევ ანგრევენ შენობებს,
ისევ ფეთქდება ხიდები.

ისევ გრძელდება საზღვრებზე
აფეთქებების სერია,
დედას გვაგინებს საფლავში,
ალბათ, ლავრენტი ბერია.

ჯავშანჟილეტზე გამძლეა
ჩვენებური კუს ბაკანი,
გუშინ ზუგდიდში დაიდგა
უკვე მეოთხე საკანი.

ამბობენ, სომხურ ყავაში
20 პროცენტი ქერია,
ეგ არაფერი — მაგ ყავას
ადრე ფეკალიც ერია.

მაგრამ ამასაც გაუძლებს
ჩვენი ტანჯული ერია,
ვინც ასეთ ყავას მიირთმევს,
იგი ქართლოსის მტერია.

გეგა ბაიტიანი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ისტორიული სენსაცია

„ტრუმენ-ადენაუერის“ პაქტი

ჰარი ტრუმენი

კონრად ადენაუერი

აი სიახლე, რის შესახებაც მთელი მსოფლიოს მასმედია ხმას არ იღებს — არც უარყოფს, არც მის სიყალბეს ამხელს, არც შეშფოთებულია. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“ — თითქოს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მოვალეობა აღარ არის, ეს ახალი ამბავი მკითხველებს, მსმენელებსა და მაყურებლებს აცნობოს. მასმედიას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, მათმა მომხმარებელმა იცოდეს, როგორი ამბოხება მოხდა თბილისის ქალთა კოლონიაში, რომ ეგვიპტეში დაკარგულ ტურისტს ეძებენ, რომ ბოროტმოქმედი, რომელმაც ხელთ იგდო თვითმფრინავი იამაიკაზე, ჩაბარდა ხელისუფალთ, რომ „ზენიტმა“ „ლოკომოტივთან“ თამაშის დროს ლეგიონერთა ლიმიტს გადააჭარბა, ხოლო იმ ახალ ამბავზე, რომელსაც ქვემოთ გაცნობებთ, დუმან.

მოდი, წავიკითხოთ.

სენსაციური მასალაა გამოქვეყნებული „Unabhangige Nachrichten“-ში („დამოუკიდებელი ახალი ამბები“), რომელიც გერმანიაში გამოიცემა.

სენსაცია კი არის ის, რომ გენერალ გერდ-ჰელმუტ კომოსას ახლახან გამოცემულ წიგნში „გერმანული რუკა. საიდუმლო სამსახურების დაფარული თამაში“ წერია შემდეგი: 1949 წლის 21 მაისს აშშ და გფრ დროებითმა მთავრობებმა ხელი მოაწერეს საიდუმლო სახელმწიფო ხელშეკრულებას, რომელშიც 2099 (!) წლამდე პერიოდისთვის გაწელილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „სუვერენიტეტის“ პირობები. დამარცხებულ გერმანელებს სამი აუცილებელი პირობის შესრულება ეკისრებათ:

1. გფრ-ის ყოველი ახალი კანცლერი ვალდებულია, აუცილებელი წესით ხელი მოაწეროს ამერიკაში ეგრეთ წოდებულ კანცლერაქტს. რა იმალება ამ ზესაიდუმლო დოკუმენტში, უცნობია. მაგრამ მისახვედრად ძნელი არ უნდა იყოს დანარჩენი ორი პირობისა და საიდუმლო სახელმწიფო ხელშეკრულების და დამატებითი კანცლერაქტის არსებობის ფაქტისა გამო;

2. აშშ განახორციელებს სრულ კონტროლს გერმანული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე — რადიოსა და ტელევიზიაზე, ბეჭდვურ გამოცემებზე (გაზეთები, ჟურნალები, გამომცემლობები), კინოპროდუქციაზე, თეატრებზე, მუსიკაზე, სასკოლო აღმზრდელობით პროგრამებზე, სასწავლო გეგმებზე და ა.შ.;

3. აშშ განაგრძობს გერმანიის მთელი სახელმწიფოს ოქროს ფონდის „შენახვას“ ამერიკის საცავებში.

თავის წიგნში კომოსა მოგვითხრობს იმაზეც, რაც იცოდა გფრ-ში ამერიკის სპეცსამსახურების შეფად ყოფნის პერიოდში. ეს წიგნი ავსტრიაშია გამოცემული 2007 წლის ივლისში და ამჟამადაც იყიდება, მათ შორის, ინტერნეტის არხების მეშვეობით (Gerd-Helmut Komossa. Die Deutsche Karte). ხანდაზმულმა გადამდგარმა გენერალმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რა ყულფშიც ყოფს თავს, მაგრამ, ალბათ, არ სურდა, იმ ქვეყნად წაეღო სიმართლის მძიმე ტვირთი, თუ როგორ პირობებში ჩააყენეს დასავლეთელმა გამარჯვებულებმა გერმანელი ხალხი.

აღნიშნული გამოცემის ანალიტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გფრ-ის ყველა ყოფილი კანცლერი, ამჟამინდელი ანგელა მერკელის ჩათვლით, პირველი სახელმწიფო ვიზიტით მაინცდამაინც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადიოდა.

ახლა კი გავიხსენოთ, რა წიოკი ატყდა იმ ნაყალბევი „დოკუმენტის“ გამო, რომელიც ალექსანდრე იაკოვლევმა თავის დროზე „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტად“ გაასაღა.

ამჯერად რატომ დუმს მასმედია?

„ვისთვის — მსოფლიო კრიზისი, ვისთვის — ახალი ასპარეზი“

გასული კვირის მსოფლიო პრესის მიერ აქცენტირებულ მოვლენებს ასეთი სათაური მიესადაგება, მგონი, — მსოფლიოში იკვეთება ორი ძალის დაპირისპირება, რომელთაგან ერთს შესაძლო კრახს უწინასწარმეტყველებენ, მეორეს — მსოფლიო ლიდერობას.

რეალობა ასეთია: ერთ მხარეს — აშშ და მის გარშემო დაჯგუფებული ქვეყნები. მეორე მხარეს — რუსეთი, ჩინეთი და **თანამშრომლობის შანჰაის ორგანიზაციის** წევრი სხვა ქვეყნები. თუნდაც. სხვა სახელმწიფოებზე არაფერი რომ არა ვთქვათ.

ამერიკის გაკოტრების კონტურები

რამდენიმე დღის წინათ რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში გამართულ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სამიტზე ამახვილებს ყურადღებას მსოფლიო პრესა, იმ პერსპექტივაზე, რომელიც ამ ფორუმის გადასახედიდან გამოჩნდა.

„ეს არის XXI საუკუნეში გამართული უმაღლესი დონის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა“, — ასეთია ზოგადი დასკვნა.

რატომ?

იმიტომო, — მიიჩნევენ მიმომხილველები, — რომ **სწორედ ამ შეხვედრაზე გადაიდგა პირველი ნაბიჯი ჟამტეხილისკენ — ერთი ქვეყნის მსოფლიში დომინირების დასრულებისკენ, რომელიც ერთ სარეზერვო მსოფლიო ვალუტაზე იყო დაფუძნებული.** დედოლარიზაციაზეა ლაპარაკი.

თუ ეკატერინბურგის სამიტის მონაწილე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები შეთანხმებას ბოლომდე მიიყვანენ, დოლარის კურსი დაეცემა, ამერიკის მიერ იმპორტირებული საქონელი, მათ შორის, ნავთობის ფასი ცეცხლს მოიკიდებს და, როგორც ყოველთვის ხდება, ამ ორი სტიქიის შეხვედრით გამოწვეული ხანძარი შთანთქავს ყველაფერს, ამ შემთხვევაში, — აშშ ეკონომიკას; არნახულად გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები, უმუშევრობა ისეთ მასშტაბს მიაღწევს, რომ, როგორც ეკონომისტები ამბობენ, ბოლო თვეებში შექმნილი სიტუაცია არნახულ კეთილდღეობად მოგვეჩვენება. აშშ ისტორიულ ვაიმარის რესპუბლიკას ან დღევანდელ ზიმბაბვეს დაემსგავსება. გამწარდება მუშათა და საშუალო ფენის ფართო მასები. ამ კლასების წარმომადგენლები მოითხოვენ ასეთ მდგომარეობაში მათ ჩამგდებთა დასჯას, რადიკალური ცვლილებების განხორციელებას, წესრიგის აღდგენას, ზნეობრივ განახლებას, რასაც, მიმომხილველთა აზრით, ამ მასებს დაუყოვნებლივ დაჰპირდება პროტოფაშისტების ხროვა, ანუ ის მაქსიმალისტური ძალა, რომელიც აქაფებულ რევოლუციურ ტალღას მოჰყვება მუდამ.

ერთი სიტყვით, ახალი აპოკალიფსი კარსაა მომდგარი: „აიღო ანგელოზმა საცეცხლური, აავსო იგი ცეცხლით სამსხვერპლოდან და ჩამოაგდო დედამიწაზე; და იქმნა ქუხილნი და ხმანი, და ელვანი და მიწისძვრა“ *(გამოცხ. 8,5).*

ეკონომისტმა **მაიკლ ჰადსონმა** ორშაბათის „Financial Tims“-ში გამოაქვეყნა წერილი: „ეკატერინბურგის ჟამტეხილი: დედოლარიზაცია და აშშ-ის სამხედრო-ფინანსური ჰეგემონიის დასასრული“. ჰადსონი აღნიშნავს: **„შესაძლოა, ეკატერინბურგი ისტორიაში შევიდეს, როგორც ადგილი, სადაც სიცოცხლე დაასრულა არა მარტო რუსეთის უკანასკნელმა მეფემ, არამედ ამერიკის იმპერიამაც“.**

ჰადსონი განმარტავს: **„ეს დოლარის დასასრულს ნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, პაკისტანი და ირანი ოფიციალურად ქმნიან სამხედრო-ფინანსურ ბლოკს, რათა ევრაზიიდან გაისტუმრონ ამერიკა.**

საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია სამხედრო ასიგნობასთან. აშშ-ის ჭარბი დანახარჯების ნახევარი სამხედრო საჭიროებაზე მიდის. საბოლოო ჯამში, ეს დეფიციტური დაფინანსება საზღვარგარეთის ბანკებზე, ცენტრალურ ბანკებზეა დამოკიდებული. მათ სხვა არჩევანი არ აქვთ გარდა იმისა, რომ ჩვენგან მიღებული ფული დაგვიბრუნონ ამერიკული სახელმწიფო ობლიგაციების შესყიდვის გზით. **გამოდის, რომ აზიის ქვეყნები საკუთარ „იარაღს“ ჩვენი სამხედრო ბაზებით აფინანსებენ. მათ აიძულებენ, მიიღონ დოლარის ვალდებულებანი, რომლებიც არასოდეს იქნება რეფინანსირებული. ისინი მათ წინააღმდეგ ამერიკის სამხედრო აგრესიისთვის თვითონ იხდიან ფულს. და, ბუნებრივია, სურთ, ბოლო მოუღონ ამ ყველაფერს“.**

ცოტა ჩახვეულ-ჩასპეციფიკებული განმარტებაა, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვისაც ადვილი მისახვედრია, რომ ამერიკის ეკონომიკაზე დამოკიდებული ქვეყნები იწყებენ ყელზე შემოხვეული ყულფისგან გათავისუფლებას, რომ დაიწყო „დოლარისგან გაქცევა“ და ეს შეუქცევად პროცესად ყალიბდება.

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ თუ დოლარს მოუგრეხენ კისერს, დასრულდება ამერიკის ჰეგემონია სამხედრო სფეროში. ამას თვით ამერიკელი ეკონომისტები აღიარებენ. ისინი, კერძოდ, აღნიშნავენ:

„ჩვენი ეკონომიკის დასაფინანსებლად, რომელიც უკვე დიდი ხანია, გადაყვანილია სამხედრო ლინდგაზე, მსოფლიოს დოლარებით ვავსებთ. უცხოელი რეცეპიენტები ამ დოლარებს თავიანთ ცენტრალურ ბანკებს გადასცემენ და ეროვნულ ვალუტაზე ცვლიან. შედეგად, ამ უკანასკნელებს პრობლემა ექმნება: თუ მიღებულ დოლარებს ისინი აშშ-ში არ დახარჯავენ, მათი ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულთან შედარებით აიწევს. ამით კი ექსპორტიორები დაზარალდებიან. ამრიგად, ამერიკას მიეცემა შესაძლებლობა, სრული სიმძლავრით აამუშაოს საბეჭდი დაზგა იმპორტის დასაფინანსებლად, უცხოური აქტივების შესასყიდად და ჩვენი სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად. ამასთან, გარანტირებული იქნება ჩვენი სახელმწიფო ობლიგაციების შეძენა ისეთი სახელმწიფოების მიერ, როგორიც ჩინეთია. მაგრამ ამჟამად ეს „მიმოქცევა“, როგორც ჩანს, მთავრდება“.

ამ ყველაფერმა გამოიწვია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სახელმწიფოს არნახული ჩარევა ეკონომიკაში, — დაასკვნიან ამერიკელი ექსპერტები. ქვეყანა „უცნობ წყლებში“ აღმოჩნდა, საიდანაც ამერიკული ხომალდის გამოყვანის გზები ვერ მოუნახავთ.

აქ შეიძლება წერტილი დავუსვათ იმ დაპირისპირებულ მხარეზე საუბარს, რომლისთვისაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრახად შეიძლება შემოუბრუნდეს.

ამერიკულ-უკრაინულმა წვრთნებმა „დაყვინა“

2009 წლის 17 ივნისს აშშ შეიარაღებული ძალების სარდლობამ უკრაინის მხარეს ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა, რომ უკრაინა-აშშ სწავლება „სი ბრიზ 2009“, რომელიც სხვა ქვეყნების მონაწილეობით იმართებოდა, არ ჩატარდება. რამ ათქმევინა უარი ამერიკელებს, არ იტყობინებიან.

უკრაინის საინფორმაციო სააგენტო გვაცნობს, რომ უკრაინის უმაღლესმა რადამ არც კი განიხილა პრეზიდენტ იუშჩენკოს მიერ შეტანილი კანონპროექტი უცხოეთის შეიარაღებული ძალების უკრაინის ტერიტორიაზე შესვლის თაობაზე მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებებში მონაწილეობის მისაღებად, რომელთა ჩამონათვალში „სი ბრიზ 2009“-ც იყო დასახელებული. „სწავლების ჩაშლამ უდიდესი ზიანი მიაყენა უკრაინის საერთაშორისო იმიჯს“, — ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში განაცხადა უკრაინის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ანატოლი გრიცენკომ. საერთაშორისო სწავლება „სი ბრიზ“ ნატოს ძალების მონაწილეობით უკრაინაში 1997 წლიდან იმართება. სწავლების გამართვის წინააღმდეგ, როგორც წესი, გამოდის უკრაინის რეგიონების პარტია, სოციალისტური მიმართულების პარტიები, აგრეთვე, ყირიმის მოსახლეობის ნაწილი.

ობამასადმი ნდობის ინდექსი პირველად გახდა უარყოფითი

ამერიკის სოციოლოგიური კვლევის კომპანია „Rasmussen Reports“-ის ყოველდღიური გამოკითხვით, რომელიც 21 ივნისს გაიმართა, იმ ამომრჩეველთა რაოდენობამ, რომლებიც აშშ პრეზიდენტის საქმიანობას ნეგატიურად აფასებს, 34 პროცენტს მიაღწია. მისი პოლიტიკის მხარდამჭერთა პროცენტი კი 32-ზე გაჩერდა. ასეთი რამ 2009 წლის იანვრიდან პირველად დაფიქსირდა და მინუს ორი შეადგინა.

მოწონების უმაღლესი ინდექსი 2009 წლის 22 იანვარს გამოვლინდა, როცა ობამას ამომრჩეველთა 44-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. მაშინ მკვეთრად ნეგატიური პოზიცია ამერიკელების მხოლოდ 14 პროცენტს ჰქონდა. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც საერთო ჯამში დადებითად აფასებენ პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, აჭარბებს ნეგატიურად შემფასებელთა რაოდენობას. შეფარდება ასეთია: 53/46 პროცენტი. კომპანია „Gallup“-ის მონაცემებით კი, ნდობის ინდექსი უფრო მაღალია: 57/35.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

სწორება აღმოსავლეთისკენ!

ვინ გამოდის ფართო ასპარეზზე, ვინ აპირებს, მოირგოს ლიდერის მოსასხამი, ანუ ვინ იგულისხმება, რომელი ქვეყნების ჯგუფი მსოფლიო ახალი ლიდერის როლში? რა თქმა უნდა, თანამშრომლობის შანჰაის ორგანიზაციის წევრი ექვსი ქვეყანა: ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი. ამ ალიანსს პლანეტის ტერიტორიის ერთი მეოთხედი უკავია, მისი მოსახლეობა კი მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს შეადგენს.

არაა სახუმარო ძალა!

პირველი პრობლემა, რაც ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების პირველმა პირებმა განიხილეს, შემდეგი იყო: **უნდა შეიცვალოს მსოფლიოში არსებული სავალუტო სისტემა, ერთადერთ ფულად ნიშანზე დამოკიდებულად ყოფნა ფრიად საშიშია.**

მიიჩნიეს, რომ სარეზერვო ვალუტებმა და ძირითადმა სარეზერვო ვალუტამ — აშშ დოლარმა თავიანთ ფუნქციას თავი ვერ გაართვა, ხოლო ახალი სარეზერვო ვალუტის გამოსვლა ასპარეზზე ხანგრძლივი პროცესია.

ყველასთვის გასაგებია, რომ ეს პრობლემა არ გადაწყდება არც პრეზიდენტების ბრძანებულებებით, არც — ცენტრალური ბანკების გადაწყვეტილებებით. რაც მთავარია, **ეს არის ეკონომიკების ავტორიტეტის დაგროვების პროცესი, პროცესი, რომელიც დაკავშირებულია სხვა ქვეყნების სურვილზე, იქონიონ თავიანთი რეზერვები ამა თუ იმ უცხოურ ვალუტაში,** რადგან ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტისთვის პრიორიტეტის მიცემამ, რაც მხოლოდ მას შეუქმნის უპირატესობას, ქვეყნების მეგობრულ კავშირებსა და გაერთიანებებშიც შეიძლება გამოიწვიოს განხეთქილება და დაპირისპირებაც კი, რაც ამ კავშირების დაშლის წინაპირობაა.

ამ პოზიციაზე დგას ყაზახეთის პრეზიდენტი **ნურსულთან ნაზარბაევი**.

ჩინეთის მხარემ გადაწყვიტა, „შანჰაის ორგანიზაციას გამოუყოს 10 მილიარდი აშშ დოლარი და ამით შეიტანოს თავისი წვლილი კრიზისთან ბრძოლის საერთო ძალისხმევაში“, — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ **ჰუ ძინტაომ**.

ირანის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **მაჰმუდ აჰმადინეჟადმა**, რომელმაც აბობოქრებული თეირანი მიატოვა და ეკატერინბურგში ჩავიდა, ჩვეული ტონალობით განაცხადა: „აბსოლუტურად ნათელია, რომ დადგა იმპერიის ეპოქის დასასრული. მისი აღორძინება არ მოხდება. საჭიროა, ძირფესვიანად შეიცვალოს ყველა არსებული ეკონომიკური მექანიზმი“.

რუსეთის პრეზიდენტმა **დიმიტრი მედვედევმა** კონკრეტული წინადადებები წამოაყენა, მათ შორის: მსოფლიო სავალუტო ფონდის რეფორმირება იმ მიმართულებით, რომ წარმოდგენილი ქვეყნების ინტერესები ეკონომიკაში მათი ხვედრითი წილის პროპორციული იყოს და არა ისე, როგორც ამჟამადაა, როცა აშშ-ს აქვს ვეტოს უფლება, ხოლო, მაგალითად, ჩინეთს უფრო ნაკლები უფლება აქვს, ვიდრე ევროპის რომელიმე პატარა ქვეყანას.

ეს იდეები აისახა ეკატერინბურგის სამიტის შემაჯამებელ დეკლარაციაში. ხაზგასასმელია, რომ ეს დოკუმენტი მყარ ფინანსურ და ეკონომიკურ არგუმენტებს ეფუძნება.

მაგალითად: **ერთიანი ეროვნული პროდუქტი ჩინეთში რეფორმების 30 წელიწადის განმავლობაში 15 პროცენტით გაიზარდა. 2020 წლისთვის სწორედ ეს ქვეყანა გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს და მსოფლიოს პირველი ეკონომიკა გახდება.**

ჩინეთს უცხოური ვალუტის ყველაზე დიდი რეზერვები აქვს მსოფლიოში, რაც **2 ტრილიონ აშშ დოლარს უდრის.**

პეკინმა ჯერ კიდევ შარშან გადადგა პირველი ნაბიჯი იუანის საერთაშორისო ბაზარზე გამოყენების მიზნით: 12 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება ექვს ქვეყანასთან, არგენტინის ჩათვლით, ორმხრივ ვაჭრობაში ადგილობრივი ვალუტის გამოყენების შესახებ. შეთანხმების **საერთო თანხა 95,6 მილიარდ აშშ დოლარს უდრის.**

ასე რომ, იუანით დოლარის შეცვლის პერსპექტივა მხოლოდ პროპაგანდისტული შეძახილი არ არის.

აღმოსავლეთისკენ ყურადღების გადანაცვლება შეეხო პურსაც ჩვენი არსობისა — ხორბალს: რუსეთი **„მარცვლეულის შეტევისთვის“** ემზადება. გადაწყვეტილია, რომ უახლოეს 10-15 წელიწადში მარცვლეულის ექსპორტის მოცულობა 40-50 მილიონ ტონამდე გაზარდოს და ამით უფრო წონადი გახადოს თავისი წილი მსოფლიო ბაზარზე, კერძოდ, 20 პროცენტამდე აიყვანოს.

ცნობისთვის: **ხორბლის წარმოებაში ლიდერობენ ჩინეთი და ინდოეთი. მესამე ადგილზეა აშშ, მეოთხეზე — რუსეთი. 1985 წელს ჩინეთმა აწარმოა 85807 ტონა, 1995 წელს — 102211 ტონა, 2005 წელს — 96160 ტონა მარცვლეული. რუსეთმა 1985 წელს აწარმოა 21000 ტონა, 1995 წელს — 30119 ტონა, 2005 წელს — 45500 ტონა მარცვლეული.**

რუსეთმა ყაზახეთთან და უკრაინასთან ერთად უნდა შეათანხმოს მსოფლიო ბაზარზე ექსპანსიის ძალისხმევა, რაც საშუალებას მისცემს მათ, იხსნან ეროვნული ბაზრები სპეკულაციური ფაქტორებისგან.

ამ ქვეყნების „ხორბლის გემი“ საკუთარი კურსით აპირებს სვლას ექსპორტის ოკეანეში, მით უფრო, რომ ზურგის ქარიც ხელს უწყობს — მარცვლეულის წამყვანმა ექსპორტიორმა ქვეყნებმა შეამცირეს ექსპორტის თავიანთი წილი. მაგალითად, აშშ-ს, რომელიც 2000 წელს უზრუნველყოფდა ექსპორტის 28 პროცენტს, ამჟამად საექსპორტო ხორბლის ბაზრის მხოლოდ 20 პროცენტი უკავია.

მოკლედ: ვიაროთ დასავლეთისკენ რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით.

მიუკერძოებელი ისტორიის დაწერა შესაძლებელი ყოფილა

რუსი და გერმანელი ისტორიკოსები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად დაწერენ XX საუკუნის ისტორიის სახელმძღვანელოს: წარმოუდგენელი ფაქტია საქართველოს დღევანდელი ვითარებისთვის — იმდენად განსხვავებული, და არც თუ იშვიათად, კონიუნქტურის ხედვა აქვთ ჩვენს ისტორიკოსებს ქვეყნის ისტორიულ მოვლენათა შეფასებაში. აი, რუსები და გერმანელები — მეორე მსოფლიო ომში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული სახელმწიფოების წარმომადგენლები კი შეთანხმდნენ. მეცნიერული კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, უწინარეს ყოვლისა.

ქართველებს რას ვერჩით. არნახულად ძნელი გამოდგა საერთო ენის გამონახვა ერთი ქვეყნის შემადგენლობაში მყოფი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მეცნიერ მუშაკთა შორის. „საბჭოთა ისტორიკოსების დონე დაკარგულია, მის ნაცვლად კი ნაციონალისტურის გარდა არაფერი შექმნილა“, — აღნიშნავენ მეცნიერები.

16 ივლისს მიუნჰენში პეტერბურგის დიალოგის ფარგლებში რუსეთისა და გერმანიის აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევა. 10 წლის განმავლობაში ერთობლივი კონსულტაციების შედეგად ორი ქვეყნის მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ გასული საუკუნის ისტორიულ მოვლენათა შეფასებაში ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან, მეორე მსოფლიო ომის შეფასებაშიც კი არ აქვთ განსხვავებული მიდგომები.

ამასთან, ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გარკვეულწილად, პროვინციებად ვიქეცით, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვამ კი იმ მაღალი მეცნიერული დონის დაკარგვა გამოიწვია, რომელიც უწინ ერთობლივი მუშაობით მიიღწეოდა.

„თავის დროზე ნაკრები გუნდი სომხეთიდან, საქართველოდან და აზერბაიჯანიდან ხუთი წლის განმავლობაში „კავკასიის ისტორიის შედგენას ცდილობდა“. არაფერი გამოვიდა. განსაკუთრებით რთული იყო სომხებთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობა. მოლაპარაკება ვერა და ვერ შევძელით. საჭიროა პრინციპები, რომლებსაც ყველამ უნდა მისდიოს. მათგან ერთ-ერთი ობიექტურობაა. ეს ნიშნავს პოლიტიკისგან ისტორიის გათავისუფლების ძნელ მცდელობას. უნდა ვაღიაროთ, რომ საეჭვოა, შეძლონ ამის გაკეთება ისტორიკოსებმა, რომლებიც თანამედროვეობით არიან დაკავებულები“, — ასკვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ მოკლე ხანში დაამუშავა და გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულებში პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით გადმოცემულია ისტორიული სინამდვილე. ნიშანდობლივია, რომ მკითხველი საზოგადოებრიობა, რომელიც ობიექტურობასაა მონატრებული, დიდი ინტერესით შეხვდა „ისტორიული მემკვიდრეობის“ გამოცემებს.

მიმოიხილა **არმაზ სანებლიძემ**

„მათ იფიქრეს, რომ ირანი საქართველოს ჰგავს“

ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა ალი ჰამენეის განცხადება, რომელიც მან ირანში საპრეზიდენტო არჩევნების ერთი კვირის თავზე გააკეთა და რომელშიც საქართველოს ერთგვარი დახასიათებაცაა მოცემული, სამწუხაროდ, ნეგატიურისკენ იმ ცვლილების საჯარო დემონსტრაციაა, რომელიც ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას საქართველოს მიმართ ჩამოუყალიბდა.

რა თქვა ჰამენეიმ?

„იმან, რასაც ზოგი აკეთებდა ირანში, შეცდომაში შეიყვანა დასავლეთი. მათ იფიქრეს, რომ ირანი საქართველოს ჰგავს, რამდენიმე წლის წინათ ერთმა ამერიკელმა სიონისტმა ინვესტორმა განაცხადა (თვითონ თქვა და მედიაშიც იუწყებიან): „საქართველოში 10 მილიონი დოლარი დავხარჯე და ხავერდოვანი რევოლუციით ხელისუფლება დავამხე, მის მაგივრად ახალი მოვიყვანეო“. სულელს ეგონა, რომ ისლამური რესპუბლიკა — ეს დიდი ერი — ისეთივეა, როგორც... რა ქვეყანას ადარებენ ირანს? ჩვენი მტრების პრობლემა ის არის, რომ ვერ გაუცნობიერებიათ, რა ერი ვართ“...

აი ასე: უთავმოყვარეო, ღირსებადაკარგული, 10 მილიონად ნაყიდი ერი! ერი კი ითქვა, მაგრამ დიდი დაკვირვება არაა საჭირო, რომ გავიგოთ — საქართველო კი არა, მისი ხელისუფლებაა ნაგულისხმევი („ხელისუფლება დავამხე — ხელისუფლება მოვიყვანე“). აი, რის „შუქურად“ წარმოუდგენიათ, თურმე, ეს ჩვენი ხელისუფლება — 10 მილიონად ნაყიდი მარიონეტი. ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას მაძლევს ის რეალობა, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ იყო ჩამოყალიბებული საქართველოსა და ირანს შორის, როცა პრეზიდენტი რაფსანჯანი უდიდესი პატივით, როგორც ღირსეული ქვეყნის ხელმძღვანელს, ხვდებოდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს თეირანსა თუ სხვა ქალაქებში, არა მარტო ყველა საზეიმო ოფიციალური რიტუალის დაცვით, არამედ ხალხური ტრადიციების სრული გამოხატვით (მოზვერის დაკვლა და ა.შ.), როცა აქტიურად მუშაობდა საქართველო-ირანის ერთობლივი ეკონომიკური კომისია და წყვეტდა პრაქტიკულ საკითხებს, რომლებშიც ორივე ქვეყანა დაინტერესებული იყო. ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზა“ იმ პერიოდში რეალურ კონტურებს ასე იძენდა. საშუალება მქონდა, ამ პროცესების რეალური მოწმე ვყოფილიყავი და ამიტომ ვლაპარაკობ ასე დაბეჯითებით. ახლა კი იძულებული ვარ, სოროსის ფულებით გამოსულელებულობის თავიდან ასაცილებელი არგუმენტები ვეძებო.

პუტინი მოლდოვას 500 მილიონ დოლარს დაჰპირდა...

ამას იტყობინება რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ՊՄՊ ნრვრყიმ“. ეს მოხდა მოლდოვას პრეზიდენტის ვლადიმირ ვორონინისა და რუსეთის პრემიერის ვლადიმერ პუტინის შეთანხმების საფუძველზე. პირველი ტრანში 150 მილიონის ოდენობით უახლოეს პერიოდში გადაირიცხება.

ფინანსური კრიზისის დასაძლევად რუსეთმა მეზობელი ქვეყნებისთვის კრედიტების მიცემა დაიწყო. ახლახან შეთანხმდნენ, რომ ბელარუსი რუსეთისგან ორი მილიარდი დოლარის კრედიტს მიიღებს, ამდენსავე — ყირგიზეთი, კუბას 350 მილიონ დოლარს მისცემენ, სომხეთმა კი მაისში უკვე მიიღო 500 მილიონი დოლარის შეღავათიანი სტაბილიზაციური კრედიტი.

„Reuters“ აზუსტებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოლდოვას დაკრედიტებაზე უარი უთხრა, მიზეზად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი დასახელდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

სააკაშვილი უზურპატორად შევარდნაძის ინიციატივით იქცა

ბაკურ გულუა: საჭიროა, ბათილად გამოცხადდეს 2004 წელს კონსტიტუციაში არასწორად, ანუ არალეგიტიმურად შეტანილი ცვლილებები

საქართველოში ყველაფერს აგდებით ვეკიდებით და ამ მხრივ არც კონსტიტუციას ვანებივრებთ. პირიქით, ყველა ხელისუფალი მის საკუთარ თარგზე გამოჭრას ცდილობს. ვენეციის კომისიამ და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ არაერთხელ მიუთითეს სააკაშვილის ხელისუფლებას, რომ 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებები არ შეეფერებოდა ევროპაზე ორიენტირებულ ქვეყანას და კატეგორიულადაც მოსთხოვეს მისი დემოკრატიული მმართველობის ჩარჩოებში მოქცევა. საქართველოს ხელისუფლებამ ამ მითითებას წაუყრუა, ისევე, როგორც ქვეყნისთვის სასიკეთო ყველა ინიციატივას, თუმცა უმძიმესმა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც სწორედ კონსტიტუციისადმი უდიერი მოპყრობით დაიწყო და ახლა უკვე პიკს მიაღწია, ხელისუფლება აიძულა, საკონსტიტუციო კომისია შეექმნა. მასში მონაწილეობაზე უარი თქვეს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა. კომისია კი მუშაობას უკვე ამ კვირაში დაიწყებს — პირველი სხდომა 27 ივნისს გაიმართება.

კონსტიტუციური ჩიხიდან გამოსვლის თაობაზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მოვიწვიეთ კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგის თავმჯდომარე ბაკურ გულუა და ვთხოვეთ, გაეცნო თავისი მოსაზრებები, თუ რა გზას უნდა დაადგეს ქვეყანა. ბატონ ბაკურს კრიზისის განმუხტვის საუკეთესო საშუალებად 2004 წლის თებერვლის ცვლილებების გაუქმება მიაჩნია და ამის თაობაზე მოსახლეობას, ხელისუფლებას, მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს, დიპლომატიურ მისიებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საინფორმაციო საშუალებებს სპეციალური მიმართვაც გაუგზავნა.

— ბატონო ბაკურ, 2004 წელს განხორციელებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა სერიოზულად შეცვალა მთელი საკანონმდებლო ბაზა. იყო კი უფლებამოსილი ის პარლამენტი, რომ ასეთი მკვეთრი ცვლილებები მიეღო?

— კონსტიტუცია შეცვალა ძველმა პარლამენტმა, რომელიც, ფაქტობრივად, აღმასრულებელი ხელისუფლების მძევალი იყო. 1999 წელს არჩეულმა პარლამენტმა 2003 წელს დაამთავრა თავისი უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა. ახლად არჩეული პარლამენტი კი, როგორც გახსოვთ, პირველივე სხდომის მიმდინარეობისას განდევნეს შენობიდან. აქ მთავარი ის არის, რომ ახალი პარლამენტი შეიკრიბა, კონსტიტუციის მიხედვით კი, წინა პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალი პარლამენტის შეკრებისთანავე. მიაქციეთ ყურადღება — შეკრებისთანავე, რათა გამოირიცხოს ორხელისუფლებიანობა. შესაბამისად, ძველ პარლამენტს უფლებამოსილება კონსტიტუციის უხეში დარღვევით გაუგრძელდა და ამ პარლამენტის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის, საკონსტიტუციო ცვლილებებიც, ავტომატურად ბათილია.

— იმ პარლამენტს, რომელიც გარეკეს სხდომათა დარბაზიდან, მუშაობა რომ გაეგრძელებინა, შეძლებდა კი წინააღმდეგობის გაწევას იმდროინდელი რევოლუციონერებისთვის და არ მიიღებდა იგივე საკონსტიტუციო ცვლილებებს?

— კონსტიტუციის მეხუთე მუხლი, რომელიც დღემდე ძალაშია და არ შეცვლილა, ამბობს, რომ ძალაუფლების წყაროა ხალხი. ხელისუფლების კი არა — ძალაუფლების! შემდეგ კი წერია, რომ არავის აქვს უფლება, არაკონსტიტუციურად მოახდინოს ხელისუფლების ფორმირება.

ხელისუფლების უწყვეტობა იმაში მდგომარეობს, რომ უნდა ჩატარდეს მორიგი არჩევნები, მორიგი არჩევნები კი 2004 წლის მარტში ჩატარდა. ეს არც ერთ კანონში არ წერია. ხუთი თვით ვინ გაუგრძელა ვადა? — არავინ იცის! თვითგაგრძელება აბსოლუტური ლაფსუსია. უფრო მეტიც, იცით, ვინ იყო 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატორი?

— პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდი.

— არავითარ შემთხვევაში.

ეს ცვლილებები ედუარდ შევარდნაძის დროს მომზადდა და მაშინდელ პარლამენტში ისინი სწორედ სააკაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა დაბლოკეს, მერე კი ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, ამ ცვლილებებში რაც კარგი იყო, ანუ ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების დაბალანსებას ემსახურებოდა, გააქრეს და პრეზიდენტის თარგზე გამოჭრეს ახალი ცვლილებები.

— ასეა თუ ისე, ეს ცვლილებები კონსტიტუციაში უკვე შევიდა და ამ რეალობას ვერსად გავექცევით.

— ამ რეალობის შეცვლა ადვილია. საჭიროა, ბათილად გამოცხადდეს კონსტიტუციაში არასწორად, ანუ არალეგიტიმურად შეტანილი ცვლილებები.

— ეს ხომ უამრავ საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს — მთელი რიგი კანონები იქნება შესაცვლელი. ხელის ერთი მოსმით ყველაფრის პირვანდელი სახით დაბრუნება შესაძლებელია?

— 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით არსებობს ვენეციის კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, შვიდი საკონსტიტუციო ცვლილება არაკანონიერია. ეს დასკვნა საქართველოს ხელისუფლებასაც გამოუგზავნეს და ევროსაბჭოსაც. ევროსაბჭოს ასამბლეამ დასკვნა განიხილა და საქართველოს მის საფუძველზე დემოკრატიის პრინციპების სერიოზულ დარღვევაში დასდო ბრალი. ამ დღეებში პიტერ სემნებიმაც განაცხადა, თუ კონსტიტუციას შეცვლით, ამას ვენეციის კომისია და ევროპა მიესალმებაო. უკვე ხუთი წელია, ამის გასწორებას გვთხოვენ. ჩვენი წინადადება სწორედ ამას გულისხმობს. ახლა შექმნეს საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც მივესალმებით, მაგრამ — არა უპირობოდ. საჭიროა, ჯერ გასწორდეს ის დარღვევები და მერე მის საფუძველზე მივიღოთ არა ახალი კონსტიტუცია, არამედ შევიტანოთ ცვლილება.

თუ კონსტიტუციის გადახედვაზეა ლაპარაკი, ეს უნდა ეხებოდეს მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის ნაწილს. დღეს საქართველო უნიტარული სახელმწიფოა ენგურსა და ერგნეთს აქეთ. მაგრამ იმისთვის, რომ გაფართოებული უფლებებით ჩვენთან შემოვიდეს აფხაზეთი, რომ შემოვიმტკიცოთ ყოფილი სამხრეთ ოსეთი, რა პირობები გვექნება შესასრულებელი, წინასწარ ვიცით? დღევანდელი დაპირისპირების მიზეზი გახდა ერთი კაცისთვის მთელი ძალაუფლების გადაცემა. ბუნებრივია, ვერ შეძლო და ვერც შეძლებდა მის თანაბარზომიერ გამოყენებას. ამან მიგვიყვანა თვითმპყრობელობამდე.

— და, შესაბამისად, გააჩინა საპროტესტო მუხტი...

— ამ საპროტესტო მუხტს ლეგიტიმური საფუძველი აქვს. ამიტომ გავასწოროთ კონსტიტუცია, დავნიშნოთ მორიგი არჩევნები და მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ ჩვენთან დემოკრატიული საზოგადოებაა, რომელმაც არ მოითმინა ხელისუფლების უზურპაცია.

ჩვენთვის მთავარი მხოლოდ იურიდიული საკითხების გარკვევა კი არ არის, მთავარია, რომ კონსტიტუციის დარღვევის გასწორება განმუხტავს სიტუაციას ქვეყანაში. საკონსტიტუციო კომისიას არ შეიძლება, ვადები დაუწესო, მაგრამ ხარვეზების გასწორება ახლავე შეიძლება.

— ბატონო ბაკურ, როგორ ფიქრობთ, საკონსტიტუციო კომისია, რომელიც ახლა იწყებს მუშაობას, ნდობას თუ იმსახურებს?

— ჩვენს ოფიციალურ მიმართვაში აღვნიშნავთ, რომ მათი მუშაობა უაღრესად საჭიროა, მაგრამ იგი ვერ მოხსნის შექმნილ დაძაბულობას. კომისია ამ შემადგენლობით თავის საქმეს მეცნიერულად გააკეთებს, თუმცა აქაც არსებობს პრობლემა — ამ კომისიის შემადგენლობაში არ არის ყველა, ვისაც მუშაობის სურვილი აქვს, თუმცა არიან ისეთებიც, ვისაც შესთავაზეს და უარი თქვეს. ესეც უნდობლობის მაჩვენებელია.

ვენეციის კომისიას არაერთხელ დაუწერია, რომ აღმოსავლეთ ევროპაში საქართველოს ყველაზე დაბალანსებული და საინტერესო კონსტიტუცია ჰქონდა. ყოველთვის, როცა ქართული წარმომადგენლობა ჩადიოდა ვენეციაში, ამას ხაზგასმით აღნიშნავდნენ, თუმცა 2004 წლის ცვლილებების შემდეგ რა შეფასებას აკეთებენ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

— კი მაგრამ, ამ ხელისუფლებას რაც უნდა დაბრალო, პიარის სპეციალისტები მაინც არიან და ეს როგორ შეეშალათ, მთელ ევროპაში რომ შეირცხვინეს თავი?

— თქვენ უკვე იცით, 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებს საფუძვლად რა დაედო. როგორც გითხარით, 2002 წელს ედუარდ შევარდნაძემ შეიტანა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც მინისტრთა კაბინეტის შემოღებას ითვალისწინებდა, მაგრამ ამის წინააღმდეგ წავიდა მიხეილ სააკაშვილი და საკითხი პარლამენტში ჩავარდა.

— მაშინ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანიას აქვს პრემიერმინისტრობის პერსპექტივა...

— სწორედ ამიტომ ჩაადგო სააკაშვილმა ეს პროექტი. გავიდა ორი წელიწადი და ისე, რომ ინიციატორი არ გაცხადებულა, მიიღეს ეს საკონსტიტუციო ცვლილებები, იმ განსხვავებით, რომ შევარდნაძის ძველ ინიციატივას თავისაც მიამატეს და მთელი ძალაუფლების უზურპირება პრეზიდენტის ხელში მოახდინეს.

ესაუბრა
ბონდო მჟინარაშვილი

აშშ ელჩს საქართველოში, ბატონ ჯონ ტეფტს, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს ამიერკავკასიაში, ბატონ პიტერ სემნებს

25 მაისს გავეცანით თქვენს ერთობლივ მოწოდებას მხარეებისადმი, რომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაიწყონ დიალოგები. ვფიქრობთ, ეს მორიგი წინადადებაც განწირულია და იგი გავლენას ვერ მოახდენს შექმნილ დაძაბულობაზე. ადრე მოგახსენებდით (მოქ. ბაკურ გულუა, 1992-95 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრები, კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა) ჩვენს მოსაზრებებს კონსტიტუციის დარღვევის შედეგად წარმოქმნილ სამართლებრივ კაზუსებზე და მათი გამოსწორების გზებზე.

კონსტიტუციურ სასამართლოს მივმართავთ საზოგადოებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, პარლამენტარები, რომელთაც 1995 წლის 24 აგვისტოს მივიღეთ მოქმედი კონსტიტუცია მოთხოვნით, ბათილად იქნეს ცნობილი 2004 წლის თებერვალში კონსტიტუციის გადასინჯვის მე-8 თავის მე-2 პუნქტის, კანონის სხვა მოთხოვნების დარღვევით შეტანილი ათობით ცვლილება. საქართველოს კონსტიტუციური სასამართლო ვალდებულია, მოკლე დროში განიხილოს ჩვენი სარჩელი და გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოო იქნება და არ დაექვემდებარება სხვა ინსტანციაში დამტკიცებას.

ამდენად, კონსტიტუციურმა სასამართლომ უნდა აღადგინოს 2004 წლის თებერვლისთვის მოქმედი კონსტიტუცია.

შედეგად, უნდა დაინიშნოს საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები. ეს გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ, რადგან 2004 წლის თებერვლამდე მოქმედი კონსტიტუციის აღდგენა ავტომატურად ითხოვს არაკანონიერი ორგანოების ლეგიტიმური ორგანოებით შეცვლას; ეს უკანასკნელი მხოლოდ არჩევნების გზით შეიძლება მოხდეს.

ამის შემდგომ აუცილებელია, დაიწყოს დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს შორის საარჩევნო კოდექსის, საარჩევნო სიებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის თაობაზე.

ვფიქრობთ, ეს არის ერთადერთი კანონიერი, კონსტიტუციური გზა არსებული მწვავე დაპირისპირების მოსახსნელად, რთული პრობლემების მშვიდობიანად მოსაგვარებლად.

ძალიან მოკლედ ეს ნიშნავს:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ჩვენი სარჩელის საფუძველზე ბათილად უნდა ცნოს საქართველოს კონსტიტუციაში კონსტიტუციის დარღვევით შეტანილი ცვლილებები და დანიშნოს მორიგი (არა რიგგარეშე) საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები;

2. ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე გარდაუვალია დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს შორის საარჩევნო კოდექსის, საარჩევნო სიებისა და საარჩევნო ადმინისტრაციების თაობაზე.

ველით თქვენს მხარდაჭერას და ენერგიულ ჩარევას ამ პროცესებში.

ბაკურ გულუა,
კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგის თავმჯდომარე
26.05.09 წ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მამათმავლის პროპაგანდისტული ლექცია ორმოცდაათამდე ვაჟი სტუდენტიდან პროტესტის ნიშნად მხოლოდ ერთმა დატოვა

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, განათლების რეფორმის პროექტის — „ილია ჭავჭავაძე“ — დირექტორი და ნაცმოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი გიგი თევზაძე საქართველოში განვითარებული მოვლენების მეტად ორიგინალურ ახსნას გვთავაზობს. ბატონი თევზაძის აზრით, საპროტესტო აქციები არა პოლიტიკურმა, არამედ სოციალურმა კრიზისმა განაპირობა. განათლების რეფორმატორი „ნაცმოელი“ კომუნისტურ რეჟიმთან აიგივებს „ტრადიციული ქართველის“ ცნებას, რომელიც, თურმე, საბჭოთა სტერეოტიპების ტყვეობაში მყოფი ადამიანია...

ფილოსოფოს თევზაძის ნააზრევის განმარტებით თავი რომ არ შეგაწყინოთ და ძვირფასი დრო არ დავკარგოთ, მცირედი შემოკლებით გთავაზობთ ერთ-ერთ სატელევიზიო პორტალზე (http://itv.ge/?p=10695) განთავსებულ გიგი თევზაძის ინტერვიუს. აქვე ხაზს ვუსვამთ, რომ ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის პატივცემული რექტორის მჭევრმეტყველების ნიმუშს სტილის სრული დაცვით ვბეჭდავთ, იმედია „ჩინებულად მოქართულე“ განათლების მამის საუბრიდან აზრის გამოტანა არ გაგიჭირდებათ. ვფიქრობთ, მკითხველი უნდა იცნობდეს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოსაზრებებს, რომლისთვისაც ქართული ღირებულებები ძველმოდური და სამარცხვინოც კია.

გიგი თევზაძე:

— არა მგონია, ქვეყანა ჩიხში იყოს. სოციალური კრიზისი, რა თქმა უნდა, ქვეყანაში არის, ამას ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური კრიზისი. როცა სოციალურ კრიზისზე ვლაპარაკობ, ეს არის არა პოლიტიკური ინსტიტუტების ან პოლიტიკურ ინსტიტუტებში დაპირისპირება, არამედ ეს არის სოციალური ინსტიტუტების დაპირისპირება. კონკრეტულად ამ შემთხვევაში არის მოქალაქეობის ორი ინსტიტუტი; ერთი, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის და მის შემდგომ პერიოდში და მეორე, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ შესთავაზა ქართულ საზოგადოებას. ამ ორ სოციალურ ინსტიტუტს შორის დაპირისპირება არსებობს; პრობლემა ისაა, რომ მათ შორის დიალოგი გამორიცხულია. ერთი ლაპარაკობს აღდგენაზე, მეორე — ახლის გაკეთებაზე. როგორც აღდგენაში, ასევე ახლის კეთებაშიც არის პრობლემები. ის, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი შორდება რადიკალური ოპოზიციის ძირითად ჯგუფს და გადადის მეორეში (მაგალითად, რაც გააკეთა ალასანიამ, გუბაზ სანიკიძემ), იმის მაჩვენებელია, რომ ხელისუფლების (და არა მარტო ხელისუფლების, საზოგადოების ნაწილის მიერაც) 2003-ში შეთავაზებული მოქალაქეობის ახალი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ჯერ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული, მაინც უფრო წარმატებულია, ვიდრე ის ძველი, რომლის წარმომადგენლებიც არიან, ძირითადად, რადიკალური ოპოზიციის ლიდერები. ამავე დროს, ხელისუფლებას უპირისპირდება ის ხალხიც, ვინც მოქალაქეობის ამ ორი სქემის გარეთაა დარჩენილი.

— **ვინ არიან ისინი?**

— ესენია ხალხი, ვისაც ხელისუფლებამ იმედგაცრუება მოუტანა, ვინც ვარდების რევოლუციის დროს იყო მასთან, უნდოდათ მოქალაქეობის ახალი სქემა, მაგრამ ის, რაც მერე ნახეს, მათ წარმოდგენებს არ დაემთხვა.

— **მაგალითად, ბურჯანაძე?**

— ბურჯანაძე სწორედ ის ადამიანია, ვინც ამ ძველ მოქალაქეობას და საბჭოთა კავშირის აღდგენას ცდილობს... იმ პოლიტიკური ლიდერების ძალა, რომლებიც დღეს გამოდიან და რადიკალუროპოზიციურად იქცევიან, სწორედ იმ ხალხშია, რომლებიც არ არიან პოლიტიკოსები, მაგრამ, ამავე დროს, ისინი არიან იმედგაცრუებულები ამ ხელისუფლებაში...

— **ძალიან ხშირად გიგი თევზაძე იმ ადამიანებს შორის მოიაზრება, რომლებიც ამ ხელისუფლების იდეოლოგიას ქმნიან. თქვენ რამდენად ეთანხმებით ამას? უწევს პრეზიდენტი ანგარიშს თქვენს რჩევებს?**

— კი, კი, უწევს ანგარიშს, რა თქმა უნდა, და ეს კარგია ჩემთვის იმიტომ, რომ მომეცა საშუალება, განმეხორციელებინა იმ იდეების ნაწილი, რომლებსაც როგორც თეორეტიკოსი, ამდენი ხნის მანძილზე ვქმნიდი. მე ვიყავი განათლების სისტემის რეფორმის პროექტის ხელმძღვანელი და ვარ 2004 წლიდან და ძალიან ბევრი რამე გაკეთდა ამ პროექტის ეგიდით, ძალიან ბევრი რამე, სამწუხაროდ, ვერ გაკეთდა. ძალიან ხშირად რასაც ჩემს გავლენას ეძახიან, სინამდვილეში სისტემის ნორმალურად მოწყობაა. სამწუხაროდ, საქართველოში ვერ იპოვეს ვერავინ, ვისაც ამ სისტემის დაცვას მიაწერდნენ. კი, ბატონო, მომაწერონ დაცვა მაშინ, როდესაც წარმატებული სისტემების ელემენტების შემოტანა მინდა საქართველოში. მაგრამ დამერწმუნეთ მე, ამ სისტემაში არაფერი მომიგონია და შეუძლებელიცაა მოიგონო, იმიტომ, რომ განათლების სისტემები 200 წელია არსებობენ და ყველანაირი ფორმა გამოცდილია. განათლების ის სისტემა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით 2003 წლამდე, აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარუმატებელი.

— **დღეს თუ არის გიგი თევზაძე მენტალობით ნამდვილი, ტრადიციული ქართველი?**

— ტრადიციული ქართველი რას ნიშნავს? ეხლა წაგიკითხავთ, თუ გინდათ: „მოახდინე ერთი გრუზინის და გურჯის დეფინიცია და რით განსხვავდება ის ქართველისაგან. გრუზინი, გურჯი არის ადამიანი, რომელიც იმყოფება პოსტსაბჭოთა სტერეოტიპების ტყვეობაში და გონია, პოლიციასთან თანამშრომლობა და კრიმინალის ჩაშვება გრეხია; რომ ქართული საბჭოთა განათლება და მეცნიერება მოწინავეა მთელს მსოფლიოში; რომ ადამიანი, რომელსაც თვალები ფართოდ არ ეხილება, ან სატანისტია, ან — ჩინელი; რომ კათოლიკე მწვალებელი და მართლმადიდებელის მტერია; რომ ნებისმიერი ფართოდაღიარებული ქართველი მოღვაწის გაკრიტიკება ანტიეროვნულობისა და ყოველივე ეროვნულის სიძულვილის ნიშანია; რომ მოსკოვი ყველაზე დონე ქალაქია; რომ დემოკრატია ჩვენთან ყვაოდა, როდესაც ევროპელები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და მათგან არაფერი გვესწავლება; რომ პოლიტიკური ლიდერის მიერ საჯაროდ დედის გინება მოსულა და სიალალის, კაი კაცობის ნიშანია; რომ კაცი ქუჩაში უნდა იზრდებოდეს; რომ ამათმა (ესე იგი მეც) მეცნიერება დაანგრიეს“. სხვათა შორის, ეს ქართველის რუსული განსაზღვრებაა. რუსეთში გაიგონებთ, რომ საქართველო რესტორანია და ვის გაუგია რესტორნის დამოუკიდებლობაო. ამას რუსები, დიდი ხანია, საქართველოზე ამბობდნენ და ბევრ ქართველს ეს მოსწონდა. მერე ქართულ სიზარმაცეზე, რა მაგარიაო და, დედა, რა კარგები ვართ ეს ქართველებიო და რა ვიცი... ჩართეთ, რამდენიც გინდათ, იმდენი იყო საკანში ამაზე ლაპარაკი. ამას თუ გულისხმობთ — ხაჭაპური, სმა, რესტორანში ცხოვრება — არა, რესტორანში ნამდვილად არ ვცხოვრობ. მაგრამ, ამავე დროს, მე არ მგონია, რომ რამენაირად უნდა შევურიგდე იმას, რომ საქართველოში ტრადიციული ქართველობა ამას ჰქვია. ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ თუნდაც შემდეგ თაობაში, ეს დარჩეს ანეგდოტად, რომ საქართველო რესტორანია.

ძვირფას რექტორთან, ბატონ გიგი თევზაძესთან „ახალი ქართველის“, რესტორნის ან ხაჭაპურის თემაზე კამათს არ ვაპირებ. ისიც გასაგებია, რომ ადამიანს, ვისაც სააკაშვილის მმართველობა ჰგონია სამოთხე მიწასა ზედა, შეუძლებელია, მოსწონდეს ტრადიციული და ქართული ტრადიციები. თქვენს ყურადღებას იმაზე გავამახვილებ, რომ ქვეყნის სათავეში პატრიოტული ლოზუნგებითა და ვარდით მოსულმა „ნაცების“ ხელისუფლებამ სულ რაღაც ექვს წელიწადში ქართულ საზოგადოებას ხელში მხოლოდ ეკალიღა შეატოვა. „დაჩხვლეტილი“ და ღირსებაშელახული საზოგადოება დღითიდღე ემიჯნება ეროვნულ ფასეულობებთან მოსისხლე მტერივით მებრძოლ სააკაშვილის ხელისუფლებას...

პირველი, რაც სააკაშვილის გარემოცვამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მიზანში ამოიღო, განათლების სისტემა იყო, რომელიც რეფორმის საფარქვეშ ძირფესვიანად შეცვალა და სწავლების სრულიად ახლებური მეთოდები დანერგა. ამ პროცესს, უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია — „ქველმოქმედ“ სოროსის მიერ დაფინანსებულ ლომაიასეულ რეფორმებს ასეულობით მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებელი შეეწირა, რომლებიც წიხლებით გამოყარეს უმაღლესი სასწავლებლებიდან. მაშინ, საზოგადოების მცირე ნაწილი თუ მიხვდა „რეფორმების“ ჭეშმარიტ მიზანს, მაგრამ დღეს ბევრისთვის ნათელია — ხელისუფლებას არ სჭირდებოდა ძველი თაობის პროფესორები, ვისთვისაც მიუღებელი იყო ე.წ. „რეფორმის“ კოსმოპოლიტური ქვედინებები. უფრო მეტიც, სააკაშვილის ხელისუფლება ეროვნული ღირებულებების მატარებელ პროფესორთა სახით ერთგვარ დაბრკოლებას გადააწყდა და საკითხიც ხისტად, ანუ სასწავლო დაწესებულებებიდან მათი გაყრით გადაწყვიტა...

საბჭოური განათლების მქონე პროფესორ-მასწავლებლები თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენო, — განმარტავდნენ „განათლების მამები“, ხოლო იმ სისტემას, რომლის დამკვიდრებასაც თვითონ ცდილობდნენ, რატომღაც „ირმის ნახტომი“ დაარქვეს.

ირმის ნახტომი ჭეშმარიტად შედგა, მაგრამ არა — წინ, არამედ — უკან. მათი მიზანიც, ალბათ, სწორედ ეს იყო და, თუ ასეა, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ რეფორმამ ასი პროცენტით გაამართლა...

საქმე ის გახლავთ, რომ განათლების რეფორმის მიზანი მხოლოდ სისტემის შეცვლა არ ყოფილა, პირიქით, ეს იყო ჩვეულებრივი სატყუარა, რომლითაც ხელისუფლების იდეოლოგებმა თავიანთი მიზანი შენიღბეს. დღეს ისინი რეფორმის ჭეშმარიტ მიზნებს თვითონაც აღარ მალავენ. „ახალი ქართველის“ აღზრდა და სრულიად განსხვავებული მენტალობის მქონე ადამიანის ჩამოყალიბება — აი, მათი პროგრამის საბოლოო ამოცანა.

უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა დღეს უკვე ხელისუფლების პროპაგანდისტულ საშუალებას წარმოადგენს, ახალგამოჩეკილი პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაგან ზოგს სრულყოფილი განათლებაც არ აქვს, წარმატებით ახორციელებენ ეროვნული სულისა და თვითმყოფადობის გარდაქმნას. შედეგიც სახეზე გვაქვს — ახალგაზრდობა სრულიად მოსწყდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და, თუ ოთხმოცდაათიან წლებში ეროვნული მოძრაობის სათავეში სტუდენტები იყვნენ, დღევანდელ ვითარებაში აბსოლუტურად საპირისპირო სურათი გვაქვს...

დროთა განმავლობაში უარესის მომსწრენიც გავხდებით, როცა „ახალი ქართველის“ იდეებით გამოკვებილ სრულიად განსხვავებული მენტალიტეტის მქონე ახალგაზრდობას საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ მონაწილეებად ვიხილავთ.

არ მინდა, ვინმემ გადაჭარბებაში ჩამომართვას, თუ სანიმუშოდ ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოვიყენე, სადაც „ვარდოსანთა“ საგანმანათლებლო ნოვატორული იდეები ყველაზე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი.

უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში (მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე) საერთოდ არ შედის ისტორია, ქართული ენა, ლიტერატურა და სხვა მსგავსი ძირითადი საგნები. სანაცვლოდ, გაძლიერებულად ასწავლიან ყველაზე მარტივ კომპიუტერულ პროგრამა „ვორდს“ და ინგლისურ ენას. ინგლისურის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ იქ, სადაც საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა პროგრამიდან ამოღებულია, გაუგებარია, რა საჭიროა ინგლისური და, მითუმეტეს, „ვორდი“...

ჩამოთვლილი საგნების გარდა უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ევროპის და ამერიკის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში პრიორიტეტულად აღიარებულ საგნებზე; მაგალითად, როგორიცაა სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა. ზოგს შეიძლება დაჯერებაც გაგიჭირდეთ, მაგრამ ამ საგანში ლექციებს უშუალოდ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, ე.წ. ცისფერები, ლესბოსელები კითხულობენ, რომლებიც დიდ სააქტო დარბაზში თავმოყრილ სტუდენტებს დაბეჯითებით არწმუნებენ ჰომოსექსუალებისადმი საზოგადოების პროტესტის უსაფუძვლობასა და „ტრადიციული ხედვების“ დრომოჭმულობაში. უფრო მეტიც, სასწავლებლის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აღნიშნულ საგანში სალექციო საათები მაქსიმალურად გაიზარდოს, რაც, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებში დიდად არ იწვევს პროტესტს... უფრო მეტიც, უკანასკნელ ასეთ „გაფართოებულ ლექციას“, რომელიც თავისი არსით ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აშკარა ელემენტებს შეიცავდა, ორმოცდაათამდე ვაჟი სტუდენტი ესწრებოდა. საგულისხმოა, რომ ლექცია პროტესტის ნიშნად მხოლოდ ერთმა სტუდენტმა დატოვა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ადრე ამ საკითხზე კომენტარს უნივერსიტეტის რექტორი პატივცემული გიგი თევზაძე თავს არიდებდა. დღეს კი (როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ უკვე დროა) დაუფარავად საუბრობს თავის „საგანმანათლებლო უწყებაში“ მიმდინარე ავბედით პროცესებზე.

თუ მის სატელევიზიო გამოსვლას გაეცანით, დამეთანხმებით, რომ გიგი თევზაძისგან გასაკვირი არცაა მსგავსი „ულტრალიბერალიზმი“, პირიქით, გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, რომ იგი ეროვნული ფასეულობების დამცველი ყოფილიყო... რატომ? — თუნდაც იმიტომ, რომ მისთვის ყველაფერი ქართული, ეროვნული და ტრადიციული მხოლოდ რესტორნისა და ხაჭაპურის ასოციაციას აღძრავს.

თუნდაც იმიტომ, რომ ის იყო (და დღემდე რჩება) ლომაიასეული რეფორმის ერთ-ერთ თავკაცად, მთავარ იდეოლოგად. მან პირველმა დააყენა დედაუნივერსიტეტში ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის და სხვა დიდ ქართველთა კაბინეტების გაუქმების საკითხი.

დიდაქტიკაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, მგონი, საზოგადოებისთვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, საით მივყავართ ზნეობრივი პრინციპებისგან დაცლილ რეფორმას, რომლის უმთავრესი მიზანი იყო და არის „ახალი ქართველის“, ანუ უსახური მენტალიტეტის მქონე ადამიანთა შტამის გამოყვანა...

ჯაბა ჟვანია

ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ? ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ: 38-41-97, ᲐᲜ ᲛᲝᲒᲬᲔᲠᲔᲗ: info@geworld.net

ᲓᲡᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠ ᲘᲕᲘᲜᲧᲔᲑᲡ!

ᲓᲡᲗ წევრი ქვეყნების ჰუმანიტარული თანამშრომლობის შესახებ დეკლარაციის თანახმად, შემოქმედებითი და მეცნიერული ინტელიგენციის ფორუმების გადაწყვეტილებით, თანამეგობრობის მიერ 2009 წლის ახალგაზრდობის წლად **გამოცხადებისა და** იუნესკოს **მიერ** კულტურათა დაახლოების წლად **2010 წლის გამოცხადების გამო, ასევე — რელიგიათაშორისი და კულტურათაშორისი დიალოგის საკითხში** გაეროს ათი წლისთავისათვის **მზადების გათვალისწინებით** 2009 წლის 18 ივნისს მოსკოვში დსთ წევრი სახელმწიფოების ჰუმანიტარული თანამშრომლობის საერთაშორისო ფონდის ეგიდით, **რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების, დსთ წევრი სახელმწიფოების სამინისტროებისა და უწყებების, დსთ საქმეთა და საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობის ფედერალური სააგენტოსა და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, რუსეთის მეცნიერებათა და სამართლის აკადემიების მხარდაჭერით** გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგი — დსთ სივრცეში ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარების სისტემაწარმომქმნელი ფაქტორი.“

ᲯᲐᲰᲐᲜ ᲞᲝᲚᲘᲔᲕᲐ

კონფერენციის მუშაობაში (პლენარული სხდომა და მომდევნო სამი თემატური „მრგვალი მაგიდა“) მონაწილეობდა რფ საგარეო საქმეთა მინისტრი, იუნესკოს საქმეებში რფ კომისიის თავმჯდომარე **ს. ვ. ლავროვი** (რომელმაც პლენარული სხდომა გახსნა); რფ პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში, დსთ წევრი სახელმწიფოების ჰუმანიტარული თანამშრომლობის სახელმწიფოთაშორისი ფონდის თანათავმჯდომარე **მ. ე.შვიდკოი** (პლენარული სხდომისა და ერთ-ერთი „მრგვალი მაგიდის“ წამყვანი); დსთ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ტ. ი. ბუზუბაევი;** რფ პრეზიდენტის თანაშემწე, რფ პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი დსთ წევრი ქვეყნების ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხებში, დსთ ქვეყნების ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხების საბჭოს თავმჯდომარე **ჯ. რ. პოლიევა;** რფ სახელმწიფო დუმის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **გ. პ ივლიევი;** ყაზახეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, დსთ წევრი სახელმწიფოების ჰუმანიტარული თანამშრომლობის სახელმწიფოთაშორისი ფონდის საბჭოს თავმჯდომარე **ჟ. კ. ტუიმბაევი;** იუნესკოს აღმასრულებელი კომიტეტის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ლაკატოში;** მოსკოვში იუნესკოს ბიუროს დირექტორი, იუნესკოს წარმომადგენელი აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელარუსში, მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციაში **ბ. დენდევი;** მოსკოვის მ. ვ ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ვ. ა. სადოვნიჩი;** ტაჯიკეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **მ. ი. ილოლოვი;** რფ კულტურის მინისტრის მოადგილე **ა. ე ბუსიგინი;** ერევნის ვ. ლ ბრიუსოვის სახელობის სახელმწიფო ლინგვისტიკის უნივერსიტეტის რექტორი **ს. ტ. ზოლიანი;** უკრაინის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **პ. პ. ტოლოჩკო;** რფ სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მინისტრის მოადგილე **ო. ა. როჟნოვი;** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ა. ო. ჩუბარიანი** („მრგვალი მაგიდის“ ერთ-ერთი წამყვანი); რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ა. გ. ლისიცინ-სვეტლანოვი;** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემისკოსი **ა. ა. ჰუსეინოვი;** თათართა რესპუბლიკის კულტურის მინისტრი **ზ. რ. ვალეევი;** რუსეთში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და განსაკუთრებული ელჩი **პ. ბულბულ ოღლი;** მოლდოვას რესპუბლიკის განსაკუთრებული და სრულუფლებიანი ელჩი **ა. კ. ნეგუცა;** სომხეთის რესპუბლიკის განსაკუთრებული და სრულუფლებიანი ელჩი **ა. ბ. სუმბათიანი** და სხვა ოფიციალური პირები, დამოუკიდებელი ექსპერტები, შემოქმედებითი და მეცნიერული საზოგადოებრიობის, დსთ აღმასრულებელი კომიტეტის, დსთ და იუნესკოს პარლამენტთაშორისი ასამბლეის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო ორი დადგენილება **„დსთ-ის პარლამენტთაშორისი ასამბლეის შესახებ“,** რომელთა მიხედვითაც ფორმალურად დასრულდა თანამეგობრობიდან ქვეყნის გამოსვლის ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაწყებული სამართლებრივი პროცედურა, **კონფერენციის მონაწილეებმა საჭიროდ მიიჩნიეს მოსკოვში საქართველოს დელეგაციის მიწვევაც. კონფერენციაზე საქართველოს წარმოადგენდნენ:** არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე **ტ. გაგნიძე,** ყოველკვირეულ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი **ი. თოდუა,** პოლიტოლოგი **ა. ჭაჭია** და ამ წერილის ავტორი, პუბლიცისტი და პოლიტოლოგი **ა. ხიდირბეგიშვილი,** რომლებსაც კონფერენციის მიმდინარეობისას უამრავი არაფორმალური შეხვედრა ჰქონდათ როგორც სტუმრებთან — დსთ-ის სხვადასხვა ქვეყნების დელეგატებთან, ასევე — ღონისძიების ორგანიზატორებთან.

(შეგახსენებთ, რომ საქართველომ 1993 წლიდან, როცა დსთ სრულუფლებიანი წევრი გახდა, 2008 წლამდე მოქმედი 1300 ხელშეკრულებიდან ხელი მოაწერა 598 საკვანძო დოკუმენტს, რომელთა შორისაც იყო ხელშეკრულებები თავისუფალი სავაჭრო ზონის, უვიზო რეჟიმის, საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის ურთიერთაღიარების შესახებ, სამართლებრივი დახმარების კონვენცია და სხვ. ***ამგვარად, დსთ-დან გამოსვლით საქართველომ მოახდინა თავისი მონაწილეობის ანულირება ხელშეკრულებებში, რომლებიც მას თავისი რესურსებით უმდიდრეს შუა აზიის ქვეყნებსა და აზერბაიჯანთან (რომელთან თანამშრომლობისთვის აშკარად მეტოქეობენ ევროპის, შეერთებული შტატებისა და ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანა!) აკავშირებდა, ასევე, — რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ღვინისა და მინერალური წყლებისთვის დღემდე უალტერნატივო ბაზარს წარმოადგენს.)***

კონფერენციის მიზანი იყო:

— კულტურათაშორისი დიალოგისთვის კონკრეტული მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემუშავება, დსთ ქვეყნების ერთობლივი მოქმედების გეზისა და ჩარჩოების დასახვა თანამეგობრობისთვის პრიორიტეტულ ოლქებში;

— დსთ სივრცეში კულტურათაშორისი დიალოგისთვის მიდგომისა და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის საშუალებების გამონახვა, თანამეგობრობის სახელმწიფოთა ჰუმანიტარული ცოდნის, განათლების, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს უნიკალური საინტეგრაციო პოტენციალის გამოყენებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კონფერენციის მონაწილეთა ღრმა პატივისცემა და უზარმაზარი ინტერესი ქართული დელეგაციის მიმართ და ორგანიზატორთა ღრმა თანაგრძნობა და წუხილი იმის გამო, რომ საქართველო ვეღარ შეძლებს კულტურის, განათლების, მეცნიერების, კულტურული მემკვიდრეობის, ინფომაციისა და მასობრივი კომუნიკაციის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდებთან მუშაობის 100-ზე მეტ ერთობლივ პროექტსა და ღონისძიებაში მონაწილეობას. პროექტებში, რომლებიც დსთ წევრი ქვეყნების ჰუმანიტარული თანამშრომლობის სახელმწიფოთაშორისი ფონდის მხარდაჭერითა და ეგიდით ხორციელდება და დსთ წევრი ქვეყნების ჰუმანიტარული თანამშრომლობის სფეროში 2009-2010 წლების პრიორიტეტულ ღონისძიებათა გეგმის საფუძველს წარმოადგენს, რომელიც 2009 წლის 22 მაისს ასტანაში (ყაზახეთი) დსთ ქვეყნების მთავრობების მეთაურთა საბჭოს სხდომაზე მოიწონეს. მათ შორისაა:

МФГС Межгосударственный фонд гуманитарного сотрудничества государств-участников СНГ

IFESCCO The Intergovernmental Foundation for Educational, Scientific and Cultural Cooperation

— დსთ ქვეყნების ახალგაზრდა პედაგოგთა და მეცნიერთა შორის ყოველწლიური პრემიის **„დებიუტების თანამეგობრობა“,** ასევე, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში დსთ სახელმწიფოთაშორისი პრემიის — **„თანამეგობრობის ვარსკვლავები“** — მოსაპოვებელი კონკურსები;

— მიმდინარე წლის სექტემბერში ქალაქ კიშინიოვში დსთ ქვეყნების შემოქმედებითი და მეცნიერული ინტელიგენციის **მე-4 ფორუმი;**

– მუსიკალური ფესტივალები, უდიდესი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი **„ოქროს ნიღაბი“,** რომლის ჩარჩოებშიც პირველად გაიმართება დსთ და ბალტიისპირეთის ქვეყნების სპექტაკლთა კონკურსგარე პროგრამა **„მასკა პლუსი“,** ასევე თეატრალური ბაზრობა **„PRO — თეატრი 2009“;**

— დსთ-ის **ღია ქსელური უნივერსიტეტის** შექმნა თანამეგობრობის ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტების კონსორციუმის ფორმით, **ნანო– და საინფორმაციო ტექნოლოგიებში უმაღლესი კურსების** ჩატარება, დსთ ქვეყნების **ნანოტექნოლოგიების საერთაშორისო ინოვაციური ცენტრის** შექმნა, ასევე, როგორც თავის გამოსვლაში მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **ვ. ა. სადოვნიჩიმ** აღნიშნა, **მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოსმოსურ თანამგზავრზე დსთ წევრი ქვეყნების სახელმწიფო უნივერსიტეტთა აპარატურების განთავსება** და თანამეგობრობის ქვეყნების ინტერესებში განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევების წახალისება;

— დსთ **ინტერნეტპორტალის** შექმნა;

— დსთ ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი **სატელევიზიო ფესტივალი** სახელმწიფოთაშორის ტელერადიოკომპანია „მირთან“ ერთად, სატელევიზიო პროგრამები ჰუმანიტარული თანამეგობრობის საკითხებზე, ტელემარათონი და **დიდ სამამულო ომში გამარჯვების 65-ე წლისთავისადმი** მიძღვნილი სხვა ღონისძიებები;

— დსთ წევრი ქვეყნების საერთაშორისო **სპორტული თამაშები;**

— დსთ წევრი ქვეყნების ახალგაზრდული მოძრაობის **ლიდერთა საერთაშორისო სკოლა** და სხვა მრავალი ღონისძიება.

აი ასე, თანამეგობრობის თემაზე საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული ტაბუს, გამუდმებული „შავი პიარის“ გამოისობით, რომლის შედეგადაც ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში ჩამოყალიბდა სტერეოტიპი: *„დსთ — ხალხების ციხეა, თანამეგობრობაში შესვლა საბედისწერო შეცდომა იყო და საჭიროა მისი დაუყოვნებლივ დატოვება!“*

— ჩვენ წარმოდგენაც არ გვქონდა, რამდენი რამ კეთდებოდა ბოლოხანს დსთ წევრი ქვეყნებისათვის კულტურისა და განათლების სფეროებში, რითაც ჩვენივე ხელით მოვუსპეთ ქართველ ახალგაზრდებს პროფესიული განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების, სტუდენტთა გაცვლის პროგრამებში მონაწილეობისა და რუსეთის ფედერაციისა და დსთ ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის ლიმიტების მიღების უზარმაზარი პერსპექტივები; იმ უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრისა, რომლებშიც სწავლების დონე არანაკლებ და ხშირად უფრო მაღალიცაა, ვიდრე საქართველოში დღეს მოდადაქცეულ ამერიკისა და ევროპის ნაქებ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში!

სამწუხაროა, რომ საქართველო **ვერ მოხვდება** კონფერენციის მუშაობის შედეგად მიღებულ რეზოლუციაში მითითებული პრეფერენციებისა და შესაძლებლობების არეალში. კერძოდ, **მონაწილეობას ვერ მიიღებს დსთ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხის მომზადებაში, ექსპერტთა ერთობლივი ჯგუფის ჩამოყალიბებასა და დსთ კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებით ფასეულ ობიექტთა რეესტრის შექმნაში.**

ერთ-ერთ „მრგვალ მაგიდაზე“ — **„თანამეგობრობის ქვეყნების საერთო კულტურული მიღწევების შენარჩუნება, განვითარება და მისკენ ახალგაზრდებისთვის გზის გაფართოება“** — დიდი რეზონანსი გამოიწვია საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიას** გამოსვლამ, რომელმაც აღნიშნა, რომ:

1. რუსეთს არ აქვს მსოფლიო პროექტი — საკუთარი სახელმწიფოებრივი განვითარების ხანგრძლივვადიანი კონცეფცია და, როგორც შედეგი, — საქართველოსა და დსთ ქვეყნების მიმართ მკაფიო პოლიტიკური ხაზი;

2. ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის შემოქმედებითი და მეცნიერული ინტელიგენცია უგულებელყოფს საკუთარ ისტორიულ მიღწევებს, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნების ისტორიას;

3. ახდენს საერთო კულტურული ფასეულობების ნიველირებას და ზოგჯერ – შეგნებულ დამახინჯებასაც. მაგალითად: 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვებისა, რამაც სულიერი კავშირის გაწყვეტამდე მიიყვანა მამებისა და შვილების თაობა, რომელიც ფალსიფიცირებული ისტორიის საფუძველზე აღმოცენდა;

3. ერთიანი რუსულ-ქართული საინფორმაციო სივრცის არარსებობა (განსაკუთრებით კი – 2008 წლის აგვისტოს საინფორმაციო ბლოკადის შემდეგ) და შედეგად – საქართველოს მოსახლეობის ინფორმაციული ვაკუუმი, მის მიერ რუსეთსა და დსთ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული პროცესების არცოდნა, თუმცაღა ამ ქვეყნებში მილიონზე მეტი ქართველი — საქართველოს მოქალაქე და თანამემამულე ცხოვრობს.

ამასთან დაკავშირებით **ა.ჭაჭიამ** ხაზი გაუსვა საქართველოში 2009 წლის თებერვლიდან გამოცემული ყოველკვირეული გაზეთის — **„საქართველო და მსოფლიო“,** ასევე, გაზეთის **რუსულ და ქართულენოვანი ინტერნეტსაიტის www.geworld.net** წვლილს, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთო საქართველოს რუსულენოვანი მოსახლეობა; ისაუბრა **არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“** მოღვაწეობაზე, რომელმაც უმოკლეს ხანში უკვე **7 ტომი** გამოსცა სერიიდან **„ჟამი ხსნისა“,** რომელიც უტყუარი ისტორიული დოკუმენტების ფრაგმენტთა თემატური ნაკრებია

პროექტმა „100 ახალი საავადმყოფო“ ჩაილუქრის წყალი დალია

წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა, თბილისის №5 სამშობიარო სახლი, რადიოლოგიური კლინიკა, ქალაქის №4 კლინიკური საავადმყოფო (ყოფილი მე-8 საავადმყოფო), ვირსალაძის სახელობის პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი; ხობში, ხელვაჩაურში, ბოლნისსა და საგარეჯოში სამედიცინო ობიექტები, გარდა „03“-ისა, ზუგდიდის ჯანდაცვის ობიექტები — ყველა ეს სამედიცინო დაწესებულება შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ „100 ახალი საავადმყოფოს“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სულ რაღაც 1000 დოლარად გადაეცა.

ჯანდაცვის სფეროში ფინანსების მოზიდვის მიზნით ხელისუფლებამ ინვესტორებს შესთავაზა, თუ ახალ მრავალპროფილიან საავადმყოფოს ააშენებდნენ, საჩუქრად ძველ ინფრასტრუქტურას მიიღებდნენ. ამ პროგრამის ფარგლებში 15 საკონკურსო შერჩევა ჩატარდა და სწორედ „ბლოკ-ჯორჯია“ აღმოჩნდა ის კომპანია, რომელმაც ყველაზე მეტი საავადმყოფო ჩაიგდო ხელში. მას ეს წარმატება საბანკო-საგარანტიო თანხამ — 13 მლნ დოლარმა მოუტანა, თუმცა, როგორც გავარკვიეთ, აღნიშნულმა ფირმამ ფულის ნაცვლად ფოთის სადაზღვევო კომპანია „ვესტის“ გარანტია წარადგინა, რომელსაც, თავის მხრივ, რისკები გადაზღვეული ჰქონდა ყაზახურ სადაზღვევო კომპანია „ევრაზიაში“. საგულისხმოა ისიც, რომ შპს „ბლოკ-ჯორჯია“, რომლის დირექტორი ვინმე მამუკა ჯანაშვილია, სამშენებლო კომპანიაა.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, როგორ ასრულებს ეს ფირმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და რა მდგომარეობაშია სულ რაღაც 1000 დოლარად შეძენილი სამედიცინო დაწესებულებები.

მართალია, ჯანდაცვის სამინისტროში გვარწმუნებდნენ, რომ „ბლოკ-ჯორჯიამ“ ზუგდიდის სამედიცინო ობიექტებში 3 მილიონი დოლარის ღირებულების აღჭურვილობა შეიტანა, 100-საწოლიან ჰოსპიტალსაც აშენებს და ყველა პირობას ზედმიწევნით ასრულებს, მაგრამ, მოგეხსენებათ, გაგონილს ნანახი სჯობია და გადავწყვიტეთ, თავად დავრწმუნებულიყავით ჯანდაცვის სამინისტროს ობიექტურობაში. პირველად ყოფილ მე-8 საავადმყოფოს ვეწვიეთ, ანუ ქალაქის №4 კლინიკურ საავადმყოფოს.

აღნიშნულ კლინიკას შორიდანვე ეტყობა, რომ ახალ მფლობელს საერთოდ არ უზრუნია მის იერსახეზე. შენობაში შესვლისთანავე თვალში გეცემათ კომუნისტებისდროინდელი საკაცეები, ბათქაშჩამოყრილი კედლები, დაზიანებული კარები და ფანჯრის საღებავგადასული რაფები. ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის ყველა სართულსა და განყოფილებაში. თუკი რომელიმე პალატა ან კაბინეტი მოწესრიგებულია და კოსმეტიკური რემონტი აქვს ჩატარებული, ამაში წვლილი ახალ მფლობელს არ მიუძღვის. **„ეს შესახვევი თავის დროზე ჩვენი სახსრებით შევღებეთ,** — გვითხრა საავადმყოფოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, — **აბა, შეიხედეთ, თუ შეიძლება აქ პაციენტის მოთავსება? — რა თქმა უნდა არა. ახალ მფლობელს არაფერი გაუკეთებია, ერთადერთი ცვლილება, რაც ინვესტორის შემოსვლის შემდეგ განხორციელდა, ეს მომსახურების ტარიფების გაზრდაა. ამის გამო პაციენტების რაოდენობამ იკლო“.**

გაზრდილი ტარიფები არ ასახულა მედპერსონალის ანაზღაურებაზე. შესაბამისად, კლინიკის შიდაკორუფციული სქემა უცვლელი დარჩა. როგორც ერთ-ერთმა პაციენტმა გვითხრა, მიუხედავად იმისა, რომ დაზღვევა აქვთ, მათ ყოველდღიურად სთხოვენ წამლების მიტანას, დღე-ღამეში კი მომსახურებისთვის არაოფიციალურად 40 ლარს ახდევინებენ, რაც ჯამში საშუალოდ 70-80 ლარი უჯდებათ. **„ამხელა თანხას ვიხდით და პირობები მაინც იყოს, საავადმყოფო ნაგავში იხრჩობა“,** — გულისტკივილით აღნიშნა ჩვენმა რესპონდენტმა.

მართლაც, ყოფილ მე-8 საავადმყოფოში ისეთი საშინელი მდგომარეობაა, რომ ავადმყოფის მორჩენას ვინ დაეძებს, იქ შესული ჯანმრთელი ადამიანიც კი ცუდად გახდება, თუმცა ჩანს, მედპერსონალის ნაწილს ეს არ აღელვებს. როგორც კი მათთან საავადმყოფოს პრობლემებზე დავიწყეთ საუბარი, მაშინვე უარყოფითად განეწყვნენ ჩვენ მიმართ. ერთ-ერთმა ექიმმა (მან თავი ქირურგ ჯანო ვაშაძედ წარმოგვიდგინა) ყოველგვარი მიზეზის გარეშე გვითხრა: **„რა უფლება გაქვთ, შენობაში აღმა-დაღმა იაროთ, პაციენტებს პალატებში შეუცვივდეთ და შეაწუხოთ. თუ ახლავე არ დატოვებთ შენობას, დაცვის სამსახურს გამოვიძახებთ და კინწისკვრით გაგისვრით გარეთ“.** მან ხელით გასასვლელისკენ მიგვითითა და შემდეგ რეგისტრატურის მორიგე ოპერატორს დაავალა, მედპერსონალთან ჩვენი კონტაქტი არ დაეშვა. მორიგე ოპერატორმა შესაშური სიზუსტით შეასრულა დარიგება — მისაღებში გამოჩენილ თეთრხალათიანებს მკაცრ გაფრთხილებებსა და ინსტრუქციებს აძლევდა: **„ჟურნალისტია მოსული და ისეთი არაფერი წამოგცდეთ, რაც ხელმძღვანელობას არ მოეწონება; ხომ იცით, რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს ნათქვამსო“.**

> **ჯანო ვაშაძე: ჟურნალისტია მოსული და ისეთი არაფერი წამოგცდეთ, რაც ხელმძღვანელობას არ მოეწონება. ხომ იცით, რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს ნათქვამს!**

სამწუხაროა, რომ კლინიკის თანამშრომლები ასე ცუდად განეწყვნენ ჩვენ მიმართ და საავადმყოფოში არსებულ პრობლემებზე საუბარი არ ისურვეს, პირიქით, ხელის შეშლაც სცადეს. შესაძლოა, ეს სამსახურის დაკარგვის შიშით გამოწვეული რეაქცია იყო ან, სულაც, არ აღელვებთ, რა პირობებში უწევთ მუშაობა... სამაგიეროდ, საავადმყოფოს მომსახურებით უკმაყოფილო პაციენტები არიან.

ცნობისთვის: პროექტის ფარგლებში ინვესტორების მიმართ ძირითადი მოთხოვნები იყო არსებული ქსელის ინფრასტრუქტურის განახლება, ხარისხიანი ჰოსპიტალური მომსახურებისადმი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინვესტიციები იმ მასშტაბით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამედიცინო მომსახურების ფასების სტაბილურობა. მე-8 საავადმყოფოში ინვესტორის შესვლის შემდეგ არც მომსახურების ხარისხი გაზრდილა და არც ფასებია სტაბილური. პაციენტებისთვის მკურნალობის ხარჯები კი, უხეშად რომ ვთქვათ, გასამმაგდა.

პროექტ „100 ახალი საავადმყოფოს“ პირობების თანახმად, კონკურსში გამარჯვებულმა ფირმებმა ეკონომიკის განვითარების სამინისტროს ექვს თვეში ერთხელ ანგარიში უნდა წარუდგინონ; ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში კი სამინისტრო უფლებას იტოვებს, მათ მიმართ ფინანსური სასჯელი განახორციელოს, უკიდურეს შემთხვევაში, — ჩამოართვას გადაცემული ქონება. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამშენებლო კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული თითქმის არც ერთი პირობა არ შეუსრულებია, რატომღაც, მის მიმართ არანაირი სანქცია არ დაუწესებიათ. უფრო მეტიც, როგორც გავარკვიეთ, შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ სახელმწიფო გარანტად უდგება, ჩეხეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკიდან კრედიტი რომ აიღოს. სახელმწიფოს გარანტად დადგომა კი რასაც ნიშნავს, ყველამ კარგად იცის. თუ კომპანია ვერ გადაიხდის ვალებს, მაშინ ბიუჯეტმა უნდა დაფაროს დავალიანება.

საინტერესოა, რატომ ხუჭავს თვალს ხელისუფლება აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, რატომ უდგება გარანტად ისეთ კომპანიას, რომელმაც თითქმის ყველა პირობა დაარღვია და საავადმყოფო საკუთარი გამდიდრების წყაროდ აქცია? არ გვინდა, ვინმე კორუფციაში დავადანაშაულოთ, მაგრამ ამ ერთი მაგალითითაც ნათელია, რომ „100 ახალი საავადმყოფო“ ისეთივე ბლეფია, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გაპიარებული ყველა სხვა დანარჩენი პროექტი და არჩევნებიდან არჩევნებამდე საქართველოს მოსახლეობის ილუზიებით გამოკვებისა და ვიღაც-ვიღაცების ჯიბეთა გასქელებისთვისაა გამიზნული.

ჩვენ დავუკავშირდით ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს, ბატონ კოკა ფრუიძეს და ვცადეთ, გაგვერკვია, რატომ არ შეასრულა საინვესტიციო ვალდებულებები შპს „ბლოკ-ჯორჯიამ“. მინისტრის მოადგილემ უვიცობაში დაგვადანაშაულა და გვითხრა: „რომელ პროექტში წერია, რომ ჰოსპიტალი 2009 წლისთვის უნდა აშენებულიყო? ხელშეკრულება 2011 წლისთვის ითვალისწინებს ახალი სამედიცინო ინფრასტრუქტურების შექმნას. როგორც ჩანს, პროექტი ნანახიც არ გაქვთ და არც ამ საქმეში ხართ გარკვეულიო“.

— ბატონო კოკა, საქმეში რომ უკეთ ჩაგვეხედა, იმ ავადსახსენებელ საავადმყოფოში იმიტომაც მივედით. რა, ხარისხიან მომსახურებას არ ითვალისწინებს პროექტი „100 ახალი საავადმყოფო“?

— როგორ არა, ჩვენ ვაწარმოებთ დაკვირვების მონიტორინგს 6 თვის სიხშირით და საავადმყოფოს მდგომარეობის მიხედვით გადავწყვეტთ, უნდა დავაჯარიმოთ თუ არა კომპანია.

— ინვესტორიც ვალდებულია, ექვს თვეში ერთხელ წარმოადგინოს ანგარიში...

— ექვსი თვე ჯერ არ გასულა...

— როდის იწურება ვადა?

— არ მახსოვს. თქვენ ერთ დღეში გსურთ მასალის მომზადება. სწორედ ერთდღიანი მასალებია, ტენდენციური რომ გამოდის.

— ჩვენ უკვე ერთი კვირაა, ვცდილობთ დაკავშირებას და მხოლოდ დღეს მოგვეცა თქვენთან გასაუბრების საშუალება.

— ერთი თვით ადრე უნდა დაგეჭირათ თადარიგი. ობიექტური მასალა რომ გამოვიდეს, ჩემთან უნდა მობრძანდეთ და მინიმუმ ორი საათი ვისაუბროთ ამ თემის ირგვლივ.

— კი ბატონო, დაგვითმეთ ხვალ ორი საათი და გაგვარკვიეთ, რა ხდება სინამდვილეში.

— თქვენ, ალბათ, თავისუფალი დღე გაქვთ ხვალ, აბა, ახლა მე მკითხეთ, მცალია? ამ სიტყვებით მინისტრის მოადგილემ ყურმილი დაგვიკიდა.

P.S. გასაკვირია, ბატონი კოკა თან ტენდენციურობასა და უვიცობაში გვადანაშაულებს, თან დროსაც ვერ პოულობს საიმისოდ, რომ აგვიხსნას, თუ რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე პროექტ „100 ახალი საავადმყოფოს“ ფარგლებში. იქნებ, არც სურს, რომ პროექტის სიღრმეებში ჩავიხედოთ და რეალობა დავინახოთ, ამიტომაც გვეუბნება: „ჭრელო პეპელა, ნურც მოფრინდები და ნურც გაფრინდებიო!“

ნათია ქადაგიშვილი

რატომ გაუბრაზდა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტს და როგორ დაითრია 1000 დოლარად „ბლოკ- ჯორჯიამ“ ათეულობით სამედიცინო დანესებულება

და რუსეთ-საქართველოს უძველეს ისტორიულ ურთიერთკავშირს ადასტურებს.

„უფროსი თაობა წავა და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის ჩვენი მეგობრობა, ერთიანობა და ძმობა ღირებულებას დაკარგავს. მათ ამის შესახებ არაფერი ეცოდინებათ. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდება... უკვე მივედით იქამდე, რომ ჩვენს მამებს, რომლებიც მოსკოვს იცავდნენ და ბერლინი აიღეს, ზოგიერთი ტელე- და ბეჭდვითი მედიის წყალობით (როგორც რუსული, ასევე დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების) თითქმის ფაშისტებს უთანაბრებენ, ისევე, როგორც სსრ კავშირს — ფაშისტურ გერმანიას, ხოლო სტალინს — ჰიტლერს!“ — *ხაზი გაუსვა* ***ჭაჭიამ*** *გამოსვლის დასასრულს.*

საგულისხმოა, რომ კონფერენციის ყველა დელეგატი 2008 წლის 7 მაისს სტრასბურგში, მინისტრთა კომიტეტის 118-ე სესიაზე ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების სამინისტროთა მიერ დამტკიცებული და **ევროპის საბჭოს მიერ 2009 წლის ივნისში გამოცემული „თეთრი წიგნის“ — „თანაცხოვრება თანაბარი ღირსებით“** — მფლობელი გახდა. წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს **ტერი დევისს** ეკუთვნის, ნათქვამია: ***„საერთაშორისო დიალოგი ჩვენი დღევანდელობის გარდაუვალ საჭიროებას წარმოადგენს. თანამედროვე სამყაროში, რომელიც სულ უფრო მეტად მრავალფეროვანი და დაუცველი ხდება, აუცილებელია, ურთიერთობა დავამყაროთ ეთნიკურ, რელიგიურ, ენობრივ და ნაციონალურ გამმიჯვნელ ზღუდეებზე მაღლა, რათა უზრუნველვყოთ სოციალური ერთიანობა და თავიდან ავირიდოთ კონფლიქტები“ (!).***

განა საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა დსთ ფუნქციონირებაში, ყველა პარამეტრით, თანამეგობრობის დანარჩენ წევრთა მხარდამხარ, ასევე, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრობა (ОДКБ) არ აგვაცილებდა თავიდან სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვას, განა ხელს არ შეუწყობდა ამ 16 წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას?!

განა ეკონომიკური თანამშრომლობა და საქმიანი პარტნიორობა დსთ წევრ-ქვეყნებთან უფრო უპრიანი არ არის საქართველოსთვის, ვიდრე შორეული ოკეანისგაღმა პერსპექტივები და ბუნდოვანი დასავლური ფასეულობები, რომლებიც უხვადაა შეზავებული „გლობალიზმის“ საკაზმით?!

იმავე გლობალიზაციიდან რატომ უნდა ავიღოთ მხოლოდ უარყოფითი — ყველაფერი ეროვნულ-ინდივიდუალურის უგულებელყოფა, და უარვყოთ დადებითი, მაგალითად, ეროვნულ კულტურათა ურთიერთშერწყმის ტენდენცია?!

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ყველა საღად მოაზროვნე კაცისა და... საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის მიგვინდია!

არნო ხიდირბეგიშვილი

გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» მთავარ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას

ბატონო ირაკლი, ვინაიდან 15 ივნისს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი დარბევა მიმაჩნია ადამიანის უფლებების საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევად, გთხოვთ, გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში იმ პირთა ფოტოსურათები, რომლებიც ამა წლის 28 მაისს, 6 ივნისს და 15 ივნისს შემჩნეულ იქნენ მშვიდობიანი მოქალაქეებისა და მანიფესტანტების ცემასა და შეურაცხყოფაში. თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ქართველ საზოგადოებას, ერიდოს გამოქვეყნებულ პირებთან ურთიერთობას და, მათი ამოცნობის შემთხვევაში, მოგვაწოდოს ინფორმაცია შემდეგ მისამართზე jalatebi@yahoo.com ან მიმართოს უფლებადაცვით სხვა ორგანიზაციებს ან თქვენს გაზეთს.

პატივისცემით, ირაკლი კორძაია,
მოძრაობა „7 ნოემბრის“ თანადამფუძნებელი,
მცხოვრები ქ. თბილისში, ნინოშვილის №15ა

ჟურნალისტი

ირაკლი კორძაია:

ამოიცანით მიშას ჯალათები!

ბოლო ორი თვის განმავლობაში მომხდარი დარბევებისა თუ შეხლა-შემოხლის შემდეგ ქალაქში საინფორმაციო ფლაერები გაჩნდა და აქაიქ გაკრული პლაკატებიც ნახა საზოგადოებამ. მათზე ოცდაათამდე ადამიანის ფოტოებია დაბეჭდილი... რედაქციაში შემოსული წერილის კვალდაკვალ ჟურნალისტ ირაკლი კორძაიას ვესტუმრეთ, რომელიც ერთ-ერთი ინიციატორია ამ სკანდალური აქციისა, რომელსაც არანაკლებ სკანდალური სახელი აქვს — „ამოიცანი მიშას ჯალათები!“

— პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილო იმაზე, რომ, როგორც წესი, მიხეილ სააკაშვილის ოპონენტები ისჯებიან მარტივ შემთხვევებშიც კი. საკმარისია პატარა ინსინუაცია ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან და ჩვენი მომხრეები ხვდებიან გისოსებს მიღმა. ამის ნათელი დასტურია ჩემი მეგობრების მიმართ ჩადენილი ქმედებები. დაჩი ცაგურია, მიხეილ მესხი, მერაბ ჭიქაშვილი, დავით ფაცაცია და კიდევ ძალიან ბევრი სხვა დღეს მერაბიშვილის ციხის საკნებში სხედან! შემაშფოთებელია, რომ სააკაშვილის ზონდერბრიგადები არა მხოლოდ ღამის საათებში, არამედ უკვე დღისითაც ღიად ესხმიან თავს მშვიდობიან მოქალაქეებს!

ეს ჯალათები დაფიქსირებულები არიან ვიდეო- და ფოტოფირებზე, სადაც ნათლად ჩანს, როგორ უმოწყალოდ უსწორდებიან და სცემენ მოქალაქეებს, ახალგაზრდებს, ხანდაზმულ ქალბატონებს!

ამაღლების ღამეს მომხდარ ინცინდენტში მონაწილე პირთაგან საზოგადოებამ ამოიცნო ოთხი — ირაკლი ანდრონიკაშვილი, ბაკურ კორნილოვი, ირაკლი გოგია და ნუგზარ ციხელაშვილი! ესენი არიან ადამიანები, რომლებიც იყენებენ ქვებს, კასტეტებს, დანებს, რკინის ხელკეტებს!

მათ არ აქვთ ჩვეულებრივი პოლიციური ხელკეტი... ეს იყო რკინის ხელკეტი, რომლებსაც ურტყამდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს.

არსებობს მეორე ფაქტის ამსახველი კადრებიც. პარლამენტის წინ მომხდარ ინცინდენტში ჩვენ ამოვიცანით ორი პიროვნება — სერგო ბიჭიაშვილი და ბადრი ბაკოევი, რომლებიც არიან „ნაცმოძრაობის“ ისანი-სამგორის რაიონის აქტივისტები. ისინი პოლიციელებთან ერთად უსწორდებოდნენ ხალხს! პარლამენტის ინცინდენტის დროს მოხდა მათი ლუსტრირება! ყველა, პოლიციელებიცა და აქტივისტებიც, ვინც მონაწილეობდა მანიფესტანტების დარბევაში, ერთად შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში (ჩიტაძის ქუჩაზე) და სახელმწიფო დაცვის სამსახურის შენობაში.

ეს ხელისუფლება მომიტინგეებისა და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების დარბევაში იყენებს სამოქალაქო პირებსაც და ე.წ. სამართალდამცავებსაც!

— ირაკლი, ისიც ფაქტია, რომ 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი დაპირისპირების დროს აქტიურად მოჩხუბარი პოლიციელების ფოტოებიც არის თქვენ მიერ გავრცელებულ ფლაერებსა და აფიშებზე...

— 15 ივნისის აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ვარ და პირდაპირ გეტყვით: ჩვენი აქტივისტების წინააღმდეგ წარმოებულმა დევნამ და ტერორმა გადაგვაწყვეტინა ამ აქციის ჩატარებაც. იქ ერთადერთი მიზნით მივედით: თუ მიხეილ სააკაშვილის პოლიციას ჰქონდა რაიმე მამხილებელი მასალები ჩვენზე, მზად ვიყავით, შევსულიყავით სამმართველოში სასჯელის მოსახდელად! მეორე თემაა, დავეთანხმებოდით თუ არა მათ ბრალდებებს.

— და მიიღეთ კიდეც პასუხი...

— დიახ! სააკაშვილის დიქტატორულმა რეჟიმმა ჩაიდინა უპრეცედენტო რამ! არ მახსენდება, რომელიმე აქციისახდელად! ...

ირაკლი კორძაია: „ესენი ახალი ჯიშის ადამიანები არიან, რომლებიც მიხეილ სააკაშვილმა გამოიყვანა და დაგეშა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ!“

ამოცნობის შემთხვევაში მოგვაწოდეთ ინფორმაცია შემდეგ მისამართზე: jalatebi@yahoo.com

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ირაკლი კორძაია ამხელს!

აზე ერთდროულად ეცემოთ ახალგაზრდაც და ხნიერიც, კაციც და ქალიც, მომიტინგეც და პურის საყიდლად გამოსული ბავშვიც! არ მახსოვს, ასე სასტიკად და გამიზნულად ეცემოთ და დაერბიოთ ჟურნალისტები! ეს ყველაფერი ხდებოდა კარგად დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის მსგავსად! პოლიციელთა ეს ქმედება ერთ რამეს ისახავდა მიზნად — ჩვენ შევსულიყავით ან შევეყარეთ სამმართველოს ტერიტორიაზე, რათა შემდეგ ოფიციალური ალიბით გაგვსწორებოდნენ!

სამოცდაათი მანიფესტანტიდან 39 კაცი დააკავეს. ზოგი სხვადასხვა სანქციით დაჯარიმეს, ზოგი კი 30 დღით გამოამწყვდიეს საკნებში!

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ იმ ადამიანთა მხილება, ვინც ხელი აღმართა თანამოქალაქეებზე და უმოწყალოდ უსწორდებოდა მათ. ფოტოებზეც ჩანს, როგორ მიათრევს ოთხი პოლიციელი კარგად ნაცემ დემონსტრანტს სამმართველოს შენობაში. ჩვენ მათ ვერ დავუპირისპირდებით იმავე იარაღით. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, მათი მხილებაა, რათა მათ მეზობლებსა თუ მეგობრებს მათთვის მისალმებაც და ხელის გაწოდებაც კი შერცხვეთ! ამ ჯალათებმა უნდა იგრძნონ დისკომფორტი, როცა მათი მეზობლები და, თუნდაც, უბნელები აღარ შეხედავენ პატივისცემითა თუ კეთილი განწყობით!

ისინი არიან დამნაშავეები და ქართველ საზოგადოებაში საკუთარი ადგილი არ ექნებათ! ესენი ახალი ჯიშის ადამიანები არიან, რომლებიც გამოიყვანა მიხეილ სააკაშვილმა და დაგეშა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ!

— ამ პლაკატების გაკვრით იმედი გაქვთ, რომ მათ ვინმე ამოიცნობს და ამოცნობის შემთხვევაში ამ ადამიანებს დისკომფორტი შეექმნებათ?

— დარწმუნებული ვარ, საზოგადოება მათ ამოიცნობს და მართლა შეექმნებათ მორალური დისკომფორტი!

მომავალში უნდა დაფიქრდნენ, უღირთ კი მათ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ჯალათობა? ხვალ სააკაშვილი გაიქცევა ამ ქვეყნიდან და გაიქცევა დიდძალი ქონებით, ხოლო ესენი აქ დარჩებიან გატეხილი სახელებით!

არ ვიცი, როგორ აპირებენ ამ ქალაქში ცხოვრებას და თბილისის ქუჩებში გავლას?!

— ირაკლი, ამ ინტერვიუს შემდეგ თავად თუ შეძლებ მშვიდად ცხოვრებას? მით უმეტეს, არც ახლა უჩივი ხელისუფლების მხრიდან „უყურადღებობას“... თანაც, პირდაპირ უწოდებ ამ ადამიანებს მიშას ჯალათებს...

— მე კარგს არც ამ ჯალათებისგან და არც ამ ჯალათების ხელმძღვანელებისგან ველი! ბოლო დღეების განმავლობაში უფრო გააქტიურდნენ კიდეც... მათ ვამხელდი ყოველ ჩემს გამოსვლაში როგორც ჟურნალისტი და დავწერ კიდეც მომავალში! მათ იმის იმედი აქვთ, რომ ხალხი შეწყვეტს ქუჩაში გამოსვლას და საკუთარი პროტესტის გამოხატვას, მაგრამ სწორედ აქ ცდებიან!

ვიმეორებ: დღეს ციხეში ზის ჩემი მეგობარი დაჩი ცაგურია და მე მზად ვარ, აღმოვჩნდე მის გვერდით რომელიმე კამერაში! მაგრამ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი სისულელე, რასაც ჩაიდენს სააკაშვილისა და მერაბიშვილის ხელისუფლება! განა დანაშაულია ის, ნაძირალას რომ დაარქვა ნაძირალა და გარეწარს, რომელიც დედისტოლა ქალბატონს ხელკეტს ურტყამს, გარეწარი უწოდო?

ეს არ არის დანაშაული და მე, როგორც ჟურნალისტი, ვამხელ მათ! ეს ჩემი პროფესიული და მოქალაქეობრივი ვალდებულებაცაა!

ერთსაც გეტყვით... მინდა, ვანო მერაბიშვილს ვკითხო: ქ. თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე, №15-ში, რატომ დგანან რეგულარულად გაურკვეველი ნომრის მანქანები, რომლებშიც ერთი და იგივე ფორმის შავმაისურიანი ადამიანები სხედან და რატომ მელიან მე?

ვიმეორებ: თუ რაიმე სამხილი გაქვთ ჩემ წინააღმდეგ, მზად ვარ, ჩაგბარდეთ შესაბამისი შეტყობინების მოსვლისა და სამართლებრივი პროცედურების დაცვის შემდეგ!

ხოლო, თუ დაშინების მცდელობაა, კიდევ ერთხელ გიმეორებთ: დაშინებას აზრი არ აქვს! ჩვენ ყველა დამნაშავეს ვამხელთ!

ესაუბრა გიორგი მამაცაშვილი





გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ვისაც ჯეიმსბონდობა სურს, გაატარეთ!

თუ ომის კანონის მიხედვით ვიმსჯელებთ, ფიზიკოსი ომისა და არა შეიარაღებული დაპირისპირების, როცა ქმედება უკუქმედების ტოლია, მაშინ რუსეთის აგენტურის მომრავლებას საქართველოში უნდა მოჰყვეს ამერიკის აგენტების შესაბამისი რაოდენობით ზრდა.

ხომ არიან ოპოზიციის ლიდერები რუსეთის აგენტები? გოკა გაბაშვილმა თქვა და არდაჯერება არ ეგების! არიან.

მათი მოწინააღმდეგეები დაპირისპირებული ბანაკიდან, ანუ ხელისუფლებიდან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები უნდა იყვნენ. ასე არ არის? აბა, ომის კანონი რაში გამოიხატება?!

რახან ოპოზიციონერები რუსეთის აგენტები არიან, მაშასადამე, საპროტესტო „საკნებში“ თავმოყრილი აქციის მონაწილენი რუსეთის აგენტების აგენტები უნდა იყვნენ.

ასე გამოდის.

ამიტომ მეორე მხარემ, კერძოდ, აშშ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გამოაცხადა საფინანსო სფეროს „ოქროს ბიჭების“ გადაბირების აქცია, — იტყობინება ფრანგული „Le Figaro“.

სანამ ჩვენს სათქმელზე გადავიდოდე, ამერიკის დაზვერვის განცხადებაზე ვიტყვი ორ სიტყვას. რა ვიცი, ეგებ, ვინმეს ჭკუაში დაუჯდეს ინტელექტუალური ჯაშუშობა, რადგან ამერიკელები ჯეიმს ბონდების მოსამზადებელ კურსებზე კი არ ეპატიჟებიან მსურველებს, არამედ ანალიტიკურ სამუშაოზე. უპირველესი მოთხოვნა ეკონომისტებზეა, რომლებიც კარგად იცნობენ ჩინეთს, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიას. სჭირდებათ საერთაშორისო საბანკო სისტემების, ბაზრების, საფინანსო ინსტრუმენტებისა და ენერგეტიკის სფეროების პროფესიონალი სპეციალისტები.

მართალია, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სამუშაოდ მხოლოდ ამერიკის მკვიდრთ იწვევს, მაგრამ, ამასთან, არც უცხოელი კადრების მოზიდვაზე ამბობს უარს, რომლებიც თავ-თავიანთ ქვეყნებში ამერიკისთვის იმუშავებენ.

თქვენ გგონიათ, ასეთ „პატრიოტებს“ ვერ იპოვნიან? 2009 წელს მსურველთა რაოდენობამ 180000-ს გადააჭარბა.

ამ საერთო რაოდენობაში რამდენი პროცენტია საქართველოს „კვოტა“, მომკალით, არ ვიცი. ხელისუფლებაში ეცოდინებათ. არ გვეტყვით, პატივცემულო გოკა? იტყვის და — მოეთხოვება!

აგენტების აგენტებს დავუბრუნდეთ, რომლებმაც, როგორც სამთავრობო ტელეარხებმა გვაცნობეს, „მოლოტოვის კოქტეილის“ გამოყენებით საქართველოს პარლამენტისთვის ცეცხლის წაკიდება სცადეს. ეჭვმიტანილიც დააპატიმრეს. ეს იყო ნაციხტების მიერ რაიხსტაგის დაწვის უსუსური მიბაძვა, უსუსური, თუნდაც, იმიტომ, რომ „მოლოტოვის კოქტეილით“ ცეცხლწაკიდებული გერმანული „პანტერები“ და „ვეფხვები“ ხმელი ფიჩხივით იწვოდა, აქ კი, ჩვენი პარლამენტის მუხის მასიურ კარს ცეცხლის წაკიდების არაფერი ემჩნეოდა. რაღა კოქტეილია, რაღა მოლოტოვი!

პრიმიტიული მიბაძვა დეტალებშიც გამოჩნდა: 1933 წლის 27 თებერვლის პროვოკაციის მომწყობმა ფაშისტებმა „დამნაშავე“ დააპატიმრეს. ჩვენთანაც დააპატიმრეს. ჰოლანდიელმა მარინუს ვან დერ ლუბემ დანაშაული აღიარა. დანაშაული აღიარა თემურ ხასიამაც — დაპატიმრების შემდეგ. ჰოლანდიელს კომუნისტობამ დაუმძიმა საქმე და ხანძარზე ოპერატიულად მისულმა ჰიტლერმა იმავე წუთს გამოაცხადა, რომ რაიხსტაგი კომუნისტებმა დაწვეს. ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნით, „პროტესტანტები“ აპირებდნენ პარლამენტის დაწვას. ვან დერ ლუბეს თავი მოჰკვეთეს. თემურ ხასიას... მიუსჯიან.

30-იანი წლების გერმანიაშიც და ჩვენთანაც პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ და იბრძვიან.

მაშინ ჰიტლერმა გაიმარჯვა.

ახლა რა იქნება, გაურკვეველია.

ისევე, როგორც გაურკვეველია, ვისი დაქირავებული აგენტები იყვნენ ის ორნი, ვინც აფხაზეთიდან ლტოლვილი თემურ ხასია პროვოკაციის ანკესზე წამოაგო.

სამაგიეროდ, ყველასთვის ნათელია, ვინ მოითბობს ხელს ხანძარზე, რომელიც არ ყოფილა.

ენცო პომპიერი

გერმანიის დაზვერვის ახალი სცენარი

არსებული საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი მომავლის გლობალურ მსოფლიო წესრიგში სიღრმისეულ ცვლილებებს შეიტანს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გერმანიის დაზვერვის ანალიტიკოსები. ამასვე ლაპარაკობენ ეკონომისტები და პოლიტიკოსები კონფერენციებსა და ფორუმებზე.

გერმანიისთვის, რომელიც ევროკავშირის უდიდესი ქვეყანა და მსოფლიოში უპირველესი ექსპორტიორია, კრიზისის შემდგომი მსოფლიო მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული საკითხია: მისი პოლიტიკური წონა და გავლენა ეკონომიკურ ძლიერებაზე ბევრადაა დამოკიდებული.

ჟურნალში „Internationale Politik“ (IP), რომელიც ბერლინში გამოდის, საგარეო პოლიტიკის გერმანულმა საზოგადოებამ გერმანიის დაზვერვის ფედერალური სამსახურის (BND) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. ავტორები შეეცადნენ, წარმოედგინათ ახალი მსოფლიო მოწყობის შესაძლო სცენარები იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული მთავრობების მიერ კრიზისის დასაძლევი ღონისძიებები არაეფექტიანი გამოდგა.

სცენარი **სამგვარი** ჩამოყალიბდა: **მსოფლიოს შენელებული ეკონომიკური ზრდა ამერიკის როლის დომინანტით, „აზიის საუკუნე“ ჩინეთის დიქტატით და „კაცობრიობის ჩათრევა არასტაბილურ მსოფლიოში“.**

პირველი სცენარი ოპტიმისტურია. ამ შემთხვევაში აშშ მსოფლიოს ცენტრალური რგოლის როლს ინარჩუნებს.

BND-ის ანალიტიკოსები ბაზრებში სიტუაციის შესაძლო დაწყნარებას, მსოფლიო ეკონომიკისადმი ნდობის დაბრუნებას ეფუძნებიან. IP-ს პუბლიკაციაში — „მსოფლიოს ახალი განზომილება“ — ნათქვამია, რომ **ეს არ უზრუნველყოფს ზრდის ახალ გიგანტურ ნახტომებს, მაგრამ შესაძლებელს გახდის აუჩქარებელ და მუდმივ განვითარებას.** ამ სცენარის მიხედვით აშშ გარკვეული დროით შეძლებს თავისი წამყვანი როლის შენარჩუნებას.

ასეთი პერსპექტივა ვერაფერს შეცვლიდა ჩინეთის ეკონომიკური ზრდის პროცესში, რომელიც, როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, განუხრელად გაგრძელდება. ამის საწინდარია **სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: ჩინეთის ხელსაყრელი დემოგრაფიული განვითარება, ახალ ტექნოლოგიებზე ნადირობა, აშშ მზარდი ფინანსური დამოკიდებულება საზღვარგარეთზე.** აქედან გამომდინარე, სამი მსხვილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ბლოკის — ამერიკის, ევროკავშირისა და ჩინეთის **ბალანსი გადაიწევს აღმოსავლეთის მიმართულებით**.

ოპტიმისტური სცენარის პირობებში, ენერგოშემცვლელები გაძვირდება — წარმოების ზრდა გამოიწვევს მოთხოვნილების ზრდას. „შედეგად, ნედლეულის ისეთი ექსპორტიორები, როგორიც რუსეთი, არაბეთის ქვეყნები და ვენესუელაა, შეძლებენ, კვლავ დააგროვონ ახალი კაპიტალი, ამ მოვლენისათვის დამახასიათებელი ყველა უპირატესობითა და ნაკლოვანი მხარეებით, — ლაპარაკია IP-ის სტატიაში, — სწორედ ვენესუელამ და რუსეთმა გამოიყენეს ნავთობისა და გაზის ექსპორტით მიღებული მილიარდობით დოლარი, რათა უფრო დიდი პოლიტიკური წონა მოეპოვებინათ საერთაშორისო ასპარეზზე. მზარდი შემოსავალი რუსეთისთვის შეიძლება საკუთარი ეკონომიკის მოდერნიზაციის მამოძრავებელი ძალა გახდეს, რაც მას ასე სჭირდება და რაც ასე აუცილებელია სტაბილურობის უზრუნველსაყოფად“.

BND-ის ანალიტიკოსების აზრით, ჩინური სცენარი ახლანდელი კრიზისის გაცილებით არასასიამოვნო შედეგი იქნება. იგი (სცენარი) იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, თუ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში განსახორციელებელი ანტიკრიზისული პროგრამები საკმარისად ეფექტიანი არ გამოდგა აღნიშნული პროგრამებისადმი ცალკეული მთავრობების მიდგომების განსხვავებულობის გამო. ასეთი სიტუაცია გერმანულ დაზვერვას მაინცდამაინც არარეალისტურად არ მიაჩნია. ამგვარი **საშიშროების წინაშე შეიძლება დადგეს აშშ გიგანტური ანტიკრიზისული პროგრამა.** ისიც გასათვალისწინებელია, რომ **ამერიკა თავს უფლებას ვერ მისცემს, ვალში განახორციელოს მსხვილი ანტიკრიზისული პროგრამები.** გერმანელ მზვერავებს მიაჩნიათ, რომ ეს პროგრამები ისედაც ბევრად არის დამოკიდებული ჩინეთის გულუხვობაზე, რადგან **სწორედ პეკინისგან იღებს ვაშინგტონი უზარმაზარ ვალებს.**

ერთი წუთით ყურადღება ჩვენს პრობლემებზე გადავიტანოთ, გავითვალისწინოთ გერმანელების ანალიზი და ცხადად დავინახავთ, რომ ის დახმარება, რომელსაც საქართველო ამერიკიდან იღებს კრიზისის დასაძლევად, ვალიდან აღებული ვალი ყოფილა.

ვინ აძლევს უზარმაზარ სესხებს შტატებს? — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ვინ არ მისცა ხმა უშიშროების საბჭოს რეზოლუციას გაეროს დამკვირვებელთა მისიისთვის საქართველოში ვადის გაგრძელების შესახებ? — ოთხ სახელმწიფოს შორის, რომლებმაც თავი შეიკავა, ერთ-ერთი ჩინეთი იყო.

ამ ბოლო ხანებამდე ვინ ჰყავდათ ელჩად მივლინებული პეკინში? — თბილისის საკრებულოს ხეპრე თავმჯდომარე, რომელმაც 2007 წლის 8 ნოემბრის დილას წარმატებით ჩატარებული დარბევების აღსანიშნავად რუსთაველზე ზონდერბრიგადების აღლუმი მიიღო.

ასეთი „დიპლომატები“ იცავენ საქართველოს ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე!

ლომაია ხომ ლალი და იაგუნდია თანამედროვე ქართული დიპლომატიის ნაყალბევ გვირგვინში!

ჩინეთით განვაგრძოთ, რომელიც უდიდესი მასშტაბის ანტიკრიზისულ პროგრამას განახორციელებს. ნიშანდობლივია, რომ ეს პროგრამა კიდევ უფრო დააჩქარებს ამ ქვეყნის ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას. შედეგად, იგი ძალიან სწრაფად გახდება დომინირებული სახელმწიფო აზიაში, აშშ კი იძულებული გახდება, თუნდაც, ფინანსური მოსაზრებით, შეკვეცოს მსოფლიოში თავისი მოქმედების რადიუსი. „საბოლოო ჯამში **მივიღებთ ორპოლუსიან მსოფლიოს**, — ნათქვამია გერმანულ პუბლიკაციაში, — ორი სახელმწიფო, აშშ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, დაუპირისპირდება ერთმანეთს“.

ამ შემთხვევაში ჩინეთმა, თავისი ეკონომიკური სიძლიერიდან გამომდინარე, აშშ დოლარს მსოფლიოს წამყვანი ვალუტის როლი შეიძლება წაართვას იუანის სასარგებლოდ.

საგარეო პოლიტიკაში „ჩინეთის საუკუნემ“ შეიძლება აზიას წამყვანი როლი დაუმკვიდროს საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში, რაც დასავლეთის დომინირების დასასრულს მოასწავებს.

ასეთი პერსპექტივა, მიიჩნევენ BND-ის ანალიტიკოსები, დანარჩენი მსოფლიოსთვის „დრამატული“ იქნება: ევროკავშირი სერიოზულად დასუსტდება, რადგან მასში შემავალი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკა ორიენტირებულია ამერიკის ბაზარსა და მის მომხმარებელზე.

რაც უფრო გაძლიერდება ჩინეთი, თანამეგობრობის ქვეყნები თავიანთ პრიორიტეტებს უფრო მეტად აღმოსავლეთისკენ მიმართავენ. „ნედლეულის რესურსებიც, — გვაფრთხილებს გერმანიის დაზვერვა, — უფრო ინტენსიურად წარიმართება აზიისკენ, რადგან მათზე მოთხოვნილება ჩინეთში გაიზრდება, აშშ და ევროპაში კი — დაეცემა“.

მაგრამ ამის გამო ნედლეულის ექსპორტიორებმა ახალი, მასშტაბური გეგმების შედგენა დაუყოვნებლივ არ უნდა დაიწყონ, რადგან აზიის რეგიონში BND-ს მათი მომავალი ბოლომდე გარკვეული არ აქვს: „დღევანდელი დაბალი ფასები მნიშვნელოვნად არ აიწევს, თუ ორივე მსხვილ ბლოკში — ამერიკასა და ევროკავშირის ქვეყნებში ნედლეულზე მოთხოვნილება არ გაიზრდება“.

ამ პოზიციაზე დაყრდნობით გერმანული დაზვერვა მიიჩნევს, რომ რუსეთი უფრო დასავლეთისკენ გაიწევს, ვიდრე დათანხმდება ჩინეთზე დამოკიდებული „უმცროსი პარტნიორის“ როლს.

გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის შენობა

ამასთან, შესაძლებლად მიიჩნევენ მოვლენათა ისეთ განვითარებას, როცა რუსეთი ჩინეთის წინააღმდეგ შემტევ პოზიციას დაიკავებს და განაახლებს თავის ეროვნულ ტონალობას.

მაგრამ ყველაზე უფრო დრამატულად ჩანს მოდელი, რომელიც ყველა ანტიკრიზისული ღონისძიების არაეფექტიანობას ეფუძნება.

ეროვნული ეკონომიკების იზოლაცია და პროტექციონიზმი ეკონომიკის დეგლობალიზაციას გამოიწვევს. ასეთი განვითარების შედეგების წინასწარმეტყველებაზე BND-ის ექსპერტები უარს ამბობენ, თუმცა გვაფრთხილებენ, რომ უმუშევრობის ზრდა, სოციალური დაზღვევის სისტემების მოშლა და ამით გამოწვეული პოლიტიკური დაძაბულობა ამერიკასა და ევროპაში, რაც საზოგადოებრივ არეულობაში განივთდება, ყველაზე უმნიშვნელო პრობლემად წარმოდგება. **„ნამდვილი შეშფოთება შეიძლება გამოიწვიოს იმ ქვეყნებში შექმნილმა მდგომარეობამ, რომლებიც ბირთვულ იარაღს ფლობენ. ასეთებია: ჩინეთი, რუსეთი და პაკისტანი, — აღნიშნავს IP, — თუ გაჩერდება ისეთი „ექსპორტის მანქანა“, როგორიც ჩინეთია, მსოფლიოს დღემდე წარმოუდგენელი მასშტაბის მასობრივი უმუშევრობა და ადამიანების მიგრაცია დაემუქრება“.**

თუ მსოფლიოში გაგრძელდება და გაღრმავდება რეცესია, ენერგოშემცველების ფასი კი არ მოიმატებს, — დაიკლებს, რასაც შესაბამისი შედეგები მოჰყვება მწარმოებელთათვის. თავის მხრივ, ეს გამოიწვევს მწარმოებელ ქვეყნებში პოლიტიკური დესტაბილიზაციის გაძლიერებას. მაგალითად, რუსეთში, რომელსაც არ აღმოაჩნდება საჭირო რაოდენობის სახსრები სოციალური კონფლიქტების „კომპენსაციისთვის“, ასევე, თავისი სახელმწიფოსა და ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის. „შიდა დაძაბულობის ზრდის შემთხვევაში, — ნათქვამია პუბლიკაციაში, — რუსეთის ხელმძღვანელობამ შეიძლება დაიწყოს მტრების დემონსტრაციული ძებნა თავისი საზღვრების მიღმა“.

მოამზადა
არმაზ სანებლიძემ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

დაპირებული ცათამბჯენების შესახებ, ანუ ნეტარ არიან მორწმუნენი

მიხეილ სააკაშვილის მიმდინარე წლის 18 ივნისის გამოსვლის შემდეგ ძნელია, ილაპარაკო მის საპრეზიდენტო დაპირებებზე, რომლებითაც იგი 2007 წლის დეკემბერში ქართული ელექტორატის წინაშე წარდგა, რადგან მისი გამოსვლიდან დღემდე, ამ კალენდარულად მოკლე პერიოდში, საქართველოსთვის მრავალი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა განვითარდა. ჩვენი ქვეყნის მომავლის ხედვამ პრინციპულად შეიცვალა რაკურსი. ვალდებული ვართ, ახალ ფაქტებს, ახალ ისტორიულ ვითარებას ანგარიში გავუწიოთ. მიუხედავად ამისა, მრავალი საკითხი კვლავ ძველებურად აქტუალურია და სათანადო გააზრებას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, მკითხველთა ყურადღებას ქვეყნის სამეურნეო განვითარების იმ პრობლემებს მივაქცევ, რომელთა გადაწყვეტის გარეშეც განვითარებაზე ლაპარაკი შეუძლებლად მიმაჩნია.

განუხრელად იზრდებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები. 2003 წლიდან 2008 წლამდე ქვეყნის მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2,5-ჯერ იმატა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიც. საქართველოს ზრდადი ეკონომიკის მქონე ქვეყნის სახელი დაუმკვიდრდა პასუხისმგებელ პირებს შორის მსოფლიოში. ეკონომიკის ინდიკატორთა ასეთმა ზრდამ ქვეყნის განვითარებაზე „წარმატებისაგან თავბრუდახვევის“ მსგავსი განწყობა გამოიწვია. ისინი ვერ ხედავდნენ მოახლოებულ მსოფლიო ფინანსურ კრიზისს, რომელიც უკვე 2006 წლიდან კარებზე გვიკაკუნებდა, შეუმჩნეველი რჩებოდათ მსოფლიო ბაზარზე ძირითადი სასურსათო პროდუქციის ფასების გაორმაგება, „აგრფლაცია“. ყურადღების მიღმა აღმოჩნდა ქვეყანაში ადამიანის განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებელთა შეფარდებითი გაუარესების მიზეზები.

კრიტიკის გარეშე აღქმული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ფაქტი იმდენად მომნუსხველი აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ საკუთარი „ძლევამოსილება“ ირწმუნა და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მოსახლეობას აუწყა, რომ **„ჩვენ ვაშენებთ უზარმაზარ რკინიგზას პეკინი-თბილისი-ლონდონი, ამას ემატება ფოთის პორტში დიდი თავისუფალი ეკონომიკური ზონა და, გარწმუნებთ, ხუთ წელიწადში აქაურობას ვერავინ იცნობს.**

აქ იქნება უამრავი ცათამბჯენი. ასობით ათასი ჩვენი მოქალაქე დასაქმდება და ნახავთ, როგორი დეფიციტი გვექნება მუშახელის თვალსაზრისით“.

ამ თეზისში მოცემულია, როგორც მიმდინარე პროცესის აღწერილობა — „ჩვენ ვაშენებთ“, ასევე დაპირება — „იქნება უამრავი ცათამბჯენი“, უფრო საიმედოსა და მნიშვნელოვანს ვერაფერს იტყვის კაცი. განსაკუთრებით გულზე გვხვდება ფრაზა: „ნახავთ, როგორი დეფიციტი გვექნება მუშახელის თვალსაზრისით“. იქნებ, დადგეს დრო და დაგვიბრუნდნენ საზღვარგარეთ ლუკმაპურის საშოვნელად გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეები. „ნეტარ არიან მორწმუნენი“...

აგვისტოს ომის შემდეგ დავდექით ახალი რეალობის წინაშე — კატასტროფულად შემცირდა სამშენებლო სამუშაოთა მოცულობები, გაიზარდა უმუშევართა არმია, დაეცა ლარის მყიდველობითი უნარი, გაღრმავდა სიღარიბე. ცხოვრების ახალმა პირობებმა მოითხოვა ახალი მიზანდასახულობები. როგორ ვიმოქმედებთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში? ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვიღებთ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტებისგან. დიდი ხანია, საქართველოს საზოგადოება პასუხს ელოდება სხვა კითხვაზეც — რას ნიშნავს საქართველოსთვის გლობალიზაციის პირობებში განვითარება? ცათამბჯენის მშენებლობა არის კი საქართველოს განვითარება? ანდა თავისუფალი ზონების ფორმირება ცალკეულ რეგიონებში, ნიშნავს პროგრესს? ეს კითხვები მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია და, რაც უფრო ადრე გავცემთ პასუხს, მით უკეთესი იქნება.

დასმული კითხვები, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური განვიარების ეროვნული პრიორიტეტების გამოკვეთასა და პროგრამულ დამუშავებას. მით უფრო, რომ ასეთ პრიორიტეტებს ითხოვს გლობალიზაციის დინამიკის განმსაზღვრელი ორგანიზაციები, საერთაშორისო მონეტარული ფონდი, მსოფლიოს ბანკი, ევროკავშირი და სხვ. ამასთან, მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე, **პრიორიტეტთა განსაზღვრისას მაკროეკონომიკური სტრუქტურისათვის მნიშვნელოვანი ხდება არა მარტო ეკონომიკური ზრდა, არამედ უაღრესად არსებითი როლი ეკისრება ქვეყანაში სიღარიბის არსებული დონის შემცირება.** სხვაგვარად, ადამიანის განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესება პრიორიტეტთა პრიორიტეტი ხდება.

როგორც ცნობილია, ადამიანის განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებელთა სისტემის საფუძველს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოქალაქეთა განათლების დონის ზრდა და ერთ სულ მოსახლეზე გამომუშავებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა წარმოადგენს. ამ მაჩვენებლებიდან გამომდინარე საქართველოში წინსვლა არ შეიმჩნეოდა. **გაუარესდა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, 1,8 წლით შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.** ამ მაჩვენებელს არც განათლების დონის ამსახველი მაჩვენებელი „ჩამორჩა“ და **საქართველო განათლებულობით სადღაც ინდონეზიასა და ტაილანდს შორის აღმოჩნდა.** მართალია, ვერ ვიტყვით, რომ არსებითად შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მაგრამ, ცხადია, მისმა უმნიშვნელო ზრდამ ადამიანის განვითარების მაჩვენებელთა სისტემაში ვერ შეძლო საერთო სიტუაციის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით,

1997 წელთან შედარებით, მსოფლიოს 177 ქვეყანას შორის 14 რეიტინგული ნომრით უკან დავიხიეთ და ამჟამად 96-ე ადგილი გვიჭირავს.

ეს სამწუხარო ფაქტია, ამიტომაცაა, რომ გაგვისწრეს ჩვენმა უახლოესმა მეზობლებმა, რომლებიც სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ ჩამოგვრჩებოდნენ.

ამ სამწუხარო დასკვნიდან გამომდინარე, შევეხები ეკონომიკის იმ ზრდას, რომლითაც თავს ვიწონებდით მოყვარესთან და ორლესულ მახვილად ვიყენებდით მტრის წინააღმდეგ. სულ რაღაც ოთხ წელიწადში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2,5-ჯერ გაიზარდა. ასეთ ზრდას ვერ მიაღწია მსოფლიოს ვერც ერთმა ქვეყანამ. მეტიც, ჩვენი მეზობელი რუსეთი პოლიტიკურ ამოცანად სახავდა თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, მაგრამ ეს მისთვის მიუღწეველი აღმოჩნდა. მაშ, რა მოხდა საქართველოში, როგორ მივაღწიეთ ასეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს? — უნდა ითქვას, რომ **სწორედ ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას მივაღწიეთ და არა რეალურ ეკონომიკურ დინამიზმს.** საქმე ისაა, რომ, **თუ 2007 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 12,5 პროცენტით, ინფლაციამ შეადგინა 11,5 პროცენტი, ხოლო უცხოური ინვესტიცია, რომელიც გაყიდული საწარმოო მარაგების ნაცვლად შემოვიდა, გაუტოლდა 2,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს, ანუ 3,7 მილიარდ ლარს. თუ ჩვენი ეკონომიკის ზრდაში ინფლაციასა და უცხოური ინვესტიციების ხვედრით წილს გავითვალისწინებთ, მაშინ სამართლიანად ისმის კითხვა: გვქონდა კი საერთოდ ეკონომიკური ზრდა, თუ ეს სტატისტიკურ სიდიდეებში გამოხატული რაღაც ფსევდო მოვლენა იყო?** ამ კითხვას იმიტომ ვსვამთ, რომ მკითხველის ყურადღება, გვსურს, ერთ არსებით საკითხზე გავამახვილოთ: ეკონომიკაში ზრდა ახლადშექმნილ პროდუქციას უკავშირდება. **ზრდა უნდა მოხდეს დამატებითი ღირებულების შექმნის ხარჯზე და არა სხვა ფაქტორთა შეფასებებით მიღებული მანიპულაციებით.**

ჩვენთან ხშირად გაიგონებთ, რომ ვართ ქვეყანა, რომელსაც არ აქვს ნავთობი და ამიტომ ჩვენი განვითარება პრობლემურია. საკითხის ასე დასმა გაუმართლებელია, რადგან ქვეყნების განვითარება მარტო სხვა ქვეყნებთან მისი მიმართებით კი არ განისაზღვრება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი შესაძლებლობების გამოყენების ხარისხითა და რაციონალიზმით. ბევრია ისეთი ქვეყანა, რომელთაც ჩვენოდენა ნავთობიც არ გააჩნია, მაგრამ განვითარების დონით ტოლს არავის უდებს; მაგალითად: საფრანგეთი (ცნობისათვის, მას არც ჰიდრორესურსები გააჩნია და მთელი ენერგეტიკული გამომუშავების 70 პროცენტი ატომურ ენერგიას ემყარება), იაპონია, ფინეთი, შვედეთი და ა.შ. ნავთობის გარდა არსებობს უამრავი რესურსი და მათი სწორად გამოყენების შემთხვევაში უდიდესი შედეგების მიღწევაა შესაძლებელი.

მოვიყვან ერთ მაგალითს. გვაქვს მანგანუმი. იგი უდავოდ მნიშვნელოვანი რესურსია ჩვენი განვითარებისათვის და ამას ყურადღებასაც ვაქცევთ. ერთი ტონა მანგანუმის მოპოვება უდიდეს ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. **ჭიათურაში წარმოებული ერთი ტონა მანგანუმის ფასი 65 აშშ დოლარს არ აღემატება, ე.ი. დაახლოებით 120 ლარს. მთებში ბალახის შეგროვების დიდი შესაძლებლობა გვაქვს, რაც ჩვენ სულაც არ მიგვაჩნია ქვეყნის არსებით რესურსად. არადა, ერთი ტონა თივა 130-140 ლარი ღირს, ხშირად კი — ბევრად უფრო მეტიც.** ასევე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი რესურსია ქაფშია, რომლის მოპოვებაც შავ ზღვაში წელიწადში 80 ათასი ტონის ოდენობითაა შესაძლებელი. სასმელი და მინერალური წყლები, ალბათ, ახლო მომავალში, ქვეყნის უაღრესად მნიშვნელოვან სიმდიდრედ იქცევა. გამოდის, თუ კარგად „მოვჩხრიკავთ“ ჩვენს შესაძლებლობებს, უამრავ რესურსს აღმოვაჩენთ. **პრობლემა ის კი არაა, რომ საქართველოს საკუთარი რესურსები არ აქვს, არამედ ის, რომ ჩვენს რესურსებს სათანადოდ ვერ ვიყენებთ.**

ნებისმიერი ქვეყნის რესურსული პოტენციალი შეიძლება სამ განზომილებამდე დავიყვანოთ: ქვეყნის ბუნებრივი რესურსები, ამ ქვეყნის მიერ გამოყენებული და ათვისებული საწარმოო ტექნოლოგიები და თვით ადამიანი, რომლის გარეშეც ვერ „ამოქმედდება“ ბუნებრივი რესურსები და ტექნოლოგიები. მსოფლიო ბანკის სპეციალისტების გათვლებით, **ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხოლოდ 15 პროცენტის უზრუნველყოფა შეუძლია მის ბუნებრივ რესურსებს, 30 პროცენტამდე ეკონომიკური ზრდის წყაროა საწარმოო ტექნოლოგიები, ხოლო დანარჩენი 55 პროცენტის უზრუნველყოფას ახდენს ადამიანი-კაპიტალი.** რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მაღალია ეკონომიკურ ზრდაში ადამიანური ფაქტორის ხვედრითი წილი. საქართველოში ეკონომიკურ განვითარებაზე მზრუნველ პირებს მხედველობიდან სწორედ აქტივობის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი — ადამიანი გამორჩათ. ჩვენი უბედურებაც სწორედ ისაა, რომ საქართველოს ფარგლები დატოვა სხვადასხვა გათვლებით 1,2 მილიონამდე ადამიანმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველაზე მობილურმა, ყველაზე აქტიურმა და კვალიფიციურმა სამუშაო ძალამ. შესაბამისად, **ჩვენი ეკონომიკური ზრდის პრობლემაც სწორედ ადამიანზე ნაკლებად ზრუნვიდან მომდინარეობს.** ბევრს ვლაპარაკობთ დასაქმებაზე, მაგრამ საწარმოო პოზიციებს გამუდმებით ვკარგავთ, შესაბამისად დასაქმების პრობლემა უფრო მწვავე ხდება. მართალია, ასეთ სიტუაციაშიც შესაძლებელია, შეიქმნას გარკვეული კვალიფიკაციის სამუშაო ძალის დეფიციტი, ეს საქართველოშიც იგრძნობა, როცა ვხვდებით თურქი და სხვა ეროვნების მუშებს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ პრობლემის სათავე სწორედ ისაა, რომ არ დაგჭირდეს სხვების შემოყვანა. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ **ეკონომიკას წარმოიდგენ ერთ მთლიან ორგანიზმად და არა მსოფლიო ეკონომიკაში მოქმედ ბიზნესთა ბაზრად, რასაც მსოფლიო ბაზარზე ინტეგრაციას უწოდებენ და პრაქტიკულად საკუთარ უმოქმედობას ნოვატორობად ასაღებენ.** ამ ფრაზის რედაქტირების დროს მხედველობაში მყავდა ბატონი კახა ბენდუქიძე და მისი მიმდევრები, რომლებსაც მსოფლიო ბაზარზე ეკონომიკურ ადაპტაციად მიაჩნიათ არა ამ ბაზარზე კონკურენტუნარიანი საწარმო ერთეულების მონაწილეობა, არამედ მათი გადაცემა უცხოელი მეწარმეებისათვის. მათი გაგებით, მსოფლიო ბაზარზე მონაწილეობენ არა ეროვნული, თავისთავადი სამეწარმეო ერთეულები, როგორც კონკურენტები სხვა ქვეყანაში მოქმედი ბიზნესებისა, არამედ თვითონ ქვეყნები, როგორც ბიზნესერთეულები, მათი წარმოშობის მიუხედავად, მოქმედების პოლიგონები. „მსოფლიო ბაზარი“ კი მაშინ არის „მსოფლიო ბაზარი“ თუ მასში მრავალი ქვეყანა მონაწილეობს. თუ შენს ეკონომიკურ შესაძლებლობებს იყენებს სხვა ქვეყნის მიკროეკონომიკური ერთეული და ამ გზით მონაწილეობ მსოფლიო ბაზარზე, მაშინ შენ ამ ბაზარზე ადაპტირებული კი არ ხარ, არამედ შენი პოლიტიკური სტრუქტურით ბაზრის რუდიმენტად ქცეულხარ.

ამიტომ შეიძლება, თამამად ვთქვათ, რომ **დღეისათვის ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა, შეიმუშაოს განვითარების ისეთი მიმართულებები და ფორმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ჩვენი მაკროეკონომიკა გახდეს მსოფლიო ბაზრის მონაწილე, მაშინ ჩვენს ქვეყანაში დაფუძნებული საწარმო ერთეულები შეძლებს, კონკურენტულად იმოქმედოს მსოფლიო ბაზარზე.**

დავით იაკობიძე,
პროფესორი

რუსეთმა უკრაინა საერთაშორისო კრედიტების გარეშე დატოვა

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა უარი უთხრეს უკრაინას რუსეთის გაზის საყიდლად კრედიტის მიცემაზე. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა პუტინმა მთავრობის პრეზიდიუმის სხდომაზე განაცხადა. „ჩვენ მართლაც მივმართეთ ყველა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას: მსოფლიო ბანკსაც და საერთაშორისო სავალუტო ფონდსაც, მივმართეთ ევროპელ პარტნიორებს. ყველგან უარია“, — აცნობა კოლეგებს პრემიერმა.

ევროკავშირის განცხადებით, ვერ გამოიძებნა სახსრები უკრაინის დასახმარებლად. გაზის საფასურის გადახდა მაისში უკრაინამ კინაღამ ჩააგდო. ხელისუფლება იძულებული გახდა, საამისოდ „ნავთობგაზისთვის“ მორიგი კრედიტი ქვეყნის ოქროსა და ვალუტის რეზერვიდან გამოეყო. „მომდევნო გადახდის ვადა 7 ივლისია. გამუდმებით გვატყობინებენ, რომ ვერ გადაიხდიან“, — აღნიშნა პუტინმა. პრემიერმა დაიმოწმა ღია წყაროები და განაცხადა, რომ უკრაინას აქვს გადახდის შესაძლებლობა, რადგან 1 ივნისის მონაცემებით, ოქროსა და ვალუტის მისი რეზერვი 27,8 მილიარდ დოლარს შეადგენს. თუ უკრაინა კვლავაც დააყოვნებს გაზის საფასურის გადახდას, რუსეთი წინასწარი გადახდის მეთოდზე გადასვლას მოითხოვს, რასაც ორ ქვეყანას შორის დადებული კონტრაქტი ითვალისწინებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

სადღა არის უბედურების სათავე?

American Spectator

სალი მაკნამარამ ჩემს ვარაუდზე, რომ დროა, ევროპამ საკუთარი თავი დაიცვას, ჩვეული მცდარი დასკვნა გააკეთა და „იზოლაციონიზმში“ დამადანაშაულა. ეს გააოცებდა ქვეყნის დამფუძნებელ მამებს — ისინი აქტიურ ამერიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაგრამ ისეთს, რომელიც აუცილებლობის გარეშე თავისი ქვეყნის მომავალს სხვა ქვეყნების პოლიტიკას არ დაუკავშირებდა.

როგორც წინასწარმეტყველურად გვაფრთხილებდა ჯორჯ ვაშინგტონი — „ევროპას ინტერესთა მთელი რიგი აქვს, რომელთანაც ჩვენ არაფერი გვაკავშირებს, ან თუ გვაკავშირებს, ძალიან უმნიშვნელოდ. ამიტომ მას ხშირად ექნება წინააღმდეგობები, რომელიც ჩვენთვის არსებითად უცხოა. აქედან გამომდინარე და ამიტომაც ბრძნული არ იქნებოდა, ხელოვნურად ჩავრთულიყავით მისი პოლიტიკის ჩვეულ წრე-ბრუნვაში ან მისი მეგობრობისა და მტრობის ყოველდღიურ კოლიზიებში“.

მაკნამარა აღიარებს, რომ ევროპა თავდაცვისთვის ბევრს არაფერს აკეთებს, მაგრამ მისი პროგნოზით, ევროპიდან ამერიკული ჯარის გამოყვანა „კატასტროფულ“ შედეგებს გამოიღებს, თუმცა იმაზე, თუ სად დევს ამ კატასტროფის სათავე, არაფერს ამბობს.

ის აცხადებს, რომ „ევროპა ჩვენთვის მნიშვნელოვანია“. რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ რაში სჭირდება ამერიკული თავდაცვის გარანტიები კონტინენტს, რომელსაც ჩვენზე დიდი მშპ აქვს და ჩვენზე დიდი მოსახლეობა ჰყავს? საიდან მოდის ის საშინელი საფრთხეები, რომლებსაც ევროპა ვერ გაუმკლავდება? რუსეთი, რომელიც ფინანსური კრიზისის მორევშია ჩათრეული, რომლის მშპ-ც ევროპის მშპ-ზე ათჯერ, ხოლო მოსახლეობა სამჯერ მცირეა, იმ პოზიციას არ ფლობს, რომ ატლანტიკასთან ბლიცკრიგი გამართოს. სარაკეტო სისტემების გავრცელება ნატოს ფარგლებს მიღმა შეიძლება გადაწყდეს. ისლამურ ექსტრემიზმს, ბოლოს და ბოლოს, ევროპელები საკუთარი ძალებით უნდა შეებრძოლონ, რადგან საკითხი მათ იმიგრაციულ პოლიტიკასა და დემოგრაფიულ ტენდენციებს უკავშირდება და არა უცხოურ ჯავშან-შენაერთებს.

ის წუხს, რომ ევროპა თავდაცვისთვის კარგად ვერ გაირჯება. „შეხედეთ კოსოვოს“, — ასკვნის მაკნამარა, მაგრამ პრობლემების არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკამ უნდა იმოქმედოს. თუ ევროპელებს არ მიაჩნდათ, რომ მათ ინტერესებში იყო ტრაგიკული, მაგრამ გეოპოლიტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანი სამოქალაქო ომის შეჩერება, მაშინ არც ვაშინგტონს სჭირდებოდა პროცესებში ჩართვა. კოსოვოს ამერიკისთვის არასდროს ჰქონია მნიშვნელობა და არ მოითხოვდა მისგან ომის დაწყებას. იმის ნაცვლად, რომ ნატო ომის თავიდან აცილების ინსტრუმენტად გამოგვეყენებინა, ომი ნატოს გადარჩენის საშუალებად იქცა, რაც მისი უმთავრესი მიზნების პერვერსიაა.

ბოლოს მაკნამარა აღნიშნავს, რომ „ბერლინის აღმოსავლეთით მყოფთ სჭირდებათ, უნდათ და ხანდახან უკიდურესად სწყურიათ ნატოს წმინდა მეხუთე მუხლით დადგენილი გარანტიების ამოქმედება“. მართალია, მაგრამ მერე რა? უსაფრთხოების გარანტიებს მეგობრებს შოკლადივით საჩუქრად ვერ დავურიგებთ. ომის დაწყების პირობა ამერიკის თავდაცვისთვის უნდა შემოვინახოთ.

როდესაც ვაშინგტონი ისეთი ქვეყნების გამო იძლევა ომის დაწყების დაპირებას, რომლებიც არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ რუსეთის იმპერიის ნაწილს შეადგენდნენ, უსაფრთხოების საჭიროებებით ამის გამართლება რთულია. უფრო მეტიც, ეს ბირთვულ ქვეყანასთან კონფრონტაციის საფრთხეს მოასწავებს, კონფრონტაციას მის საზღვრებთან არსებული პრობლემების გამო. ასეთი სარისკო სტრატეგია კი არ განამტკიცებს, არამედ ამცირებს აშშ უსაფრთხოებას.

ამერიკის ჯარების გამოყვანა უბედურებით გვემუქრება? პირიქით, უბედურება იქნებოდა ბირთვულ სახელმწიფოსთან არასტაბილური, უპასუხისმგებლო ქვეყნების გამო ომში შესვლა, ისეთი ქვეყნების გამო, რომლებსაც არაფერი აკავშირებს ჩვენს უსაფრთხოებასთან. მაგალითად, „შპიგელ ონლაინი“ ევროკავშირის რუსულ-ქართული ომის საგამოძიებო კომისიის შედეგებს აქვეყნებს:

კონფიდენციალური დოკუმენტებიდან, რომლებიც „შპიგელმა“ მოიპოვა, ჩანს, რომ კონფლიქტში დამნაშავეების დადგენა კომისიის წევრებისთვის ისეთივე რთული იყო, როგორც — მსოფლიო თანამეგობრობისთვის და მაინც კომისიის წევრების უმრავლესობა იმ შეფასებისკენ იხრება, რომ ომი მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო, როდესაც 2008 წლის 7 აგვისტოს თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს. ტალიავინის სამუშაო მაგიდაზე თავმოყრილი ფაქტები უარყოფს სააკაშვილის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მისი ქვეყანა იმ დღეს „რუსული აგრესიის“ უდანაშაულო მსხვერპლი გახდა. თბილისის სამხედრო მარცხის შეფასებისას კომისიის წევრი, ბრიტანეთის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი კრისტოფერ ლენგტონი აცხადებს: „საქართველოს ოცნება დაიმსხვრა, მაგრამ ეს მან მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს“.

„განა ჩვენთვის ხელსაყრელი იქნებოდა ასეთი ქვეყნისა და მისი მთავრობის მიმართ მეხუთე მუხლით განსაზღვრული გარანტიების ამოქმედება? არა. პირიქით, სწორედ ეს გახდებოდა „უბედურების რეცეპტი.

საგარეო პოლიტიკა გარემოებებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. ცივი ომის დროს ომით გაწამებულ ბევრ ჩვენს მეგობარ ქვეყანას დაცვა სჭირდებოდა. დღეს მათ საკუთარი თავის დაცვა უკვე შეუძლიათ. დადგა დრო იმისა, რომ ჩვენს კმაყოფაზე მყოფი უცხოელებისგან გავთავისუფლდეთ“.

დაგ ბენდოუ

სამი მკვლელობა იპოთეკური სესხის გამო

თბილისის საქალაქო სასამართლოში 21 წლის ტარიელ საყვარელიძეს სამი პიროვნების მკვლელობისათვის მოსამართლე ეკა გაბრიჩიძემ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ექიმების დასკვნით, საყვარელიძე შეურაცხადია და იგი მისჯილ 25 წელიწადს სამკურნალო დაწესებულებაში მოიხდის. პროკურორი ნინო ჟღენტი საყვარელიძის მიმართ უვადო პატიმრობას ითხოვდა, თუმცა მისი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. განაჩენით უკმაყოფილო დაზარალებულებმა მოსამართლის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. მათი განცხადებით, სასტიკი მკვლელი სამუდამოდ ციხეში ყოფნას იმსახურებს.

ტარიელ საყვარელიძეს 21 წლის თენგიზ გურაშვილის, 22 წლის ემილიან გაბედავასა და 65 წლის საშა მეტონიძის მკვლელობა ედება ბრალად. როგორც პროკურორი ნინო ჟღენტი საუბარში აცხადებს, საყვარელიძე დაუსწრებლად იმ მიზეზით გაასამართლეს, რომ იგი შეურაცხადია.

საყვარელიძის მიმართ სს საქმე აღძრული იყო 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 108-ე მუხლით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

გამოძიებამ გაარკვია, რომ ტარიელ საყვარელიძე, ემილიან გაბედავა და თენგიზ გურაშვილი კლასელები იყვნენ, ხოლო საშა მეტონიძე მათი თანაკლასელის დავით მეტონიძის მამა იყო.

„2007 წლის 15 მაისს დავით მეტონიძემ ტარიელ საყვარელიძის დახმარებით სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა კერძო პირებთან 3%-ის ყოველთვიური გადახდით, ხოლო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა თავისი კუთვნილი ბინა, რომელიც ორხევის დასახლებაში, ჩანტლაძის ქუჩაზე მდებარეობს. საერთო ჯამში კი აიღო ფულადი თანხა 13320 დოლარი...

2007 წლის 12 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დავით მეტონიძე დაიღუპა. მისი გარდაცვალების შემდეგ საშა მეტონიძისათვის იპოთეკარებისაგან გახდა ყოველივე ეს ცნობილი. მეტონიძემ შინ მიაკითხა ტარიელ საყვარელიძეს და მოსთხოვა, აეხსნა მისთვის, რა მიზეზით გამოიტანა თანხა მისმა შვილმა. ტარიელ საყვარელიძემ საშა მეტონიძეს განუცხადა, რომ მან არაფერი იცოდა. მოგვიანებით საშა მეტონიძისათვის გახდა ცნობილი, რომ შვილის გარდაცვალების შემდეგ ნასესხები თანხის პროცენტები გადაიხადა ტარიელ საყვარელიძემ. მან ჩათვალა, რომ ამ უკანასკნელს მიღებული ჰქონდა თანხის ნაწილი და მოსთხოვა დაბრუნება, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ საშა მეტონიძემ საჩივრით მიმართა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურას და მოითხოვა წინასწარი გამოძიების დაწყება ტარიელ საყვარელიძის მიმართ თაღლითობის ფაქტზე“, — განაცხადა პროცესზე პროკურორმა.

პროკურორის განმარტებით, საჩივრის შეტანის გამო განაწყენდა საყვარელიძე და შურისძიების მოტივით განიზრახა საშა მეტონიძის მოკვლა.

„საყვარელიძე გადაჭრილი თოფით საშა მეტონიძესთან ბინაში მივიდა და თოფით ორი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც მეტონიძე დაიღუპა, საყვარელიძე კი მიიმალა.

მკვლელობის შემდეგ საყვარელიძისთვის ცნობილი გახდა, რომ მეტონიძის მკვლელობის გამოძიების პროცესში იგი, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირი, ამხილეს თენგიზ გურაშვილმა და ემილიან გაბედავამ, რამაც ძალიან გაანაწყენა...

2007 წლის 4 ნოემბერს საყვარელიძე მობილურით დაუკავშირდა გაბედავასა და გურაშვილს. ისინი ერთმანეთს თბილისის ზღვის სანაპიროზე შეხვდნენ. საყვარელიძემ სანადირო თოფიდან ორი გასროლით თენგიზ გურაშვილი მოკლა, იმავე თოფით მოკლა თენგიზ გაბედავაც. მათი მოკვლის შემდეგ საყვარელიძე დაეუფლა ემილიან გაბედავას მამის „BMW“-ს მარკის ავტომანქანას და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა“, — ამბობს პროკურორი ნინო ჟღენტი.

2007 წლის 6 ნოემბერს ტარიელ საყვარელიძე ვარკეთილში, მეგობრის ბინაში დაიკავეს.

როგორც თენგიზ გურაშვილის დედა მანანა გურაშვილი იხსენებს, მის შვილსა და საყვარელიძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

„მეგობრობდნენ, ტარიელისთვის ცუდი არასოდეს არაფერი შემიმჩნევია. ჩვეულებრივი ბიჭი ჩანდა. იმ დღეს თენგოს საღამოს ათ საათზე დაურეკა ვიღაცამ და სახლიდან გავიდა. შინ მთელი ღამე არ მოსულა. ვეძებდით, დილით კი პატრულმა შეგვატყობინა, რომ მოკლული იყო. ზღვაზე უპოვიათ, ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ერთი — გულში, მეორე — ზურგში“, — ამბობს მოკლული გურაშვილის დედა.

ჯემალ გაბედავა, ემილიან გაბედავას მამა განმარტავს: **„საყვარელიძე და ჩემი შვილი კლასელები იყვნენ. მე არ ვიცი, ვინ დაურეკა ტელეფონზე ჩემს შვილს. მანქანის გასაღები მთხოვა და 11-ის ნახევარზე სახლიდან გავიდა. მითხრა, ხუთ წუთში მოვალო. ფეხსაცმელიც არ ჩაუცვამს, ჩუსტებით ჩავიდა. მე ტელევიზორის ყურებაში ჩამძინებია. დილის შვიდ საათზე რომ გავიღვიძე, ჯერ კიდევ არ იყო მოსული. აივნიდან გადავიხედე და მანქანაც არ იდგა. მერე თენგოს დედაც მოვიდა. ავფორიაქდით. ვეძებდით და 12 საათზე გაგვაგებინეს, რომ ჩემი შვილი და თენგო მოკლულები იყვნენ. ერთი ტყვია ჰქონდა ფერდში მოხვედრილი“.**

ლამარა მეტონიძე, საშა მეტონიძის და საუბარში ამბობს, რომ საყვარელიძე მათი ოჯახის ახლობელი იყო და მისგან ამგვარი სისასტიკის ჩადენას ვერც კი წარმოიდგენდნენ.

„ჩემი ძმისშვილი და ტარიელი მეგობრობდნენ. ჩვეულებრივი ბიჭი ჩანდა. არ გვეგონა, თუ ამდენი სისასტიკის ჩამდენი იქნებოდა. იმ დღეს ჩემი ძმის სახლში რომ მივედი, ძმა მკვდარი დამხვდა. მკლავში და გულში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი. მარტო ცხოვრობდა, მეუღლე რამდენიმე წელია, გარდაცვლილი ჰყავს, მერე შვილი ავარიაში დაეღუპა. საყვარელიძესთან არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია.

ტარიელმა ჩემს ძმისშვილს გამოატანინა იპოთეკური სესხი, მაგრამ ეს ჩვენ არ ვიცოდით. ჩემმა ძმისშვილმა მხოლოდ საბუთები გააფორმა, მთლიანი თანხა კი საყვარელიძემ წაიღო, პროცენტებსაც საყვარელიძე იხდიდა.

მოკლული ძმა რომ დავინახე, მაშინვე ვივარაუდე, რომ მკვლელი საყვარელიძე იქნებოდა. არანაირი ზარალის ანაზღაურებას არ ვითხოვ, რადგან აუნაზღაურებელი ზარალი მომაყენა ამ პიროვნებამ. მე სასამართლოს მხოლოდ მის უმკაცრესად დასჯას ვთხოვდი. ჩემი აზრით, ის ძალიან საშიში პიროვნებაა და ასეთი სასტიკი მკვლელი სამუდამოდ ციხეში ყოფნას იმსახურებს“, — განაცხადა საშა მეტონიძის დამ ლამარა მეტონიძემ.

პროკურორი ჟღენტი ამბობს: **„სასამართლო გამოძიების პერიოდში საყვარელიძე დუმილის უფლებას იყენებდა. როგორც ექიმები ამბობენ, ბრალდებული შეურაცხადია და მისი სასამართლოში დაკითხვა ვერ მოხერხდა, თუმცა წინასწარი გამოძიებისას, როცა მას ვკითხეთ, აღიარებდა თუ არა ჩადენილ დანაშაულს, განაცხადა: მოვკალი, მაგრამ მერე ხომ გაცოცხლდნენო.“**

საყვარელიძის ადვოკატი ლალი აფციაური მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა. ტარიელ საყვარელიძის ოჯახის წევრები კი საუბარზე უარს აცხადებენ.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეს-სამსახურში განაცხადეს, „ტარიელ საყვარელიძეს სასამართლომ იძულებითი მკურნალობა დაუნიშნა. ვინაიდან იგი საზოგადოებისათვის საშიში პიროვნებაა, იზოლირებულ პირობებში უნდა იმყოფებოდეს და მისჯილ 25 წელიწადს სამკურნალო დაწესებულებაში მოიხდის“.

მაკა ჟობალია

სისხლიანი სიძესიმამრიანი

მკვლელობა, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ, ხუთი წლის წინათ მოხდა. საუბარია მარნეულის ყოფილ გამგებელსა და ხაზინის ყოფილ უფროსზე ოთარ მაზმიშვილზე, რომელმაც სიძე მოკლა. მაზმიშვილი მკვლელობიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ ჩაბარდა სამართალდამცველებს. მანამდე მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. მოკლულის ოჯახის ინფორმაციით, დამნაშავე მოსკოვში იმალებოდა. ხაზინის ყოფილი უფროსის და ირწმუნებოდა, რომ მისი ძმა უახლოეს მომავალში ჩაბარდებოდა სამართალდამცავ ორგანოს. ასეც მოხდა.

დაკავებული ირწმუნებოდა, რომ მას სიძის მოკვლა განზრახული არ ჰქონია. ვინც ამ საქმეს ღრმად ჩასწვდება, მიხვდება, რომ ხაზინის ყოფილი უფროსის სიტყვები მეტ-ნაკლებად ახლოა სიმართლესთან. ამაზე — ოდნავ მოგვიანებით.

მცირე ხნით წარსულში დავბრუნდეთ და გავიგოთ, რა მოხდა 2004 წლის 19 სექტემბრის საბედისწერო ღამეს. სიძე-სიმამრს შორის დაწყებული კონფლიქტი სიძის — 24 წლის გიორგი ხომასურიძის მკვლელობით დასრულდა.

გიორგი ხომასურიძემ სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ სწავლა ასპირანტურაში, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის კათედრაზე განაგრძო.

ოთარ მაზმიშვილი და გიორგის მამა ბერდია ხომასურიძე დიდი ხნის ნაცნობები არიან. სწორედ მათი მეშვეობით გაიცნეს ერთმანეთი გიორგიმ და ნატომ. ათიოდე წლის წინათ ისინი საერთო ნაცნობებთან ერთად ბრიუსელში დასასვენებლად გაემგზავრნენ, სადაც ერთმანეთს დაუახლოვდნენ.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდები მალევე დაქორწინდნენ. ოთხი წლის თავზე ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც ნატოს მამის პატივსაცემად ოთარი დაარქვეს.

ხომასურიძეების თქმით, ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა ბავშვის დაბადების შემდეგ დაიძაბა. ნატო მაზმიშვილი შვილთან ერთად საცხოვრებლად მშობლების სახლში გადავიდა. მართალია, გიორგი და ნატო შერიგდნენ, მაგრამ საბოლოოდ ცოლ-ქმარი მაინც განქორწინდა.

როგორც გარდაცვლილის ოჯახი აცხადებს, ნატო მაზმიშვილს თავიდანვე უნდოდა, გიორგი მის სახლში გადასულიყო საცხოვრებლად და მიზნის მიღწევას ყველანაირი ხერხით ცდილობდა — მეუღლეს ბავშვის ნახვაც კი აუკრძალა. სწორედ ამის საფუძველზე შეიტანა ხომასურიძეების ოჯახმა სასამართლოში სარჩელი, რათა მამას ბავშვის ნახვის უფლება მიეღო.

მოკლულის ახლობლების თქმით, მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, ნატო მაზმიშვილი მეუღლეს ბავშვს მაინც არ აჩვენებდა. სწორედ ამის გამო დაიძაბა სიძე-სიმამრს შორის ურთიერთობა.

ნანა ხომასურიძე, გარდაცვლილის დედა: **„ნატო სულ გვემუქრებოდა, დამაცადეთ, ჯერ შვილი გავაჩინოო. ალბათ, ეგონა, ბავშვს თუ სახლში წაიყვანდა, გიორგიც გაჰყვებოდა. ბავშვის დაბადების შემდეგ ასეც მოიქცა. მერე სარჩელი შეიტანეთ სასამართლოში, რომ გიორგის ბავშვის ნახვის უფლება მიეღო, თუმცა ნატო არც ამის შემდეგ გამოსწორებულა — როცა უნდოდა, შვილს მაშინ ანახებდა“.**

სიძე-სიმამრი ერთმანეთის მეზობლად სახლობდა. მაზმიშვილის ოჯახი ონიაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა, ხომასურიძეები კი — პარალელურ ქუჩაზე. საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობა დაახლოებით ღამის თერთმეტის ნახევარზე მოხდა. ტრაგედიას წინ უძღოდა ცოლ-ქმრის კონფლიქტი.

იმ დღეს, დაახლოებით 6 საათზე, გიორგი ხომასურიძე მეუღლის სახლში მივიდა. იქ კი ბავშვთან დაკავშირებით შეკამათდნენ.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც ხომასურიძემ მაზმიშვილების სახლი დატოვა. საღამოს თერთმეტის ნახევრისთვის გიორგი ხომასურიძე მეუღლის სახლში ისევ დაბრუნდა. ჭიშკართან სიძე-სიმამრი კვლავ შელაპარაკდა, რაც ურთიერთშეურაცხყოფაში გადაიზარდა. როცა გიორგი ეზოდან გადიოდა, მოულოდნელად სიმამრმა სიძეს იარაღიდან ესროლა. ტყვია ბიჭს კეფასა და უკანა ბეჭის არეში მოხვდა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მოკლულის დედა იხსენებს: **„მკვლელობის დღეს გიორგიმ შვილი მშობლების სახლში მიიყვანა. საღამოს კი, როდესაც ბავშვი მაზმიშვილების სახლში დააბრუნა, კვლავ შინ შემობრუნდა, დეიდაშვილს დაურეკა, რომ მეგობრებთან ერთად გასართობად წასულიყვნენ“.**

ნანა ხომასურიძე განაგრძობს: **„უკვე მანქანაში იჯდა, როცა ნატოს დაურეკავს, მოდი, მამაჩემი გიბარებსო. როცა მათ სახლს მიუახლოვდა, ოთარმა დაუძახა, მანქანა გაეჩერებინა...**

მანქანიდან რომ გადმოვიდა, ყოფილმა სიმამრმა მარჯვენა მხრიდან კეფაში ტყვია ესროლა. როგორც მეზობლებმა მითხრეს, მკვლელობის შემდეგ ოთარს უყვირია, ახლა ხომ მოისვენეთ ყველამო...“

თავად სიმამრი სიძესთან ურთიერთობას და იმდღევანდელ ამბებს ასე იხსენებს:

„ჩემ მიმართ აგრესიული გახდა. მლანძღავდა, მაგინებდა... ჩემი შვილიშვილი ავად იყო, დავურეკე, რომ მოსულიყო. გიორგი 21 საათისთვის მოვიდა. შევლაპარაკდით. დამცინავად მიპასუხა. შენს კუბოს გავიტან აქედანო, – ამ სიტყვებით გავიდა და მანქანაში ჩაჯდა...

დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიდოდა. ტაშკენტის ქუჩიდან ონიაშვილის ქუჩაზე მანქანამ დიდი სისწრაფით ამოუხვია. მანქანიდან გადმოვიდა და დამიზნებით ჩემი მისამართით ორჯერ გაისროლა. მარცხენა მკლავში სისველე და ტკივილი ვიგრძენი. გარაჟში ჩემი კუთვნილი მანქანა იდგა. საბარგულში „ვინჩესტერის“ ტიპის სანადირო თოფი მედო. 35-40 მეტრში გიორგის მანქანა იდგა. პირველად ჰაერში გავისროლე, მეორედ — მისი შეშინების მიზნით.

სროლა შეწყდა. ეზოში შევედი. ამ დროს გიორგის მანქანა დიდი სისწრაფით წავიდა. დავასკვენი, რომ ეს გიორგის მორიგი აფერისტობა იყო და ის უვნებელი გადარჩა.“

მომხდარის შემდეგ მაზმიშვილი ტაქსით მეგობართან დაბა სიონში გაემგზავრა, სადაც მას ადგილობრივ პოლიკლინიკაში დახმარება აღმოუჩინეს და ამის დამასტურებელი ამბულატორიული დასკვნაც წარმოადგინა, თუმცა გარდაცვლილის ოჯახი დასკვნას გაყალბებულად მიიჩნევს.

მაზმიშვილი ირწმუნება, რომ სიძის მოკვლა განზრახული არ ჰქონია: **„ფაქტი სახეზეა — დიდი ტრაგედია მოხდა. არავითარი დევნა, სტვენა, „გადმოდი“ არ ყოფილა. როცა იარაღი გამოვიტანე, ის ცხონებული მანქანიდან უკვე გადმოსული იყო. გასროლის შემდეგ გიორგის მანქანა იქაურობას დიდი სისწრაფით გაეცალა და ჩავთვალე, რომ იგი უვნებელი იყო. განზრახ მკვლელობა არ ჩამიდენია და არც არასდროს გამივლია გუნებაში. მე, უბრალოდ, ვიგერიებდი მას და ვიცავდი ჩემს თავს და ჩემი ოჯახის წევრებს“.**

სასამართლომ სიძის მკვლელობისთვის სიმამრს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოკლულის დედა ამბობს, რომ ამდენი წლის შემდეგაც კი შვილის მკვლელობის მიზეზი მისთვის ბურუსითაა მოცული: **„სასამართლო ისე დამთავრდა, რომ ჩვენ ვერ გავიგეთ, რის გამო არის გიორგი მოკლული. ოთარ მაზმიშვილისთვის ასი წელიც რომ მიეცათ, ჩვენს სულიერ ტკივილს მაინც არაფერი შეცვლიდა. გიორგის ჩვენ არავინ გაგვიცოცხლებს“.**

ნანა არეშაძე

ეს ნერვიული

უნივერსიტეტის პირველ კორპუსს იერსახე არ უნდა შეეცვალოს

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს, ბატონ ნ. რურუას

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ ნ. გვარამიას

ქ. თბილისის მერს, ბატონ გ. უგულავას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, რომელიც ცნობილი არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის პროექტის მიხედვით XX საუკუნის დასაწყისში ჩვენი ხალხის უდიდესი ძალისხმევით აშენდა, სამართლიანად იქცა ქართული უმაღლესი განათლების სიმბოლოდ. ამ შენობაში თავდაპირველად პირველი ქართული გიმნაზია გაიხსნა, მოგვიანებით კი — პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოში საუნივერსიტეტო სწავლებასა და მეცნიერებას. განსაკუთრებულია ამ შენობის, როგორც კულტურის ძეგლის, როლი გასული საუკუნის ახალი თბილისის არქიტექტურული იერსახის განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსს მინიჭებული აქვს კულტურისა და ისტორიის ძეგლის სტატუსი (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №3/1811.X.2007, „საკანონმდებლო მაცნე“ № 47), აქედან გამომდინარე, მისი დაცვის პრინციპებსა და მასზე ჩატარებული სამუშაოების სამართლებრივ საფუძვლებსა და სანებართვო პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

უკვე რამდენიმე თვეა, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით უნივერსიტეტში სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასოციაცია „ატუ“ აწარმოებს, ხოლო უძრავ ძეგლზე შიდა სარემონტო სამუშაოების სანებართვო მოწმობა 2008 წლის 20 ნოემბერს გაცემულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს — გაერთიანებული საბჭოს სხდომაზე, რომელზეც განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის კაპიტალური რემონტის პროექტი, კომისიის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს და დასკვნაშიც მიუთითეს: „განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცეს ფანჯრების ნახატის შენარჩუნებას და მის ხარისხს“.

სამუშაოს დაწყების შემდგომ, დამტკიცებული პროექტის საწინააღმდეგოდ, შენობის ყველა ღიობის თავდაპირველი ჩარჩო და ალათები თანამედროვე ტიპის მეტალოპლასტმასის ფანჯრებით შეიცვალა და სრულიად გადაკეთდა ალათების თავდაპირველი ნახატი, რამაც გამოიწვია ფასადის გარეგანი სახის ცვლილება. ეს კი, მოქმედი კანონმდებლობისა თუ სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო ნორმების მიხედვით, ყოვლად დაუშვებელია.

არავის აქვს უფლება, კანონმდებლობის უხეში დარღვევით ქართული კულტურისა და ისტორიის ასეთი თვალსაჩინო ძეგლის ფასადი შეცვალოს.

მოვითხოვთ, შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა დაიცვან კანონი, გამოიყენონ სათანადო კომისია და შეუნარჩუნონ უნივერსიტეტის მთავარ შენობას პირვანდელი იერსახე. ამასთან, მადლიერებას გამოვხატავთ ფონდ „ქართუს“ მიმართ უნივერსიტეტისადმი გაწეული მზრუნველობის გამო.

თამარ ბელაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი;
ნანა მირცხულავა,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
ნანა ჟიშიანი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი;
მაია იზორია,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
ლალი ანდრონიკაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
ირინა მირიჯანაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი;
თამარ ამირეჯიბი,
ხელოვნებათმცოდნე;
ლალი ახალაია,
არქეოლოგი;
ზურაბ გაიპარაშვილი,
ისტორიკოსი;
ქრისტინე დარჩია,
ხელოვნებათმცოდნე;
ნათია ებანოიძე,
ხელოვნებათმცოდნე;
ნინო ჭინჭარაული,
ხელოვნებათმცოდნე;
ლალი ჭურღულია,
ხელოვნებათმცოდნე;
მარინე ხატიაშვილი,
ხელოვნებათმცოდნე.

მზექალა შანიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;
მარიამ ლორთქიფანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;
ოთარ ჯაფარიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;
ზაზა სხირტლაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი;
ზურაბ კიკნაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
თარხან ჯავახიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი;
მაია მანია,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი;
ირინე ელიზბარაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი;
მანანა სურამელაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
ციცინო ჩაჩხუნაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
მარიამ გაჩეჩილაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
ელენე თუმანიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

როგორ უგანა უგომ გრინგოებს

ასპარეზზე გამოსვლის პირველ თვეებში ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ შეანელა „მიკროფონის ომის“ სიმძაფრე უგო ჩავესის მთავრობის წინააღმდეგ. რაც დარჩა, ისიც მემკვიდრეობით მიიღო ჯორჯ ბუშისაგან.

აშშ ადმინისტრაცია ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ ვენესუელის მოსახლეობის 65-70 პროცენტი სტაბილურად მხარს უჭერს თავის პრეზიდენტს. შეიარაღებული ძალები პატრიოტულად არიან განწყობილი და ლოიალობას იჩენენ ჩავესის მიმართ. პოტენციური კონკურენტები, რომლებიც მომავალში უმაღლესი პოსტისათვის ბრძოლაში მოიაზრებოდნენ, ნეიტრალიზებულია: სულიას შტატის ყოფილი გუბერნატორი მანუელ როსალესი საზღვარგარეთაა გაქცეული — გამოძიებას აარიდა თავი. ჩავესის ყოფილი თანამებრძოლი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ამბიციური და ორპირი რაუელ ბადუელი დააპატიმრეს კორუფციაში ბრალდებით.

როგორი პარალელებია, რა ერთნაირი ხელწერა და მსგავსებაა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიასთან!

ნამდვილად სურს ვაშინგტონს კარაკასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება თუ ახალი აქცენტები მხოლოდ იმიტაციაა დიალოგისკენ მისწრაფების, დრო დაგვანახებს. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია პრიორიტეტული: დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზაცია, პოლიტიკური დიალოგის წარმართვა, საერთაშორისო ნარკოკარტელების, ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა და ა.შ.

დასამალი არ არის, რომ ობამას ადმინისტრაციისთვის ვენესუელაში „არამეგობრული რეჟიმის“ დამხობა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება, თუმცა ისიც სათქმელია, რომ დღევანდელ ლათინურ ამერიკას შეუძლია, მძლავრი საპროტესტო აქციით უპასუხოს აშშ პირდაპირ ჩარევას ვენესუელის საშინაო საქმეებში. ჩავესმა ვაშინგტონი გააფრთხილა: „თუ გაბედავთ, პასუხად მიიღებთ მწვავე და დაუნდობელი ბრძოლის ათას წელიწადს კონტინენტზე, რიო-ნეგროდან მოყოლებული ცეცხლოვან მიწამდე“.

ლათინოამერიკელი პოლიტოლოგები (მემარცხენეებიც და მემარჯვენეებიც) მიიჩნევენ, რომ ობამას ადმინისტრაციას განზრახული აქვს, „ჩავესის პრობლემა“ „ფერადი რევოლუციების“ სქემით გადაწყვიტოს. სწორედ ასეთ ორიენტაციას აძლევს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თავის რეზიდენტურებს რეგიონის ქვეყნებში. ვენესუელის სპეცსამსახურების მონაცემებით, ამ პროგრამით მუშაობს რეზიდენტურის 100-110 თანამშრომლის, სულ მცირე, ნახევარი. აშშ საელჩო კარაკასში ლენგლის თავისებურ ფილიალად ჩამოყალიბდა. „ვენესუელის მიმართულებით“ ანალოგიური აქტიურობით გამოირჩევა ამერიკელების რეზიდენტურა ბოგოტაში (კოლუმბია), თუმცა იქ იგი უმეტესად სპეციალდება „მწვავე ხასიათის“ ოპერაციებზე, რომლებშიც მონაწილეობის მისაღებად იწვევენ კოლუმბიის კონტრდაზვერვის აგენტებს და „პარამილიტარებს“ — ულტრამემარჯვენე, ნახევრად გასამხედროებული დაჯგუფებების წევრებს. ვენესუელისკენაა მიმართული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლობათა საქმიანობა პერუში, კოსტა-რიკაში, სალვადორში, გვატემალაში, ჩილესა და მექსიკაში. ზოგიერთი ოპერაცია ხორციელდება კარიბის ზღვის კუნძულების სახელმწიფოებიდან, უფრო ხშირად — კიურასაოდან, ბანაირიდან და არუბადან.

„რევოლუციას“ ვენესუელაში, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამზადებს, ეტყობა, „თეორ რევოლუციას“ დაარქმევენ.

ყველაფერი მეორდება ამ ცის ქვეშ — „ვარდების“ ომებიდან და მეოცე საუკუნის 20-იანი წლების სამოქალაქო ომის დროიდნელი თეორ-წითელი დაპირისპირებიდან, ჩვენი დღეების ჭრელაჭრულა და ვარდ-ყვავილოვან რევოლუციად წოდებულ სახელმწიფო გადატრიალებებამდე.

და კიდევ — შავი დროშები ანარქისტების — Анархия мать порядка!

ვერ გეტყვით, ამათ ჯინაზე თუ კონტრასტის ხაზგასასმელად, ეგებ, სულაც სისუფთავის სიმბოლო ფერად აღიარების გამო, ვენესუელის ოპოზიცია ჯერ კიდევ ბუშის პრეზიდენტობის დროს თეთრით იმოსებოდა: თეთრი მიაჩნდათ „დიქტატურისგან გათავისუფლების იმედის“ ფერად.

თეთრი — ფერი იმედის, როგორც ჩინგიზ აითმატოვის თეთრი გემი ისიკ-ყულის ცისფერ სივრცეში.

კიდევ ერთი პარალელი: 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე თეთრ ფერში გამოწყობილები მობრძანდითო, — შესთავაზა ჩვენმა ოპოზიციამ თანამოქალაქეებს. თეთრი ყელსაბამიც გავიხსენოთ და დავუმატოთ, რომ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ვენესუელაში გამართულ მანიფესტაციებზე მაინცდამაინც თეთრებში გამოწყობილი სტუდენტები მიდიოდნენ.

მაგრამ, როგორც ყველგან და ყოველთვის (მაგალითად, საფრანგეთის სტუდენტური მღელვარება 60-იან წლებში), სტუდენტობა ხანგრძლივი რევოლუციური ბრძოლისთვის მზად არ აღმოჩნდა; აფეთქებასავით იყო და მალევე ჩაცხრა: ირბინეს, იყვირეს, ცეცხლი წაუკიდეს ხეებს, დაარბიეს რამდენიმე ჯიხური, სადაც ღარიბ-ღატაკებისთვის იაფფასიანი საქონელი იყიდებოდა, ჩავესის მომხრეებს „ქაჯები“ უძახეს და დაამთავრეს „რევოლუციური გამოსვლები“. სტუდენტთა „თეთრმა“ ლიდერმა გოიკოჩეამ მილტონ ფრიდმანის ფონდიდან 500 ათასი აშშ დოლარის პრემია მიიღო (რა ცოტას დასჯერებია სოროსს მიყიდული „კმარას“ ლიდერი თეა თუთბერიძე!). გოიკოჩეას „თანამებრძოლები“ გადაუდგნენ — ჩვენ რაო? შენზე ნაკლები ვინაა? და ასე შემდეგ.

ძალიანაც არ მინდა, რომ შევადარო, მაგრამ „ფერი ფერსაო“, ასე რომ გამოდის?

„თეთრი რევოლუციის“ ფარგლებში პირველი მნიშვნელოვანი აქციის მომზადებას დიდი დრო და ხანი არ დასჭირვებია. მაისის ბოლოს კარაკასში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი „ლათინოამერიკული გამოწვევა: თავისუფლება, დემოკრატია, საკუთრება და ბრძოლა სიღარიბესთან“.

ხომ არ გეცნობათ? განსაკუთრებით, „ბრძოლა სიღარიბესთან“ და „საქართველო სიღარიბის გარეშე“ პრეზიდენტის თვალთაგან გადმოგორებული ობოლი კურცხალის ფონზე?

ერთი და იგივე ავტორი ხომ არ ჰყავს ამ საბრძოლო ლოზუნგებს თუ „ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს?“

ღირს დაფიქრებად.

ჩვენ კი კვლავ ვენესუელას დავუბრუნდეთ და იმ ფორუმს, რომლის გამართვაში პრესას ეჭვი ეპარებოდა: უგო ჩავესი არ დაუშვებს დიქტატურის წინააღმდეგ აზრის თავისუფლად გამოხატვას მის ცხვირწინ და ყველას დასანახადო.

დაუშვა. დაუშვა კი არა, ფორუმი სწორედ იქ გაიმართა — ყოფილ „კარაკას პალასში“, სადაც ჩაშლილი ამბოხის შემდეგ თავი მოიყარეს სამხედრო დისიდენტებმა — ამბოხის მონაწილეებმა. ფორუმის ჩატარებას ამ სასტუმროში, რა თქმა უნდა, სიმბოლური ქვეტექსტი ჰქონდა: „მაშინ არ გამოგვივიდა, მაგრამ ახლა თავიდან ვიწყებთ და აუცილებლად მივაღწევთ ნარმატებას“.

რევოლუციას და გადატრიალებას სიმბოლოები უყვარს, განსაკუთრებით, ადგილის შერჩევის თვალსაზრისით. ჩვენს უახლეს ისტორიას თუ გადახედავთ, დამეთანხმებით.

სხვა საქმეა, როგორი მანათობელი ვარსკვლავი ან „დემოკრატიის შუქურა“ გამოდნება ამ სიმბოლიკიდან.

და ახალთახალი პარალელი: ჩვენი ოპოზიციის ცენტრიდანული გაფანტვა (განხეთქილება რომ არა ვთქვათ) და ჩავესის ოპოზიციისთვის დამახასიათებელი ქიშპი და დაპირისპირება.

ამიტომ, როგორც საქმეში ჩახედული მიმომხილველები გვარწმუნებენ, ამ წინააღმდეგობათა მოსაწესრიგებლად კარაკასის შეკრების ორგანიზებისთვის თავი გამოიდეს ნამდვილმა პროფესიონალებმა „გარედან“, საკმარისადაც დააფინანსეს ეს ღონისძიება და დაარწმუნეს მონაწილენი, რომ კოლექტიურად უნდა იმუშაონ და პირველობის ამბიციებიც დაიოკონ.

ვინ კოორდინირებდა, ვინ პატრონობდა კარაკასში გამართულ ფორუმს? ადგილობრივი მიმომხილველებისთვის ეს რთულად გასარკვევი საკითხი არ აღმოჩნდა. ორგანიზატორთა შორის ისინი, უწინარეს ყოვლისა, ასახელებენ ვაშინგტონის ინსტიტუტ Cato-ს, რომელიც იღვწის მემარჯვენე-კონსერვატული იდეალების დასაცავად „არამყარი ვითარების“ ქვეყნებში; „თავისუფლების საერთაშორისო ფონდი“, რომელსაც ხელმძღვანელობენ მარიო ვარგას ლოსა და ჯირარდო ბონჯიოვანი, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან დაახლოებული პირი. ამ „ფონდს“, როგორც ამბობენ, იყენებენ აღნიშნული სამმართველოს ოპერაციების საფარად. „ფონდს“ პატრონობს ინსტიტუტი Cato, ასევე, ჩრდილოამერიკული Heritage Foundation, Manhattan Ynstitute და Atlas Research Foundation, ესპანეთის, არგენტინის, ბრაზილიის, ეკვადორის, ჩილეს რიგი ინსტიტუტებისა.

ფორუმის მთავარი თემა, როგორც ყველა „არასტაბილურ ქვეყანაში“ (მათ შორის, ჩვენთანაც) იყო „სასიკვდილო საშიშროება“, რომელიც „სიტყვის თავისუფლებას ემუქრება“ ვენესუელაში „ჩავესის დიქტატურის გაძლიერების პირობებში“.

დამკვირვებლების აზრით, კარაკასის ფორუმი ჩაფიქრებული იყო როგორც მასშტაბური პროვოკაცია არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ორგანიზატორები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ხელისუფლება აუკრძალავდა ფორუმის გამართვას, უარს ეტყოდა მონაწილეებს ვიზების მიცემაზე ან განახორციელებდა რეპრესიულ ღონისძიებებს მათ მიმართ.

მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით: ჩავესმა მემარჯვენე კონსერვატორი ოპონენტები — ფორუმის მონაწილენი მიიწვია პრეზიდენტის სასახლე მირაფლორესში დისკუსიის გასამართავად მემარცხენე ინტელექტუალებთან, რომლებიც იმავე დღეებში კარაკასში თავიანთ კონფერენციაზე იყვნენ შეკრებილები.

ამ წინადადებით „ფორუმელებს“ თავდაპირველად სატელევიზიო პროგრამა „ალო, პრეზიდენტო“ №331-ით მიმართეს, შემდეგ უფრო გააფართოვეს და შეავსეს.

ჩავესმა განაცხადა, რომ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, მზადაა დისკუსიის მოდერატორობისთვის. მან შესთავაზა ოპონენტებს, ყურადღება გაემახვილებინათ ისეთ თემებზე, როგორიცაა: „კაპიტალიზმის უპირატესობა სოციალიზმზე“ ან „ვენესუელის დიქტატურისკენ დაქანების გარდაუვალობა“.

მაგრამ... როგორც ყოველთვის (ჩვენი რეალობის დამოწმებაც საკმარისია), ოპონენტებმა უარი თქვეს დისკუსიის ამგვარ ფორმატზე, შეშინდნენ, რომ „ღია ეთერში“ მათ „ხაფანგებს“ დაუგებდნენ. ჩავესთან დისკუსიის გამართვაზე, ასე თუ ისე, თანახმანი იყვნენ, მაგრამ მემარცხენე-პროგრესისტ ინტელექტუალებთან — არა და არაო, მოიკლეს თავი.

ამასთან დაკავშირებით ჩავესმა განაცხადა: „ინტელექტუალად თავი არ მიმაჩნია, მე მხოლოდ ჯარისკაცი და ქვეყნის პრეზიდენტი ვარ!“

დაბოლოს, **კიდევ ერთ პარალელს ვერ ავცდებით: როგორც „ვარდების რევოლუციის“ მომზადების პერიოდში „კმარელებს“ თბილისის მახლობლად, ცხვარიჭამიაში სწავლება თუ სემინარები მოუწყვეს, კარაკასში სამდღიანი ინსტრუქტირება ჩაუტარეს რეჟიმის აქტიურ მოწინააღმდეგეებს — 50 სტუდენტს, „თეთრი რევოლუციის“ დამკვრელ რაზმს.**

სპეციალისტები გვეუბნებიან, რომ ამ „კურსების“ მსმენელთა სია შეადგინა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტურამ კარაკასში, ხოლო ახალგაზრდობასთან სამუშაოდ, როგორც წესი, წარიგზავნებიან ოპერატიული თანამშრომლები, რომლებსაც აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ში „ფერადი რევოლუციების“ მოწყობის გამოცდილება აქვთ.

ფორუმის დღეებში ვენესუელაში გაძლიერდა სიძულვილის პროპაგანდა ხელისუფლების მიმართ. **გაიხსენეთ „რუსთავი 2“-ის ზღვარდაუდებელი აქტივობა განსაკუთრებით 2003-ის ნოემბრის დღეებში.**

ძალიან ბევრი პარალელი ხომ არ გამოვიდა?

ერთადერთი განსხვავება შემდეგში გამოიხატა: ჩავესიც ადგილზე დარჩა და მისი ხელისუფლებაც.

ვისთვის გაუნათებია გზა უკანმიდევნებულ ლამპარს, რომელიც, ამ შემთხვევაში, ვენესუელის მაგალითშია ტრანსფორმირებული? მაგრამ ვინ იცის, ეგებ, ღირს გახსენებად?!

არმაზ სანებლიძე

კარაკასის კონტრასტი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

თამილა მაკარიძე:

როცა ჯიბეში ლარებზე მეტი დიპლომები გაქვს, უნებურად აგრესიული ხდები

სააკაშვილს ფსიქოლოგი რომ ჰყოლოდა, ამდენ შეცდომას არ დაუშვებდა

ხანგრძლივმა აქციებმა ის შედეგი ვერ გამოიღო, რასაც საზოგადოება მოელოდა. ექსპერტები და პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ შემოდგომაზე სიტუაცია საქართველოში უფრო მეტად დაიძაბება. მათი პროგნოზი არაა გასაკვირი, რადგან ხალხში საპროტესტო მუხტი მაღალია. ვეფხვიც კი, რომელიც ნახტომს აკეთებს, ძალთა კონცენტრაციისთვის უკან იხევს და გადასახტომ მანძილს თვალით ზომავს. რამ დააგროვა ასეთი დიდი აგრესია საზოგადოების ნაწილში, რომელიც მხოლოდ ერთადერთი მოთხოვნით გამოდის — „გადადგეს სააკაშვილი!“ ამის თაობაზე გვესაუბრება ექიმი ფსიქიატრი თამილა მაკარიძე, რომელიც ცნობილი ფსიქიატრის ალექსანდრე (საშა) მაკარიძის ქალიშვილია და ზურგს უმაგრებს მრავალწლიანი საექიმო გამოცდილება. ამასთანავე, იგი არაერთი წიგნის და საინტერესო პუბლიკაციის ავტორია.

— ქალბატონო თამილა, როგორია ფსიქიატრის პროფესიული თვალით დანახული საქართველო?

— დღეს, ქართველი ხალხი აგრესიულია, აგრესია კი ძალადობას შობს. გეთანხმებით, ფსიქიატრის თვალი სხვაა. ჩვენ ადვილად ვამჩნევთ სიყალბეს, ცრუსაქმიანობას, ორპირობას, ცრუპატრიოტიზმს, უწესო აჩქარებას, უადგილო სიცილს, უდროოდ წამოწყებულ ნაკლებადმნიშვნელოვან ქმედებას, სიტუაციისთვის შეუფერებელ ქცევას, არაადეკვატურ ემოციას, აზრთა არათანმიმდევრობას, სიტყვიერ მოუზომლობას, ხალხზე გათვლილ იაფფასიან დაპირებებსა და ტრაბახს.

სიტყვა აგრესია ლათინურია და ძალადობას ნიშნავს. დღეს ეს სიტყვა ყოველ ნაბიჯზე თავს გვახსენებს: აგრესიულია ჩვენი ტელეგადაცემები, ნაწილობრივ — ბეჭდვითი მედიაც, პოლიტიკური თუ პიროვნული დაპირისპირებები.

აგრესია გვეუფლება, როდესაც ჩვენ, ამ ქვეყნის მოსახლეობა მოტყუებული, გაფცქვნილი, იმედშემოძარცვული ვიგებთ, რომ ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები გაყიდულია და ამ გაყიდვების შედეგად სახელმწიფო ხაზინაში არაფერი შესულა. აგრესიაა, როდესაც ოჯახში დიპლომების რაოდენობა ლარებზე მეტია. აგრესიაა, როდესაც უთოფო ყაჩაღს, მოსახლეობის ფულადი დანაზოგების მიმთვისებელს, ისეთ უფლებებს ანიჭებენ, რომ ის ტელევიზიის ეკრანიდან ჭკუას გვარიგებს და ეკონომიკურ კრიზისზეც გვესაუბრება.

დღეს ჩვენში დამკვიდრებულ აგრესიას ფსიქიატრიაში ზეზღვრული გაღიზიანება ჰქვია. ღმერთმა ნუ ქნას, ადამიანებს მოთმინება გამოელიოთ... თორემ ისტორიას კიდევ ერთი ცუდი ფურცელი შეემატება. აგრესიაზე მეტად შემაშფოთებელია სისასტიკე, ცემა დასახიჩრებამდე, სხეულის დაზიანებამდე. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ბოთლიდან ავი სული ამოუშვეს.

— რატომ გამოდის საზოგადოების ნაწილი და მათი ლიდერებიც ერთადერთი ლოზუნგით: „გადადგეს სააკაშვილი!..“ და რა არის მიზეზი არსებულ სიტუაციაში აგრესიულობის ზრდისა?

— ღირსების შელახვა, შეურაცხყოფა, დაკნინება ყველაზე ძნელი გადასატანია. დიქტატორთა, მმართველთა, ძალაუფლების მქონეთა აგრესიულობა საპასუხო რეაქციას იწვევს. სამწუხაროდ, აგრესიულობა გადამდებია. იცით, არც პროტესტისა და არეულობის შექმნა შეუძლია ყველას და არც სახელმწიფოს მართვა; ზოგს თავისი ხასიათის თავისებურებების გამო ოჯახის გაძღოლაც არ შეუძლია. სახელმწიფო მოღვაწე, მთავრობის კაცი გაწონასწორებული, ლოგიკური, პროგნოზირებადი, ემოციებისა და იმპულსების დროულად დამმუხრუჭებელი უნდა იყოს. სათავეში ყოფნამ კიდევ უკეთ უნდა დაანახოს, ქვევით რა ხდება. დემოკრატია ნიშნავს, რომ, რაც დასაშვებია შენთვის, ის დასაშვებია ჩემთვის; რაც შენთვის დაუშვებელია, ის არ შეიძლება ჩემთვისაც. გახსოვთ, სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრობისას შევარდნაძის მთავრობას საირმის გორის სახლების ფოტოები თვალწინ რომ აუფრიალა? დღეს ასეთ სახლებში მისი მთავრობის წევრები ცხოვრობენ. სააკაშვილს ადრე, დეპუტატი რომ იყო მაშინ, სუფრასთან შევხვდი. პროფესიული თვალით მე იმთავითვე გამოვარჩიე იგი აქტიურობით, საკუთარი თავის წარმოჩენის სურვილით, სხვებზე უპირატესობის მოპოვებით, ხელების სწრაფი მოძრაობით. შემდეგ პერიოდში პრეზიდენტზე დაკვირვებამ მიმახვედრა, რომ ის არის ხასიათობრივი თავისებურებების მქონე კაცი. ვეჭვობ, ბავშვობაში უსათუოდ გადატანილი აქვს რაღაც დაავადება, რომელმაც მასში ჩამოაყალიბა პათოლოგიური ხაზები: სურვილების სიჭარბე, სხვებისთვის ანგარიშგაუწევლობა, საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლობა, სიჩქარე, სულსწრაფობა, აფექტურობა, შეუსაბამობა, მოუთმენლობა, მოკლე ჩართვებით ცხოვრება, ჰედონიზმი. ყოველივე ამის გამო არაპროგნოზირებადი პიროვნებაა. მისი „მე“-დან გამოსული სურვილები სრულიად სხვა ჭრილში ზის, რეალობა კი რადიკალურად განსხვავებულია. ამას ადასტურებს, ხალხში მოარული ხმები ახლადდანიშნულ პრემიერმინისტრებთან მისი უსიამოვნებების შესახებ.

არ მომწონს, როდესაც პრეზიდენტს ოპონენტები უწოდებენ გიჟს, სულელს, ცანცარას. მე, როგორც ფსიქიატრი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ის არ არის სულით ავადმყოფი, მაგრამ მისი მსგავსი პათოლოგები არანაკლებ მძიმე და საშიშნი არიან.

— მისი საქციელი გორში, რომლის კადრები თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა, ხომ არ მიგვანიშნებს სააკაშვილის სულიერ აშლილობასა და აკვიატებულ შიშებზე?

— გორში მომხდარი ინციდენტი არაა აკვიატებული შიში. ესაა ექსტრემალური სიტუაციის შედეგად გამოწვეული შიშის გრძნობა. სააკაშვილი ელემენტარულად მშიშარაა, ხალხთან ვერ გამოდის. მას უყვარს მწვანე შუქი, თავისი გარემოცვა და იქ ყოფნა, სადაც კარგად ხვდებიან. მემარჯვენეების პარტიაში, სადაც ექიმებიც არიან, თავიდანვე მიხვდნენ მისი ხასიათის ანომალიას, სხვათა შორის, — შალვა ნათელაშვილიც.

ეს ისეთი თვისებაა, რომელიც კორექციას საჭიროებს. ამიტომ სააკაშვილს მრჩეველი ან ფსიქოლოგი კორექტორი რომ ჰყოლოდა, ამდენ შეცდომას არ დაუშვებდა, რადგან სპეციალისტი მის ყველა ამ ნაკლს გამომზეურების საშუალებას არ მისცემდა, ჩასვამდა ჩარჩოებში და მიუთითებდა სიტუაციის შესაბამის რეაქციებსა და გადაწყვეტილებებზე. მაგრამ ხომ გახსოვთ დიდებული გამონათქვამი: „როგორც კუდი ძაღლისა არ გასწორდების, კირჩხიბი სწორედ არ ივლის, ისე ბუნება კაცისა არ შეიცვლების“. ბუნება კი ხასიათია.

პიროვნებაში სამი რამ უნდა იყოს შეხამებული: ინტელექტი, სულიერი და ემოციური სფერო; ამასთან, მთავარია ხასიათი, უნარი — გამოიყენო ცოდნა. ყოველი გადახვევა უცნაურობას ქმნის. სწორედ ეს მინდა ვუთხრა მკითხველს: „ფრთხილად იყავით, არჩევანში კვლავაც არ შეცდეთ! ემოციურად გაწონასწორებული კაცი ეძებეთ!“.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

არ მომწონს, როდესაც პრეზიდენტს ოპონენტები უწოდებენ გიჟს, სულელს, ცანცარას. მე, როგორც ფსიქიატრი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ის არ არის სულით ავადმყოფი, მაგრამ მისი მსგავსი პათოლოგები არანაკლებ საშიშნი არიან.

ოსლოს მერმა პროტესტის ნიშნად ლიტვაში გეი ქმარი ჩამოიყვანა

უფრო გასაგები რომ იყოს, პასიურმა პედერასტმა აქტიური პედერასტით გაიკეკლუცა. ოსლოს მერმა ერლინგ ლეომ ეს ორიენტაციაარეული აქცია ვილნიუსში მერების ფორუმზე ჩასვლისას განახორციელა ნიშნად პროტესტისა „გეების მძიმე მდგომარეობის გამო ლიტვაში“.

იენს ოლსენი, — ასე ჰქვია აქტიურ მამათმავალს, — იმიტომ ჩამოვიყვანეო, — ნაზად განაცხადა ოსლოს მერმა, — რათა „ხაზი გამესვა, რომ ცოლქმრული ურთიერთობა მაკავშირებს მამაკაცთან“. ვაჟკაცური პროტესტი კი იმიტომ განვაცხადე, რომ ლიტვაში გეები დისკრიმინაციას განიცდიან და უარეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე მათი თანამესექსუალენი ბალტიის დანარჩენ ქვეყნებში“.

ვილნიუსის მერმა ამასწინათ აკრძალა გეი-აღლუმის გამართვა თავის ქალაქში.

ყოჩაღ, ვილნიუსის მერო, კაციც შენა ყოფილხარ! ერლინგ ლეოს კი ქართული სკაბრეზული შაირი წავაშველოთ:

ოსლოს მერო, ლეო...

ესიამოვნება!

სოროსი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს 100 მილიონი დოლარის ქველმოქმედებას ჰპირდება

უნგრეთში დაბადებული მილიარდერი, ფონდის მმართველი ჯორჯ სოროსი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის საქველმოქმედო ორგანიზაციებს გლობალური კრიზისის შედეგებთან საბრძოლველად 100 მილიონ დოლარს ჰპირდება.

„ეკონომიკური კრიზისის დროს ყველაზე მოწყვლადები ისინი არიან, ვინც ყველაზე მეტად დაზარალდა, ახალგაზრდობა და მომავალი თაობა ამ ინიციატივის მთავარ მიზანს წარმოადგენს“, — განაცხადა 78 წლის ჯორჯ სოროსმა გუშინ გაკეთებულ განცხადებაში. „ეს თანხა 20 ქვეყანაში სოროსის ადგილობრივი ფონდების რეკომენდაციის საფუძველზე განაწილდება. ქველმოქმედება ყველა სფეროს მოიცავს — დაწყებულს კულტურული ინსტიტუტებიდან, რომლებიც დახურვის რისკის ქვეშ აღმოჩდნენ, დასრულებულს — ოჯახებისთვის, სასკოლო სადილების შეძენაზე დახმარების ჩათვლით“, — განაცხადა ლაურა სილბერმა, სოროსის „ღია საზოგადოების ინსტიტუტში“ საზოგადოებრივ საქმეთა დირექტორმა. უფრო ადრე ეს ინფორმაცია „Financial Times“-მა გაავრცელა.

გასულ თვეში სოროსმა ნიუ-იორკის ღარიბთა დასახმარებლად 50 მილიონი დოლარი Robin Hood Foundation-ს გადასცა. მისი განცხადებით, „ნიუ-იორკში ადამიანები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი, ვისაც დახმარების უნარი აქვს, მოწინავე რიგებში უნდა დადგნენ“.

ჯორჯ სოროსი Soros Fund Management LLC-ის დამფუძნებელია, რომელიც 21 მილიარდ დოლარს განკარგავს. ნიუ-იორკში არსებული ფირმის Quantum Endowment Fund-მა ამ წელს მაისის 17,8% დააბრუნა 2008 წელს 8%-ანი ზრდის შემდეგ.

კატრინ ბარტონი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ამერიკის გზა ფაშიზმისკენ

დასასრული. დასაწყისი იხ. №16-17

კონტროლი დაამყარეთ პრესაზე

ყველა დიქტატორული რეჟიმი და მომავალი დიქტატორი — იქნება ეს 1930-იანი წლების იტალიასა თუ გერმანიაში, 50-იანი წლების გდრ-ში, 60-იანი წლების ჩეხოსლოვაკიაში, 70-იანი წლების ლათინურ ამერიკაში, 80-90-იანი წლების ჩინეთში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ გაზეთებსა და ჟურნალისტებს. თუ ისინი ჯერ კიდევ ღია საზოგადოების დემონტაჟს ახდენენ, ემუქრებიან და აშანტაჟებენ ჟურნალისტებს, ხოლო როცა საზოგადოება წარმატებით „დაიხურება“, მაშინ აპატიმრებენ ან კლავენ.

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის მონაცემებით, პრესის წარმომადგენელთა დაპატიმრებებმა შეერთებულ შტატებში უპრეცედენტო მასშტაბს მიაღწია: სანფრანცისკოელ ბლოგერ ჯოშ ვულფს ერთწლიანი ციხე მიესაჯა იმის გამო, რომ უარი თქვა ხელისუფლებისთვის ანტისაომარი დემონსტრაციის ამსახველი ვიდეოჩანაწერის გადაცემაზე. რეპორტიორ გრეგ პალასტის წინააღმდეგ ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და იმაში დააადანაშაულა, რომ მან საფრთხის ქვეშ დააყენა „ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ობიექტები“, როცა ტელეპროდიუსერთან ერთად ლუიზიანაში ქარიშხალ „კატრინას“ მსხვერპლი გადაიღო. სხვათა შორის, პალასტი წიგნ-ბესტსელერის ავტორი გახლავთ, რომელშიც ის ბუშის ადმინისტრაციას აკრიტიკებს.

სხვა რეპორტიორებსა და პუბლიცისტებს სხვაგვარი მეთოდებით სჯიან. ჟოზეფ უილსონმა „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ბუშს ბრალი დასდო იმაში, რომ მან სადამ ჰუსეინის მიერ ნიგერში ურანის კონცენტრატის შეძენის შესახებ ცრუ მტკიცებულებებით ამერიკა ომში ჩაითრია. პასუხად ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა ცნობები იმის შესახებ, რომ მისი ცოლი ვალერია პლეიმი „ცე-რე-უს“ აგენტია, რითაც წერტილი დაუსვა მის კარიერას.

სასამართლოების გამართვა და სამსახურიდან გათავისუფლება არაფერია იმასთან შედარებით, თუ როგორ ექცევა ამერიკის ხელისუფლება ჟურნალისტებს, რომლებიც ერაყში ომის ობიექტურად გაშუქებას ლამობენ. ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის განკარგულებაში არის მოწმობები მრავალი შემთხვევის შესახებ, როცა ამერიკელი სამხედროები იარაღით ემუქრებოდნენ ან ცეცხლს უხსნიდნენ დამოუკიდებელ რეპორტიორებსა და ოპერატორებს — „ალ ჯაზირადან“ დაწყებული, „ბი-ბი-სით“ დამთავრებული. და თუ „ალ-ჯაზირას“ თანამშრომელთა მონათხრობი დასავლეთში ეჭვებს იწვევს, სხვა ჟურნალისტთა, მაგალითად, კეიტ ედის („ბი-ბი-სი“) მოწმობანი არ შეიძლება სერიოზულად არ აღიქვა. ზოგჯერ ჟურნალისტებს დაჭრიდნენ ან კლავდნენ, როგორც ეს „ITN“-ის ჟურნალისტ ტერი ლოიდს მოუვიდა 2003 წელს. „CBS“-ისა და „Associated press“-ის თანამშრომლებს ამერიკის ხელისუფალნი ერაყში აპატიმრებდნენ და თავიანთ საწამებელ საკნებში ამწესებდნენ; ორივე მედიის წარმომადგენლებს მათი თანამშრომლების ბრალეულობის ვერავითარი მტკიცებულება ვერ წარუდგინეს.

დიქტატურისაკენ „მცოცავ“ ქვეყანაში რეალურ ახალ ამბებს ცრუინფორმაცია და ყალბი დოკუმენტები ცვლის. ასე მაგალითად, პინოჩეტიმ თავის მტკიცებულებათა „დასტურად“ თანამემამულეებს გაყალბებული დოკუმენტები წარუდგინა იმის შესახებ, რომ ჩილეში ტერაქტების სერია მზადდება. ბუშის განცხადებები ნიგერში ურანის შესახებ ასევე სიყალბეს ეფუძნებოდა.

რასაკვირველია, დღევანდელ ამერიკაში ახალი ამბების ნაკადს ხელისუფლება სრულად ვერ შეწყვეტს — ეს, უბრალოდ, შეუძლებელია, თუმცა, როგორც ფრენკ რიჩიმ და სიდნი ბლუმენტალმა განაცხადეს, ინფორმაციის წყაროს „მოწამვლა“ მასში სიცრუის გამუდმებული შერევით სავსებით ხელეწიფებათ. თეთრი სახლი უკვე მართავს ცრუინფორმაციის ნაკადს, რომელიც ისე რეგულარულად გვატყდება თავს, რომ სიმართლისა და სიცრუის გამიჯვნა ძნელია. როცა

მოქალაქეები სწორ ინფორმაციას ყალბისგან ვერ არჩევენ, ხელისუფლებისგანაც აღარ მოითხოვენ ანგარიშის ჩაბარებას.

სხვაგვარად აზროვნება – სახელმწიფო ღალატის სინონიმი

ყოველგვარი სხვაგვარად აზროვნება „ღალატად,“ ხოლო კრიტიკა „იდეოლოგიურ დივერსიად“ გამოაცხადეთ. ეს „დახურული“ საზოგადოების უცილობელი ატრიბუტია, ისევე, როგორც იმ კანონების მიღება, სიტყვის თავისუფლებას თანდათან სისხლის სამართლის დანაშაულად რომ აქცევს და ისეთი ცნებების განმარტებას განავრცობს, როგორიცაა „შპიონაჟი“ და „ღალატი.“ როცა „ნიუ-იორკ თაიმსის“ გამომცემელმა ბილ კელერმა ლიხტბლაუსა და რეიზენის სტატიების გამოქვეყნებაზე დასტური განაცხადა, პრეზიდენტმა ბუშმა გაზეთი საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებაში დაადანაშაულა და მის ქმედებას „სამარცხვინო“ უწოდა. კონგრესში რესპუბლიკელებმა კელერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვეს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით, ხოლო მემარჯვენე მიმომხილველებმა და გამოცემებმა ერთი ამბავი ატეხეს, აქოდა, ნამდვილად სახელმწიფო ღალატთან გვაქვს საქმეო. ზოგიერთმა მათგანმა არცთუ ნიშნისმოგების გარეშე შეახსენა მკითხველს, რომ კანონი შპიონაჟის შესახებ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯასაც კი.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის სასამართლოს საჩვენებელ პროცესზე 1938 წელს ღალატში ერთ-ერთ ბრალდებულად იქცა „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ნიკოლაი ბუხარინი, რომლისთვისაც ეს ისტორია ნამდვილად სიკვდილით დასჯით დასრულდა. ამერიკელებმა არ უნდა დაივიწყონ ისიც, თუ რა მოხდა, როცა შპიონაჟის შესახებ კანონი 1917 წელს მთელი თავისი სიმკაცრით გამოიყენეს. საუბარია სავალალოდ ცნობილ „პალმერის ალყაზე“ 1919 წელს (ეს სახელი მაშინდელი იუსტიციის მინისტრიის მიტჩელ პალმერის გამო ეწოდა, — მთარგმნ. შენ.), რომლის დროსაც მემარცხენე ორგანიზაციათა აქტივისტები მასობრივად დააპატიმრეს ორდერის გარეშე და 5 თვე ციხეში აყურყუტეს. მათ სცემდნენ, აშიმშილებდნენ, აწამებდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ, — წერდა ისტორიკოსი მაირა მაკფერსონი. ამ მოვლენების შემდეგ ამერიკაში სხვაგვარად მოაზროვნენი ნახევარი წლის განმავლობაში ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

სტალინისდროინდელ საბჭოთა კავშირში სხვაგვარად მოაზროვნეებს „ხალხის მტრად“ აცხადებდნენ. ნაციონალ-სოციალისტები ვაიმარის დემოკრატიული რესპუბლიკის მომხრეებს „ნოემბრის მოღალატეებს“ უწოდებდნენ (ვაიმარის რესპუბლიკა 1918 წლის ნოემბერში შეიქმნა, — მთარგმნ. შენ.).

ახლა წრე შეიკრა ჩვენთანაც: ამერიკელთა უმეტესობა ვერ აცნობიერებს, რომ გასული წლის სექტემბრიდან — როცა კონგრესმა 2006 წელს წინდაუხედავად მიიღო „კანონი სამხედრო კომისიების შესახებ,“ — პრეზიდენტი უფლებამოსილია, აშშ ნებისმიერი მოქალაქე „მტრის ბატალიონის მეთაურად“ გამოაცხადოს და ამ ცნების განმარტების უფლებამოსილებაც მინიჭებული აქვს. გარდა ამისა, პრეზიდენტს შეუძლია, აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი აღჭურვოს უფლებით, საკუთარი შეხედულებისამებრ, განმარტოს ეს ცნება და, შესაბამისად, დააპატიმროს ამერიკელები.

და, თუნდაც, მე და თქვენ ამერიკის მოქალაქეები ვიყოთ, თუნდაც, მოგვიანებით გაირკვეს, რომ სრულებით უდანაშაულო ვართ იმაში, რასაც ბრალად გვდებენ, ამ ჩინოვნიკს უფლება აქვს, დაგვაპატიმროს ხვალაც აეროპორტში ან საკუთარ სახლში, გაგვამწესოს მცურავ ციხედ ქცეულ სამხედრო ხომალდზე, თვეობით გვაყურყუტოს იქ სასამართლოს მოლოდინში (ნებისმიერი ფსიქიატრი დაგიდასტურებთ, რომ ხანგრძლივ იზოლაციას ფსიქოზამდე მიჰყავს სულიერად თვით ყველაზე ჯანსაღი პატიმრებიც კი). სწორედ ამიტომ სტალინისეულ ბანაკებში საჯარიმო იზოლატორები იყო; ასეთი იზოლატორია გუანტანამოშიც. ახლახან ამ ციხეს კიდევ ერთი, საზარელი განყოფილება, ე.წ. №6 ბანაკი დაემატა, რომელიც ერთადგილიანი საკნებისგან შედგება.

„მტრის ბატალიონის მეთაური“ ის კატეგორიაა, რომელიც კონკრეტულ დანაშაულს არ უკავშირდება; მასში მოსახვედრად საერთოდაც არ არის აუცილებელი რაიმე კანონსაწინააღმდეგო საქციელის ჩადენა. „ჩვენ პრევენციული დაკავებების სისტემაზე გადავედით, პრინციპით — თუ მიგვაჩნია, რომ რაღაც შავბნელი ზრახვა გაქვთ, წინასწარ გაგამწესებთ გისოსებს მიღმა“, — აღნიშნავს კონსტიტუციური უფლებების ცენტრის პრესმდივანი.

ცხადია, ამერიკელთა უმეტესობა ჯერაც ვერ ხვდება, რა ხდება, რაც გასაკვირი არც არის, რადგან ამის დაჯერება ძნელია. მიუხედავად ამისა, ეს სიმართლეა. დიქტატურისკენ მცოცავ ნებისმიერ საზოგადოებაში რაღაც ეტაპზე ცნობილ ადამიანთა, ჩვეულებრივ, ოპოზიციის ლიდერთა, სასულიერო პირთა და ჟურნალისტთა დაპატიმრებების სერია მიმდინარეობს, რის შემდეგაც დუმილი ჩამოწვება ხოლმე. ყველაფერი თითქოსდა უწინდებურადაა: ძველებურად მუშაობენ სასამართლოები, გაზეთები, ტელეარხები, რადიოსადგურები, დემოკრატიული საზოგადოების მთელი „ფასადი,“ თუმცა რეალურად, სხვაგვარად აზროვნებას ადგილი აღარ აქვს, აღარ არსებობს რეალური თავისუფლებაც. და თუ ისტორია რაიმეს გვასწავლის, ძალიან მალე ამერიკასაც ელოდება დაპატიმრებათა ეს ტალღა.

აიღეთ ძალაუფლება საკუთარ ხელში

წლეულს ჩვენს ქვეყანაში მიიღეს „ჯონ უორენის კანონი“ თავდაცვის სფეროში უფლებამოსილებათა შესახებ, რომელიც პრეზიდენტს ნაციონალური გვარდიის განკარგვის ახალ უფლებებს ანიჭებს. ეს კი ნიშნავს, რომ საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბის საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, მას შეუძლია ნაციონალური გვარდია მიჩიგანიდან ორეგონში მის მიერვე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის უზრუნველსაყოფად გაგზავნოს ამ შტატის გუბერნატორისა და მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდაც.

სანამ ამერიკელები ბრიტნი სპირსის ემოციური პრობლემებისა და ანა ნიკოლ-სმიტის ბავშვის მამის გამო ნერვიულობდნენ, „ნიუ-იორკ თაიმსმა“ მოწინავე სტატიაში განგაში ატეხა მომხდარზე: „ბოლო ხანს ვაშინგტონში საგანგაშო ტენდენცია შეინიშნება — კანონებს, რომლებიც ამერიკული დემოკრატიის საფუძვლებს ეხება, მალულად იღებენ: ახლა პრეზიდენტს უფლება აქვს, ქვეყნის შიგნით ჯარი პოლიციური ფუნქციების შესასრულებლად გამოიყენოს არა მხოლოდ შეიარაღებული ამბოხების პირობებში, არამედ სტიქიური უბედურებების, ეპიდემიების, ტერაქტებისა და ნებისმიერი „განსაკუთრებული სიტუაციის“ დროსაც.

კრიტიკოსები ამას „შერიფის განსაკუთრებული უფლებამოსილების შესახებ კანონის“ პირდაპირ დარღვევად მიიჩნევენ. ეს კანონი მოწოდებულია, არ დაუშვას ფედერალური ხელისუფლების მიერ შეიარაღებულ ძალთა გამოყენება პოლიციის ფუნქციების შესასრულებლად

გერმანულ-ამერიკული კავშირი, ბანაკები

მშვიდობის მტრედი თუ ქორთა ბელადი?



გამოსამშვიდობებელ სიტყვაში, რომელიც აშშ პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა 1961 წლის 17 იანვარს წარმოთქვა, თანამემამულეები გააფრთხილა იმ პოლიტიკურ-იდეოლოგიური, ეკონომიკურ-ფინანსური და მწარმოებლური მექანიზმის უკონტროლო გავლენის შესაძლო გაზრდის გამო, რომელიც იმ დროისათვის ჩამოყალიბდა და ომზე იყო ორიენტირებული. მაშინ მან პირველად უწოდა ამ მექანიზმს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი. მას შემდეგ არა მხოლოდ ამ ტერმინმა მოიკიდა ფეხი, არამედ მისი ინტერესები რელიეფურად ჩაეწნა ცხოვრებას.

კომპლექსის ტყვეობაში

შესაძლოა, ბარაკ ობამამ ჯერ კიდევ სრულად ვერ აღიქვა იმ დიდი გავლენის ძალა, რომელიც შეიძლება მოახდინოს ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა პირადად მასზე და მის პოლიტიკაზე, მაგრამ ამ გავლენას უკვე რომ განიცდის, უეჭველია. ეს კი უშუალოდაა დაკავშირებული ობამას პოლიტიკასთან ერაყსა და ავღანეთში.

ამერიკის მსოფლიოში უდიდესი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მოიცავს არა მარტო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს და სამხედრო მრეწველობას, არამედ ყველა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურას, რომლებიც ომისთვის მუშაობს, მათ შორის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების რიგ ორგანოებსაც.

გარკვეულწილად ამ კომპლექსში მოიაზრება აშშ დაზვერვის ქსელიც; და ბოლოს, — უდიდესი ფინანსური სახსრები და გავლენა. ეს უკანასკნელი მიიღწევა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების სიმბიოზით, რომლებიც მსოფლიოში თავიანთი ინტერესების დასაცავად ხშირად მიმართავენ სამხედრო ძალებსა და ამერიკის სპეცსამსახურებს.

ეს უზარმაზარი მონსტრი თავისი კანონებით ცხოვრობს და ადგილიდან მის დასაძრავად ძლიერი იმპულსია საჭირო. ასეთი იმპულსის მიცემა შეუძლია შეერთებული შტატების ამჟამინდელ პრეზიდენტს? „საკითხავი აი, ეს არის“...

ბენ ლადენი კარგი საფარია

სანამ ობამა პრეზიდენტობის კანდიდატის ამპლუაში გამოდიოდა, მსოფლიოში, მათ შორის, ერაყსა და ავღანეთში კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების მისეულ იდეებს მიესალმებოდა საზოგადოებრიობა, სამხედროები კი დუმილს ამჯობინებდნენ. თეთრ სახლში მისვლის შემდეგ ობამამ დაადასტურა თავისი გეგმა, რომ მზადაა, 16 თვის განმავლობაში ერაყიდან გამოიყვანოს შეიარაღებული ძალების უმეტესი ნაწილი. გენერლებმა დაუყოვნებლივ შესთავაზეს, რომ გამოყვანა ობამას გეგმის მიხედვით კი არ განეხორციელებინათ, არამედ 23 თვის განმავლობაში. საბოლოოდ მხარეები საშუალო ვადაზე შეთანხმდნენ — 19 თვეზე. მაგრამ მაშინვე გაჩნდა ვარიანტები ერაყში 2010 წლამდე დასარჩენად გათვალისწინებული ჯარის დატოვების ვადასთან დაკავშირებით.

როგორც ჩანს, სამხედროებისგან პრობლემებს ობამა ავღანეთშიც ელოდა. ყოველგვარი მითქმა-მოთქმა წინასწარვე აღსაკვეთად, მან თავის სტრატეგიას „წასვლის სტრატეგია“ დაარქვა, მაგრამ ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, სიტუაცია „წასვლას“ არ ჰგავს. სამხედროებმა ეს იმით ახსნეს, რომ **თუ არ გაზრდიან აშშ და ნატოს შენაერთების რაოდენობას, თალიბებთან ურთიერთობაში პატის სიტუაცია შეიქმნება. ადმინისტრაციამ გაითვალისწინა მათი წინადადება და ამერიკის 38-ათასიანი და ნატოს 25-ათასიანი კონტინგენტი შესაბამისად 17 და 4 ათასით გაზარდა.**

ამასთან, თუ ერაყში განსაზღვრულია ამერიკის ჯარების გაყვანის ვადები და რაოდენობა, ავღანეთში ვადაზე მინიშნებაც არ არის. ავღანეთში ამერიკული სამხედრო დაჯგუფების ყოფილმა მეთაურმა, გენერალმა მაკირნანმა განაცხადა, რომ გაძლიერებული კონტინგენტის ავღანეთში ყოფნის ვადა 5 წლით მაინც უნდა იყოს განსაზღვრული, რაც ავღანელთა მიწა-წყალზე ამერიკელთა 15-წლიან დამკვიდრებას ნიშნავს. სხვა სამხედროები უფრო ხანგრძლივ ვადაზე ლაპარაკობენ. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, **შეერთებულ შტატებს ბენ ლადენი, რომელიც ამერიკას ახალ-ახალი ტერაქტებით ემუქრება, სჭირდება როგორც მიზეზი ავღანეთში ყოფნის გასამართლებლად.**

და მაინც — ამერიკელი სამხედროები, რომლებიც ერაყსა და ავღანეთში იღუპებიან, რატომ არ ჩქარობენ იქიდან გასვლას? **ჭეშმარიტად ესწრაფვის ახალი ადმინისტრაცია ამ ქვეყნების პრობლემების გადაწყვეტას, თუ მისი გეგმები სტატუსკვოს დამკვიდრებას ემსახურება, რაც საშუალებას მისცემს, გადაწყვიტოს თავისი ამოცანები ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში? ობამას საჯარო გამოსვლებით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ესწრაფვის, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ობამას სტრატეგია ძალიან ჰგავს თავისებურ საფარველს, ჯორჯ ბუშის ძველ პოლიტიკას, ოღონდ ახალ ჩარჩოში ჩასმულს.**

ამერიკელების გასვლას სხვა ინტერესიც აბრკოლებს. უწინარეს ყოვლისა, საუწყებო ინტერესი: **პენტაგონი იძულებულია, გაამართლოს ამერიკელი გადამხდელების უზარმაზარი სახსრების ხარჯვა; მეორე — წმინდა საქმიანი ინტერესი. ცნობილია, რომ ერაყში ნავთობის ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა უსაფრთხოების პრობლემაა. ოკუპაციის 5 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აშშ სამხედრო მოსამსახურეებმა, მათ შორის, სარდლობის წარმომადგენლებმა თავიანთი ბიზნესი წამოიწყეს. კომერციული ინტერესი აიძულებს მათ, გაიხანგრძლივონ ერაყში ყოფნის ვადა.**

...და ბიუჯეტი მაინც იზრდება

ობამა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მხრიდან დაწოლას, რა თქმა უნდა, გრძნობს, თანაც არა მხოლოდ მისი პოლიტიკის გამო ერაყსა და ავღანეთში. შეიარაღების ცალკეული პროგრამების მოკრძალებული შემცირებაც კი ცნობილი პოლიტიკოსების, განსაკუთრებით, რესპუბლიკელთა ბანაკიდან, მწვავე რეაქციას იწვევს. სულ ახლახან რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ კორნინმა ამერიკელ მეწარმეთა ინსტიტუტში გამოსვლისას ობამას ადმინისტრაცია დაადანაშაულა იმაში, რომ იგი სამშვიდობო სფეროში დივიდენდების მოსაპოვებლად ასუსტებს თავდაცვას, რითაც დიდ შეცდომას უშვებს. მისი თქმით, მაშინ, როცა ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა და რუსეთი ზრდიან სამხედრო ხარჯებს, ობამას ადმინისტრაცია ამცირებს მას შიდასაბიუჯეტო პრიორიტეტების სასარგებლოდ.

სამხედრო ბიუჯეტის შემცირებაზე სენატორმა, რა თქმა უნდა, გადააჭარბა. **მსოფლიო პრობლემების სტოკჰოლმის ინსტიტუტმა 2009 წლის 8 ივნისს გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ 2008 წელს აშშ სამხედრო ხარჯები 9,7 პროცენტით გაიზარდა და ასტრონომიულ თანხას — 607 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც მსოფლიოში შეიარაღებაზე გასაღები ხარჯების დაახლოებით 42 პროცენტია. ცნობისთვის: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც სამხედრო ხარჯების მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ანალოგიური მიზნებისთვის 120 მილიარდამდე დოლარს ხარჯავს.**

სენატორი კორნინი უკმაყოფილოა იმით, რომ 2008 წელს სამხედრო უწყებას დაჰპირდნენ ბიუჯეტის 50 მილიარდით გაზრდას. დაგეგმილია, თავი შეიკავონ ძვირადღირებული ავიაგამანადგურებლის F-22-ის ყიდვისგან და შეწყვიტონ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების C-17-ის წარმოება. ლობისტები რატომღაც ივიწყებენ, რომ **ნაკლებეფექტიანი და მოძველებული პროგრამების შემცირება თვით პენტაგონის წინადადებით მოხდა.** ამასთან, გათვალისწინებულია ბევრი თანამედროვე სამხედრო პროექტის გაფართოება, მათ შორის, ავიაგამანადგურებლის — F-35-ის წარმოება და არსებული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების გაძლიერება და ახალი სისტემების დამუშავება, რომელთაც შეეძლება მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების განადგურება მათი ტრაექტორიის სასტარტო უბანზე.

ამაოდ ებრძვიან ობამას სამხედროები, რადგან იგი არც „მშვიდობის მტრედია“ და არც განმაიარაღებელი. მისი და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაპირისპირება ძირითადად ტაქტიკური ხასიათისაა. აქ სხვა მიზეზთა-მიზეზი იკვეთება. აშშ ისტებლიშმენტში მწიფდება იმის შეგრძნება, რომ ამერიკა მსოფლიო პროცესების სადავეებს ხელიდან უშვებს.

როგორ აიცილონ ამ ტენდენციის განვითარება?

პასუხების ვარიანტები შეიძლება დეტალებში იყოს განსხვავებული, მაგრამ მთავარში ამერიკის მთელი პოლიტიკური კლასი ერთსულოვანია: ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ სამხედრო ძლიერების გაზრდითა და განმტკიცებით, შეიარაღებული ძალების ხარისხობრივად ახალ ეტაპზე აყვანით.

ალექსანდრე ფროლოვი

ქვეყნის შიგნით. დემოკრატი სენატორი პატრიკ ლიჰი მიიჩნევს, რომ ახალი კანონი პრეზიდენტს აშშ მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის გამოცხადების ცდუნების ქვეშ დააყენებს. გარდა ამისა, ის ეწინააღმდეგება ყველა თვალსაზრისს, რომლებითაც მამამთავრები ხელმძღვანელობდნენ ჩვენი სახელმწიფო მართვის სისტემის შექმნისას: იმის ხილვისას, თუ როგორ მიუსევდნენ მეფეები თავიანთ ჯარებს მშვიდობიან მოქალაქეებს, ისინი ცდილობდნენ, არ დაეშვათ, აღმასრულებელ ხელისუფლებას ან სხვა რომელიმე პოლიტიკურ ძალას არ ჰქონოდა სამხედრო ძალის გამოყენების ამგვარივე ძალაუფლება ამერიკელი ხალხის დასაჩაგრავად.

ცხადია, დემოკრატიული წყობის ძალადობრივი და სრული დემონტაჟი, რაც მუსოლინის „რომზე ლაშქრობას“ ან ჰიტლერის მასობრივ რეპრესიებს მოჰყვა, შეერთებულ შტატებს არ ემუქრება. ჩვენი დემოკრატიული ტრადიციები უაღერესად ძლიერია, ხოლო შეიარაღებული ძალები და სასამართლო სისტემა — ერთობ დამოუკიდებელი იმისთვის, რომ ასეთი სცენარის განვითარება დაუშვას.

სავარაუდოდ, როგორც ადმინისტრაციის ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, ჩვენი დემოკრატიული ექსპერიმენტი მისთვის სისტემატიური ძირის გამოთხრით ნელ-ნელა შეწყდება.

შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მავთულხლართები მთელ ქვეყანას უკვე „ფაშიზმისაკენ ჩაცოცების“ ადრეულ ეტაპზე შემოეევლო. არა, თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივ გამოიყურება: 1922 წელს კალაბრიაში გლეხები მოსავლის აღების დღესასწაულზე მხიარულობდნენ, ხოლო ბერლინელები 1931 წელს მშვიდად დადიოდნენ მაღაზიებსა და კინოში. ამ ეტაპზე საზარელი ამბავი ყოველთვის რომელიმე ბნელ კუთხეში ხდება.

ჩვენ, ამერიკელები, ზარმაცად ვიბრუნებთ პირს, ინტერნეტით ვიძენთ ნივთებს, ტელევიზიით ვუყურებთ კონკურსს „ამერიკელი კერპი,“ ამ დროს კი ჩვენი დემოკრატიის საფუძვლებს კოროზია ხრავს. ვერ ვამჩნევთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უკვე კარდინალურად შეიცვალა, ჩვენი შესაძლებლობები კი არასდროს ყოფილა ასე დასუსტებული: ჩვენი დემოკრატიული ტრადიციები, დამოუკიდებელი სასამართლო და თავისუფალი პრესა დღეს ომის, თანაც — გაჭიანურებული ომის მდგომარეობაში მოქმედებენ (მას, უბრალოდ, არ აქვს დასასრული, ხოლო საომარი მოქმედებების თეატრად, როგორც ჩაგვინერგავენ, მთელი პლანეტა იქცევა), ვითარებაში, რომელიც პრეზიდენტს უფლებას აძლევს — რაც ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გავაცნობიერეთ — თვითნებურად „აჩუქოს“ აშშ მოქალაქეებს თავისუფლება ან ერთადგილიან საკანში უვადოდ გამოამწყვდიოს.

წარმოვიდგინოთ, რომ წელიწად-ნახევრის შემდეგ კიდევ ერთი ტერაქტი გველოდება — და ღმერთმა ნუ ქნას, „ბინძური ბომბის“ გამოყენებით. აღმასრულებელი ხელისუფლება, სავარაუდოდ, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს. ისტორია ცხადყოფს: ნებისმიერი ლიდერი, ნებისმიერი პარტია დგას ცდუნების წინაშე, თავისი საგანგებო უფლებამოსილებანი კრიზისის დასრულების შემდეგაც გამოიყენოს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ საპირწონეთა სისტემა ჩვენში უკვე განადგურებულია და ამ თვალსაზრისით პრეზიდენტი ჰილარი არანაკლებ საშიში იქნება, ვიდრე პრეზიდენტი ჯულიანი, ნებისმიერი სახელმწიფო მეთაური დადგება ცდუნების წინაშე, თავისი პოლიტიკა განკარგულებებით გაატაროს და გვერდი აუაროს შრომატევად დემოკრატიულ პროცესს, რომელიც მოლაპარაკებებსა და კომპრომისებს მოითხოვს.

წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული გაზეთის გამომცემელს სახელმწიფო ღალატში ან შპიონაჟში დაადანაშაულებენ. სწორედ ამით ემუქრებოდნენ კელერს შარშან. 10-წლიანი ციხე რომ მიუსაჯონ? რა მოუვა ამერიკულ გაზეთებს მეორე დღეს? ისტორიული გამოცდილებით, ისინი, რასაკვირველია, კიდევ გამოვა, მაგრამ პუბლიკაციების ტონი აშკარად მაამებლური გახდება.

ჯერჯერობით ტირანიის „მეცხრე ტალღას,“ რომელიც შთანთქმით გვემუქრება ყველას, მხოლოდ პატრიოტთა მცირე ჯგუფი აჩერებს — კონსტიტუციური უფლებების ცენტრის მუშაკები (მათ მოკვლით ემუქრებოდნენ უკანონოდ დაპატიმრებულთა იურიდიული დახმარებისთვის, მაგრამ ძალისხმევა არ შეასუსტეს და უზენაეს სასამართლომდე მივიდნენ), სამოქალაქო თავისუფლებისთვის მებრძოლი კავშირის აქტივისტები და ცნობილი კონსერვატორები, რომლებიც ორგანიზაცია „American freedom agenda“-ში გაერთიანდნენ და ახალი დესტრუქციული კანონების მიღებას ეწინააღმდეგებიან. ამ პატარა მრავალფეროვან ჯგუფს ჩვენ ყველა (მათ შორის, ევროპისა და სხვა სახელმწიფოებიც) უნდა დავეხმაროთ, რადგან ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგს მოუტანს მთელ მსოფლიოს შეერთებულ შტატებში რეალური დემოკრატიის დემონტაჟი.

უნდა გვახსოვდეს ისტორიული გამოცდილება და საკუთარ თავს უსიამო კითხვებიც უნდა დავუსვათ. სხვაგვარად, თუ ქვეყანა იმავე გზით განაგრძობს სვლას, ყველა ჩვენგანისთვის — თუნდაც სხვადასხვა დროს და ადგილას — „ამერიკა განადგურდება“, ადრე თუ გვიან თითოეული ჩვენგანი უკან მოიხედავს და გაკვირვებით აღმოაჩენს, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენლად შეიცვალა.

„მთელი ხელისუფლების — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო — ერთ ხელში თავმოყრას შეგვიძლია „ტირანია“ ვუწოდოთ,“ — წერდა ჯეიმს მედისონი. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ამ გეზით სვლა შევაჩეროთ: ამისთვის ჩვენი უფლებები უნდა დავიცვათ, ჩვენი ქვეყნისთვის ვიბრძოლოთ და მაღლა აღვმართოთ ის დროშა, რომელიც ამერიკის მამამთავრებისგან გვერგო.

ნაომი ვულფი
„the guardian“

ᲮᲐᲓᲐ

ᲗᲐᲕᲘ II

მჟავე წყალთან სამანქანო გზა ხადისწყლის მარცხენა ნაპირზე გადადის და პირველი სოფელი, რომელიც ამ მხარეს გვხვდება, როსტიანთ კარია. აქ როსტიაშვილები ცხოვრობენ. სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მთის ბილიკებით ნასოფლარ სვიანიანში შეიძლება მოხვედრა, ჩრდილოაღმოსავლეთით კი მაღალ სერზე შეფენილ ქალაქეთში მიემართება მეორე ბილიკი. აქ ახლა ერთი კოშკიღაა შემორჩენილი. ვახუშტი ბატონიშვილი შესაძლოა, სწორედ ამ ადგილს უწოდებს „მეფეთა ნასახლევს“.

ჩვენ მთავარ გზას მივუყვებით ხეობაში და ერთ კილომეტრში, ზედ გზის პირზე ადრეშუასაუკუნეების კოშკის ნანგრევებთან ვჩერდებით. ამ კოშკთან ადგილობრივები ადრე წმიდათევდორობას აღნიშნავდნენ და მას დღემდე „თევდორეს ხატის“ სახელი აქვს შემორჩენილი. იგი უზარმაზარი ხავსიანი ლოდების წყობით გამოირჩევა, თუმცა ახლა მხოლოდ 3 მეტრის სიმაღლემდეა. ჩრდილოეთის მხრიდან იგი ოვალურია. ეს არის ხადაში არსებული ე.წ. „ზურგიანი ციხეების“ ერთ-ერთი ნიმუში. ზურგიან ციხეებს საქართველოში სხვაგანაც ვხვდებით, მაგრამ ხადა ამ მხრივ გამორჩეულია. იმ 60 კოშკს შორის, რომლებიც ამ პატარა ხეობაში არსებობდა (დღეს მათგან ნახევარია შემორჩენილი), დიდი უმეტესობა სწორედ ზურგიანი ყოფილა. ზურგიანი კოშკები წმინდა საბრძოლო და სათვალთვალო დანიშნულებისაა და კარი მიწის ზედაპირიდან 3-4 მეტრის სიმაღლეზე აქვს დატანილი. მოსალოდნელი ზვავებისა და ქვათა ცვენის დასახვედრად ასეთ კოშკებს მთის მხრიდან ელიფსური კედელი აქვს, ხეობის მხარეს კი — სწორკუთხა. კედლები ძალიან სქელია (შიგნით კიბეებია გაჭრილი), შიდა სივრცე კი — მეტად ვიწრო, ამასთან, ზევით და ზევით თანდათან მცირდება. ხადაში უვნებლად გადარჩენილ ასეთ ნაგებობათა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ხეობის შუაწელზე მდგარი სოფელ იუხოს შვიდსართულიანი კოშკი, რომელსაც აქაური მკვიდრნი, მხატვრები ტარიელ და ავთანდილ სისაურები პატრონობენ. ბატონი ტარიელი სოფელს ძნელად გადასატან ზამთარშიც არ ტოვებს. გარდა ამისა, არსებობდა შედარებით მცირე ციხე-კოშკებიც, ანუ ციხესახლებიც. ისინი ბანიან სახლებზე მიდგმულ ორსართულიან ნაგებობებს წარმოადგენდა. პირველ სართულზე მარანი ჰქონდათ ხოლმე გამართული, მეორე სართული საბრძოლო დანიშნულებისა იყო. მის კედელში გამოჭრილი იყო ამბრაზურა („სათოლე“), საიდანაც ქვებს უშენდნენ მომხვდურს. მშვილდისარს (მოგვიანებით — თოფს) კოშკის ბანიდან იყენებდნენ.

ხადას ისტორიულად უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ჩრდილოეთიდან შემოსული მტერი დარიალის ზღუდეებს გამოარღვევდა, მას მეორე კარი — „წინკარი“ და მისი ციხე-კოშკების სისტემა ექნებოდა დასაძლევი. ერთი სიტყვით, ქართლის ბარამდე ჩაღწევა ურთულესი საქმე იყო. მეორე მხრივ, ბარიდან ლტოლვილი მოსახლეობისათვის მთიულეთი, სახელდობრ კი, ხადა, ჩინებული თავშესაფარი იყო. თავის დროზე მონღოლებს გამორიდებული დავით-ულუ სწორედ ხადასა და ცხავატში იყო გამაგრებული. იცოდა რა ხეობის ასეთი მნიშვნელობა, უფრო ადრე, თამარის ეპოქაში, იგი მოხერხებულად გამოიყენა ივანე ათაბაგმა. ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების ჩასაქრობად მან, უწინარესად, ხადას პლაცდარმი დაიკავა და აქედან აწარმოებდა სისხლიან დამსჯელ ექსპედიციებს.

ხადაში დავით-ულუს გამაგრებამ მონღოლები სერიოზულად დააფიქრა. მომდევნო ხანებში მათ ხეობის ხელში ჩაგდება მრავალგზის სცადეს. თავდაპირველი იერიში ხეობაზე მონღოლებთან დაზავებულმა შალვა ქვენიფნველმა მიიტანა, რომელსაც ნოინი ხუტლუბუღა ეხმარებოდა. ქართლის მეფის დავით მერვეს დაძახილზე ეს შეტევა ხადელებმა და ცხავატელებმა არათუ წარმატებთ მოიგერიეს, არამედ ქსნის ხეობაში გადავიდნენ და მოღალატე ერისთავს ერთიანად აუოხრეს მამულები. მეორე შეტევას, როგორც ჩანს, დასუსტებულმა ხადელებმა მედგარი წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს. ხადის 60 კოშკმა პირველი სერიოზული ნგრევა მაშინ განიცადა, მაგრამ როგორც კი ტახტზე გიორგი ბრწყინვალე ავიდა, ხეობამ კვლავ დაიწყო გამაგრება.

ᲘᲣᲮᲝᲡ ᲙᲝᲨᲙᲘ

...მშვენიერია იუხოს კოშკი და აქედან დანახული ხადის ხეობა, მით უმეტეს, აქაური მხატვრის თვალითა და გულით აღქმული.

— რა დამატოვებინებს ამ ხეობას, — მეუბნება ტარიელ სისაური და მშვიდად იღიმის. სანთელივით ჩამოქნილი სახის ნაკვთებით, კრიალა, ღრმა მზერით და გრძელი ჭაღარა თმა-წვერით მხატვარი ბერის შთაბეჭდილებას ტოვებს და არცთუ უსაფუძვლოდ; იუხოსა და ახლომახლო სალოცავებში რომ დადის და ხატავს, სანთელ-საკმევლის დანთებასაც არ ივიწყებს: — აქ არის ჩემი ფესვი და ჩემმა შთამომავლობამაც აქ უნდა იხაროს. მთავარი სალოცავი ჩემი მამა-პაპებისა აქვე, ზევით, ქალაქეთშია, მაგრამ იუხოს სალოცავსაც ხომ უნდა მიხედვა...

სისაურების გვარი ძალზე გავრცელებულია აღმოსავლეთ მთიანეთში. ისინი ხადის ხეობის გარდა, ფშავშიც შემხვედრიან და თუშეთშიც, მაგრამ ძირი ხევსურეთში, შატილში უნდა ჰქონოდათ. იუხოში ისინი ქალაქეთიდან არიან ჩამოსულნი, ქალაქეთში კი, ალბათ, — ხევსურეთიდან.

— იუხოს ეს კოშკი, — ამბობს ტარიელი, — იარაულებისაა. აქ ასევე მძელურების ფუძეა.

— ხეობის მთავარი სალოცავი რომელია?

— აი, ის, — ტარიელი დასავლეთით იშვერს ხელს, — სამრეკლო რომ მოუჩანს, მთორმოწამე ჰქვია.

„მთორმოწამე“ მთავარმოწამის შეკუმშული ფორმაა და წმიდა გიორგის მსაზღვრელია. ეს ეკლესია 1908 წელს არის აგებული, მაგრამ, როგორც ირკვევა, აქ ადრეც მდგარა საყდარი. ეკლესია ორ სოფელს — ბეგოთკარსა და ბენიანს შორის დგას და თითქოს აერთიანებს კიდეც მათ. ერთად აღებულ ამ ორ სოფელს, მგონი, ხადისკარი ერქვა ადრე.

სწორედ ამ ადგილებშია შემორჩენილი დიდი ლოდების წრიული გროვა. გადმოცემით ეს ყველაზე დიდი ზურგიანი ციხე-კოშკის ნაშალია. არ ვიცი, როდის დაინგრა იგი — მეფის რუსეთის თუ საბჭოთა იმპერიის საწყის პერიოდში, მაგრამ ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, 60 ციხის ჯაჭვის შემკვრელი რგოლი რომ იქნებოდა, ეს უდავოა. და აი, აქ ისევ უნდა მივუბრუნდეთ გიორგი ბრწყინვალის მეფობას. მეფეს ამ მცირე ხეობის საბრძოლო მზადყოფნისათვის ერთბაშად ორი ციხისთავი დაუნიშნავს. ერთ-ერთი მათგანი უთუოდ აქ, ხადისკარში იქნებოდა გამაგრებული. სავარაუდოა, რომ იგი ზაქაიძეების წინაპარი იყო, რადგან, გადმოცემების თანახმად, ხეობაში ყველაზე დიდი ავტორიტეტით სწორედ ისინი სარგებლობენ. აკი ერთი ხალხური ლექსიც ამას გვეუბნება: **„რასაც იტყვის ზაქაო, დაიჯერებს ხადაო“**. მეორე მთავარი კოშკი ხადის ხეობის დასაწყისში მდებარე სოფლის ზაქათკარის ზურგიანი ციხე უნდა ყოფილიყო.

...ხაბაკხუბაკს სოფელ ბენიანში, ზვიად ქავთარაძის სახლში ვტოვებთ, მომავალი დღისათვის ცხენების თადარიგს ვიჭერთ და მერე წკერესაკენ მივუყვებით გზას ჩვენი ავტომანქანით. სოფელი წკერე ამ ხეობის ბოლო სოფელია, უფრო სწორად, თუ წყლის დინებით ვიმსჯელებთ, ხეობის თავსოფელია. მას იქით ერთი დიდი ქედია, რომელიც ხადას თერგის ხეობისაგან გამოყოფს. ეს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფია: აქეთ არაგვი დის სამხრეთით, იქით — თერგი ჩრდილოეთით. აქედან წავარნებით, ანუ კლდეთა შინა ვიწრო ბილიკებით სამი მიმართულებით შეიძლება სიარული: დასავლეთით გუდაური და ჯვართყელზე გადასასვლელია, აღმოსავლეთით — გუდამაყარი, ჩრდილოეთით — მილიონას უღელტეხილი და კობი, ასევე, ართხმოს ხეობა.

1774 წლის მონაცემებით, ხადის თემში 17 სისხლსავსე სოფელი და 134 კომლი ირიცხებოდა, მოსახლეობა 10 ათასს აჭარბებდა. ზაქათკარში, ბენიანში, ბეგოთკარში, მუღურეში და წკერეში უამრავი პირუტყვი ჰყავდათ. იწევდნენ ხორბალსაც და ქერსაც.

1926 წლის აღწერითაც კი მხოლოდ ორ სოფელში — წკერესა და ზაქათკარში 18-18 დიდი კომლი ყოფილა. წკერეში, მაგალითად, 2 ათას თავზე მეტი ცხვარი, 120 ძროხა, 25 ცხენი და ამაზე მეტი სახედარი ჰყოლიათ.

დღეს წკერეში 10 მცირერიცხოვანი კომლია, რომელთაგან ზამთრობით 3 რჩება ადგილზე და ისიც — მხოლოდ მოხუცებულები. ქალაქად გაფანტული ჯანღონიანი კაცები ზამთრობით იშვიათად თუ ააკითხავენ ხოლმე ხეობას და ისიც იმ შემთხვევაში, მთაში დარჩენილი თივის ზვინები თუ აქვთ დასაცურებელი.

მე აქ ზამთარშიც ვყოფილვარ და თივის ზვინების დაცურებაც მინახავს. თივის ზვინებს მარტო ხადისწყლის ხეობიდან კი არ აცურებენ ხადელები, არამედ — ლომისის ქედიდანაც, სადაც, ძველთაგან მოყოლებული, კუთვნილი სათიბები აქვთ. ასეთ სათიბებს, **კარის მამულისაგან** განსხვავებით, **მთის მამულები** ჰქვია. მთიელთა საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრებაში ამას **ორხელაობა** ეწოდება.

შიგ სოფელ წკერეში ერთი მომცრო, ჩვეულებრივი კოშკი დგას, სოფლის თავზე, ბალახოვანი მაღალი მთის წვერზე, მართლაც ზღაპრული კომპლექსია. ეს არის კოშკიანი გალავნით შემოზღუდული კვირაცხოვლის მცირე საყდარი — ადრეშუასაუკუნეების ძეგლი, რომელიც სხვადასხვა პერიოდში განუახლებიათ.

...მობიბინე ბალახში ალპური ყვავილები ანათებს, საყდარში ჩვენ მიერ დანთებული სანთელი ციაგობს, ქვევით კი ხელისგულივით მოჩანს ხადის წყლის სათავე — კლდეებზე მოცეკვავე დაჩქერი და მთელი ხეობა. საცოდაობაა ამ სამოთხის ასე მიტოვება და უყურადღებობა. რის გუდაური და რის ლომისის კალთები... ხადას რა შეედრება!..

...ღამის გასათევად ბენიანში, ქავთარაძეების სახლში ვბრუნდებით და ერთხანს კოცონთან ვზივართ ადგილობრივებთან ერთად. ისისაა, დასაძინებლად უნდა წავიდეთ, რომ ბეგოთკარიდან გელა ბეგოიძე მოდის და კარგი ამბავი მოაქვს: — ხვალისთვის 2 ცხენი უკვე ვიშოვე და შეიძლება მესამეც გავახერხოო.

...მთაში ცხენი ფასდაუდებელია...

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲬᲙᲔᲠᲔᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ



ᲛᲗᲝᲠᲛᲝᲬᲐᲛᲔ

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ვორონცოვისდროინდელი თბილისი

მ. ს. ვორონცოვი მთელი ძალისხმევით მუშაობდა გზების კეთილმოწყობაზე. „ნაჯახის საშუალებით“ მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კავკასიის დაპყრობა. აშენდა ხიდები მდინარეებზე: მტკვარზე, თერგზე და სხვ.; საფუძველი ჩაეყარა სანაოსნო მიმოსვლას შავ და კასპიის ზღვებზე და მდინარე მტკვარზე; განხორციელდა ამიერკავკასიის მიწების დანაწევრება, 1850 წელს აშენდა ოლაგირის ქარხანა. ისევე როგორც ნოვოროსიაში, აქაც მეფისნაცვალი ზრუნავდა მხარეში მევენახეობის, მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის, ცხენოსნობის და სოფლის მეურნეობის სხვა მიმართულებათა განვითარებაზე.

თავადის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი სფერო იყო განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარება.

ასე რომ, თბილისში 1848 წელს გამოსვლას იწყებს გაზეთი „კავკაზი“, ყალიბდება „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“, რომელმაც შეცვალა „გუბერნსკიე ვედომოსტი“. ამ გაზეთებმა ნოვოროსიისა და კავკასიის შორეული ტერიტორიები დაუახლოვა რუსეთს. ნოვოროსიის კალენდრის წარმატებამ უკარნახა ვორონცოვს მსგავსი გამოცემა 1847 წელს თბილისშიც გაეკეთებინა. კალენდარი შეიცავდა მდიდარ ისტორიულ, გეოგრაფიულ, ტოპოგრაფიულ და სხვა სახის მასალებს, შეგროვილს მცოდნე და შრომისმოყვარე ადამიანების მიერ.

გახსნა რა ოდესაში საჯარო ბიბლიოთეკა, მიხეილ სიმონის ძემ მას პირადი ბიბლიოთეკიდან 400 ტომი ძვირფასი და იშვიათი გამოცემა უსახსოვრა, ხოლო 1846 წელს მეფისნაცვლის კანცელარიასთან შექმნა ბიბლიოთეკა იმ წიგნებისაგან, რომლებიც მან და კერძო პირებმა (სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან) შემოსწირეს ბიბლიოთეკას. შესაფერისი შენობის შერჩევის შემდეგ, 1859 წელს თბილისში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, რაც მრავალეროვანი და მრავალენოვანი მხარისათვის მოვლენა იყო.

ფლობდა რა უძველეს ენებს (ლათინურს და ბერძნულს), ჯერ კიდევ ბავშვობაში ვორონცოვს გაცნობიერებული ჰქონდა კავკასიის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ცივილიზაციების შესწავლის აუცილებლობა.

1846 წელს თბილისში მეფისნაცვლის კანცელარიასთან საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივ ნუმიზმატურ კოლექციას. თავადის მიერ მოწვეული ცნობილი მეცნიერების (რომელთა შორის იყვნენ ბროსე, იოსელიანი, ბართლომეი, ხანიკოვი და სხვ.) შრომებმაც შეუფასებელი როლი შეასრულა კავკასიის მხარის შესწავლაში.

სოფლის მეურნეობის მიღწევათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის 1850 წელს თბილისში შეიქმნა სოფლის მეურნეობის ამიერკავკასიის საზოგადოება, რომელიც ვორონცოვის მიერ 1828 წელს ოდესაში შექმნილი საზოგადოების მსგავსი იყო. 1850 წელს კავკასიაში საძირკველი ჩაეყარა რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას: მაგნიტურ და მეტეოროლოგიურ ობსერვატორიას, შედგა არარატზე ასვლის გეგმა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ვორონცოვმა გახსნა ალიევის სექტის მუსულმანური სასწავლებელი, 1849 წელს დააფუძნა კავკასიის ცალკე არსებული სასწავლო ოლქი, ბევრ ქალაქში შექმნა და გახსნა სამაზრო სასწავლებლები.

ვორონცოვის მეუღლის ელისაბედ ვორონცოვის მონაწილეობით ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ქალიშვილებისათვის თბილისში, ქუთაისში, შირაქში გაიხსნა წმ. ნინოს დაწესებულებები; წმ. ალექსანდრესი — სტავროპოლში, წმ. რიფსიმესი — ერევანში.

პატრიარქმა ნერსესმა წმ. რიფსიმეს ქალთა სასწავლებელს მნიშვნელოვანი ფულადი დახმარება გაუწია და მოუწოდა როგორც სომხებს, ასევე მუსულმან ბეგებს, ამ სასწავლებელში შეეყვანათ თავიანთი ქალიშვილები. 1850 წლის 2 იანვარს სასწავლებელი გაიხსნა და მისი ზედამხედველობა ერევნის გუბერნატორის მეუღლეს ელისაბედ იგორის ასულ ნაზიროვას დაეკისრა.

სასწავლებლის მოსწავლეთა პირველი ნამუშევრები — ნაქარგობა — პატრიარქ ნერსესს უსახსოვრეს. პასუხად სასწავლებელმა პატრიარქისაგან შექება და ჯილდო — 300 მანეთი დაიმსახურა (მისი პირადი სახსრებიდან). ამის თაობაზე ვორონცოვის მეუღლე ნერსესს სწერდა, რომ მადლობას გამოხატავს პატრიარქისადმი და საჭიროდ თვლის, საქმის კურსში ჩააყენოს პატრიარქი, თუ რაში გამოიყენებენ მის მიერ ნაჩუქარ თანხას.

1851 წლის ზაფხულში ნერსესმა სასწავლებელს დარაჩიჩაგში საეკლესიო მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი უსახსოვრა საზაფხულო შენობისათვის. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პატრიარქი ნერსესი სომხეთში ქალთა განათლებისათვის ზრუნავდა.

ვორონცოვის სიკვდილის შემდეგ მისმა მეუღლემ 200 ათასი მანეთი ვერცხლის სახით გაიღო მის მიერ დაარსებული ქალთა ხუთი საქველმოქმედო დაწესებულებისათვის, მასში შედიოდა თითოეულ კურსდამთავრებულზე 200 მანეთის ოდენობით დახმარების გაცემაც.

კავკასიის ნაკლებად შესწავლილი ადგილების გამოსაკვლევად ვორონცოვი გზავნიდა სპეციალისტებს. ამ მიზნით აკადემიკოსმა გ.ვ. აბიხმა შემოიარა კავკასია და არარატი; აკადემიკოსმა მ.ი. ბროსემ — საქართველო და კახეთი. მეცნიერები, სამხედროები, ჩინოვნიკები, მხატვრები, ლიტერატორები, რომლებიც მაშინ კავკასიაში ჩამოდიოდნენ, ხშირ შემთხვევაში თბილისში, მეფისნაცვლის რეზიდენციაში ჩერდებოდნენ.

იყო რა საქართველოს გუბერნიის (1846 წლიდან თბილისის) ადმინისტრაციული ცენტრი, თბილისი კავკასიაში წარმოადგენდა ცენტრალურ პუნქტს ნედლეულის შესყიდვისა და პროდუქტების რეალიზაციის მხრივ. თბილისის მეშვეობით რუსეთი ამყარებდა დიპლომატურ და სავაჭრო ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან. საფრანგეთის კონსული გამბა, რომელიც ქალაქში XIX საუკუნის 20-იან წლებში იმყოფებოდა, წერდა:

„ტფილისში ერთსა და იმავე დღეს ჩამოდიან ნეგოციანტები (ბითუმად მოვაჭრეები) საფრანგეთიდან, კურიერები — პეტერბურგიდან, ვაჭრები — კონსტანტინოპოლიდან, ინგლისელები — კალკუტიდან და მადრასიდან, სომხები — სმირნიდან, იეზიდები და უზბეკები — ბუხარიდან; ასე რომ, ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს ევროპისა და აზიის მთავარ საკვანძო ადგილად“.

თბილისში ევროპული ჩვევები ადგილობრივი ტრადიციების პრიზმაში იყო გატარებული. აქ ერთდროულად არსებობდა ფრაკი და ჩოხა, ჩეფჩიკი და ჩადრი, ქარავანი და ფაიტონი, იტალიური არია და მკაცრი ქართული პოლიფონიური სიმღერა, პოლონეზი და ლეკური, ევროპული მაღაზიები და აღმოსავლური ბაზარი.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველო გახდა რა კავკასიის არმიის მთავარსარდალთა რეზიდენცია, თბილისმა ბევრი რამ ნახა და გადაიტანა. სხვადასხვა დროს ქალაქი ხდებოდა გენერლების — კნორინგ მეორის, თავად ციციანოვის, გრაფ გუდოვიჩის, რტიშჩევის, ერმოლოვის, ნეინდგარდის და სხვათა რეზიდენცია.

თანამედროვეთა მოგონებების თანახმად, თბილისში ვორონცოვის ჩამოსვლამ ქალაქის ცხოვრება მთლიანად შეცვალა და სულ სხვა ხასიათი შესძინა.

ვორონცოვს შეეძლო, დაახლოებოდა უნარიან, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებს.

„...ყველანი აღფრთოვანებულნი იყვნენ ვორონცოვის ადამიანებისადმი დამოკიდებულებით“. 1845 წელს თბილისში ვორონცოვთან ერთად და შემდგომში ჩამოსულ ხალხს ქალაქის ცხოვრებაში სიახლეები შეჰქონდათ. ევროპულმა კულტურამ დაიწყო აღმოსავლური პატრიარქალური სიტუაციის შეცვლა.

ოდესისა და პარიზის მოდელები გემოვნებას ევროპული ტუალეტის შესაბამისად ცვლიდნენ; კუაფერ ვლოტე ჩამოვიდა რა პარიზიდან, თბილისში უზარმაზარი მაღაზია და მოდური ატელიე გახსნა.

„მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოიქმნა ახალი ევროპული კვარტალები ყველა პირობებით, განსაკუთრებით ახალი ვორონცოვის ხიდით, ძველის სანაცვლოდ. თავადი და ქალბატონი თავიანთი პირადი საქციელით იძლეოდნენ უბრალოებისა და განსაკუთრებული გულისხმიერების მაგალითს. მთავარმართებლის სახლში იგივე სახელმწიფო ავეჯი იდგა, რაც ადრე; საჭმელი, თუმცა ყოველთვის გემრიელი იყო, განსაკუთრებით არაფრით გამოირჩეოდა, ღვინოს კახურს ან ყირიმულს სვამდნენ, ლაშქრობაშიც და გზაშიც თავადი სხვებისაგან არ გამოირჩეოდა, თუ მის სტუმარ-მოყვარეობის მასშტაბებსა და ყველასადმი კეთილ დამოკიდებულებას არ ჩავთვლით. მის ამ ბუნებრივ უბრალოებას ყველა ამჩნევდა და უნებლიედ აცნობიერებდა, რომ ის სხვა მაღალ წრეს ეკუთვნოდა, როგორც შეხედულებებით, ისე წარმომავლობითა და შეფასებებით“.

წლებთან ერთად თავადის სიკეთე ზოგიერთი პიროვნების მიმართ უკიდურესობამდე მივიდა. მას არ შეეძლო უარის თქმა ძალზე მომთხოვნი მთხოვნელებისათვის, რითაც ისარგებლეს ზოგიერთებმა, როცა გაიგეს მისი თბილისში დანიშვნის ამბავი. საერთოდ კი, იმდროინდელი თბილისის საზოგადოება შედგებოდა ნათელი, კეთილსინდისიერი ადამიანებისაგან, რომელთა დიდი ნაწილის სახელი სამართლიანად შევიდა რუსეთისა და საქართველოს ისტორიაში.

ისევე როგორც ნოვოროსიაში, საქართველოშიც, ვორონცოვის გარემოცვაში, საკმარისად იყვნენ ბრწყინვალე მეცნიერ-მკვლევარები, რომლებმაც თავიანთი შრომებით ფასდაუდებელი ამაგი დასდეს მხარეს. მათ შორისაა ცნობილი ნუმიზმატი ივანე ალექსანდრეს ძე ბართლომეი, რომელიც არც საშუალებას, არც დროს არ იშურებდა მონეტების მოძიებისა და შესყიდვისათვის, იყო „ჩეჩნეთის ანბანის“ ავტორი. ივანე ალექსანდრეს ძე, ასევე, აგროვებდა მწერების კოლექციას. თავადი ა. ა. დონდუკოვ-კორსაკოვი იგონებს, 1851 წელს ყუბანს იქეთ ლაშქრობაში ყოფნისას, მდინარე ბელოიზე, თუ როგორ შეაგროვა ბართლომეიმ მწერები და შენახული ჰქონდა თუნუქის სპირტიან კოლოფებში. კოლექციას დიდხანს არ უარსებია. ერთ-ერთი ვიზიტის დროს სტუმრები ცუდმა სუნმა შეაწუხა, რომელიც ამ კოლოფებიდან ამოდიოდა. აღმოჩნდა რომ, კაზაკებს ის სპირტი დაულევიათ, რომელშიც მეცნიერი მწერებს (ფარულ ექსპონატებს) ინახავდა. გაცოფებული მეცნიერი კარგა ხანს ვერ დაწყნარდა, სტუმრები კი სიცილს ვერ იკავებდნენ.

კავკასიაში მცხოვრებ მეცნიერთა შორის იყო, ასევე, აკადემიკოსი გ. ვ. აბიხი, უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც 1845 წელს მოაწყო არარატზე ასვლა და რომელიც 1853 წელს კავკასიის მხარის აღწერისათვის აკადემიკოსი გახდა. გენერალ-ლეიტენანტ ხოდზკოსგან კავკასია დავალებულია ტოპოგრაფიული სამუშაოების ორგანიზაციით.

ცარსკოსელსკის ლიცეუმის აღზრდილი ნ. ვ. ხანიკოვი თბილისში 40-იანი წლების ბოლოს ჩამოვიდა; დამოუკიდებლად შეისწავლა რა აღმოსავლური ენები, კარგად გაეცნო აღმოსავლურ ლიტერატურას, გეოგრაფიას. მისი ჩანაწერები ენების შესწავლისა და კავკასიური კილოების შესახებ პარიზში გეოგრაფიული საზოგადოების დიდ ოქროს მედალზე იქნა წარდგენილი.

იმ დროს თბილისში ცნობილი იყო ორბელიანის, ჭავჭავაძის, გ. ვ. აბიხის, ნ. ვ. ხანიკოვის, ი. ი. ხოდზკოს სახლები, რომელთა პატრონები ღირსეულად ემსახურებოდნენ ამ მრავალტანჯულ მიწას და თავიანთი სიყვარულს საზომად მისთვის შესრულებული კეთილი საქმეები მიაჩნდათ.

დასასრული შემდეგ ნომერში

არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ევროპული ისლამი თუ ისლამური ევროპა?!

სექსუალური უმცირესობების ზრდამ ევროპა გამაჰმადიანების საფრთხის წინაშე დააყენა

XX საუკუნეში დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა გაოთხმაგდა და 6,5 მილიარდს გადააჭარბა. უკანასკნელი ათწლეულების დემოგრაფიული პროცესების თავისებურება მუსლიმანთა რაოდენობის სწრაფი ზრდაა, რომელთა რაოდენობამ 1990 წლიდან 880 მილიონიდან 1 მილიარდს მიაღწია. მიმდევართა რიცხვის მიხედვით ისლამი მსოფლიო რელიგიებს შორის ყველაზე სწრაფად იზრდება. 1900 წლის მონაცემებით მუსლიმანები მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 4,2%-ს თუ შეადგენდნენ, პროგნოზის თანახმად, 2030 წელს მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, დედამიწის 8-მილიარდიანი მოსახლეობის ზუსტად მეოთხედს, ანუ ორ მილიარდს მიაღწევს.

მუსლიმანთა ორ მესამედზე მეტი აზიაში ცხოვრობს და მთელი მოსახლეობის 20%-ზე მეტს შეადგენენ. აფრიკაში კონტინენტის მოსახლეობის ნახევარი მუსლიმანია და აფრიკელი მუსლიმანები ამ რელიგიის მიმდევართა საერთო რაოდენობის 30%-ს წარმოადგენენ. მუსლიმანური საზოგადოება მსოფლიოს 120 ქვეყანაზე მეტს მოიცავს, მათგან 35-ში მუსლიმანები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტს შეადგენენ.

ისლამი განსაკუთრებით სწრაფად ევროპაში ვრცელდება. ყველაზე მსხვილი მუსლიმანური საზოგადოება საფრანგეთშია, იქ მოსახლეობის დაახლოებით 10%, ანუ 5-დან 7-მილიონამდე მუსლიმანია. კათოლიკეთა შემდეგ ეს ქვეყანაში მეორე ადგილს ნიშნავს. გერმანიაში მუსლიმანების რაოდენობამ 4 მილიონს მიაღწია, დიდ ბრიტანეთში — 1,7 მილიონს, იტალიასა და ჰოლანდიაში — 1 მილიონს. დასავლეთ ევროპის უკლებრივ ყველა ქვეყანაში ისლამის გავრცელების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია დაფიქსირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებლები სინამდვილეში უფრო დიდია, ვინაიდან ევროპაში ცხოვრობს მრავალი მილიონი არალეგალი, რომელთა აღმსარებლობაც ოფიციალურ სტატისტიკაში გათვალისწინებული არ არის. ევროპაში ამჟამად 15-დან 24 მილიონამდე მუსლიმანი ცხოვრობს. დემოგრაფთა ვარაუდით, შობადობის მაღალი მაჩვენებლისა და ქვეყნებიდან მასობრივი მიგრაციის წყალობით 2015 წლისათვის ეს რიცხვი გაორმაგდება.

დასავლეთ ევროპაში ისლამმა სულ რამდენიმე ათწლეულის წინათ მოიკიდა ფეხი. 1940-იანი წლების დასასრულამდე იქ მუსლიმანები ან საერთოდ არ იყვნენ, ან იყვნენ უმნიშვნელო რაოდენობით (1920-იანი წლების მონაცემებით, საფრანგეთში 120 ათასი მუსლიმანი ცხოვრობდა). პირველი მასობრივი მიგრაცია ალჟირის 1954-1962 წლების ომს უკავშირდება.

მიგრაციის წყალობით ევროპის ერთ დროს საკმაოდ ერთგვაროვანი ქვეყნების მოსახლეობაში განუხრელად იზრდება ეთნიკური და კონფესიური განხეთქილებების დონე. პრინციპულად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ, წინა წლებისაგან განსხვავებით, მუსლიმან მიგრანტებს არ სურთ ახალ გარემოსთან ინტეგრირება. ამ პირობებში ვეღარ მუშაობს ეროვნული სახელმწიფოს ჩარჩოებში ერთიანი სამოქალაქო ერის ჩამოყალიბების ევროპული მოდელი. სამაგიეროდ, ყალიბდება მულტიკულტურული, მულტიკონფესიური, ბოლო დროს — მრავალენოვანი საზოგადოებებიც. ლიბერალიზმის მიმდევრები ამ კონცეფციებს დემოკრატიის ლოგიკურ განვითარებად აღიქვამენ და თვლიან, რომ უმცირესობათა უფლებები გარანტირებული და დაცული უნდა იყოს.

პარიზში, ლონდონში, ბერლინსა და მრავალ სხვა მსხვილ ევროპულ ქალაქში მუსლიმანური უბნები გაჩნდა. ფრანგ მუსლიმანთა უმეტესობა არაბული მაღრიბიდან წამოსულთა შთამომავლები არიან; გერმანიაში, ჰოლანდიაში, ავსტრიასა და დანიაში კი თურქი ემიგრანტების შთამომავალი მუსლიმანები ჭარბობენ; ბრიტანეთში მუსლიმანებს, ძირითადად, ბრიტანული ინდოეთის (პაკისტანი, ბანგლადეში) მკვიდრთა შთამომავლობა წარმოადგენს.

ევროპელი მუსლიმანების გამრავლებას ხელს უწყობს სახელმწიფო სოციალური პროგრამების მიერ მრავალშვილიანობის წახალისება. მუსლიმანურ ოჯახებში საშუალოდ 4 ბავშვი მაინცაა. სამაგიეროდ, ძირძველ ევროპულ ოჯახებში ამ მხრივ სერიოზული კრიზისია. პარალელურად, ევროპის ქვეყნებში თანამედროვე დემოკრატიული ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს მიღწევად ჰომოსექსუალური ურთიერთობების თავისუფლება ითვლება. მთელ რიგ ქვეყნებში (ჰოლანდია, ბელგია, კანადა, ესპანეთი, შვეიცარია) ერთსქესიანი ქორწინებაც კი ნებადართულია.

სექსუალური უმცირესობების რაოდენობრივი ზრდის შესაბამისად, იკლებს ძირძველი ევროპელი მოსახლეობის რაოდენობა, გარდა ამისა, ევროპელთა გარკვეული კატეგორია თვლის, რომ ბავშვები ხელისშემშლელ ფაქტორად იქცევიან კარიერულ წინსვლაში ან, უბრალოდ, დაურღვევენ მათ კომფორტულად ცხოვრების უფლებას, რის გამოც ნებაყოფლობით ამბობენ უარს შვილის ყოლაზე. ერთშვილიანი ოჯახები ძნელად იღებენ მეორე ბავშვის გაჩენის გადაწყვეტილებას, არადა, მოსახლეობის უბრალო კვლავწარმოებისათვის აუცილებელია, სულ მცირე, შობადობის საშუალო დონე 2,1% მაინც იყოს. დასავლეთ ევროპაში ეს დონე საშუალოდ 1,4%-ს აღწევს, მუსლიმანები კი ევროპელი მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირებით წარმოშობილ ვაკუუმს დიდი წარმატებით ავსებენ.

1990-იანი წლებიდან ევროპის ახალგაზრდა მუსლიმანებმა აქტიურად დაიწყეს პოზიციის გამოხატვა ევროპის ისეთი ფასეულობების მიმართ, როგორიცაა: სექსუალური თანასწორობა, აღმსარებლობის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, სექსუალური უმცირესობების უფლებების უზრუნველყოფა და ა. შ. სკოლებში გართულდა და ბოლოს შეუძლებელიც გახდა ისეთი საგნების სწავლება, რომლებიც მუსლიმან მოსწავლეებს ან მათ მშობლებს არ მოსწონდათ. ამავე სკოლებში თანდათანობით ჩამოყალიბდა სექსუალური სეგრეგაცია: ბიჭები კლასის ერთ მხარეს სხდებოდნენ, გოგონები — მეორე მხარეს. საფრანგეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ევროპის ზოგიერთ ქალაქში გოგონა ჰიჯაბის გარეშე შესაძლოა, შეურაცხყოფის, ფიზიკური აგრესიის, სექსუალური ძალადობის ან, სულაც, ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლი გახდეს.

სოციოლოგების მტკიცებით, მუსლიმანები საკუთარი თანამოქალაქეების მიმართ ყველაზე დაუნდობლები სწორედ ტოლერანტულ ქვეყნებში არიან. ერთ-ერთი კვლევის მონაცემების მიხედვით, მუსლიმანებისადმი ყველაზე შემწყნარებელი მოსახლეობა ბრიტანეთში აღმოჩნდა, სწორედ ბრიტანეთში გამოხატავენ მუსლიმანები ყველაზე ღიად ევროპელებისადმი ზიზღს.

1990-იანი წლების ბოლომდე ევროპაში ისლამისტური პარტიები არ არსებობდა, ახლა ისინი უკვე საფრანგეთშიც გაჩნდა და ბელგიაშიც, თუმცა ჯერჯერობით პარლამენტში არ არიან წარმოდგენილნი, მაგრამ 2003 წლის მაისში არჩევნებზე ბრიუსელში 8 000-ზე მეტი ხმა მიიღო რადიკალურმა ისლამისტურმა პარტიამ „Parti de la Citoyennete et Prosperite“.

მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან ევროპელი მუსლიმანები აქტიურ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდნენ და მთელ რიგ ქალაქებში მასობრივი აქციების გამართვა დაიწყეს. ამ აქციების მიზანი ხან სკოლებში ჰიჯაბით სიარულის აკრძალვისადმი პროტესტის გამოხატვა იყო, ხანაც — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ პალესტინელი ხალხის მხარდაჭერა. ზოგიერთმა ისლამისტმა მოღვაწემ ევროპელი მუსლიმანებისათვის ავტონომიაც კი მოითხოვა.

ევროპა ისლამისტი ტერორისტებისათვის სამოღვაწეო არენად იქცა. ისინი მადრიდსა თუ ლონდონში ხან აფეთქებებს აწყობენ, ხან ამსტერდამში ჰოლანდიელ რეჟისორ თეო ვან გოგს კლავენ, ხან ამერიკაში 11 სექტემბრის ტერაქტის განხორციელებაში მონაწილეობენ. ამ ყველაფრის ჩამდენთა მსოფლმხედველობა ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების უარმყოფელი რადიკალური ისლამის იდეების გავრცელებისათვის ხელსაყრელ ევროპულ გარემოში ჩამოყალიბდა.

ისლამი იქცა ევროპული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომლის გაუთვალისწინებლადაც ოდნავ სერიოზული პროგნოზის გაკეთება ევროპის და, ზოგადად, მსოფლიოს შემდგომი განვითარების შესახებ შეუძლებელია. მუსლიმანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არაა ევროპულ სინამდვილესთან ინტეგრირებული და შეგნებულად ამბობს უარს დასავლეთ ევროპის ცხოვრების წესზე, მორალსა და ღირებულებებზე.

შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობა მუსლიმანებს უღრმავებს რწმენას, რომ ადრე თუ გვიან ევროპა ისლამური სამყაროს ნაწილი გახდება. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, სულ ახლო მომავალში საფრანგეთი ისლამური ქვეყანა იქნება და სწორედ იქიდან დაიძვრება კონტინენტის დანარჩენი ქვეყნებისაკენ ისლამი გამარჯვების მარშით.

ევროპელ მუსლიმანთა შორის დღითიდღე მატულობს მათი რიცხვი, ვისაც, არამც თუ ევროპული კანონებით ცხოვრება, იმ ქვეყნის ენაზე ლაპარაკიც კი არ სურს, სადაც ცხოვრობს. სწორედ ამით განსხვავდებიან მუსლიმანები დანარჩენი უმცირესობებისაგან, რომლებიც საკუთარ ინდივიდუალობასაც ინარჩუნებენ ხოლმე, მაგრამ საცხოვრებელ გარემოში ინტეგრირებასაც არ ერიდებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი, როგორც ნებისმიერი სხვა რელიგია, თავისთავად მსოფლიოსა და საზოგადოებისათვის საშიში სულაც არაა, ის საფრთხედ მაშინ იქცევა ხოლმე, როდესაც რელიგიიდან პოლიტიკურ იდეოლოგიად ყალიბდება და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამოიყენება.

ევროპისათვის არამც თუ მუსლიმანებისადმი განსაკუთრებული მიდგომა, დანარჩენი საზოგადოებიდან მუსლიმანების გამოყოფაც კი დემოკრატიული პრინციპების უხეშ დარღვევად ითვლება. სწორედ ამგვარი მიდგომის წყალობით, ისეთი ექსტრემალები, როგორიც ეგვიპტელი აბუ ხამზა გახლდათ, უპრობლემოდ იღებენ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობას და მრავალი წლის მანძილზე მშვიდად ეწევიან დიდ ბრიტანეთში ტერორისტულ მოღვაწეობას.

ბელგიაში პოპულარული მღვდელი სამუელ ოზდემირი ხელისუფლებამ რასიზმში იმის გამო დაადანაშაულა, რომ მან ქადაგებაში ევროპის ისლამური ექსპანსიის საშიშროების შესახებ აღნიშნა. **„ზომიერი მუსლიმანის მცნება არ არსებობს, ევროპელი მუსლიმანების ოჯახებში დაბადებული ყოველი ბავშვი შენელებული მოქმედების ბომბია ევროპული კულტურის შვილებისათვის, რომლებიც სულ მალე აქ უმცირესობაში აღმოჩნდებიან“,** — ამბობდა მოძღვარი. ოზდემირის სამართლებრივი დევნის ინიციატორები ისლამური ორგანიზაციები კი არა, ბელგიის სახელისუფლებო ორგანიზაცია „თანაბარი შესაძლებლობებისა და რასიზმის საწინააღმდეგო ცენტრი“ გახლდათ. მოძღვარს რასობრივი შუღლის გაღვივება დაბრალდა და სასამართლოს ვერდიქტამდე მის დაკავებასაც კი მოითხოვდნენ.

ისლამის რადიკალური ლიდერები დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპის ისლამიზაცია გარდაუვალია და კონტინენტიდან უკვე ორჯერ გაძევებული ისლამი ევროპაში გამარჯვებული დაბრუნდება. ამის შემდეგ ქრისტიანებს მოუწევთ, ან მიიღონ მუსლიმანობა, ან ჯიზია — ისლამურ ქვეყანაში მცხოვრები არამუსლიმანთათვის დაწესებული გადასახადი იხადონ.

ევროპის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად და წარმატებულად მოახერხებენ ევროპული სახელმწიფოები მზარდი და სულ უფრო ნაკლებად ინტეგრირებული მუსლიმანური საზოგადოებების მოსათოკი პოლიტიკის გატარებას.

თუ ჯერ კიდევ აყვავების ხანაში მყოფი ევროპა დროულად ვერ მონახავს გამოსავალს ამ რთული მდგომარეობიდან, მისი განვითარება დეგრადაციის გზით გააგრძელებს სვლას. ამ შემთხვევაში ახლანდელი განვითარებადი ქვეყნები კი არ დაეწევიან ევროპას, არამედ ევროპა აღმოჩნდება განვითარებადი ქვეყნების დონეზე. დღეისათვის ამგვარი მომავალი ჯერ კიდევ არაა ევროპისათვის გარდაუვალი და იმედს ვიტოვებთ, რომ კაცობრიობა რელიგიური ომების ეპოქას აღარასდროს დაუბრუნდება.

ლონდონი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოვიდა ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის გიორგი მაისურაძის დეტექტივი. ნაწარმოების გაცნობამ მიგვახვედრა, რომ საქმე გვაქვს პროფესიონალ მწერალთან, რომელიც ფსევდონიმს ამოეფარა. იმედია, დეტექტივის გამოქვეყნების დასრულებამდე რედაქციაც და გაზეთის მკითხველიც შევიტყობთ ავტორის ნამდვილ ვინაობას. მკითხველი ნაწარმოებში ბევრ მსგავსებას იპოვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან, შესაძლოა, კონკრეტული პირებიც ამოიცნოს. თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ ყველა შესაძლო პარალელი მხოლოდ დამთხვევაა.

გიორგი მაისურაძე

სალამი საქართველოდან!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11-17

ოცი წუთის შემდეგ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალურ აგენტს სიდნეი როჯერსს არჩილ კამარაულის სრული ანგარიში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისადმი წაკითხული ჰქონდა საკუთარი ლეპტოპის ეკრანზე და, რა თქმა უნდა, ჩაწერილიც, რის შემდეგაც ამერიკული სიხშირის მობილური ტელეფონით საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ჯეფრი ჯელტრის დაურეკა.

— ნუ გიკვირთ, სიდ, — უთხრა ჯეფრი ჯელტრიმ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ არჩილ კამარაულის დამუშავებისა და გადაბირების ამბავი რომ გაიგო.

— კი, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციურ წყობას რა საფრთხეს ვუქმნი?

— კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი ამ დაწესებულების სახელწოდებაა მხოლოდ, რომელიც დემოკრატიულობის ფასადს, აბრას წარმოადგენს. სინამდვილეში ეს სამხედრო დაზვერვაა, აქედან გამომდინარე ყველა იმ ნიუანსითა და მეთოდით, რომლებზეც თქვენთვის, არა მგონია, ცნობილი არ იყოს.

— ჩემს ჟურნალისტურ გამოძიებასთან ხომ არა აქვს ამას კავშირი? — ჩაეკითხა სიდნეი როჯერსი.

— არა მგონია. უფრო თქვენი პერსონით პრეზიდენტის დაინტერესების გამოა ეს.

— რატომ?

— პრეზიდენტმა შემოთავაზება მოგცათ, პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე საქართველოს მეგობარ ჟურნალისტთა საერთაშორისო ჯგუფის შექმნის თაობაზე და ეჭვი არ მეპარება, ყოველივე შინაგან საქმეთა მინისტრს მიანდო. მის გარეშე ვერავინ გაბედავდა თქვენზე მეთვალყურეობის დაწესებას. ბუნებრივია, დაიწყეს თქვენი პიროვნების შესწავლა და გაირკვა, რომ გარდა იმისა, ბრწყინვალე ჟურნალისტი ხართ, თქვენი სოციალური წარმოშობისა და ოჯახის გამო, მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაც ბრძანდებით, ვინაიდან თქვენი უფროსი ძმა სენატორია, საშუალო კი — კონგრესმენი. უკეთეს კომბინაციას საკუთარი ლობისტური მიზნების განსახორციელებლად ვერც კი ინატრებდნენ. თავად განსაჯეთ, ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი, კონგრესმენი და „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი — ეს მათი გათვლებით და გაანგარიშებებით ხომ ციდან მოფრენილი საჩუქარია თქვენი სახით, მეტად მნიშვნელოვანი და ღირებული საჩუქარი. ასე რომ, თუ თქვენ პრეზიდენტის შეთავაზებას უარყოფთ, ესენი ამასაც ვარაუდობენ და ასეთი შემთხვევისთვის თავსაც იზღვევენ და ეცდებიან, თქვენი აქ ყოფნის პერიოდში რაიმე მაკომპრომეტირებელი მასალა მოიპოვონ თქვენ წინააღმდეგ, რათა იძულებით დაგიყოლიონ ამ შემოთავაზებაზე. ასე რომ, ფრთხილად იყავით, სიდ, თქვენი ნომერი, ეგრეთ წოდებული, პლუსიანია.

— ვიცი, პირველსავე დღეს აღმოვაჩინე ფარული კამერები. ახლა აივანზე ვარ და ისე გელაპარაკებით.

— ყოჩაღ! — ელჩის ხმაში აშკარა კმაყოფილება გამოიკვეთა.

— რა უნდა ვქნა? — იკითხა სიდნეი როჯერსმა. პრეზიდენტის წინადადებას შეეხებოდა შეკითხვა.

— დაეთანხმეთ პრეზიდენტის წინადადებას, სიდ, რა პრობლემაა? ეს ხომ თქვენს საქმესაც წაადგება კონკრეტულად, საერთოდ კი, — ჩვენს საქმეს. უკეთესი არაა, რაც მეტი გვეცოდინება? თანაც, ყოველივე ეს ხომ თქვენი ანგარიშების მიხედვით ლენგლიში ფიქსირდება, ჩემი მოხსენებებით კი — სახელმწიფო დეპარტამენტში.

— კი, მაგრამ სიბინძურეა ეს ყველაფერი.

— განა რომელიმე სახელმწიფო არსებობს სიბინძურის გარეშე? — ფილოსოფიურად აღნიშნა ჯეფრი ჯელტრიმ, — პოლიტიკოსის ამოცანა ხომ სახელმწიფო მიზნების მიღწევაა ნებისმიერი მეთოდით.

— მიკვირს, რომ ასეთი აზრების გამტარებელი ელჩი გვყავს, — გაეცინა სიდნეი როჯერსს.

— ვიცი, ვისთანაც ვამბობ, სიდ, ვიმედოვნებ, ეს ჩემი გაცხადება თქვენს ანგარიშში არ აისახება, — სიცილითვე მიუგო ჯეფრი ჯელტრიმ.

ორივენი ერთი კანტორის წარმომადგენლები იყვნენ და ორივეს შეეძლო ამგვარ საკითხებზე ხუმრობა და ქილიკი. მიუხედავად სხვაობისა ასაკში, გამოცდილებასა და დამსახურებაში, ეს გარემოება კიდევ უფრო აახლოვებდა მათ.

მორჩა თუ არა საუბარს ელჩთან, ნომრის კარზე კაკუნი გაისმა.

ორნი იყვნენ — ქერა და შავგვრემანი, მოკლე ქვედაკაბები ეცვათ, მოკლემკლავებიანი, მკერდზე შემოტმასნილი მაისურები. ქერათმიანს შამპანურის ბოთლი ეჭირა ხელში, შავთმიანს — შოკოლადის ფილები. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები გრძელ ფეხებს კიდევ უფრო უგრძელებდა ორივეს. თვრამეტი-ცხრამეტი წლისანი იქნებოდნენ, შესაძლოა, — არც კი.

— მისტერ სიდნეი როჯერს? — ღიმილით იკითხა ქერათმიანმა გამართული ინგლისურით და დიდი შავი თვალები მიანათა.

— დიახ, მე გახლავართ.

— ჩვენ თქვენთან ვართ, — ოდნავ წინ წაიწია ქერათმიანი.

სიდნეი როჯერსი არც შერხეულა. ცალი ხელით ნახევრად ღია კარის სახელური ეჭირა, მეორეთი კარის ჩარჩოს დაყრდნობოდა. ინტერესით ათვალიერებდა ორივეს. — ეს რა, სასტუმროს მომსახურებაში შედის? — იკითხა ბოლოს.

— როგორც გენებოთ, ისე ჩათვალეთ, — ღიმილით მიუგო ქერათმიანმა. შავთმიანი მოუთმენლად შეტოკდა.

— იცით, რა, ჩემო კარგებო? — გაუღიმა ორივეს „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა, — ძალიან ლამაზები ხართ ორივენი, მაგრამ ვაი, რომ ქალები არ მაინტერესებს, — თქვა სინანულით.

— როგორ? — დაიბნა ქერათმიანი, — როგორ არ გაინტერესებთ... აბა?

— მე მგონი, უნდა იცოდეთ, რომ არიან მამაკაცები, რომლებსაც ქალები არ აინტერესებთ, — მშვიდად თქვა როჯერსმა.

ქერათმიანს ღიმილი სახეზე შეაშრა.

— აბა, ვინ გაინტერესებთ, მისტერ? — იკითხა შავთმიანმა და თავიდან ფეხებამდე უტიფრად შეათვალიერა.

— ქალები ნაღდად არ მაინტერესებს, მის, — მზერა გაუსწორა სიდნეი როჯერსმა, — გასაგებია?

— ასეთი სიმპათიური, ათლეტური მამაკაცი და ქალები არ აინტერესებს! — სინანულით გააქნია თავი ქერათმიანმა.

— ხდება ხოლმე, მის, და არცთუ ისე იშვიათად. ასე რომ, დიდი მადლობა და კარგად ბრძანდებოდეთ.

ქალიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს და ქართულად გადაულაპარაკეს.

— კარგი, მისტერ, რა გაეწყობა, — მიუბრუნდა როჯერსს ქერათმიანი.,— ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის.

ორივენი თითქმის სინქრონულად შებრუნდნენ მაღალ ქუსლებზე და ვიწრო თეძოების რხევით კიბეებისკენ წავიდნენ.

ტოპ-მოდელების სხეულები ჰქონდათ ორივეს.

„ნამდვილად კარგი ელჩია ჯეფრი ჯელტრი, — გაიფიქრა სიდნეი როჯერსმა, — ალბათ, რიჩარდ ჰოფნერი მაგრად იმხიარულებს, ანგარიშს როცა წაიკითხავს, თავი რომ გეიდ გავასაღე“.

ვინც სიდნეი როჯერსს იცნობდა ან ოდნავი სიახლოვე ჰქონდა მასთან, ყველამ იცოდა მისი პათოლოგიური სიძულვილის შესახებ ჰომოსექსუალისტებისადმი, რის გამოც არა ერთი უსიამოვნება შეხვედრია როგორც ჰარვარდში, ისე „ნიუ-იორკ თაიმსის“ რედაქციაში.

„ღმერთმა დაწყევლოს! — უეცრად გაიაზრა სიდნეი როჯერსმა, — ახლა ესენი ნაღდად კაცებს მომგვრიან!“ — საფულეში სავიზიტო ბარათი მოძებნა და მობილურ ტელეფონზე ნომერი აკრიფა.

— გამარჯობა, ბატონო მინისტრო, როგორ ბრძანდებით?

— აა, როჯერს! — გულწრფელი სიხარული იყო, — როგორაა საქმეები, როგორ მიდის თქვენი ჟურნალისტური გამოძიება? რაიმე პრობლემები ხომ არ გაქვთ?

— ბატონო მინისტრო, ერთადერთი პოლიციელი ბრძანდებით, რომელსაც ამ ქვეყანაში ვიცნობ და პრობლემა, რომელიც გამიჩნდა, სწორედ პოლიციური ხასიათისაა და არა ჟურნალისტური.

— რა ხდება, მისტერ როჯერს?

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა ორი სიტყვით უამბო ქალიშვილების ვიზიტისა და მათი თავიდან მოცილების მეთოდის შესახებ, არც თავისი პათოლოგიური სიძულვილის შესახებ დაუმალავს რაიმე ჰომოსექსუალისტების მიმართ.

— ახლა რომ ვინმე პატარა ბიჭი მომადგეს ნომერში, — თქვა ბოლოს, — ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ!

— რას იზამ, სიდ, ასეთია ჭეშმარიტი დემოკრატიული ფასეულობანი, — გადაიხარხარა მინისტრმა, — ეს ნაღდად არ არის ჩვენი მოგონილი, მაგრამ რა გაეწყობა? ამ შემთხვევაში დავარღვევ დემოკრატიის პრინციპს და მაგნაირი პიროვნებები თქვენი საქართველოში ყოფნის პერიოდში ერთი მილის სიახლოვესაც კი არ გაგეკარებიან. გაწყობთ?

— თუნდაც ნახევარი მილი იყოს, — გაეცინა სიდნეი როჯერსს.

— ისე, სიდ, კარგი გოგონები იყვნენ?

— ვაღიარებ, ძალზე ლამაზები იყვნენ. ბევერლი-ჰილზზე მათი გამოჩენა არა ერთ ნერვულ სტრესსა და ინფარქტს გამოიწვევდა.

— მაშინ პირადად ავიყვან ამ ლამაზმანებს კონტროლზე, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში მათი ფეხი არ იყოს ამერიკაში, — გადაიხარხარა მინისტრმა.

— ჰო, სიდ, — შეწყვიტა სიცილი უეცრად, — პრეზიდენტის წინადადებაზე რას ფიქრობთ?

— რომელ წინადადებაზე?

— სიდ, მე იმავე დღეს მითხრა პრეზიდენტმა საქართველოს მხარდამჭერ ჟურნალისტთა საერთაშორისო ჯგუფის თაობაზე, — ოდნავი საყვედურით უთხრა მერაბ სანიშვილმა, — ასე რომ, საქმის კურსში ვარ.

— ჰო... — „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს გაახსენდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ნათქვამი მინისტრისა და პრეზიდენტის ახლობლობის შესახებ, — მე მგონი, წინადადება მისაღებია, ბატონო მინისტრო.

— ძალიან კარგი. ასე გადავცე პრეზიდენტს?

— შეიძლება.

— კარგი, მისტერ როჯერს. მანდ გარკვეული დეტალებია, რაზეც მერე მოვილაპარაკებთ. არცთუ ისე უმნიშვნელო დეტალებია, ჩემი აზრით.

— კეთილი.

— აბა, კარგად, მისტერ როჯერს, შეხვედრამდე.

— შეხვედრამდე.

***

უჩვეულო იყო მწყემსების სამფლობელოში, მთების ციცაბო ფერდობზე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თეთრი ფერის „ტოიოტა ლენდ კრუიზერ-200“-ის სტუმრობა.

— კაი გამარჯობა, ხალხო! — მიესალმა არჩილ კამარაული მანქანის შესახვედრად კარვიდან გამოსულ მწყემსებს.

ორნი იყვნენ, გაურკვეველი ასაკისანი მოშვებული, გაჭაღარავებული წვერის გამო.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა! — თითქმის ერთხმად მიესალმნენ მომსვლელთ. შორიახლო დადგნენ კომბლებზე ხელებ და ნიკაპდაყრდნობილნი. სიდნეი როჯერსი მანქანიდან გადმოვიდა, მიუახლოვდა და ორივეს მიესალმა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გრანიტის ქანდაკებებს ჩამოართვა ხელი.

არჩილ კამარაულმა „ჯიპის“ უკანა კარი გამოაღო, პურით სავსე თეთრი კაპრონის დიდი ტომარა დაითრია საბარგულიდან და მიწაზე ფრთხილად დადო. მერე ცელოფნის ორი პარკიც მოაყოლა, ერთი სავსე სიგარეტით „ასტრა“, მეორეში კი ათი ბოთლი იაფფასიანი ადგილობრივი არაყი „საჩვენო“. ისინიც ასევე ფრთხილად დაალაგა მიწაზე.

— ხელცარიელები ხომ არ ამოვიდოდით, ხალხო! — მიუბრუნდა მწყემსებს. — ამერიკელი კორესპონდენტია, ქართველი მწყემსების ცხოვრებაზე უნდა დაწეროს.

— ეჰ, სადაა ცხოვრება?! — თქვა ერთ-ერთმა, ალბათ, უფროსმა და როჯერსს შეხედა. — აბა, ეს ცხოვრებაა? — მთის ციცაბოზე შეფენილ ცხვარს მოავლო თვალი მწყემსმა, — მობრძანით, თქვენი ჭირიმე. აბა, რად გინდოდათ, ამდენი რამე რომ ამოიტანეთ, განა ისედაც არ დაგხვდებოდით?

თუმცა, ეტყობოდა, სიგარეტმა და არყის ბოთლებმა აშკარა კმაყოფილება მოჰგვარა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲞᲐᲢᲝᲛᲘᲡ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ

„ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲡᲙᲐᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“ ᲞᲐᲢᲝᲛᲘᲡ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ ᲮᲡᲜᲘᲡ

ᲪᲔᲪᲮᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲬᲘᲕᲘᲡ ᲑᲣᲓᲔᲨᲘ

„კომსომოლსკაია პრავდამ“ და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებამ ექსპედიცია მოაწყეს აღმოსავლეთ ციმბირის ტაიგაში. მეცნიერები და ჟურნალისტები გაემგზავრნენ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო ადგილისაკენ. ისინი შეეცდებიან, გაარკვიონ, რას მალავს ეს იდუმალი ტერიტორია.

ᲛᲣᲥᲘ ᲜᲐᲪᲠᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲙᲝᲜᲣᲡᲘ

არსებობს თუ არა ჩვენს პლანეტაზე უჩვეულო რაიონები, რომელთაც დღეს-დღეობით ანომალიურ ზონებად მოიხსენიებენ? მეცნიერები თვლიან, რომ არ არსებობს. თვით ბერმუდის სამკუთხედში მიმდინარე იდუმალი მოვლენები — თვითმფრინავების გაქრობა, ადრე გამქრალი გემების გამოჩენა მგზავრებისა და ეკიპაჟის გარეშე — თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით შეიძლება აიხსნას. მაგრამ როცა გასულ წელს ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე ჩვენ მიერ გადაღებული პატომის კრატერის პირველი სურათები იქნა ნაჩვენები, დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

წარმოიდგინეთ ციმბირში, ტაიგის თავზე აღმართული ძველეგვიპტური პირამიდა ან თქვენი სახლიდან 5 კილომეტრის მოშორებით რომის კოლიზეუმი.

მწვანედ მოხასხასე ტაიგას გადმოჰყურებს ლეგა-ნაცრისფერი მთა სწორი, თითქოს დანით წაჭრილი წვერით. ის ადგილობრივ პეიზაჟზე დომინირებს და ყურადღებას ნებისმიერი წერტილიდან იქცევს, საიდანაც კი მისი დანახვა შეიძლება. მისი „მშენებლობისთვის“, მეცნიერების გამოთვლით, რამდენიმე მილიონი ტონა ქვა იქნებოდა საჭირო!

— 1949 წლის ზაფხულში ირკუტსკის ოლქში სსრ კავშირის გეოლოგიური რუკის შესადგენად ბოდაიბოს რაიონს ვიკვლევდი, — მოგვითხრობს პატომის კრატერის პირველაღმომჩენი გეოლოგი ვადიმ კოლპაკოვი, — როცა პირველად ეს კრატერი დავინახე, გავიფიქრე, რომ სიცხისგან ჭკუიდან გადავედი. შორიდან ის მაღაროს გიგანტურ ტერიკონს წააგავდა. გავიფიქრე კიდეც, აქ ხალხს რა უნდოდა... ეს ტაიგის მიყრუებული რაიონია. შინსახკომის შრომითი ბანაკები ამ რაიონში არ ყოფილა. ეს ზუსტად ვიცოდი. მერე გავიფიქრე, იქნებ, არქეოლოგიური არტეფაქტია? მაგრამ ადგილობრივი ევენკები და იაკუტები, ჩემი მათდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ძველი ეგვიპტელები ნამდვილად არ არიან. ქვის პირამიდების აგებას ისინი ვერ შეძლებდნენ. უკვე დრო იყო, მეფიქრა იდუმალ ჰიპერბორეელებზე, რომელთაც, თითქოს, უძველეს დროში ძლიერი ცივილიზაცია შექმნეს.

ᲛᲝᲛᲐᲙᲕᲓᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲐᲚᲚᲘ

მოგვიანებით კოლპაკოვმა ადგილობრივი იაკუტებისგან გაიგო, რომ ამ ადგილს „ცეცხლოვანი არწივის ბუდეს“ ეძახიან. ისინი არწმუნებდნენ ახალგაზრდა გეოლოგს, რომ პატომის კრატერის რაიონში არც ირმებს უყვართ შესვლა, ვერც ხალხი გრძნობს თავს კარგად.

ათეისტი და სკეპტიკოსი კოლპაკოვი რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდა კრატერზე სამეცნიერო ექსპედიციის ორგანიზებას, მაგრამ იმ დროს აღმოსავლეთ ციმბირის ყველა გეოლოგიური ორგანიზაცია აქტიურად ეძებდა ურანს — სახელმწიფოს ბირთვული ბომბი სჭირდებოდა. „კოლპაკოვის ანომალიის“ კვლევაზე არც ფული იყო და არც — ხალხი. იქნებ ეს უკეთესიც იყო?

კრატერზე პირველი ექსპედიცია მხოლოდ გასულ წელს შედგა. მასში მონაწილეობა მეც — „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტმაც მივიღე.

უკვე კრატერის მისადგომებთან მე პირველმა დავინახე, როგორ დაეცა ბილიკზე ირკუტსკელი გეოლოგი, ექსპედიციის ხელმძღვანელი ევგენი ვორობიოვი. არც ხელოვნურმა სუნთქვამ უშველა და აღარც გულის მასაჟებმა (არაპირდაპირმა, რა თქმა უნდა). როცა ცხედარი ტაიგიდან გამოვასვენეთ და ცივილიზაციამდე მივიტანეთ, გაკვეთამ უეცარი ინფარქტი დაადასტურა. შემთხვევითი სიკვდილი — გულმა ველარ გაუძლო გრძელ და მომქანცველ გზას თუ „ცეცხლოვანი არწივის ბუდემ“ მორიგი მსხვერპლი ამოირჩია?

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲒᲕᲐᲨᲘᲜᲐ

შარშან მოვახერხეთ, პატომის კრატერისთვის ისტორიაში პირველი ფერადი ფოტოები გადაგვეღო. სამეცნიერო სამყაროში ამ ფოტოებმა ფურორი მოახდინა —

ᲐᲜᲝᲛᲐᲚᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲥᲛᲜᲘᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲛᲠᲐᲕᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ — „ᲒᲣᲚᲐᲒᲘᲡ“ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ, ᲥᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲣᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲑᲝᲚᲝ ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐᲡ ᲘᲐᲙᲣᲢᲘᲣᲠᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲓᲐ „ᲐᲕᲑᲔᲓᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ“ — ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲠᲐᲓᲘᲐᲪᲘᲣᲚ ᲤᲝᲜᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲐ ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲒᲐᲠᲔᲜᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ.

მაგრამ ყველა ვერსია მხოლოდ მოსაზრების დონეზე არსებობდა. თეორიიდან პრაქტიკაზე გადასასვლელად დამატებითი მონაცემები იყო საჭირო, ამიტომაც ახლა „კომსომოლსკაია პრავდამ“ ტელევიზიის პირველი არხის მონაწილეობით ორგანიზება გაუკეთა და დააფინანსა ახალი ექსპედიცია პატომის კრატერზე.

ტაიგის ანომალიის შესწავლის მსურველი მეცნიერების შეკრება ადვილი აღმოჩნდა, მიუხედავად იმ შავბნელი ლეგენდებისა, რომლებიც მთას უკავშირდება. გასული წლის ექსპედიციის ხელმძღვანელის უეცარმა სიკვდილმაც კი ვერავინ შეაშინა, მაგრამ ბედთან თამაშისგან მაინც თავშეკავება ამჯობინეს.

მკვლევარი დესანტის შემადგენლობაში სამი წევრი შევიდა, თავიანთი სამეცნიერო რეგალიებისა და საველე გამოცდილების მიხედვით. გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა ორი დოქტორი: ვიქტორ ანტიპინი, გეოქიმიის ინსტიტუტიდან და ალექსანდრე დიმიტრიევი, ირკუტსკის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი სერგეი იაზევი, ირკუტსკის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი. ექსპედიციის — „პატომის კრატერი — 2006“ — ოფიციალური ხელმძღვანელი არ აგვირჩევია.

სამაგიეროდ, შემადგენლობაში შევიდა სამი სამეცნიერო ჯგუფი, რომელთაგან თითოეულს თავისი ამოცანები ჰქონდა. საჭირო იყო კრატერიდან აღებული ქანების ნიმუშების შესწავლა, ჰაერისა და ნიადაგის ანალიზების აღება, ანომალიის რაიონში ხეების გადახერხვა და სხვადასხვა მეთოდით გარკვევა, თუ რა დევს დიდ სიღრმეზე კრატერის ქვეშ.

ᲣᲩᲘᲜᲐᲠᲘ ᲛᲗᲐ

სურსათისა და სამეცნიერო აღჭურვილობის საერთო წონამ ტონანახევარს მიაღწია. 3 ჟურნალისტსა („კომსომოლსკაია პრავდა“ და ტელევიზიის პირველი არხი) და ცხრა მეცნიერს ამხელა ტვირთის მხრებით ზიდვა არ შეეძლო, ამიტომ ბოდაიბოში ძველი ვერტმფრენის „Ми-8Т“-ს დაქირავება მოგვიხდა. უცნაურია: როცა მარშრუტის განხილვისას პილოტებს პატომის კრატერის ფოტოებს ვაჩვენებდით, ისინი მხრებს იჩეჩდნენ:

— ამდენი წელია, აქ დავფრინავთ, კრატერი კი არ დაგვინახავს.

რამ გამოიწვია ასეთი „სიბრმავე“, უცნობია. დაახლოებით ერთსაათიანი ფრენის შემდეგ ვერტმფრენიდან პატომის კრატერის საოცარი ხედი იშლება — კარგ ამინდში შორიდანაც დაინახავ. უკვე ნათელი ხდება, რატომ ადარებენ არწივის ბუდეს. დაახლოებით ერთი კილომეტრის სიმაღლიდან კრატერი, მართლაც, ბუდეს წააგავს — უზარმაზარი ბუდეა, რომლის ცენტრშიც დევს დაახლოებით 40 მეტრის დიამეტრის ქვის კვერცხი.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ

ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲛᲝᲘᲡᲔᲔᲜᲙᲝ

ᲐᲦᲝᲛᲩᲔᲜᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №16-17

4. ᲔᲚᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ

ანდრეი ნიკოლაენკო, რუსეთის ჰიდრომეტცენტრის ლაბორატორიის ხელმძღვანელი:

„დედამიწაზე ყველაზე მძლავრი ელვა 200 მლნ კილოვატია. ეს საკმარისი არაა, რომ ზედაპირზე ამოიტანოს მილიონობით ტონა ქვა, რისგანაც პატომის კრატერის ხილული ნაწილი შედგება. ელვა, ასევე, ვერ შეძლებდა კირქვიან ფერდობში ასობით მეტრზე ჩაღწევას და არხის გაჭრას, საიდანაც ეს ქვები უნდა ამოეყარა. თუ ამ კრატერის წარმოქმნის მიზეზი ელვაა, ე. ი. ეს ანომალიური ელვა იყო, ისეთი, რომელიც ჯერ არავის უნახავს“.

5. ᲛᲔᲗᲐᲜᲘᲡ ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ ᲬᲘᲐᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲠᲣᲛᲘᲐᲜᲪᲔᲕᲘ:

„სრულიად შესაძლებელია, მაგრამ ისინი მხოლოდ მაშინ აფეთქდებოდა, თუ წყალბადის საკმარის დოზას მიიღებდა, ანუ ფერდობი რამეს უნდა გაეხვრიტა გარედან. ისევ მეტეორიტის ვერსიას ვუბრუნდებით“.

6. ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲬᲣᲚᲙᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲤᲠᲥᲕᲔᲨᲐ

ირკუტსკის გეოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის შუა ხანებში დაადგინეს: ამ ადგილებში ვულკანური მოქმედება მილიონობით წელია, მიმდინარეობს.

7. ᲙᲠᲐᲢᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲛᲝᲗᲮᲠᲘᲚᲘ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲨᲐᲮᲢᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐ

გეოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ კრატერი ბოლო 100-200 წელიწადში ჩამოყალიბდა, ანუ ციმბირის ძველი მითიური ცივილიზაციები — ლემურიელები და ჰიპერბორეელები — მასთან არაფრით არიან დაკავშირებულნი. კრატერის აღსამართავად სამუშაო ძალა შესაძლოა, გულაგის შრომითი ბანაკებიდან ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ ბოდაიბოს რაიონში ერთადერთი შრომითი-გამოსასწორებელი ბანაკი ფუნქციონირებდა და ისიც, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივის მონაცემებით, 1947-1951 წლებში; პატიმართა რაოდენობა — 8400 ადამიანი, ოქროს მოპოვებასა და ხის დამზადებაზე დასაქმებული. ეს ბანაკი მდებარეობდა კრატერიდან დაახლოებით 300 კილომეტრის მოშორებით. ტაიგისთვის ეს ძალიან დიდი მანძილია, თანაც, 1947 წლიდან 1949-მდე (როცა კოლპაკოვმა კრატერი აღმოაჩინა) რვა ათასი მუშა მილიონი ტონა ქვის „ამობრუნებას“ ვერ შეძლებდა.

„ᲪᲔᲪᲮᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲬᲘᲕᲘᲡ“ ᲑᲣᲓᲔ

როცა შენ გვერდით ადამიანი კვდება, წარმოუდგენელი ტრაგედიაა, მაგრამ როცა ერთი სიკვდილი მეორეს მოსდევს, ძალაუნებურად ყოფიერების უცნაურობებზე იწყებ ფიქრს.

კრატერისკენ მიმავალ გზაზე ექსპედიციის ხელმძღვანელი ევგენი ვორობიოვი დაიღუპა. მიზეზი — გულის გაჩერება...

დაბრუნებულებმა ბოლო 200 კმ შემხვედრი მანქანით გავიარეთ, რომელსაც ბოდაიბოში ოქროს მომპოვებელი მიჰყავდა (კუჭის წყლულით დაავადებული). ავადმყოფმა ჩვენი მათარიდან წყალი მოსვა, ამოიგმინა და... ისიც გარდაიცვალა. ბოლო საათნახევარი გვამზე მუხლებმიბჯენილებმა ვიმგზავრეთ. მორგში გვითხრეს, რომ მომპოვებელს გული გაუჩერდა — ტკივილგამაყუჩებელი ინიექცია ვერ აიტანა.

ის-ის იყო, ირკუტსკში თვითმფრინავიდან ჩამოვედით, რომ ბიჭებს, რომლებიც ჩემთან ერთად მოფრინავდნენ, კიდევ ერთი საშინელი ამბავი შეატყობინეს. სწორედ იმ დღეს, როცა კრატერზე ავედით, მათი მასწავლებელი გარდაიცვალა, რომელთანაც ისინი სკოლის დამთავრების შემდეგ ათი წლის განმავლობაში მეგობრობდნენ. მასაც გული გაუჩერდა...

ზედიზედ სამი გარდაცვლილი ხუთ დღეში. უბრალოდ, რაღაც მისტიკაა...

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

მეტ-ნაკლებად ყველა ნორმალური ვერსია გამოირიცხა. რჩება მხოლოდ ზემყარი მეტეორიტი, რომელმაც ასეულობით მეტრზე ჩახვრიტა მთა და ახლაც იქ განისვენებს. მისი ფრენისას საშინელი გრუხუნი უნდა ყოფილიყო, ხოლო შეზანზარებისგან გამოწვეული სეისმორყევები — წარმოუდგენლად მძლავრი. ბოლო 100 წლის მანძილზე ტაიგაში მხოლოდ ერთი ასეთი დიდი მეტეორიტი — ტუნგუსკის მეტეორიტი შემოფრინდა, რომლის დაცემის ადგილიც დღემდე არაა აღმოჩენილი. ვერსია სიმართლესთან ახლოსაა, მაგრამ ერთი რამ გვაფიქრებს — თუ პატომის კრატერი ტუნგუსკის ზემყარი მეტეორიტის ფრაგმენტია, მაშინ ციმბირის ტერიტორიაზე მსგავსი კრატერები კიდევ უნდა არსებობდეს. ჯერჯერობით არც ერთი არაა ნაპოვნი.

ლოგიკურია უფოლოგიური ვერსიაც. 1908 წელს ტაიგის თავზე არა მეტეორიტი, არამედ უცხოპლანეტელთა ვარსკვლავთმფრენი ვარდებოდა. ხომალდის დიდი ნაწილი ატმოსფეროში დაიწვა, ხოლო ზემყარი ნივთიერებისგან დამზადებული ძრავა ან საწვავის ავზი იქ დაეცა, სადაც ახლა პატომის კრატერია. და ეს არტეფაქტი ისევ ფერდობის ქვეშ ინახება.

რომელი ბრაუზერი ჯობს

ბრაუზერი ინტერნეტში განთავსებული ვებგვერდებისა თუ საიტების გასახსნელი და დასათვალიერებელი პროგრამული უზრუნველყოფაა. ის ასევე უზრუნველყოფს ჩვენი კომპიუტერის აღჭურვას ინტერნეტში მუშაობის, ერთი გვერდიდან მეორეზე გადასვლისა და კიდევ მრავალი სხვა ფუნქციითა თუ შესაძლებლობით. დღეისათვის მსოფლიო ქსელში მომხმარებელთა შეღწევისა და „ხეტიალისათვის“ არა ერთი ბრაუზერი არსებობს და თითქმის ყველა მათგანი უფასოდ ვრცელდება შემქმნელების მიერ. ყველაზე მეტად გავრცელებული ბრაუზერებია: Internet Explorer, Opera, Mozilla, Safari და Google Chrome.

პირველად გავრცელებულ ბრაუზერს NCSA Mosaic-ს ამოსავალი კოდი ღია ჰქონდა, რითაც სხვა კომპანიებმა მშვენივრად ისარგებლეს და მრავალი ნაკლის მქონე NCSA Mosaic-ს გადაკეთება დაიწყეს. თავად მისი შემქმნელი კი ცდილობდა, საკუთარი შვილობილი სხვადასხვა ოპერაციული სისტემისათვის მოერგო. საკმაო წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ, მეორე მხრივ, Microsoft-ს საკუთარი ბრაუზერის შექმნის სურვილი გაუღვივა და უკვე 1995 წლიდან ამ კომპანიის შვილობილი, დღემდე ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ბრაუზერი Internet Explorer, ასევე ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ოპერაციული სისტემის Windows-ის თანმხლებ პროგრამულ უზრუნველყოფად იქცა. აღნიშნული ოპერაციული სისტემის იმ დროისათვის არსებულ ნებისმიერ ვერსიას ავტომატურად მოჰყვებოდა Internet Explorer-იც და ესოდენ აგრესიული პოლიტიკისათვის Microsoft-ს არა ერთი ჯარიმის გადახდაც მოუხდა. სამაგიეროდ, ამგვარი პოლიტიკის წყალობით, Internet Explorer-მა ბრაუზერების ბაზრის 95% დაიპყრო. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ამგვარი წარმატებისა, Internet Explorer მე-4 ვერსიიდან მე-6 ვერსიამდე, ფაქტობრივად, არ ვითარდებოდა და საკმაოდ ჩამორჩებოდა სხვა ბრაუზერებს სტანდარტების მხარდაჭერისა და მუშაობის სისწრაფის მხრივ. მეშვიდე ვერსიაში ცვლილებები მხოლოდ ზრდილობის გამო შეტანილს ჰგავდა და კონკურენტების სისწრაფესთან მიახლოებასაც კი ვერ ბედავდა. სამაგიეროდ, მერვე ვერსიაზე Microsoft-მა ინამუსა და ლამის ახალი ბრაუზერი შექმნა, რომელიც სტანდარტებისაგან Internet Explorer-ისათვის აქამდე დამახასიათებელი მასშტაბებით არ განსხვავდება.

ბაზრის დაკარგვის შემდეგ პირველი ბროაზერის შემქმნელი კომპანია Netscape გაკოტრდა, მაგრამ მოგვიანებით იგი AOL-მა იყიდა და ბრაუზერის ახალი ვერსიაც შეიქმნა. ის ჯერ პროგრამული პაკეტის შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ კი გადაწყდა, რომ ბრაუზერი სხვა ყველა პროგრამისაგან დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო. ასე მოევლინა კომპიუტერულ სამყაროს Mozilla Firefox, რომელსაც სხვა ბრაუზერებზე ბევრად მეტი შესაძლებლობები აქვს, რის წყალობითაც 2008 წელს მას უკვე ბაზრის თითქმის 40% ჰქონდა ათვისებული.

1996 წელს კომპანია Opera Software-მა საკუთარი მოსახელე ინტერნეტბრაუზერი Opera შექმნა, რომელიც უკვე მრავალი წელია, ბრაუზერთა შორის უსწრაფესად ითვლება როგორც გვერდების გახსნის, ასევე ჩამოტვირთვის სიჩქარის თვალსაზრისით. 2005 წლიდან ეს პროგრამული უზრუნველყოფა ოფიციალურად უფასო გახდა.

მას შემდეგ, რაც Microsoft-ის მონოპოლიას სერიოზული საფრთხე შეექმნა ძლიერი კონკურენტების წყალობით, კომპანია Google-მ გადაწყვიტა, ამ კეთილშობილური საქმისათვის ხელი შეეშველებინა და საკუთარი ბროუზერი Google Chrome შექმნა. მართალია, ამ ბრაუზერს საკუთარი დადებითი მხარეები აქვს, მაგრამ ბოლო დრომდე მაინც Microsoft-ის წისქვილზე ასხამდა წყალს, ვინაიდან მხოლოდ ამ კომპანიის მიერ წარმოებულ ოპერაციულ სისტემაზე Windows XP-სა და Vista-ზე მუშაობდა.

ბრაუზერების ომი კორპორაციების კომერციულ საქმედ დარჩებოდა, რომ არა სპეციფიკური და არასტანდარტული შესაძლებლობები, რომლებიც ბრაუზერებს დაემატათ. ყველაზე დიდი განსხვავება სკრიპტ javascript-ს მხარდაჭერასთან დაკავშირებით გაჩნდა. შედეგად, მრავალი საიტი მხოლოდ ერთი ბრაუზერისადმი აღმოჩნდა ოპტიმიზებული და სხვებზე მუშაობა გაუჭირდა. ეს კი უკვე მიმართულებაა შემდგომი ნაბიჯებისათვის.

2009 წლის დასაწყისში კომპანია Microsoft-მა განაცხადა, რომ მუშაობს ახალი ბრაუზერის შექმნაზე. ახალ პროდუქტს Gazelle ერქმევა და რესურსების დაყოფის პრინციპით იმუშავებს, რაც, კომპანიის მტკიცებით, მისი უსაფრთხოების მაჩვენებელს გააუმჯობესებს. ასე რომ, ცისფერ „e“-ზე სამყარო სულაც არ მთავრდება, პირიქით, ბროუზერების სამყარო ამით იწყება — Internet Explorer-ის ბროუზერია, რომელსაც პირველად ეცნობა ხოლმე კომპიუტერის მომხმარებელთა უმეტესობა, ყველაზე საინტერესო კი სწორედ ამის შემდეგ იწყება.

ყველაზე მარტივი ბრაუზერები, რომლებიც მუშაობისათვის მძლავრ კომპიუტერებს არ მოითხოვენ და გრაფიკაც კი არ ესაჭიროებათ, ეგრეთ წოდებული ტექსტური ბრაუზერებია. მათ შორის ყველაზე გავრცელებული დასახელებები Lynx, Links და Elinks, ალბათ, ბევრს სმენია. ეს ბრაუზერები არქაულ გადმონაშთებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მათ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მომხმარებელი ჰყავთ და, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება სერვერებზე, სადაც გრაფიკული გარსი, როგორც წესი, საერთოდ არ „ყენდება“. გარდა ამისა, ასეთი ბრაუზერები ძალიან მოსახერხებელია სუსტი კომპიუტერებისა და ქსელთან შეერთების დაბალი სიჩქარის პირობებში.

მეორე ჯგუფს Internet Explorer-ზე დაშენებული ბროუზერები წარმოადგენს. მათ დამოუკიდებელ პროდუქტს ვერ ვუწოდებთ, ვინაიდან მუშაობისათვის Windows-ში ჩაშენებული ბრაუზერის გამოყენება ესაჭიროება, მაგრამ ვერც უბრალო დანამატებს ვუწოდებთ, ვინაიდან ამ ჯგუფის სახელოვანი წარმომადგენლები Maxthon, MyIE, Avant Browser, Netcaptor მსოფლიო ქსელში ნავიგაციისათვის უმნიშვნელოვანეს დეტალებს მატებენ საწყის პროგრამულ უზრუნველყოფას.

მესამე ჯგუფი საარსებო გარემოზე მიბმული ბროუზერებისაგან შედგება. მაგალითად, Internet Explorer არ არსებობს Windows-ის გარეშე და, თავის მხრივ, ამ ოპერაციული სისტემის განუყოფელი ნაწილია.

მეოთხე ჯგუფში ის ბროუზერები შედის, რომლებიც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი პროდუქტის სახითაა შექმნილი და მინიმალურად იყენებს ამ ოპერაციული სისტემის ელემენტებს, რისთვისაც გაითვალისწინეს შემქმნელებმა. ისინი ხშირად მშვენივრად თავსდებიან სხვადასხვა ოპერაციულ სისტემასთან. ამ ჯგუფის სახელგანთქმული წარმომადგენლებია: Mozilla Firefox, Opera, Netscape Browser 8, Dr.Orca, K-Meleon, SeaMonkey და Flock.

ყველაზე პოპულარული ინტერნეტბრაუზერების რეიტინგს, რასაკვირველია, მათ მიერ ბაზრის წილის ათვისებით ითვლიან. კომპანია Net Applications-ის ამგვარი დათვლის შედეგების მიხედვით Internet Explorer-ის წილმა მსოფლიო ბაზარზე 65,5% შეადგინა და ეს, რასაკვირველია, პირველი ადგილია. მომდევნო ადგილები კი შემდეგნაირად გადანაწილდა: Firefox — 22,51%, Safari — 8,43%, Google Chrome — 1,8%, Netscape — 0,74%, Opera 0,72%, Mozilla — 0,1%, Opera Mini — 0,08%, PlayStation — 0,04%, ACCESS NetFront — 0,03%, Blazer — 0,02%, Pocket Internet Explorer — 0,01%.

ევროკავშირი Windows-ში სხვა ბრაუზერების ჩაშენებას ითხოვს

ევროკომისიის ანტიმონოპოლიური სამსახურები ჯერ კიდევ შარშანდლიდან იკვლევენ ბროუზერების ბაზარზე მონოპოლიის საკითხებს და, როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ მიიღებენ ზომებს პროგრამული უზრუნველყოფების შემქმნელი მსოფლიო ბაზრის მონოპოლისტი Microsoft-ის მიმართ.

ამას წინათ კომპანიამ განაცხადა, რომ ევროკავშირის მოთხოვნით Windows-დან Explorer-ს ამოიღებდა, მაგრამ ევროკავშირს ამგვარი დათმობა ეცოტავა და ითხოვს, Explorer-ის ნაცვლად Windows-ში სხვა ბროუზერი ჩაშენდეს. როგორც ირწმუნებიან, ეს ევროკავშირისა და კომპანიის შემდგომი ურთიერთობისათვის გადამწყვეტი საკითხია. შეგახსენებთ, რომ Internet Explorer-ის წინააღმდეგ ანტიმონოპოლიური გამოძიების მოთხოვნა პირველად ნორვეგიულმა Opera Software-მ დააყენა. მოგვიანებით სარჩელს მხარი დაუჭირეს Mozilla Corp-მა და Google-მ. ბროუზერების ბაზარზე ერთადერთი მსხვილი მოთამაშე, რომელიც დღემდე დუმს, არის კომპანია Apple. ზუსტად ამგვარი პრობლემები Microsoft-ს უკვე ჰქონდა ათი წლის წინათ, როცა მას დღეს უკვე არარსებული კომპანია Netscape საკუთარი პროდუქტის ბლოკირებაში ადანაშაულებდა. მაშინ დავა რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. 2007 წელს Real Networks-ის საჩივრის საფუძველზე კომპანია Microsoft-მა თანხმობა განაცხადა Windows-დან Media Player-ის ამოღებასა და თავისი ოპერაციული სისტემის ტექნიკური დოკუმენტებისა თუ ქსელური პროტოკოლების ხელმისაწვდომობაზე, რათა კონკურენტებს Windows-თან თავსებადი პროგრამული უზრუნველყოფების შექმნა შესძლებოდათ. მაგრამ საბოლოოდ საქმე ისე გაიწელა, რომ სოფტვეარის გიგანტმა მაინც მოახერხა 500 მილიონ ევროდ გამოძრომა. ამ შემთხვევაში ჯარიმამ, თუ ამაზე ვინმე დათანხმდა, შესაძლოა, კომპანიის წლიური ბრუნვის 10% შეადგინოს, Microsoft-ის წლიური ბრუნვა კი დაახლოებით 60 მილიარდი ამერიკული დოლარია.

კასპერსკის ლაბორატორიამ მავნე პროგრამებთან ბრძოლის ახალი ტექნოლოგია დააპატენტა

ინფორმაციის დაცვის სფეროში კასპერსკის ლაბორატორიამ ახალი ტექნოლოგია შეიმუშავა და წარმატებითაც დააპატენტა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამ ტექნოლოგიის გამოყენებისას ავტომატურად გენერირებადი სკრიპტების საშუალებით ხდება მავნე პროგრამების არა მხოლოდ აღმოჩენა და განადგურება, არამედ მათი მუშაობის შედეგებთან გამკლავებაც. ახალი ტექნოლოგია ძველთან ერთად ავტომატიზებულ ახალ მეთოდებსაც მოიცავს, რომელთა წყალობით ინფორმაციის დიდ მოცულობებთან მუშაობაა შესაძლებელი; უფრო მეტიც, ინფორმაციის დიდი რაოდენობით დაგროვება ამ შემთხვევაში დადებით როლს ასრულებს, ვინაიდან შემდგომი სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციისა და დაცვის სისტემის „სწავლებისათვის“ გამოიყენება.

ამგვარი კომბინაციის წყალობით შესაძლებელი ხდება რესურსების ეკონომია და მავნე პროგრამებთან უფრო ეფექტიანი ბრძოლა. აღნიშნული სისტემა მონაცემებს აგროვებს სისტემის კვლევის შედეგებიდან, მოვლენათა ჟურნალებიდან და სხვა წყაროებიდანაც, შემდეგ ამ ინფორმაციას მავნე პროგრამების იდენტიფიკაციისათვის იყენებს და ავტომატურად ქმნის სკრიპტს საფრთხესთან გამკლავებისა და სისტემის უფრო ღრმა კვლევისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ექსპერტებს საშუალება ექნებათ, ჩაერიონ საქმეში და პროგრამას რთული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარონ. ამგვარ დახმარებებს პროგრამა იმახსოვრებს და შემდგომში უკვე ჩვეულებრივ გამოიყენება. ამჟამად შეერთებული შტატებისა და რუსეთის საპატენტო ორგანიზაციები ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების შესახებ კასპერსკის ლაბორატორიის 30-ზე მეტ განაცხადს განიხილავენ.

Mozilla მომხმარებელს საკუთარი ბროუზერების შექმნას სთავაზობს

Mozilla Firefox 3.5-ის ბაზაზე ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია საკუთარი ბროუზერი შექმნას, ოღონდ ამისათვის ივნისის ბოლომდე მოგიწევთ მოცდა.

სწორედ ამ დროისათვის გამოვა ზემოთ ხსენებული ბროუზერის საბოლოო ვერსია, რის შემდეგაც საკუთარი ბროუზერების შესაქმნელ პროგრამას Build Your Own Browser-საც, რასაკვირველია, Mozilla-საგან მიიღებთ. შემქმნელების ვარაუდით, ეს ახალი შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, მსხვილ კომპანიებს დააინტერესებთ, ვინაიდან მისი დახმარებით ბროუზერ Firefox-ს საკუთარ IT-ინფრასტრუქტურას უპრობლემოდ მოარგებენ. მაგალითად, შიდა ქსელში მუშაობისათვის ბროუზერს „დაუყენდება“ აუცილებელი ჩანართები, შესაძლებელი იქნება მასში კომპანიის ლოგოტიპის განთავსება და ასე შემდეგ. ამგვარად, Firefox კორპორატიული ბაზრის დაპყრობას და ამ ბაზარზე დომინანტი Internet Explorer-ის დამარცხებას გეგმავს.

რა ბედნიერია უვიცი კაცი, რამდენი რამის აღმოჩენა შეუძლია!

დღეს ბატონი შალვა ნუცუბიძის ეს სიტყვები განსაკუთრებულად ჟღერს — დღეს ხომ ყველაფერი ხდება „პირველად საქართველოში“!

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ჩემს წერილებში ბევრჯერ მაქვს მოხსენიებული, სწორედ იმიტომ, რომ აქ მუშაობის პერიოდში ვხვდებოდი ისეთ ადამიანებს, რომლებიც იმდროინდელი და ახლანდელი საქართველოს მწერლობას წარმოადგენენ. თემატური გეგმით წელინადში 500 დასახელების წიგნი იყო გამოსაცემი. აქედან ნახევარზე მეტი ცოცხალი ავტორი გახლდათ. ვინ მოთვლის, რამდენ ავტორთან მქონია საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა. მათ შორის იყვნენ ცოცხალი კლასიკოსები, რომელთა წიგნები მკითხველისთვის ცნობილია, მაგრამ ისეთი ავტორები, რომლებიც თავიანთი ზეპირსიტყვიერებით ამდიდრებენ შემოქმედებას, იშვიათი იყო. ბატონი შალვა ნუცუბიძე კი, სადაც უნდა ყოფილიყო, ყველგან ტოვებდა თავის კვალს. მასთან საუბრისას ისეთ და იმდენ ცხოვრებისეულ სიბრძნეს და იუმორს მოისმენდი, დღეს რომ ჩვენი ქვეყნისთვის ჰაერივითაა საჭირო. თითოეული სიტყვა ყურადსაღები და შეუფასებელია.

ქართველი ერის მოსიყვარულე და მოჭირნახულე ადამიანთან ჩემი საქმიანი ურთიერთობა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორის ელგუჯა მაღრაძის კაბინეტში დაიწყო. საუბარი წიგნის გამოცემის თაობაზე მიმდინარეობდა. ბატონმა შალვამ თქვა, ჩემს წიგნს, რომელიც გერმანიაში გამოვეცი, სატიტულე ფურცელზე დავაწერე: **„გებრონენ ინ ფარცხანაყანები“ — „დაბადებული ფარცხანაყანებში“.** მათი საუბრისას ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ბატონ შალვას ელგუჯასთვის წიგნად გამოსაცემი დედანი დაუტოვებია. ელგუჯას წაუკითხავს და თავისი აზრი ბატონი შალვასთვის მოუხსენებია. როგორც ჩანს, ნაშრომის ავტორს ეს აზრი მოსწონებია. სწორედ იმ დროს შევედი კაბინეტში.

ბატონი შალვა ელგუჯას ეუბნება: **„ვეფხისტყაოსანი“ ციხეში ვთარგმნე რუსულ ენაზე. ამის გამო სტალინმა კრემლში მიმიღო და შუბლზე მაკოცა; „აი, ამ შუბლზე“, — და საჩვენებელი თითი შუბლზე მიიდო, — „მე ახლა შენ უნდა გაკოცო შუბლზე“.** დავალება მივიღე, როგორც დირექტორის მოადგილემ წარმოების დარგში, რომ ბატონი შალვას წიგნის გამოცემისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიმექცია.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 1966 წლის შემოდგომაზე ბატონი ირაკლი აბაშიძის ხელმძღვანელობით შოთა რუსთაველის იუბილე უნდა გადაგვეხადა. თბილისში ჩამოვიდნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მწერლები და მეცნიერები. გამომცემლობა თითქმის მთლიანად დაკავებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებით: სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა ფორმატით, აფორიზმები, პროზა, პოეზია, სასაჩუქრო ეგზემპლარები ხბოს ტყავში და ა.შ.

რატომღაც, ბატონი შალვა აქტიურად არ მონაწილეობდა ამ ღონისძიებაში. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ უპირატესობა სხვებს ჰქონდათ მინიჭებული. ბუნებრივია, განაწყენებულიც იყო, რასაც ჩემთან საუბარშიც გამოხატავდა ხოლმე.

ერთ დღეს ჩემს კაბინეტში საწარმოო განყოფილების თანამშრომლებთან თათბირს ვატარებდი. ის იყო თათბირი დავამთავრე, რომ ბატონი შალვა შემოვიდა. თანამშრომლებს გაუხარდათ მისი დანახვა და მთხოვეს, დავრჩებითო, — ბატონი შალვას საუბრის მოსმენა სურდათ. იკითხა რა წიგნის მდგომარეობა, ამომწურავი პასუხით დაკმაყოფილდა და ჩვეული მახვილსიტყვაობით დაიწყო საუბარი: **„აგერ ახლა თავის თავში მეტად დარწმუნებული ერთი პოეტი შემხვდა, თავმომწონედ მეკითხება: შალვა ბატონო! ჩემი შემოქმედებიდან რომელი უფრო მოგწონთ?**

მე ვუპასუხე ძალზე გულახდილად, რომ მართლაც მომწონს მისი უფროსი ქალიშვილი!“

იმდროინდელი მთავრობის შესახებ ბევრი მწარე სიმართლე ილაპარაკა. შეგვახსენა, რომ ყვარყვარეებით აივსო ქვეყანა. დაგვემშვიდობა და კაბინეტიდან გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარი შემოაღო და იქიდანვე დაიძახა: **„ამათ რუსთაველი ტივი ჰგონიათ, შემსხდარან ზედ ოჯახებიანად და საით მიექანებიან, თვითონაც არ იციან!“**

რუსთაველის იუბილედან სამი წლის თავზე ბატონი შალვა გარდაიცვალა. იგი დიდი პატივით დაკრძალეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში. მისი ნაშრომები ქართველი ერის, მეცნიერებისა და აკადემიის საგანძურია.

მე მხოლოდ მის იუმორსა და ბრძნულ გამონათქვამებს შეგახსენებთ, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად.

როგორც მოგახსენეთ, ბატონ შალვას შესანიშნავი იუმორი ჰქონდა. ამიტომაც ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციამ დაიწყო ხალხში გაფანტული მისი გამონათქვამებისა და იუმორის შეგროვება. მასალა პერიოდულად იბეჭდებოდა კიდეც.

ამჟამად გთავაზობთ 1982 წლის ჟურნალ „ნიანგის“ №16-ში გამოქვეყნებულ იუმორს:

ერთ თავყრილობაზე ვიღაცამ შალვას ჰკითხა: — როგორა ხართ, შალვა ბატონო?

— მეხივით, მეხივით! — ხმამაღლა უპასუხა შალვამ.

— გამოიწით, თავზე არ დაგვეცეს! — „იხუმრა“ ერთმა მის გვერდით მდგომმა.

— ნუ გეშინიათ, მეხი ცარიელ ადგილს არ ეცემა! — უმალ მიახალა შალვამ.

* * *

შალვას ერთი ინჟინრისთვის უთხოვია, რკინის ხიდის პროექტი შეგვიდგინეო. ინჟინერს უთქვამს, მე მხოლოდ ხის ხიდების სპეციალისტი ვარო. შალვას გასცინებია: „ეს იგივეა, მარჯვენა თვალი გტკიოდეს და თვალის ექიმმა გითხრას, მე მხოლოდ მარცხენა თვალის ექიმი ვარო“ (მას მერე თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და ახლა ინჟინრის ეს განცხადება გასაკვირი არ უნდა იყოს).

* * *

ერთ სხდომაზე შალვამ აგრონომებს კბილი გაჰკრა. განაწყენებულებმა განაცხადეს, პრორექტორმა „პეტრუშკის“ მეცნიერები გვიწოდაო. შალვამ თავი იმართლა: „მე „პეტრუშკა“ არ მიკადრებია, ოხრახუშის მეცნიერებიც გვყავს-მეთქი, — ასე ვთქვი“.

* * *

შალვა ჰყვება: — მივდივარ გამალებული ლექციაზე, ზარი დარეკილია, დერეფანში უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი შემხვდა, შემომხედა, საათს დახედა და მეუბნება: — როდის იწყება, ბატონო შალვა, ლექცია?!

— როდესაც პროფესორი შედის აუდიტორიაში! — ვუპასუხე მე.

* * *

ერთმა ახალბედა მეცნიერმა იმდენი რამ მიითვალა თავის აღმოჩენად აზროვნების ისტორიაში, რომ შალვამ ველარ გაუძლო და ჩაილაპარაკა: — რა ბედნიერია უვიცი კაცი, რამდენი რამის აღმოჩენა შეუძლია (დღეს ბატონი შალვა ნუცუბიძის ეს სიტყვები განსაკუთრებულად ჟღერს — დღეს ხომ ყველაფერი ხდება „პირველად საქართველოში“!)!

* * *

შალვამ გაიხსენა: უნივერსიტეტის რექტორმა ნიკო კეცხოველმა გამომიძახა რაღაც საქმეზე. ვარ გაჩერებული. არც — დაჯექიო, — მეუბნება და არც მიშვებს კაბინეტიდან. მომწყინდა ასე დგომა. ფანჯრიდან პეტრე მელიქიშვილის ძეგლს გავყურებ. ამ დროს რექტორმა შემომხედა და მითხრა, — რას იყურები იქით, მასთან წოლა ხომ არ მოგინდაო...

— შენთან დგომას მასთან წოლა მირჩევნია-მეთქი! — ვუთხარი და რექტორმაც სიცილი ველარ შეიკავა.

ჰოდა, ღმერთმა ინებოს, როგორც ეს არჩევანი შეუსრულდა ბატონ შალვას, ასევე შესრულებოდეს საქართველოს გამთლიანებისა და კეთილდღეობის სურვილები!

ჟანი სიხარულიძე

ძეგლების გადატანისადმი „ნაცმოძრაობის“ მიდრეკილებით შეშფოთებულმა მერაბ ბერძენიშვილმა რუსთაველის ძეგლი საკუთარ ეზოში დადგა

ჩვენი სასიქადულო მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი 80 წლის გახდა, რაც მოწინავე ქართველმა საზოგადოებრიობამ განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნა. მისი ნიჭის თაყვანისმცემლები და დამფასებლები შეიკრიბნენ მოქანდაკის ეზოში, რომელიც, ამავე დროს, მუზეუმიცაა და ეს დღე ძალზე ეფექტიანად და შინაარსიანად აღნიშნეს — საბურველი ჩამოეხსნა მოქანდაკის ბოლო მონუმენტურ ნამუშევარს — შოთა რუსთაველის ძეგლს.

რუსთაველი ახალი თემა არ არის მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებაში. დიდი პოეტის სახე მან ერთხელ უკვე გააცოცხლა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მოსვენებას არ აძლევს და ხელახლა მიუბრუნდა. ბრინჯაოში ჩამოსხმული ახალი ძეგლი ძველზე დიდიც არის და უფრო „მოძრავიც“, სახეც — სხვაგვარად შთაგონებული.

დალაგებულ ქვეყანაში ეროვნული ხელისუფლების პირობებში მერაბ ბერძენიშვილის ამ ახალ შედევრს საუკეთესო ალაგს მიუჩენდნენ და მოსახლეობის ყოველდღიურ მზერას არ მოაკლებდნენ, მაგრამ ახლა ხომ სხვა დროება გვიდგას — მისი ერთ-ერთი შედევრი „დავით აღმაშენებელი“ აკი თბილისის ცენტრიდან გაიტანეს და იმგვარად დადგეს სამანქანო ტრასის შუაგულში (და, თანაც, კონტრაჟურში), რომ ნორმალურად ვერ დააკვირდები.

აი, რატომ აღიმართა ახალი „შოთა რუსთაველი“ მოქანდაკის ეზოში. ასე უფრო დაცული იქნება იგი უმადურთა ავი თვალისგან, მაგრამ გავა დრო და ბერძენიშვილის ეს ქმნილება, ისევე, როგორც მისი „ქეთევან წამებული“ (ეს ქანდაკებაც ავტორის ეზოში დგას) საყოველთაო ხილვის ღირსი შეიქნება.

P.S. მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რომ მოქანდაკის იუბილესა და ძეგლის გახსნას ხელისუფლების წარმომადგენლები არ დასწრებიან, შეიძლება ითქვას, ვერც დაესწრებოდნენ.

გელა ქაჯაია

ოპერა 157-ე თეატრალურ სეზონს ხურავს

24 ივნისს, 19 საათზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დახურავს 157-ე თეატრალურ სეზონს. ტრადიციულად, წარმოდგენილი იქნება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

სპექტაკლს რევაზ ტაკიძის დირიჟორობით შეასრულებენ მომღერლები: ნინო ჩაჩუა, ირინე ალექსიძე, არმაზ დარაშვილი, სულხან გველესიანი, გია ასათიანი, თამაზ საგინაძე, თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი — შალვა შაორშაძე), ორკესტრი; მოცეკვავეები: მაია ალფაიძე, აბესალომ გოგუა, დავით ხოზაშვილი, ბესო შათირიშვილი.

„დაისის“ აღნიშნული წარმოდგენა ეძღვნება დიდი ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის დაბადებიდან 130 წლისთავს.

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
გონდო მძინარაშვილი, გიორგი მამაცაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
რეალიზაციის მენეჯერი დავით გუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი მაია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net